
GINO
PARADISE
TBILISI
ბრენდი სახელად
„მაკდონალდსი"
მშვიდობიან კვირას გისურვებთ!


გვ. 12
როგორ უნდა მიაწოდოთ შვილს სქესობრივ
ცხოვრებაზე სწორი ინფორმაცია და
არის თუ არა შიშის საფუძველი მისთვის
ამ თემებზე სიმართლის დამალვა


გვ. 8
როგორ გაყიდა რუსეთმა მილოშევიჩი, რატომ
დანაწევრდა ერთი სლავი ერი რამდენიმე სხვადასხვა
ეთნოსად და რატომ გაღვივდა თავიდან სვანებისა
და მეგრელების „არაქართველობის" იდეა


Print Office
დაბეჭდე ყველა ფერი ყველაფერზე
გთავაზობთ სრულ მაღალხარისხიან
ბეჭდვას ოპერატიულად
ჩვენი სერვისებია:
დიზაინერული მომსახურება
ბრენდირება
ციფრული ბეჭდვა
ოფსეტური ბეჭდვა
ბეჭდვა ნებისმიერ მყარ ზედაპირზე
ადგილზე მიტანით
2014
პროდუქციის რაოდენობა
განუსაზღვრელია
ალ. ყაზბეგის 43
0177, თბილისი
(032)239 23 03
557 14 32 32
/printoffice.ge
www.printoffice.ge


HAIRLINE
INTERNATIONAL
პროფესიონალები ზრუნავენ
თქვენს გარეგნობაზე...
სამედიცინო ცენტრი "ჰეალაინი"
www.hairline.ge
გთავაზობთ:
- სახის და ტუჩის კონტურული
პლასტიკა
- ბოტოქსი
- ბიორევიტალიზაცია
- მეზონიდლინგი
- პლაზმოლიფტინგი
- მეზოთერაპია
- აპარატული კოსმეტოლოგია
- ქიმიური პილინგი
დეა პაპასკირი
პლასტიკური ქირურგი
მედიცინის დოქტორი
2 30 00 30
ქავთარაძის ქ. 16 ( DKC - სამკურნალო კომბინატი )

# „საქართველოს ბანკი“ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების მხარდასაჭერად პირველ საგრანტო კონკურსს აცხადებს

## „საქართველოს ბანკი” სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში წელს 2,3 მილიონ ლარს გამოყოფს

„საქართველოს ბანკი“ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების მხარდასაჭერად პირველ საგრანტო კონკურსს აცხადებს, რომელსაც „საქართველოს ბანკის” მომავლის ფონდი” განახორციელებს. ამის შესახებ „საქართველოს ბანკის” სათავო ოფისში გამართულ პრესკონფერენციაზე გახდა ცნობილი. კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ არასამთავრობო ორგანიზაციებს, საინიციატივო ჯგუფებსა და სხვა შესაბამის დაწესებულებებს, რომლებიც შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთა საკითხებზე მუშაობენ. პირველი საგრანტო კონკურსის ფარგლებში „საქართველოს ბანკის” მომავლის ფონდი“ 250 000 ლარის დაფინანსებას გამოყოფს. თითოეული გრანტის მოცულობა 25 000 ლარამდე განისაზღვრება. „საქართველოს ბანკის” მომავლის ფონდის“ ცნობით, საკონკურსო განაცხადების მიღება მოხდება 18 თებერვლიდან 28 თებერვლის 17:00 საათამდე, რისთვისაც კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა საჭირო დოკუმენტაცია უნდა გაგზავნონ ელფოსტაზე: grants@bog.ge კონკურსში გამარჯვებულ პროექტებს შესაბამისი მიმართულების ექსპერტებით დაკომპლექტებული დამოუკიდებელი ჟიური 2014 წლის 10 მარტს გამოავლენს. გამარჯვებული პროექტების განხორციელებას მონიტორინგს გაუწევს „საქართველოს ბანკის” მომავლის ფონდი“. „საქართველოს ბანკი“ „საქართველოს ბანკის” მომავლის ფონდში“ 2 მილიონ ლარზე მეტს გადარიცხავს, რომლიდანაც 1 მილიონი ლარი სწორედ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებთან დაკავშირებულ პროექტებს მოხმარდება. კონკურსში მონაწილეობისთვის საჭირო დოკუმენტაციის ჩამონათვალი და სხვა დამატებითი ინფორმაცია განთავსებულია ვებ-გვერდზე: www.foundation.ge კონკურსში მონაწილეობის მსურველებს, ასევე, შეუძლიათ, დაუკავშირდნენ „საქართველოს ბანკის” მომავლის ფონდს,“ ნომერზე: 2-444-493.

გრანტის სახით გამოყოფილი თანხები მოხმარდება ინფრასტრუქტურულ, საგანმანათლებლო და ინტეგრაციაზე მიმართულ პროექტებს. პარალელურად, მოხდება „საქართველოს ბანკის” სერვისცენტრების ადაპტაცია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის. საწყის ეტაპზე ბანკის თბილისის 14 საკვანძო სერვისცენტრი აღიჭურვება პანდუსებითა და ელექტროკარით, რისთვისაც ბანკი დამატებით გამოყოფს 180 000 ლარს; მომავალში კი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის ადაპტირებული იქნება საქართველოს მასშტაბით 100-მდე სერვისცენტრი.




„საქართველოს ბანკის” მენეჯმენტის განცხადების თანახმად, სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში, „საქართველოს ბანკი” იწყებს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების მხარდაჭერაზე მიმართული 1 მილიონი ლარის მოცულობის ინიციატივის განხორციელებას. ეს არის საქართველოსთვის უპრეცედენტო შემთხვევა, როდესაც მსხვილი დონორის რანგში ადგილობრივი კერძო კომპანია გამოდის. დარწმუნებული ვართ, როგორც ქვეყანაში ყველაზე მსხვილ კერძო კომპანიას, მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა შეგვიძლია საზოგადოებისთვის ყველაზე აქტუალური საკითხების გადაჭრაში. შეგახსენებთ, რომ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების მხარდაჭერა არის „საქართველოს ბანკის” 2,3 მილიონი ლარის მოცულობის სოციალური პასუხისმგებლობის პროგრამის ნაწილი.

„საქართველოს ბანკის” მომავლის ფონდი“ 2008 წელს დაარსდა. ფონდის პრიორიტეტების გადახედვა პერიოდულად ხდება, რათა მოიცვას საზოგადოების ყველაზე აქტუალური სოციალური თემები. პრესკონფერენციას სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები დაესწრნენ. მათი თქმით, ძალიან კარგია, რომ „საქართველოს ბანკის“ წარმომადგენლები ყურადღებას იჩენენ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების მიმართ. „კოალიცია „დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის“ პოლიტიკურ მიმართულებათა პროგრამების მენეჯერი რატი იონათამიშვილი აღფრთოვანებულია, რომ „საქართველოს ბანკის“ სათავო ოფისში ადაპტირებული გარემოა შექმნილი. მან ირაკლი გილაურს მადლობა გადაუხადა იმის გამო, რომ ბანკმა „უპრეცედენტო პასუხისმგებლობა გამოავლინა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებისა და მოზრდილების მიმართ. ამ ფონზე რატი იონათამიშვილი დარწმუნებულია, რომ მომავალი წელი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვის თვალსაზრისით, გარდამტეხი იქნება.

**თორნიკე გურული** *(„საქართველოს ბანკის” მომავლის ფონდის“ დირექტორი):* საკონკურსოდ წარდგენილი პროექტები შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებისთვის ადაპტირებული გარემოს შექმნის, საგანმანათლებლო აქტივობისა და საზოგადოებაში მათი ინტეგრაციის ხელშეწყობისკენ უნდა იყოს მიმართული. ასეთ ბავშვებს ინფრასტრუქტურის მოწყობაში, საზოგადოებაში ინტეგრაციისა და სტიგმის დაძლევაში დავეხმარებით. საკონკურსო განცხადებები 18-დან 28 თებერვლის ჩათვლით მიიღება. გამარჯვებულ პროექტებს შესაბამისი სფეროს ექსპერტებით დაკომპლექტებული დამოუკიდებელი ჟიური 10 მარტს გამოავლენს. თითო პროექტის მაქსიმალური ხანგრძლივობა 6 თვეა, თუმცა, შესაძლებელია, იყოს 1 და 2-თვიანი პროექტებიც. ერთსა და იმავე ორგანიზაციას სამი პროექტის წარდგენაც შეუძლია. თითო პროექტის დაფინანსების მაქსიმალური ოდენობა დაახლოებით 25 000 ლარია. გამარჯვებული პროექტების შესრულებას მონიტორინგს „საქართველოს ბანკის მომავლის ფონდი“ გაუწევს. „საქართველოს ბანკის“ ახალი ინიციატივა კიდევ ერთი წინ გადადგმული წარმატებული ნაბიჯია სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში.

**სოფი ლორია**

# ალაგ-ალაგ შერცხვენილი

## ორმხრივი გრძნობები

რაკი **ყველას თავისი პეიზაჟი აქვს** და **მოვლენების სათავისოდ ინტერპრეტაციასაც ცდილობს** (ხანდახან – **საკუთარი თავის გასათეთრებლად**, უმეტესად – **ოპონენტების გასაშავებლად**), ამ საქმეს **ვერც უკრაინის მოვლენები ასცდა.**

**განსაკუთრებული აქტიურობით ხელისუფლების აწ ჩრდილში გადასული ყოფილი წევრები გამოირჩევიან**, თუმცა **მათი მთავარი აქტივობა სოციალურია, ანუ სოციალურ ქსელში აზრთა გამოთქმით გამოიხატება.**



მაგალითად, ეკონომიკის ყოფილი მინისტრი და იმიტირებული „ქრონიკის" იდეური ავტორ-შემსრულებელი **გიორგი არველაძე გამოგვიტყდა, რომ ქართველობის რცხვენია.** კერძოდ, **იგი ბრძანებს**: „უკრაინელი გმირი ხალხის შემხედვარეს, **მრცხვენია, რომ იმ ერის შვილი ვარ, რომელიც იმიტირებულ „ქრონიკაზე" ეროვნულ პანიკაში ჩავარდა და ფართხაფურთხით გაიქცა სომხეთისა და აზერბაიჯანის საზღვრებისკენ.**"

**მომენტი**, ცხადია, **მეტად მოხერხებულადაა შერჩეული,** თუმცა **ცოტა უხერხული არგუმენტით**, იმის გათვალისწინებით, რომ **არანაკლები ფართხაფურთხი შეიმჩნეოდა 2008 წლის 11 აგვისტოსაც და, ძირითადად, სახელისუფლო ელიტისა და ელიტასთან დაახლოებული პირების მხრიდან** სწორედ **ზემოხსენებული მიმართულებით** („სომხეთისა და აზერბაიჯანის საზღვრებისკენ"). იმ ავადმოსაგონარი 2008 წლის აგვისტოს სხვა დეტალებზე აღარ შევჩერდები.

რაც შეეხება სირცხვილის თემას: შესაძლოა, **ერი და ბ-ნი არველაძე ბარი-ბარშიც იყვნენ** და **ის გრძნობა, რომელსაც ის შეუპყრია, ორმხრივობითაც ხასიათდებოდეს?!**

# აწ „ერთადერთი და განუმეორებელი"

შესაძლოა, იმიტომ, რომ **ცნობილი ყოფითი ჭეშმარიტების თანახმად, „ჩემი შენ გითხარი, გული მოგიკალი"**, აწ **ერთადერთი და განუმეორებელი** (საპარლამენტო ოპოზიციური განხრით) **„ნაციონალური მოძრაობის" წევრები** აქეთ – **პოლიტიკური ნიშნით დევნაზე უზნობენ**, იქით – **უკანონო მოსმენა-მიყურადებაზე**, რაც მთავარია, ისე, რომ **წამის მეშილიონედითაც ვერ გრძნობენ უხერხულობას.**

მეორე მხრივ, ან კი **რატომ უნდა იგრძნონ?** როდესაც **უკანონო მოსმენა-მიყურადებისა და პოლიტიკური დევნის გამო არავისთვის ბუზიც არ აუფრენიათ** (მხოლოდ **კოაბიტაციურ მტრედებს აფრენ-ენ**).

სავარაუდოდ, ზემოხსენებული **მტრედებ-**



## „გული მოგიკალიო"

**ის ეშხით, გასულ კვირას ოპოზიციონერმა** გიორგი **ვაშაძემ მობილური ტელეფონი,** რომელიც ხელთ ეპყრა, **ზეაღმართა და რიტორიკულად ბრძანა**: „დღეს **ორჯერ მეტს გვისმენენ"**. ბუნებრივია, **ამ პათეტიკური რეპლიკის არსი ის იყო, „ორივენი** (ახალი და ძველი ხელისუფლებაც) **ბედკრული საქართველოს შვილები ვართო**", თუმცა, თავისთავად **იმასაც ნიშნავს, რომ ძველები ახლებზე,** მართალია, **ორჯერ ნაკლებს, მაგრამ მაინც უსმენ-აყურადებდნენ** (ბ-ნი ვაშაძის ვერსიით).

ხოლო, თუ გავიხსენებთ, რომ **პირველებს ეს ამბავი ხახვივით შერჩათ**, ვითომ **მეორეებს რატომ არ უნდა შერჩეთ**?!

# ტაიმ-აუტში

ისე მოხდა, რომ **1989 წლის 9 აპრილს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მოქალაქეებმა გაიღეს მძიმე ხარკი იმისთვის**, რომ **შედეგი – სსრკ-ს დაშლა – დამდგარიყო**. საბოლოოდ, **დამოუკიდებლობა საბჭოეთის 15-ვე რესპუბლიკამ მიიღო**, მათ შორის, რუსეთმაც და **უმეტესობამ ისე, რომ თითი თითზეც არ დაუკარებიათ.**

მოგვიანებით, **პოლიტიკური ორიენტირის ცვლის გამო ყველაზე მძიმე ხარკის გაღება აწ უკვე დამოუკიდებელ**, მანამდე კი ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკა **საქართველოს მოუწია**: მისი **ორი ავტონომიიდან სეპარატისტებმა სამოკავშირეო ხელშეკრულებას მოაწერეს ხელი** და **დამოუკიდებლობა თვითნებურადაც გამოაცხადეს** (თან, ეს მოვლენები **სამოქალაქო ომის პარალელურად ვითარდებოდა**), რაც, საბოლოოდ, **გაეროს მიერ აღიარებული ერთი საქართველოს ტერიტორიაზე 2008 წელს** რუსეთისა და კიდევ ოთხის მიერ **აღიარებული კიდევ ორი „სახელმწიფოთი" დაგვირგვინდა.**



უფრო მეტიც, სწორედ **საქართველოს ტყავზე დაინახეს** როგორც **პოსტსაბჭოთა**, ისე

## ცოცხალი ექსპერიმენტი

**ცივილიზებული მსოფლიოს ქვეყნებმა, რას ჩაიდენდა რფ „ნატოს" აღმოსავლეთით გაფართოების შემთხვევაში,** შესაბამისად, **სათავისო გაკვეთილებიც გამოიტანეს** და **პრევენციისთვისაც მოემზადნენ**.

მართალია, **ზემოთქმული ბარათაშვილის „მერნის" სტილში ვითარდებოდა** („რომ ჩემს შემდგომად მომძმესა ჩემსა სიძნელე გზისა გაუადვილდეს"), მაგრამ ახლა, სავარაუდოდ, **იმის გამო, რომ რფ-სთვის საბაჟო კავშირში უკრაინის ხილვა უფრო მნიშვნელოვანია**, ვიდრე დანარჩენების (ჩვენი ჩათვლით), **რუსეთ-დასავლეთის ფრონტის ხაზმა** დროის ამ კონკრეტულ მონაკვეთში **ჩვენგან ჩრდილო-დასავლეთით გადაინაცვლა**, შესაბამისად, შესაძლოა, **ისეც მოხდეს, რომ ახლა უკვე ჩვენ ვიხეიროთ სხვის მიერ გაკვალული გზებით?!**


**ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „თბილისელები"**

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი **ზაზა ახობაძე**
მთავარი რედაქტორის მოადგილე **ალექსანდრა ნაკაიძე**

პასუხისმგებელი რედაქტორი **ზაალ ცინაძე**

**რედაქციის მისამართია:**
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის №47




**განყოფილებები**

პოლიტიკა: რედაქტორი – ნინო ხაჩიძე, ჟურნალისტი – თამუნა სამადაშვილი
საზოგადოება და კულტურა: გოჩა მანველიძე, ნინო წულუკიძე, ნათია უტიაშვილი, სალომე გველესიანი, ეკა პატარაია, ნონა დათეშიძე, მარიკა ხიდურელი, ხატია კარანაძე, დალი მიქელაძე, თამუნა ახობაძე, თამუნა ნიჟარაძე, ეკა სალაღაია, ქეთი დიდებულიძე
რელიგია: ნათია უტიაშვილი, თამუნა ახობაძე, რევაზ ტომარაძე
კრიმინალი და სამართალი: ნიკა ლაშაური, ეკა ბარაბაძე

დაიჯესტი: ლაშა გაბელია, უშანგი რუხაძე, ანა თაყაიშვილი
მედიცინა: ნონა დათეშიძე, მაია ნუცუბიძე
სპორტი: ლაშა გაბელია, უშანგი რუხაძე
სტილისტ-რედაქტორი: თამრიკო ზამთარაძე
სტილისტი: ნანა წერეთელი
მთავარი რედაქტორის თანაშემწე: თამუნა ახობაძე
ოპერატორი: მაია კარანაძე
ფოტოკორესპონდენტები: თებუკა კვეზერელი, ლექსო ხარიტონაშვილი
მხატვრები: ზაალ სულაკაური, ჯემალ ფხალაძე

დირექტორი: გუგა ახობაძე
ოფისმენეჯერი: ინგა კერვალიშვილი
იურისტი: ქეთი უტიაშვილი
მთავარი ეკონომისტი: ნანა ბირჩაძე
კომერციული მენეჯერი: მარინა მჟავანაძე
ვებ-გვერდის მოდერატორი: საბა კარანაძე
საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი სარეკლამო დარგში: სოფი ლორია
სარეკლამო სამსახური: სოფი ლორია, მანანა დოლიაშვილი, მაია ფირცხალავა, ხატია ჟღენტი
მარკეტინგის მენეჯერი: ლევან მენთეშაშვილი

ტელ: 239-25-52; 599 10-15-20 239-23-52
სარეკლამო სამსახური: 593 38-75-61; 239-23-53
დამფუძნებელი: შპს „თბილისელები პლუსი"
იბეჭდება გამომცემლობა „თბილისელებში"
ვებ-გვერდი: www.tbiliselebi.ge
ელექტრონული ფოსტა: tbiliselebi2001@gmail.com; tbiliselebi2001@yahoo.com

# შეწუხებული

## „კანონი ეს მე ვარ!“

იყო დრო, როცა **მის ერთ სიტყვაზე ქალაქებიც შენდებოდა**, თუმცა **დრო შეიცვალა, უფრო ზუსტად, ხელისუფლება**, ამიტომაც ერთ დროს **ქვეყნის ხერხემალი საზრალდებო სკამზე აღმოჩნდა**. როგორც თავად ამბობს, **რაკი მას ასამართლებენ, ეს ნიშნავს, რომ იმ სასამართლო დარბაზში თვით ევროპა სამართლდება** (ევროპა ეს მე ვარო!). თუ გავიხსენებთ, რომ, თავის დროზე, საფრანგეთის მონარქი **ლუი მეთოთხმეტეც ამტკიცებდა, კანონი ეს მე ვარო**, ბ-ნი **მერაბიშვილის შეფასება**, თუ საკითხს ოპტიმისტურად შევხედავთ, **ევროპასთან არათუ დაახლოებად, მაში გათქვეფადაც შეიძლება, მივიჩნიოთ.**



მეორე მხრივ, რაკი **ჩვეულება რჯულზე უმტკიცესია**, გნებავთ, **შეჩვეულს ნუ გადააჩვევ**, სასამართლო პროცესზე ბ-ნმა მერაბიშვილმა მოქმედ პროკურორებს თანაგუნდელი მოწმეების მშვიდად დაკითხვისკენ მოუწოდა, რის გამოც **მოსამართლის შენიშვნა დაიმსახურა, რასაც ფრიად ემოციურად და გულწრფელად გამოეხმაურა: ენა შემაჩვიეთო** (შეუჩვეველს ნუ მიაჩვევ – ).

ასეა თუ ისე, **თუკი აქამომდე**, კერძოდ, **ზეობის პერიოდში, თვალსაც იშვიათად მოვკრავდით** და **მის ნაუბარს – ყურსაც** (მხოლოდ **„საქმენი საგმირონიათი“ გვიწევდა ტკბობა**), ამ **სასამართლო პროცესებმა ეს დანაკლისი ერთგვარად ამოავსო**.

თუმცა, მეორე მხრივ, **გაუგებარიც ბევრი რამ დარჩა**: კერძოდ, ბ-ნი მერაბიშვილი გამოგვიტყდა, რომ **მეგობრებთან ერთად ბევრი რამ გააკეთა, მაგრამ დიდი შეცდომა იყო ის, რომ სასამართლო რეფორმას სათანადო ყურადღება ვერ მიაქციეს.**

შესაბამისად, დაასკვნა (მომყავს ციტატა): **„მე და ჩემი მეგობრები სწორედ ამ შეცდომის მსხვერპლნი ვართ.“** რაკი **არ განუმარტავს, რა იგულისხმა შეცდომაში,** ჩვენ კი ვიცით, რომ **იმხანად ქართული სასამართლო იმ სასამართლოთა რიგს მიეკუთნებოდა, გამამტყუნებელი განაჩენები 99,99 პროცენტს რომ შეადგენდა**, ხოლო **პატიმართა რაოდენობით** (იმ სასამართლოს მიერ დაპატიმრებულის), არცთუ **საპატიო პირველ ადგილსაც ვიკავებდით** და დავამატებთ, რომ ბრალდებული და მისი დამცველები (ანუ სასამართლო რეფორმის მამამთავრები) ქართულ სასამართლოს ან უკვე ზეწოლის ქვეშ მოქცეულად აღიარებენ, რთული სათქმელია, **რაზე წუხს** ბ-ნი **მერაბიშვილი: რომ განაჩენები 100-ვე პროცენტით არ იყო გამამტყუნებელი** და **ციხეში გაცილებით მეტი უნდა მსხდარიყო** თუ პირიქით?!



# შესაპატიჟებლები

## ანუ საშენგენოდ შემზადებულები

**სავარაუდო იყო, რომ უკრაინაში მოვლენები სოჭის ოლიმპიადის დასრულების შემდეგ მიაღწევდა კულმინაციას** (როდესაც **რფ-ს ხელისუფლება მოიცლიდა**), თუმცა **ასე არ მოხდა**. პირიქით, შესაძლოა, **ოლიმპიადაც დასრულდეს და უკრაინის ბედიც საბოლოოდ გადაწყდეს**.

ამის პარალელურად, **რფ-ს კიდევ ორი მიმართულება აქვს მოსაგვარებელი: მოლდოვა და საქართველო.** ერთი ისაა, რომ **მოლდოვის მიმართულებით უკვე გააქტიურდა**, რომლის **კიდევ ერთმა ავტონომიამ, გაგაუზიამ, რეფერენდუმით თავისი გული საბაჟო კავშირს აჩუქა.**




იმის გათვალისწინებით, რომ, ჯერ ერთი, **კიშინიოვი აღნიშნულ რეფერენდუმს უკანონოდ მიიჩნევს;** მეორეც – **დნესტრისპირეთს უკვე აქვს გამოცხადებული დამოუკიდებლობა და კიშინიოვს არ ემორჩილება** (თუმცა ჩვენებურ სეპარატისტებთან ფრიად მჭიდრო კონტაქტები აქვს), **ადვილი წარმოსადგენია, როგორ შეიძლება, განვითარდეს მოვლენები კიშინიოვსა და გაგაუზიას შორის.**

მეორე მხრივ, სავარაუდოდ, თადარიგს ევროკავშირიც იჭერს. კერძოდ, **ევროპარლამენტის სამოქალაქო თავისუფლების, მართლმსაჯულებისა და საშინაო საქმეების კომიტეტმა მოლდოვისათვის შენგენის ზონის ქვეყნებში სავიზო რეჟიმის გაუქმებას დაუჭირა მხარი** (45 ევროპარლამენტარი – მომხრე და მხოლოდ 2 – წინააღმდეგი). წინასწარი ინფორმაციით, **ევროპარლამენტი აღნიშნულ გადაწყვეტილებას 25 თებერვლის პლენარულ სესიაზე მიიღებს**. შესაბამისად, იბადება კითხვა: **ქორწილში** (ამ კონკრეტულ შემთხვევაში, შენგენის ზონაში) **ჩვენ არ შეგვიპატიჟებენ?!**

**გვერდები მოამზადა**
**ნინო ხაჩიძე**

# გაზაფხული – სპეცსამსახურების ქუჩაზე

## ანუ WhatsApp-იც დავკარგეთ

გასულ კვირას, სახელდობრ, **19 თებერვალს, მარკ ცუკერბერგმა სოციალურ ქსელ „ფეისბუქის“ მომხმარებლებს სასიხარულო ამბავი ამცნო** (ყოველ შემთხვევაში, თავად ასე მიაჩნია), **პროგრამა WhatsApp-ს ვყიდულობო**, არც მეტი, არც ნაკლები, **16 მილიარდ აშშ დოლარად:** 4 მილიარდ დოლარს ნაღდს ჩაუთვლის, ხოლო დარჩენილ **12 მილიარდს – „ფეისბუქის“ აქციებით.**



ვიდრე ამ **სიახლის ავკარგიანობაზე ვისაუბრებთ**, აქვე გეტყვით, რომ **WhatsApp-ის საშუალებით შესაძლებელია როგორც ტექსტური შეტყობინებების, ისე აუდიო და ვიდეო მასალის გადაცემა**. პროგრამით სარგებლობის **პირველი წელი უფასოა**, ყოველ **შემდგომ წლებში კი წელიწადში**, სულ რაღაც, **1 აშშ დოლარი ჯდება.**

მაგალითად, **2012 წლის აპრილში WhatsApp-ით 2 მილიარდი მოკლე ტექსტური შეტყობინება გაიგზავნა, აგვისტოში – 10 მილიარდზე მეტი.** მომხმარებელთა ზუსტი რაოდენობა უცნობია, თუმცა, არსებული მონაცემებით, **2013 წლისთვის პროგრამას 400 მილიონი ადამიანი მოიხმარდა.**

სავარაუდოა, რომ სოციალურ ქსელ **„ფეისბუქის“ შესაძლებლობები კიდევ უფრო გაიზრდება**, რაც მის მომხმარებლებს **მეტ კომფორტს მიანიჭებს** და **კომუნიკაციას არა მხოლოდ კიდევ უფრო გაუმარტივებს**, არამედ – **ზედაც, გაუიაფებს,** ოღონდ **არა მხოლოდ „ფეისბუქის“ რიგითი მომხმარებლების „ვოლებზე“** მოვა გაზაფხული.

იმის გათვალისწინებით, რომ **სპეცსამსახურებს აქამომდე ხელი არ მიუწვდებოდათ მხოლოდ „ვაიბერისა“ და „ვოთსაფის“ მომხმარებლების მიმოწერა-საუბრებზე** (განსხვავებით, „სკაიპისა“ და „ფეისბუქის“, ასევე, მობილური ოპერატორების აბონენტებისგან), **რთული სათქმელია, ინფორმაცია სასიხარულოა თუ სამწუხარო,** რადგან, **დიდი ალბათობით, ამიერიდან „ვოთსაფით“ განხორციელებული პირადი საუბრებიც უმტკივნეულოდ ხელმისაწვდომი გახდება.**


**ნდობის ტელეფონი**
**ინფიმი**
0902 200 206
0902 200 244
მობილურებიდან



ზარი ფასიანია

**მართალია, სატელევიზიო დებატებსა თუ პარლამენტის სხდომებზე ყოფილი და მოქმედი პოლიტიკური გუნდების წარმომადგენლები ერთმანეთს სიტყვიერად უპირისპირდებიან, თუმცა, რაკი სამართლიანობის აღმდგენი კომისიის შექმნა უშაბათო კვირისთვის გადაიდო, ისეთი მოსაზრებაც გაჩნდა, რომ კოალიცია „ოცნების“ წევრთა ნაწილი და „ნაციონალური“ ოპოზიცია ერთმანეთთან მეტად ჰარმონიულად თანამშრომლობენ, მათ შორის, პოლიტიკურ სცენაზე როლების განაწილებით. ამჯერად პეტრე მამრაძის მოსაზრებას მოვისმენთ შექმნილი პოლიტიკური რეალობის შესახებ.**

# რატომ აღმოჩნდა საბრალდებო სკამზე სააკაშვილი-მერაბიშვილი-ადეიშვილის მმართველი სამეულიდან მხოლოდ ვანო მერაბიშვილი

**– ძალიან ენერგიულად გამოიყურებიან ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლები, ეს უბრალოდ ჩვევაა თუ მათ გონორს აქვს ობიექტური საფუძველიც?**

– მიზეზები კომპლექსურია, მაგრამ ძირითადი მიზეზი არის ის, რომ ახალმა ხელისუფლებამ გამოიჩინა უნიათობა და შემრიგებლური პოლიტიკა განახორციელა ამ დანაშაულებრივი ჯგუფის მიმართ. ელიტარული კორუფციისა და ადამიანების წამების გარდა სააკაშვილს და მის თანამზრახველებს სამშობლოს ღალატში მიუძღვით ბრალი - 2008 წელს სააკაშვილმა დააგვირგვინა თავისი ავანტიურისტული პოლიტიკა და ლინკოლნ მიტჩელის სიტყვებით რომ ვთქვათ, პუტინს აუსრულა ის, რასაც მისი პირადი აგენტიც კი ვერ გაუკეთებდა. სხვათა შორის, ბევრი სხვა დასავლელი ექსპერტიც ამავე აზრისაა.

**– გასულ კვირას გავრცელდა ინფორმაცია, რომ მიხეილ სააკაშვილი 2008 წლის დამარცხებაში პასუხისმგებლობას აკისრებს ამერიკის იმჟამინდელ ადმინისტრაციასაც.**



**კონდოლიზა რაისი, ფაქტობრივად, უყვიროდა სააკაშვილს, თუ სამხედრო ოპერაციას დაიწყებ, ჩვენ საერთოდ გავალთ აქედან, პირისპირ დარჩები რუსეთთან და ქართველების რამდენიმე თაობა „ნატოს“ ვერ ნახავს, როგორც საკუთარ ყურებს**

– ეს მტკნარი სიცრუეა, ვინაიდან აშშ-ს ადმინისტრაცია მას კატეგორიულად აფრთხილებდა. კონდოლიზა რაისმა დაწერა კიდეც შემდეგ თავის მოგონებებში ის, რაც თბილისში 2008 წლის 9-10 ივლისს მისი ჩამოსვლისას გავიგე. მაშინ რაისმა, ფაქტობრივად, უყვირა სააკაშვილს: თუ სამხედრო ოპერაციას დაიწყებ, ჩვენ საერთოდ გავალთ აქედან, პირისპირ დარჩები რუსეთთან და ქართველების რამდენიმე თაობა „ნატოს“ ვერ ნახავს, როგორც საკუთარ ყურებს. ერთადერთი, რაც რაისმა არ გააკეთა და რაც საქართველოს მართლაც გადაარჩენდა, საჯაროდ არ განაცხადა, რომ იცოდა რასაც აპირებდა სააკაშვილი და ამიტომ კატეგორიულად გააფრთხილა. არც აშშ და არც დასავლეთის სხვა ქვეყნები არასდროს არათუ არ დაუპირისპირდებიან რუსეთს, თერმობირთვულ „დერჟავას“, რომელსაც შეუძლია, ნახევარი საათის განმავლობაში ამოშალოს ნებისმიერი სახელმწიფო დედამიწის რუკიდან, არამედ რუსეთთან პოლიტიკურ კონფრონტაციასაც კი არ დაუშვებენ.

მინდა, დავუბრუნდე ძირითად თემას და ყველამ სწორად გამიგოს: როდესაც არჩევნების შემდეგ მოსულ ხელისუფლებაზე ვლაპარაკობ, არასდროს ვგულისხმობ კრიტიკას ბიძინა ივანიშვილის მიმართ.

**– რატომ?**

– ბიძინა ივანიშვილი არის საქართველოში ყველაზე დიდი ქველმოქმედი. მართალია, საქართველოს ისტორიაში გვყავდა ძმები ზუბალაშვილები, სარაჯიშვილი, სხვა ქველმოქმედები, მაგრამ მათ, ერთად აღებულთ, იმის ნაწილიც არ გაუკეთებიათ, რაც გააკეთა ივანიშვილმა. მეორე – მისი ყველაზე დიდი ქველმოქმედება იყო პოლიტიკაში მოსვლა, რაც ძალიან არ უნდოდა. მან თავი გასწირა, როგორც იტყვიან, თავზე ხელი აიღო, საკუთარი ოჯახი დიდი რისკის ქვეშ დააყენა და ამ რისკის ფასად გადაგვარჩინა სააკაშვილის სადისტურ რეჟიმს, სახელმწიფო კი – სრულ კოლაფსს. მაგრამ სხვა საქმეა ადამიანები, რომლებიც მის გარშემო აღმოჩნდნენ. შედეგად, პარლამენტში შევიდნენ ისინი, რომლებიც მისი ფაქტორის გარეშე ბარიერსაც ვერ გადალახავდნენ; შევიდნენ ადამიანები, რომლებიც კარგად ვიცით, როგორ იყვნენ დაპირისპირებულნი ერთმანეთთან. ამდენად, რა გასაკვირია, რომ საქმის კეთების ნაცვლად, ბევრმა მათგანმა არჩია ძალაუფლებითა თუ ფუფუნებით ტკბობა?! სამწუხაროდ, სისტემაში დარჩა ათობით ადამიანი, რომელიც აწამებდა ხალხს. მეტიც, ისინი დაწინაურდნენ კიდეც. ვახტანგ მაისაია, რომელსაც „ნატოს“ სასარგებლოდ ჯაშუშობა დააბრალეს, ასახელებს ადამიანებს, რომლებიც მას აწამებდნენ, ვინც მას დახვრეტის იმიტაცია მოუწყო. ზოგიერთი მათგანი დღეს მაღალ თანამდებობებზე არის. ერთ-ერთი ლაფანყურის სისხლიან ტრაგედიასაც კი იძიებს. ამიტომ არის საზოგადოებაში საერთო აზრი, რომ „კოალიციის“ ხელისუფლებაში მყოფი ზოგიერთი წევრი „ნაციონალებს“ გაურიგდა და მოპარულ მილიარდებს ტკბილად იყოფენ. ცხადია, მე არ მაქვს ამის დამადასტურებელი საბუთები...

**– თუმცა დაწინაურების საბუთები გვაქვს.**

– მაგრამ ელიტური კორუფცია არასდროს ტოვებს კვალს დოკუმენტზე. მაჩვენოს ვინმემ ლევან მამალაძის მიერ ხელმოწერილი კორუფციული გარიგების დოკუმენტი?!

**– აქ არის კიდევ ერთი პრობლემა: აქამდე ძალოვან უწყებებს არ სჭირდებოდათ პროცედურების დაცვით ადამიანების დაკავება, მაშინაც მუდმივად ვამბობდი, რომ ეს შექმნიდა ბევრ პრობლემას, რადგან სამართალდამცველები ვეღარ დაიჭერდნენ დამნაშავეს დაბალი კვალიფიკაციის გამო. ახლა, როდესაც დაკავებისას კანონით გაწერილი პროცედურების დაცვა აუცილებელი გახდა, აღმოჩნდა, რომ სამართალდამცველებს უჭირთ მუშაობა.**

– რა თქმა უნდა და თავიდანვე იკვეთებოდა ასეთი კითხვები. როდესაც ახალი ხელისუფლება მოვიდა და დღევანდელი პრემიერი შინაგან საქმეთა მინისტრად დაინიშნა, ყველას ხომ ვერ გამოცვლიდა?! ძველი კადრები კი აკეთებდნენ იმას, რასაც იყვნენ მიჩვეულნი ან განზრახ მიდიოდნენ პროვოკაციაზე. გუნავას შემთხვევა ხომ ახალი ხელისუფლების დისკრედიტაცია იყო?! მთელ მსოფლიოში, სადაც არის კანონის უზენაესობა, მანიაკიც კი, თუ პროცედურული დარღვევებით დააპატიმრე, უნდა გამოუშვა და შემდეგ შეიძლება სხვა რამის გამო დააპატიმრო პროცედურების დაცვით. შესაბამისად, ვინ შეიძლება, იყოს დაინტერესებული პროცედურული დარღვევით?! რა თქმა უნდა, მეორე მხარე!

**– მაგრამ ყველაფერს საბოტაჟს ხომ ვერ დავაბრალებთ?**

– მე ეს სფერო კარგად ვიცი. კოალიცია „ოცნება“ შედგება პატარ-პატარა დაჯგუფებებისგან – საქართველოში პოლიტიკური პარტიების მშენებლობა ხომ დაწყებულიც არ არის?! ამდენად, არიან ცალკეული ატამანის გარშემო შეკრებილი ადამიანები, რომლებიც იღწვიან ძალაუფლების მოპოვებისთვის, რომ შემდეგ, ხატოვნად რომ ვთქვათ, ძვირფასი მანქანები შეიძინონ. ეს პატარ-პატარა პოლიტიკური დაჯგუფებები ფიქრობენ თავის და არა ქვეყნის მომავალზე. ზოგ მათგანს უნდა გარიგება დასავლეთის იმ წრეებთან, რომლებიც ტრადიციულად მხარს უჭერენ და იცავენ „ნაციონალურ მოძრაობას“.

**– დღეს უკვე ცალსახად ნათელია, რომ დასავლეთის ცალკეულ წრეებს ძალიან აძლევდა ხელს მიხეილ სააკაშვილის ქმედები: ის უპირობოდ ასრულებდა ყველაფერს, რაც მათ ინტერესებში შედიოდა.**

– ფაქტია, ამით აღიზიანებდა დასავლეთის ოფიციალურ წარმომადგენლობებს. მაგრამ გულს იგებდა იმით, რომ რამდენიც საჭიროა, იმდენ ჯარისკაცს აგზავნიდა ავღანეთში, ლანძღავდა რუსეთის ხელისუფლებას და ა.შ. ცნობილია, რომ ბალტიისპირეთისა და აღმოსავლეთ ევროპის ზოგიერთი ლიდერი ამხნევებდა სააკაშვილს, შენთან ერთად ვართო, რადგან მათთვის ხელსაყრელი იყო მისი ასეთი რიტორიკა. თვითონ დაბალანსებული პოლიტიკა ჰქონდათ და აქვთ რუსეთთან და ურჩევნიათ, რუსეთს პრობლემა ჰქონდეს სხვაგან, რომ თავად კონსტრუქციულები გამოჩნდნენ. სააკაშვილმა იცოდა, რუსეთს თუ გალანძღავდა, გარანტირებული ჰქონდა „ვაშინგტონ-პოსტში“ ან „ნიუ-იორკ თაიმსში“ სტატია. მაგრამ დღეს ვხედავთ იმას, რომ კოალიცია „ოცნებამ“ დღემდე არ მისცა კვალიფიციური ობიექტური შეფასება სააკაშვილის რეჟიმს. მაქსიმალურად გაურბიან ამ საკითხს. ერთადერთი ივანიშვილი ამბობდა ამას, ისიც შედარებით რბილი ფორმით. დამისახელეთ ერთი ფაქტი მაინც, როდესაც თბილისში, საქართველოში გაჩნდა მყარი საზოგადოებრივი აზრი, რომელიც შემდეგ დიდწილად არ გამართლებულიყო. დღეს უკვე მყარი აზრია, რომ „კოალიციიდან“ ბევრი ხელისუფლებაში მოვიდა იმისთვის, რომ თავისი პრობლემები გადაწყვიტოს და ფუფუნებაში იცხოვროს.

**– ეს გასაგებია, მაგრამ ამ პასიურობით ხელს უწყობენ ხელისუფლებაში „ნაციონალური მოძრაობის“ დაბრუნებას?**

– ძველი ხელისუფლების არსი იყო შემდეგი: სააკაშვილი მერაბიშვილთან და ადეიშვილთან ერთად მართავდა ქვეყანას. რამდენიმე ადამიანი პირდაპირ გადიოდა სააკაშვილზე: ახალაიები, კეზერაშვილი, ბოკერია, რომელიც ერთგვარი მრჩევლის ფუნქციას ასრულებდა, ზოგიერთი სხვა. მაგრამ რეალური ძალაუფლებით ვერავინ შეედრებოდა ადეიშვილსა და მერაბიშვილს. ეს ორი ადამიანი იღებდა გადაწყვეტილებებს სააკაშვილთან ერთად და შემდეგ ავალებდა სხვებს მათ აღსრულებას. მე ხომ ვიცი, რა ხდებოდა შიგნით?! დანარჩენებს არც კი ელაპარაკებოდნენ. როდესაც სააკაშვილი ხვდებოდა საპარლამენტო უმრავლესობას ან „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლებს, ეს იყო მონოლოგი, ბევრი მათგანი: გოკები და ჩიორები, ცდილობდნენ, თავად მიმხვდარიყვნენ, რა მოეწონებოდა სააკაშვილს და ისე ელაპარაკათ. მაგალითად, მერაბიშვილი არც კი იკადრებდა, დაერეკა დავით ბაქრაძესთან, პარლამენტის თავმჯდომარესთან ან ნიკა გილაურთან, პრემიერ-მინისტრთან, ვინაიდან იმ სისტემის სიმახინჯე ის იყო, რომ ნომინალურად ქვეყნის მეორე და მესამე

# ალექსიშვილის კლინიკა

## ხერხემლისა და სახსრების დაავადებების მკურნალობა ეფექტური და სწრაფი მეთოდით

**ნერვის ანთება, რადიკულიტი, ოსტეოქონდროზი, დისკოზი (დისკის თიაქარი) სახსრების დაავადებები (ანთება, მარილები), პოდაგრა, სქოლიოზი – აი, იმ დაავადებების არასრული სია, რომლებსაც ექიმი მანანა ალექსიშვილი უსწრაფესი ეფექტით მკურნალობს. მას მკურნალობის საკუთარი, უნიკალური მეთოდი აქვს, რომლითაც მინიმალურ ვადებში იღებს საოცარ შედეგს და უამრავ იმედგადაწურულ ავადმყოფს უბრუნებს სიცოცხლის ხალისს.**

**დინარა შერვაშიძე**, *68 წლის, წყალტუბო.*

**დიაგნოზი**: წელის მალების ოსტეოქონდროზი, იშიალგია – გაგიკვირდებათ, ალბათ, და სამკურნალოდ წყალტუბოდან ჩამოვედი. დიდი ხანია, მაწუხებს ხერხემალი. ყველაფერი მტკიოდა, კისერი, წელი, ყველა კუნთი. ბოლოს საჯდომი ნერვის ანთებაც დაერთო, ცალი ფეხი ჩაითრია. ტკივილმა დამღალა, ბევრი ვიმკურნალე, „ვანებიც“ გავიკეთე, მაგრამ ტკივილებმა უფრო მომიმატა. შვილებმა ამ კლინიკაში ჩამომიყვანეს – სასწაულები ხდებაო. ასეთი სწრაფი შედეგი თუ მექნებოდა, ვერც კი ვიოცნებებდი... პირველივე სეანსი რომ ჩავიტარე, მაშინვე, იქვე ვიგრძენი შვება. იმ ღამეს კარგად მეძინა. ტკივილს არ შევუწუხებივარ. დილით მსუბუქად ავდექი, ჯოხი აღარ დამჭირვებია...

**გოჩა დვალი**, *38 წლის. კერძო ბიზნესი. თბილისი.*

**დიაგნოზი**: წელის მალთაშუა დისკოზი (L5-L1), მწვავე ლუმბო-იშიალგია – ერთი წელია, წელი და ფეხი მტკიოდა. კომპიუტერულმა გამოკვლევამ დისკის 8-მილიმეტრიანი თიაქარი აჩვენა. ნეიროქირურგთან გამგზავნეს. მან მითხრა, რომ მკურნალობა თუ არ მიშველიდა, საოპერაციოდ უნდა მოვმზადებულიყავი. ყველაფერი ვცადე: მედიკამენტები, ფიზიოთერაპია, მანუალური თერაპია, წყალქვეშა დაჭიმვა, შედეგი მცირე – 3-4-დღიანი იყო და მერე ისევ მემატებოდა ტკივილი. ქალბატონ მანანას შესახებ ჩემმა საახლობლომ იცოდა. ნეტავი, თავიდანვე აქ მოვსულიყავი. სიტყვები არ მყოფნის მადლიერების გამოსახატავად. მან მე გარდაუვალ ოპერაციას გადამარჩინა, უკვე ყველა გზა ამოწურული მქონდა. აქ კი შედეგი ძალიან სწრაფი და სრულყოფილი აღმოჩნდა – 3 დღეში არანაირი ტკივილი აღარ მქონდა. უკვე 6 თვეა გასული და კარგად ვარ. ახლა მეგობარს მოვყევი. დარწმუნებული ვარ, ისიც ასეთივე კარგ შედეგს მიიღებს. მადლობა ჩემს მანანა ექიმს ყველაფრისთვის!



**ნელი რუსიშვილი**, *48 წლის, ლექტორი. თბილისი.*

**დიაგნოზი**: მარცხენა გონართროზი, მესამე ხარისხი – 3 წლის წინ ტრავმული დაზიანება მივიღე, ყინულზე წავიქეცი და მუხლი დავარტყი. 5-6 თვის მერე ყრუ ტკივილები ვიგრძენი, მეგონა, თავისით გაივლიდა. პირიქით, გაძლიერდა. მეგობარმა აქ მოსვლა მირჩია. პირველსავე შეხვედრაზე იმედი მომეცა. ჩავიტარე პროცედურა და ექიმის კაბინეტიდან უკეთესად გავედი. მეორე დღეს კოჭლობის გარეშე მოვედი, შესიებულიც აღარ მქონდა სახსარი. მალე ტკივილმა ისე იკლო, რომ სამსახურშიც გავედი. ღმერთმა დაგლოცოთ, მანანა ექიმო, იცოცხლეთ დიდხანს!

***მისამართი: მეტრო „ნაძალადევთან“, ცოტნე დადიანის ქუჩა №87 (ყოფილი რკინიგზის პოლიკლინიკა); კაბინეტი №18; №19. მიღება 12-დან 17 საათამდე, წინასწარი ჩაწერით. ტელეფონები: 599-10-06-36; 599-57-16-99.***

**თამუნა ნიჟარაძე**

---

პირს, ერთად აღებულს, ჰქონდათ გაცილებით ნაკლები რეალური ძალაუფლება, ვიდრე მერაბიშვილის რომელიმე მოადგილეს.

ვინ შეიძლება დაბრუნდეს მათგან ხელისუფლებაში?! ისევ სააკაშვილი, მერაბიშვილი, ადეიშვილი, ბოკერია, უგულავა და სხვები? ეს ნაკლებ ალბათურია, ეს შეიძლება, მოხდეს იმ კატასტროფულ შემთხვევაში, თუ ეკონომიკური კოლაფსი მოხდა, თუ ჩამოიშლება ლარი, თუ მთავრობა ველარ გადაიხდის ხელფასებსა და პენსიებს. ბოლოს და ბოლოს, ჰიპერინფლაციამ შექმნა ჰიტლერი და მოხდა ის, რაც გერმანელ ინტელექტუალებს შეუძლებლად მიაჩნდათ. გასული საუკუნის 20-ანი წლების გერმანელი ინტელექტუალების ციტირებას ვახდენ: გამორიცხულია, ეს გიჟი და მასხარა მოვიდეს ხელისუფლების სათავეშიო, მაგრამ ხალხმა აირჩია ადოლფ ჰიტლერი და მისი ნაცისტები სამჯერ ზედიზედ და ვიცით, რაც მოუვიდა გერმანიას. იმედი გვაქვს, რომ კოლაფსი არ გვემუქრება და ინვესტიციები შემოვა, მაგრამ ისიც ცხადია, რომ ყველა პირობაა შექმნილი, რომ ამ ჯგუფმა იტივტივოს. მით უმეტეს, რომ „ნაციონალები“ დღეს ისედაც არიან ხელისუფლებაში: ერთადერთი საპარლამენტო ოპოზიციური პარტიაა; გარდა ამისა, ინარჩუნებენ პოზიციებს უზენაეს სასამართლოში, კონტროლის პალატასა და ეროვნულ ბანკში და თუ გავითვალისწინებთ, რომ ვინც აწამებდა, მათგან ბევრი დაწინაურდა, კონტაქტები ხომ არც იქ იკარგება?!

ჩვენთან ჯერჯერობით, სამწუხაროდ, არის პლურალისტული ფეოდალიზმი, არც სამოქალაქო საზოგადოებაა, არც პოლიტიკური პარტიები, ნამდვილი პროფკავშირული მოძრაობაც კი არ დაწყებულა, ადამიანები გადართულნი არიან ყოველდღიური სარჩოს მოპოვებაზე. ეს პროცესი ევროპამ წინა საუკუნეებში გაიარა...

**– ხედავთ „ნაციონალების“ ხელისუფლებაში დაბრუნების ალბათობას?**

– დაბრუნების საფრთხეს ვერ ვხედავ, მაგრამ ეს არის ჯგუფი, რომელიც კვლავ ინარჩუნებს თავის ორგანიზაციას და ფინანსებს. სამი კლასიკური კომპონენტია, რომელიც უზრუნველყოფს პოლიტიკური დაჯგუფების წარმატებას: ფინანსები, ორგანიზაცია და ქარიზმატული ლიდერი. ჩვენნაირი საზოგადოებისთვის სააკაშვილს, როგორც დემაგოგს და პოპულისტს, ჰქონდა უზარმაზარი ქარიზმა, მას ჰქონდა უნარი, ისე წარმოეჩინა ყველაფერი, რომ ხალხი აღვსილიყო ოპტიმიზმით. ცნობილია, საზოგადოება შეიძლება, იყოს ძალიან ღატაკი და ოპტიმისტურად განწყობილი და ძალიან მდიდარი და პესიმისტურად განწყობილი. გამოკითხვები აჩვენებს, რომ ჩვენ ლამის ყველაზე ოპტიმისტი ერი ვართ მსოფლიოში.

**– ვინ შეიძლება, იყოს ქარიზმატული ლიდერი „ნაციონალური მოძრაობისთვის“?**

– მათ ახალი ქარიზმატული ლიდერი არ ჰყავთ, სააკაშვილი, მერაბიშვილი, უგულავა და სხვებიც ველარ გამოდგებიან, მაგრამ ახალი ხელისუფლების აქტიური დახმარებით, შეგნებულად თუ შეუგნებლად, კერძო ინტერესების გამო თუ უნიათობით, ფაქტია, ისინი კვლავ ტივტივებენ. მათ დიდი ფინანსები და ორგანიზაცია შეინარჩუნეს. ქოცებთან სიმბიოზის გამო კი მათი რღვევის პროცესი შეჩერდა. ამ პირობებში რებრენდინგის შედეგად შესაძლოა ვიხილოთ განახლებული „ნაციონალური მოძრაობა“ ახალი ფასადით, ახალი ლოზუნგებითა და ახალი სახეებით. ჯერჯერობით ისეთ ფაზაში ვართ, როცა ძალაუფლება აქვს იმას, ვისაც გავლენა აქვს ფინანსურ პოლიციასა და სასამართლოზე. მე ამ ხნის განმავლობაში ოფიციალურად არ გამიგია, ვინმესთვის წაერთმიათ ბიზნესი, რომ ღამით ერთსა და იმავე ნოტარიუსთან ბიზნესმენებს გადაეცათ სახელმწიფოსთვის მთელი თავიანთი ქონება, ციხეებში ძველებური წამება აშკარად არ არის. ეს დიდი მიღწევაა და ამის ავტორი არის ერთი ადამიანი – ბიძინა ივანიშვილი.

**– თქვით, რომ ვანო მერაბიშვილი იყო ადამიანი, რომელიც ფლობდა ყველაზე მეტ ძალაუფლებას, მას ახლახან ერთ ეპიზოდში 5 წელი მიუსაჯეს. ეს არ არის დარტყმა?**

– დარტყმა ნამდვილად არის, მაგრამ მეორე მხრივ „ნაციონალები“ ამასაც გამოიყენებენ. ყველა ევროპელი უფლებადამცველი აცნობიერებს, რომ მერაბიშვილი მართლაც გაიყვანეს საკნიდან უკანონოდ და შემდეგ ხელისუფლების ყველა წევრმა დაიცვა მთავარი პროკურორის ეს დანაშაული, არც გამოიძიეს დღემდე – ეს ფაქტი ყველაფერს ცვლის. პირველ დღესვე რომ მოეხსნათ დამნაშავე და გამოეძიებინათ, უგულავა ველარაფერს ააფრიალებდა. თქვენ ნახავთ, როგორ გამოიყენებენ ამ ფაქტს. უგულავას უკვე ასახელებენ მერობის თავიანთ კანდიდატად, რატომ?

**– იმიტომ რომ შემდეგ თქვან, არჩევნების წინ პოლიტიკური დევნააო.**

– იციან, რა აქვს ჩადენილი უგულავას, რა მასალები დევს პროკურატურაში და ამიტომ ამზადებენ საფუძველს ინტერპრეტაციისთვის: საქართველოში ერთადერთი პროდასავლური ძალის პოლიტიკური დევნაა.

**ნინო ხაჩიძე**

თბილისის ონკოლოგიური ცენტრი

## შპს „თბილისის ონკოლოგიური დისპანსერი“

გთავაზობთ სიმსივნური და სხვა დაავადებების სრულფასოვან დიაგნოსტიკასა და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამის მკურნალობას მედიკამენტოზური, ოპერაციული და ნოვაციური მეთოდის – ინტრაოპერაციული სხივური თერაპიის გამოყენებით. ჩვენი კლინიკის ბაზაზე კიბოს სკრინინგის უფასო პროგრამის ფარგლებში ვახორციელებთ გარკვეული ნოზოლოგიების დიაგნოსტიკასა და ოპერაციულ მკურნალობას.

**ვემსახურებით „არქიმედეს გლობალ ჯორჯიას“ ყოფილ ბენეფიციარებს – სტუდენტებსა და პენსიონერებს.**

**მოგვმართეთ- თბილისი, დიღომი, ლუბლიანას №5, მეოთხე სართული. კლინიკა „თბილისის ონკოლოგიური ცენტრი“ 2 364485, www.cancer.ge**

**ორი კვირის წინათ სოციალურ ქსელში გაჩნდა გია კობაურის მოწოდება, რომელიც ინტერნეტის მომხმარებლებს უკაბელო ინტერნეტის გადამცემი მოწყობილობის, ანუ მოდემის მავნებლობის შესახებ აფრთხილებდა. კერძოდ: „უკაბელო ინტერნეტის გადამცემი მოწყობილობა (მოდემი), რომელიც ბევრ თქვენგანს სახლებში გიყენიათ, არის ოცდამეერთე საუკუნის შავი ჭირი, რომლის შემოტანა და გაყიდვაც, წესით, აკრძალული უნდა იყოს სამთავრობო დონეზე. ეს მოწყობილობა 24 საათის განმავლობაში გამოასხივებს მილიონობით მაღალი ძაბვის ელექტრომაგნიტურ მუხტს, რომელიც გროვდება სახლში არსებულ სხვადასხვა ავეჯზე, ინვენტარზე და, საბოლოოდ, თავს იყრის ადამიანის სხეულზე სისხლში არსებული პლაზმის რკინის უჯრედები იმუხტება ელეტრული დენით, რაც იწვევს სისხლის პლაზმის დაშლას, ზურგისა და თავის ტვინის ფუნქციის მოშლას და გულის შეტევებს.“**

**მეორე მხრივ, აშკარაა, რომ ტექნიკურმა პროგრესმა ოცდამეერთე საუკუნეში არნახულ მასშტაბებს მიაღწია, თუმცა ის, რაც აიოლებს ცხოვრებას და კომფორტს უქმნის ადამიანებს, როგორც წესი, მავნე ზემოქმედებითაც ხასიათდება. ფიზიკა-მათემატიკურ მეცნიერებათა დოქტორი, ამერიკის ფიზიკური საზოგადოების წევრი, მერაბ ჯიბლაძე განგვიმარტავს, რა საფრთხეს შეიცავს თანამედროვე მოწყობილობები ადამიანის ჯანმრთელობისთვის და თუ არსებობს მათგან თავის დაცვის საშუალებები.**

# რა ცვლილებებს იწვევს ორგანიზმში მობილური ტელეფონით გავრცელებული ელექტრომაგნიტური ტალღები და როდის არის საშიში სახლის ვაი-ფაი მოდემი ადამიანის ჯანმრთელობისთვის

**– არათუ ტექნიკა, საუკეთესო წამალიც კი, ერთ დაავადებას რომ კურნავს, უამრავ სხვას აჩენს. ის ტექნიკური საშუალებები, რასაც ყოველდღიურად ვიყენებთ, კომპიუტერი, მობილური ტელეფონი, ინტერნეტი, რა გავლენას ახდენს ჩვენს ჯანმრთელობაზე?**

– ტექნიკური პროგრესი, რაც აუცილებელია ოცდამეერთე საუკუნეში, გარკვეულ გავლენას ახდენს ადამიანის ჯანმრთელობაზე. ავიღოთ მარტივი მაგალითი: რაც უფრო სწრაფად მოძრაობს მანქანა, მით უფრო საშიშია. ურმით რომ გვემოძრავა, უსაფრთხო გადაადგილება გარანტირებული იქნებოდა. ბუნებრივი კანონია: რაც უფრო მაღალია სიჩქარე, მით უფრო კატასტროფულად იზრდება ხიფათი. ასეა ტექნიკური პროგრესიც. სწორედ მეცნიერებმა მისცეს ძალიან დიდი სიკეთე ხალხს, ამიტომაც შეგვიძლია სწრაფად გადაადგილებაც, გვაქვს ტელევიზორი, კომპიუტერი, მობილური ტელეფონი, ინტერნეტმა ხომ საერთოდ მთელი დედამიწა დააკავშირა?! ასეთი კომფორტი იწვევს ინფორმაციის დიდი მასივების გადატანის აუცილებლობას, მაგრამ ინფორმაციის რაოდენობა, რომელიც სინათლის სიჩქარით გადააქვს ელექტრომაგნიტურ ტალღას, დამოკიდებულია ამ ტალღის სიხშირეზე. ამიტომ, რაც დიდია ტალღის სიგრძე, მით მეტი ინფორმაციის გადაცემა შეგვიძლია. მაგალითად, თუ ჩვენ გამოვიყენებთ სატელეფონო კავშირისთვის ლაზერებს, რომლის სიხშირეც ძალიან დიდია, მსოფლიოს მთელმა მოსახლეობამ წყვილ-წყვილად რომ ილაპარაკოს ერთდროულად, ერთმანეთს ხელს არ შეუშლიან. როდესაც საქმე მივიდა მობილურ ტელეფონამდე, რასაკვირველია, დადგა სიხშირის გაზრდის პრობლემა, რაც უარყოფითად მოქმედებს ადამიანის ორგანიზმზე. ის სიხშირე, რომელიც დღეს მობილურ ტელეფონებშია, დაახლოებით, 2 გიგაჰერცია, ანუ 2 მილიარდი ჰერცი და სახიფათოა იმდენად, რამდენადაც ადამიანის ორგანიზმში იმავე სიხშირის ულტრაბგერას აღძრავს.



**ის სიხშირე, რომელიც დღეს მობილურ ტელეფონებშია, დაახლოებით, 2 გიგაჰერცია, ანუ 2 მილიარდი ჰერცი და სახიფათოა იმდენად, რამდენადაც ადამიანის ორგანიზმში იმავე სიხშირის ულტრაბგერას აღძრავს**

**– სად მიდის შემდეგ ის სიხშირე? რად გარდაიქმნება?**

– ჩვენს ორგანიზმშია ეს ულტრაბგერა. მობილურ ტელეფონში ინფორმაცია გადაიცემა ელექტრომაგნიტური ტალღით. ელექტრომაგნიტური ტალღა ნიშნავს, რომ მე მაქვს ელექტრული და მაგნიტური ველები, რომელიც ვრცელდება სინათლის სიჩქარით. ეს ელექტრული ველი მოქმედებს ნებისმიერ ატომზე, მოლეკულაზე.

**– რისგანაც შედგება ჩვენი ორგანიზმიც?**

– დიახ. ამის გამო მოლეკულა იწყებს რხევას და ეს რხევა გაძლევთ ბგერას, მაგრამ ამ ბგერის სიხშირე იგივეა, რაც ელექტრომაგნიტური ტალღის სიხშირე, ანუ ორი მილიარდი ჰერცი, ამის გამო მოლეკულები, დნმ-ისა თუ რნმ-ის, იწყებენ ძალიან დიდ რხევებს და ამან შეიძლება, დაშალოს ის. შესაბამისად, უჯრედი შეიძლება, გარდაიქმნას კიბოს უჯრედად ან როდესაც უჯრედის რხევა დიდია და მისი მოცულობა და ფორმა 5 პროცენტით შეიცვლება, ის უჯრედი შეიძლება, მოკვდეს. ეს ხიფათი არის და ეს ცნობილია მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. როდესაც განვითარდა რადარების სისტემა, სიზუსტისთვის საჭირო იყო მაღალი სიხშირის გამოყენება. დახურულ ორგანიზაციებში იკვლევდნენ, თუ როგორ იმოქმედებდა მომსახურე პერსონალზე ეს მაღალი სიხშირეები. საბჭოთა კავშირის დროს სისტემები, სადაც გამოიყენებოდა მაღალი სიხშირეები, ყოველთვის ყურადღების ცენტრში იყო და ზიანის ასანაზღაურებლად დამლაგებელიც კი იღებდა რძესა და დანამატს ხელფასზე.

**– რძე შველის?**

– რატომლაც ყველას გვაძლევდნენ რძეს უფასოდ... მაშინ დასაშვები სიმძლავრის ნაკადის ზღვრული ნორმა იყო ერთი მიკროვატი სანტიმეტრ კვადრატზე.

**– ახლა რამდენია ჩვენს მობილურ ტელეფონებში ნაკადის სიხშირე?**

– ახლა ევროკავშირმა და საქართველომაც მიიღო 10-ჯერ მეტი დასაშვები სიმძლავრე, ანუ 10 მიკროვატი სანტიმეტრ კვადრატზე: მობილურ ტელეფონებს დასჭირდათ სიმძლავრის გაზრდა. ეს დასაშვებია, მაგრამ სამწუხაროდ, ამ დასაშვებ ნორმას ძალიან ხშირად აჭარბებენ, რადგან მობილური ოპერატორების ხელშია სიმძლავრის გაზრდა. თუ გაზრდიან სიმძლავრეს, მათთვის უკეთესია, რადგან ნაკლები ანტენები დასჭირდებათ. ფაქტობრივად, მილიონებს იღებენ იმით, რომ გაზარდეს სიმძლავრე. ეს მოვლენა საშიშია იმ ქვეყნებისთვის, რომლებშიც ამ სიხშირეების კონტროლის არანაირი მექანიზმი არ არსებობს.

**– ეჭვი მაქვს, ჩვენ სწორედ ასეთ ქვეყნებს მივეკუთვნებით.**

– ჩვენთან, ფაქტობრივად, არანაირი კონტროლი არ არსებობს. მოხდა ისე, რომ შარშან ჩემს სახლთან დაგვიდგეს „მაგთის“ ძალიან მძლავრი სადგური – 200-ვატიანი. ერთი წლის განმავლობაში ვიარე, ვწერე წერილება, რომ ეს არ შეიძლება, რადგან ევროპაში დაშვებულია 20-ვატიანი სადგურები. გარემოს დაცვის სამინისტრომ გამოაგზავნა წარმომადგენელი, რომელმაც გაზომა და დაადგინა, რომ ზოგან სიხშირე ზღვარს ქვემოთაა, ზოგან – ზღვარს ზემოთ. მაგალითად, სახლის აივნებსა და სამზარეულოებშიც კი 15 ვატია, 10-ის ნაცვლად. ეს ერთი გაზომვაც მოწმობს, რომ საქმე ცუდადაა, მაგრამ მთელი დღის განმავლობაში უნდა გაიზომოს, რომ ინახოს მაქსიმალური სიმძალავრე. „მაგთი“ ამბობს: მიჩივლეთო, არადა, სასამართლოსთვის მიმართვას ფული სჭირდება. ასევე, ის აპარატურაც ფული ღირს, რომლითაც უნდა გაიზომოს სიხშირე. ბუნებრივია, ამას მოსახლეობა საკუთარი ძალებით ვერ შეძლებს. თბილისში უნდა ჩატარდეს მონიტორინგი, რომ ვიცოდეთ, სად რა მდგომარეობაა.

**– მობილური ოპერატორების ანტენები დამონტაჟებულია სკოლებთან, ბაღებთანაც.**

– დიახ და მონიტორინგი აუცილებელია. როდესაც ეკოლოგიაზე ვლაპარაკობთ, უპირველესად, უნდა შევამოწმოთ ელექტრომაგნიტური ტალღების სიმძლავრე მთელ ქალაქში. თქვენ შეიძლება, არც იცოდეთ, რომ თქვენ გვერდით არის რაღაც ანტენა, რომელიც ზიანს გაყენებთ. ევროპაში, ამერიკასა თუ ისრაელში, სადაც ხალხი, ამ მხრივ, უფრო განათლებულია, ხშირადაა გამოსვლები, ადამიანები ანტენებს უბრალოდ ამსხვრევენ, თუ საცხოვრებლთან ახლოს დგას და მათ აქვთ საშუალება, გააზომინონ სიხშირე. ჩვენთან ამის საშუალება არ არის. შეიძლება, იმიტომ რომ ძალიან ჩამორჩენილი ქვეყანა ვართ. 90-ანი წლებიდან მოყოლებული ისე ჩავატარეთ განათლების რეფორმა, რომ გავაუქმეთ საშუალო სკოლა და შევქმენით საჯარო სკოლები. სხვათა შორის, საჯარო სკოლა ამერიკაში შექმნილია გონებასუსტი ბავშვებისთვის. გადაშალეთ ჩვენი სკოლის სახელმძღვანელოები: წერია სისულელეები და დაბეჭდილია დიდი, ფერად-ფერადი სურათები. შეიძლება, მეათე კლასის სახელმძღვანელოში გვერდის მეოთხედი ეჭიროს სურათს, რომელზეც გადაღებულია გაზქურა და ქვემოთ აწერია: „ბუნებრივი აირი იწვის“. ვის ეუბნები ამას, მეათეკლასელს?! ჩვენთან განათლების რეფორმა ჩაატარა ამერიკულმა ფირმამ, რომელმაც იგივე პროექტი განახორციელა ტანზანიაში. ჩვენი სასკოლო სახელმძღვანელოები ნათარგმნია სახელმძღვანელოებიდან გონებასუსტი ბავშვებისთვის. ჩვენ უმაღლეს სასწავლებლებში ვიღებთ სტუდენტებს, რომლებსაც ის ცოდნაც არ აქვთ, რაც კომუნისტების დროს მერვეკლასელს ჰქონდა და ამ ფონზე, როგორ გინდა, გამოზარდო ექიმი და ინჟინერი?! მშობლებს ჰგონიათ, თუ მათი შვილი ბაკალავრიატს ამთავრებს, უმაღლესს ამთავრებს. არადა, ჩვენი ბაკალავრიატი, ფაქტობრივად, ტექნიკუმის დონეა. ლექციებს პრინციპულად არ ვკითხულობ, იმიტომ რომ, დღეს სტუდენტებს ლექცია უნდა წავუკითხო სკოლის მოსწავლეების დონეზე და შემდეგ უცოდინარობაში დავუწერო ნიშანი, რასაც ვერ გავაკეთებ. ამიტომ უარი ვთქვი ლექციებსა და კონკურსებზე და გადავერთე სახელმძღვანელოების შექმნაზე.

**– ისევ ჩვენი საუბრის ძირითად თემას დავუბრუნდები: რაც უფრო მეტი ფუნქცია აქვს მობილურ ტელეფონს, უფრო მავნეა?**

– ამას არ აქვს მნიშვნელობა.

**– ბრძანეთ, რომ ელექტრომაგნიტური ტალღის სიხშირე, რითაც მობილურ ტელეფონში ხმა თუ გამოსახულება გადაიცემა, ახდენს გავლენას დნმ-ზე. შეიძლება, შეცვალოს გენეტიკური კოდი?**

– შლის დნმ-ს და როდესაც ის იშლება, თითოეული ნაწილი თვითონ იწყებს დაყოფას და დნმ კვდება. სწორედ ეს არის კიბოს სტრუქტურა. განსაკუთრებთი საშიშია თავის კიბოს განვითარების თვალსაზრისით. მნიშვნელობა აქვს იმ მომენტს, როდესაც თქვენ რეკავთ, ანუ, როდესაც სიგნალი ეძებს მას, ვისაც უკავშირდებით და როდესაც საუბრობთ. თუ ტელეფონი გამორთულია, ან არ იყენებთ მას, დიდ ზემოქმედებას არ ახდენს, იმიტომ რომ, ენერგიას არ ხარჯავს. რჩევა ის იქნება, რომ დიდხანს არ ილაპარაკოთ მობილური ტელეფონით და შეეც-

# ვისი კუთვნილი სახლის რემონტი დაუჯდა აკაკი მინაშვილს 6 000 ლარი და რა შემოსავალს იღებდნენ დეპუტატი და სახელმწიფო სტრუქტურებში დასაქმებული მისი მეუღლე

საქართველოს მეშვიდე და მერვე მოწვევების პარლამენტის წევრი აკაკი მინაშვილი 1980 წელსაა დაბადებული თბილისში. უმაღლესი განათლება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მიიღო, ასევე, ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტში (თუმცა მითითებული არ არის, რა ტიპის განათლება: რამდენიმეთვიანი, ერთწლიანი თუ მრავალწლიანი), სპეციალობით კი სამართალმცოდნეა. მისი შრომითი ბიოგრაფია 2001 წელს იწყება „თავისუფლების ინსტიტუტში“, სადაც 2006 წლის ჩათვლით იმუშავა: თავდაპირველად, 2003 წლამდე, იურისტის თანამდებობაზე, ხოლო მას შემდეგ აღმასრულებელ დირექტორადაც დაინიშნა. 2007 წლის დეკემბერში საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატში გადავიდა, სადაც თავდაცვისა და მართლწესრიგის საკითხთა დეპარტამენტის დირექტორად 2008 წლის მარტამდე იმუშავა. 2008 წლის ივნისიდან საქართველოს მე-7 მოწვევის პარლამენტის წევრი გახდა „ნაციონალური მოძრაობის“ პარტიული სიით და იგივე შედეგი 2012 წელსაც გაიმეორა აწ უკვე მერვე მოწვევის პარლამენტში.

მის მიერ პირველად შევსებული დეკლარაცია 2009 წლით თარიღდება. იმხანად აკაკი მინაშვილი ოჯახის წევრებად მიუთითებდა: მეუღლეს – ქეთევან კობიაშვილს; შვილს – ნინიას; დედას – ნინო კვარაცხელიას, მამას – მალხაზ მინაშვილს და ბებიას – ანა კვარაცხალიას. დეკლარაციის თანახმად, 2009 წელს მინაშვილების ოჯახი არ ფლობდა არანაირ უძრავსა თუ მოძრავ ქონებას, თუმცა შემოსავლების სიმწირეს არ უჩიოდნენ. 2008 წლის განმავლობაში აკაკი მინაშვილმა, როგორც დეპუტატმა, 7 თვეში, 29 008 ლარი აიღო, ხოლო სამ თვეში, როგორც საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატის ანალიზის დეპარტამენტის დირექტორმა, 6 400 ლარი; ქეთევან კობიაშვილმა, როგორც შსს-ს ადმინისტრაციული დეპარტამენტის წამყვანმა სპეციალისტმა, 1 230 ლარი (როგორც ჩანს, მეუღლის გადეპუტატების შემდეგ დასაქმდა), ხოლო ნინო კვარაცხელიამ, როგორც ყრუ და სმენადაქვეითებულ ბავშვთა სკოლა-პანსიონის დირექტორმა, 5 868 ლარი. 2008 წელს აკაკი მინაშვილმა შემოსავალი ორი ავტომანქანის გაყიდვითაც მიიღო: 4 200 და 5 500 აშშ დოლარი.



2010 წლის დეკლარაციაში ოჯახის წევრთა რაოდენობა უცვლელია, მაგრამ ჩამოთვლილია უძრავი ქონება, რომელიც არ ყოფილა წინა წლის დეკლარაციაში. კერძოდ: ანა კვარაცხელიას საკუთრებაა მიწის ნაკვეთი წყნეთში (1 163 კვ. მ.), ნინო კვარაცხელიას საკუთრება გამხდარა საცხოვრებელი ბინა ზანდუკელის ქუჩაზე (120 კვ. მ.) და არასაცხოვრებელი ფართი მუხიანში, სავაჭრო ცენტრ „ჩემპიონი 2004-ში“; მალხაზ მინაშვილი ორი აგარაკის მფლობელია: მუხათწყაროში და ვანის რაიონის სოფელ ტობანიერში. მასვე ჰყავს 2006 წლის ავტომანქანა Hunday Tucson. 2009 წლის განმავლობაში აკაკი მინაშვილმა, როგორც ხალხის რჩეულმა, 56 183 ლარი აიღო; როგორც იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრმა, 7 800 ლარი; ქეთევან კობიაშვილმა, როგორც შსს-ს მთავარმა სპეციალისტმა, 11 971 ლარი, ხოლო ნინო კვარაცხელიამ, როგორც სკოლა-პანსიონის დირეტორმა, 5 040 ლარი. იმ წელს აკაკი მინაშვილს ხარჯიც ჰქონია: ბინის რემონტი 6 000 ლარი დასჯდომია.

2011 წლის დეკლარაციაში კიდევ უფრო გაზრდილია მინაშვილების ოჯახის უძრავი ქონება: ანა კვარაცხელიას საკუთრებაა აგარაკი წყნეთში, როგორც ჩანს, მიწის ნაკვეთზე სახლი აუშენებია; ისევე, როგორც მალხაზ მინაშვილს – მის საკუთრებაში არსებულ ორივე მიწის ნაკვეთზე, მუხათწყაროსა და ტიბანიერში. დოლიძის ქუჩაზე (118 კვ. მ.) ბინა შეუძენია აკაკი მინაშვილის მეუღლეს და 100 000 აშშ დოლარის კრედიტიც აუღია. 2010 წლის განმავლობაში აკაკი მინაშვილმა, როგორც პარლამენტის წევრმა, 67 232, ხოლო, როგორც იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრმა, 8 300 ლარი აიღო. ქეთევან კობიაშვილმა, როგორც თავდაცვის სამინისტროს ადმინისტრაციის უფროსის მოადგილემ, 7 540 ლარი, ხოლო, როგორც შსს-ს ადმინისტრაციის საპროტოკოლო სამმართველოს მთავარმა სპეცილისტმა, 11 898 ლარი. დეპუტატის დედის სადირექტორო წლიური ხელფასი, სულ რაღაც, 5 127 ლარი იყო.

2012 წლის დეკლარაციიდან ვიგებთ, რომ აკაკი მინაშვილი მეუღლესთან და შვილთან ერთად ცალკე ცხოვრობს ქეთევან კობიაშვილის კუთვნილ ბინაში, დოლიძის ქუჩაზე. მათი შემოსავლები გაზრდილა: 2011 წლის განმავლობაში აკაკი მინაშვილმა, როგორც დეპუტატმა, 69 009 ლარი აიღო; როგორც იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრმა, 8 300 ლარი. ქეთევან კობიაშვილმა, როგორც თავდაცვის სამინისტროს ადმინისტრაციის უფროსის მოადგილემ, 54 682 ლარი.

2012 წელს აკაკი მინაშვილმა, როგორც დეპუტატმა, 61 467 ლარი აიღო; როგორც იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრმა, 4 900 ლარი. ქეთევან კობიაშვილს თავდაცვის სამინისტროდან შსს-ში გადაუნაცვლებია: შესაბამისად, როგორც თავდაცვის სამინისტროს ადმინისტრაციის უფროსის მოადგილეს, 27 611 ლარი აუღია, როგორც შსს-ს ადმინისტრაციის უფროსის მოადგილეს, 18 365 ლარი.

**ნინო ხაჩიძე**

---

ადეთ საუბრისას გამოიყენოთ ხმამაღლა მოლაპარაკე, რომ ტელეფონი უშუალოდ არ ეხებოდეს ყურს.

**– დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია მოსაზრებამ, რომ ვაი-ფაის მოდემები, რომლებიც სახლებში გვაქვს, იწვევს დამანგრეველ შედეგებს ადამიანის ორგანიზმისთვის. ეთანხმებით?**

– ვაი-ფაის მოდემი ხომ სადღაც დევს და უშუალო შეხება არ აქვს ჩვენს სხეულთან?! მე არ ვიცი, რა სიმძლავრით მუშაობს ვაი-ფაი, მაგრამ არ უნდა იყოს დიდი სიმძლავრე, იმიტომ რომ მისი მოქმედების არეალი ლოკალურია, 30-50 მეტრი. ამდენად, ის არ უნდა იყოს საშიში, მაშინ, როდესაც მობილურ ტელეფონთან დიდი სიფრთხილე უნდა გამოვიჩინოთ. ჩვენ აუცილებლად უნდა გამოვიკვლიოთ ელექტრომაგნიტური ველი, რომელიც არსებობს ქვეყანაში. ვიმეორებ: ვაი-ფაის ზიანი მობილურ ტელეფონთან შედარებითაა არაფერი, თორემ ადამიანის ორგანიზმს მეტ-ნაკლებ ზიანს ნებისმიერი ულტრაბგერა აყენებს. მე ბევრი ვილაპარაკე მობილურ ტელეფონებზე, იმიტომ რომ, მათი გამოსხივება ვატია. ხოლო ის, რაც ჩვენამდე მოდის, საშიში არ არის, თუ, მაინცდამაინც, თავზე არ დაგიდგეს დიდი გადამცემი. ვიმეორებ: მონიტორინგი უნდა ჩატარდეს არსებულ ელექტრომაგნიტურ ველებზე და დადგინდეს, არის თუ არა მათი სიხშირე 10 მიკროვატ სანტიმეტრ კვადრატზე მეტი და მოსახლეობამ უნდა იცოდეს, რომ მობილური ტელეფონით საუბარი ძალიან ცუდია. 10 წლის წინათ მეგობარმა მაჩვენა იაპონური ჟურნალი, რომელშიც დაბეჭდილი იყო, ჩემი აზრით, დაკვეთილი სტატია მობილური ოპერატორების დაცვის მიზნით და პირიქით გამოუვიდათ. იაპონელებს გაუზომავთ, რომ მობილური ტელეფონით 20-წუთიანი საუბრის შემდეგ, ლოყის არის ტემპერატურა ნახევარი გრადუსით იზრდება. იქვე ეწერა: ნახევარი გრადუსი არაფერი არ არისო, მაგრამ მთავარი ისაა, რამ გამოიწვია ნახევარი გრადუსით ტემპერატურის მომატება. ის გამოიწვია იმ რხევამ, რომელიც ანგრევს ყველაფერს. ესე იგი, უნდოდათ დაეცვათ მობილური ოპერატორები და პირიქით გამოუვიდათ.

**– რა არის ელექტრომაგნიტური ტალღების გამოწვევის წყარო ჩვენს ყოველდღიურობაში?**

– ძალიან ბევრი წყაროა, თუნდაც, მაღალი ვოლტის გადამცემი ხაზები, სხვადასხვა დანადგარები, სატელევიზიო ანძა, საიდუმლო სამსახურების კავშირები... ტექნიკურ პროგრესს ბევრი მიზეზი აქვს საიმისოდ, რომ დანაგვიანდეს ელექტრომაგნიტური ველი.

**– ტელევიზიით გვაფრთხილებენ მაგნიტური ქარიშხლების შესახებ, რომლებიც მზეზე ამოფრქვევას უკავშირდება. მართლაც, ასე დამანგრევლად მოქმედებს მზის ელექტრომაგნიტური ველი ორგანიზმზე?**

– მაგნიტურ ქარიშხლებზე აჟიოტაჟი სრული სისულელეა. მზეზე მომხდარი ყველაზე დიდი მაგნიტური ქარიშხლის დროსაც კი, დედამიწის მაგნიტურ ველამდე ერთი პროცენტიც ვერ აღწევს. მზეზე წამში მილიარდობით აფეთქება ხდება. ვთქვათ, ერთ-ერთი აფეთქებისას მოსწყდა პლაზმა და წამოვიდა ჩვენკენ. ჯერ ერთი, ისეთი ტრაექტორიით უნდა წამოვიდეს იქიდან, რომ ჩვენამდე მოაღწიოს – სწორ ხაზზე ხომ არ მოძრაობს?! მეორე – დედამიწამდე მოსაღწევად სჭირდება, დაახლოებით, 4 დღე. 4 დღის შემდეგ, როდესაც ეს პლაზმა მოვა ჩვენამდე, ჩვენ ვიგრძნობთ, რომ მაგნიტური ველი შეიცვალა მეათედი პროცენტით. მაგრამ ერთი თვით ადრე რა იცი, რომ ამა და ამ რიცხვში მოწყდება პლაზმა მზეს და, მაინცდამაინც, დედამიწისკენ წამოვა?!

**– თუმცა ფაქტია, რომ ადამიანები, რომლებსაც წინასწარ აფრთხილებენ, ამა და ამ რიცხვში მაგნიტური ქარიშხალი იქნება და გულ-სისხლძარღვებს გაუფრთხილდითო, თავს მართლაც ცუდად გრძნობენ იმ დღეებში.**

– იგრძნობენ, თუ წინასწარ ეტყვი, რომ მაგნიტური ქარიშხალი საშიშია და ის დაიჯერებს. არადა, ვიმეორებ, ამის პროგნოზირება შეუძლებელია ერთი წამით ადრეც კი. ამიტომ არ შეიძლება, მოსახლეობას უთხრა, 28 რიცხვში მაგნიტური ქარიშხალი იქნება და შეიძლება, ცუდად გახდეთო, რადგან შეიძლება, მართლაც ცუდად გახდნენ. ეს ფსიქიკაზე ზემოქმედების ერთ-ერთი მეთოდია.

**ნინო ხაჩიძე**


ნდობის ტელეფონი

0 9 0 2 20 0 200

SMS – 93094

დარეკვა შეგიძლიათ ნებისმიერი ქსელიდან



ზარი ფასიანია

**უკვე გადაწყდა, რომ საქართველოში ავტომანქანები ტექდათვალიერებას გაივლიან და ეს სიამოვნება თითოეულ მძღოლს ყოველწლიურად მომავალი წლის მარტიდან მოყოლებული 50-ლარამდე დაუჯდება. ერთი ისაა, რომ მხოლოდ თანხის გადახდის შემდეგ გაარკვევთ, არის თუ არა ვარგისი თქვენი ავტომანქანა. როგორც აგვიხსნეს, ტექდათვალიერების მიზანი ჩვენი ბედნიერება და უსაფრთხოებაა და ჩვენც ვეთანხმებით, რომ უსაფრთხოდ გადაადგილებისთვის გამართული ავტომანქანა აუცილებელი პირობაა. ასევე, გვპირდებიან, რომ შემოწმება „ლაითი“ იქნება, თუმცა იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოში, ძირითადად, მეორადი ავტომანქანები მოძრაობენ (საქართველოში მოძრავი 900 000-მდე ავტოსატრანსპორტო საშუალების მხოლოდ 3-პროცენტია 5-წლამდე ასაკის ავტომანქანები, ნახევარზე მეტი კი – 20 და მეტი წლისაა), რთული სათქმელია, რა ჩაითვლება, ქართული სტანდარტებით, ნორმად. მეორე მხრივ, ჩვენთან მოძრავი ავტომანქანების გაუმართაობის მიზეზი უხარისხო საწვავი და არცთუ კარგად დაგებული გზებია, რაც იმას ნიშნავს, რომ ჩვენებური საწვავითა და გზებით პირველადი ავტომანქანაც კი ძალიან მალე გადაიქცევა მეორადად. რა შედეგს მოიტანს ტექდათვალიერება: რეალურად გააუმჯობესებს ავტოტრანსპორტის ტექნიკურ გამართულობას თუ მანქანების პატრონების ჯიბეებიდან დამატებითი თანხის ამოღებას მოემსახურება? – ამ კითხვებზე პასუხის გაცემას საქართველოს საავტომობილო ფედერაციის პრეზიდენტთან, შალვა ოგბაიძესთან ერთად შევეცდებით.**

# რა კრიტერიუმებით შემოწმდება ავტომანქანები ტექნიკურ გამართულობაზე და როგორ გამოჰყავს მწყობრიდან სავსებით ახალი ავტომანქანის კატალიზატორი ერთ საათში საქართველოს ბაზარზე არსებულ საწვავს

**– რა მდგომარეობაშია ავტომანქანები, რომლებიც მოძრაობენ საქართველოს გზებზე, მეტანკლებად ყველა უფრთხილდება საკუთარ უსაფრთხოებას და გაუმართავი ავტომანქანით არ მოძრაობს თუ ტექდათვალიერება ჰაერივითაა აუცილებელი, რადგან ჩვენებური მძღოლები უპასუხისმგებლობით ეკიდებიან უსაფრთხოების საკითხს?**

– რამდენადმე კორექციას გავუკეთებდი თქვენს შეკითხვას: ავტომობილების ტექნიკური ინსპექტირება, ეგრეთ წოდებული ტექდათვალირება არის ერთი მცირე ნაწილი იმ დიდი სფეროსი, რასაც ქვეყნის ავტომობილიზაცია, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა, საგზაო მოძრაობის უსაფრთხოება, ადამიანების მობილობა, მოძრაობის ორგანიზაცია და ასე შემდეგ ეწოდება. ასე რომ, ერთი ნაწილის ამოგლეჯვით ვერ დავინახავთ სრულ სურათს. დამერწმუნებით, ტექდათვალიერება ვერავითარ შემთხვევაში ვერ გააახალგაზრდავებს ქართულ ავტოპარკს. ტექდათვალიერება შეიძლება შევადაროთ თერმომეტრს, რომლის საშუალებითაც შეიძლება, გაიზომოს სხეულის ტემპერატურა და დადგინდეს, არის თუ არა ჯანმრთელი ადამიანი.

**– მიუხედავად ასაკისა, რადგან ისეც ხდება, რომ ასაკოვანი ადამიანი უფრო ჯანმრთელია, ვიდრე ახალგაზრდა.**

– აბსოლუტურად გეთანხმებით, ამიტომ ტექდათვალიერება თავისთავად ვერ გააახალგაზრდავებს ავტოპარკს, თუმცა, როგორც თქვენ ბრძანეთ, გვინახავს ჯანმრთელი, ფორმაში მყოფი 40 წლის მამაკაცი და უმოძრაობისგან და ცხოვრების არასწორი წესისგან მოდუნებული 20 წლის ახალგაზრდაც. ამიტომ, მაინცდამაინც, ასაკთან არ არის დაკავშირებული ავტომანქანის გამართულობა, მაგრამ საგანგაშოა ის ფაქტი, რომ ჩვენი ავტოპარკის, დაახლოებით 900 000 ავტომანქანა, 90 პროცენტი 10 წელზე მეტი ასაკისაა. თუკი საბჭოთა კავშირის დროს საქართველოს ავტოპარკი ახლდებოდა „გეგმიურად“ საბჭოთა მარკის ავტომანქანებით, დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ საავტომობილო ბაზარი ისე გათავისუფლდა, რომ სახელმწიფოს მხრიდან არ ჩანს არანაირი პოლიტიკა, თუ როგორი ტიპის ავტომანქანების შემოყვანა უნდა იყოს წახალისებული, ამიტომ შედეგებიც აშკარაა: საქართველო, სამწუხაროდ, უკვე გადაიქცა რესურსამოწურული ან რესურსის ამოწურვის ზღვარზე მყოფი ავტომობილების სასაფლაო ქვეყნად. ამას ვერანაირი ტექდათვალიერება ვერ უშველის, თუ ეს პოლიტიკა არ შეიქმნა და მიმაჩნია, ეს უნდა გახდეს ახალი ხელისუფლების ერთ-ერთი გამოწვევა.



ტექდათვალიერება თავისთავად ვერ გააახალგაზრდავებს ავტოპარკს, თუმცა გვინახავს ჯანმრთელი, ფორმაში მყოფი 40 წლის მამაკაცი და უმოძრაობისგან და ცხოვრების არასწორი წესისგან მოდუნებული 20 წლის ახალგაზრდაც

**– არსებობს განბაჟების სქემა, რომელიც ძალიან ძველი ავტომანქანების შემოყვანის პრევენციაა, თუმცა ძალიან ძვირი ჯდება სრულიად ახალი ავტომანქანების განბაჟება. აქცენტი საშუალო ასაკის ავტომობილებზეა.**

– ავტომანქანების განბაჟების მოქმედმა სქემამ თავისი თავი ამოწურა. ჩვენ უნდა შევუწყოთ ხელი მცირე ზომის, კომპაქტური ავტომანქანების შემოყვანას, რომლებიც ცოტა რაოდენობის საწვავს მოიხმარენ და არა დიდი ავტომანქანების, რომლებიც 100 კილომეტრზე 25 ლიტრ საწვავს წვავენ. ეს ორი ტიპის მანქანა ერთნაირად არ უნდა დაიბეგროს: ვინც მეტად აბინძურებს გარემოს, მან მეტიც უნდა გადაიხადოს. გარდა ამისა, წახალისებული უნდა იქნეს ჰიბრიდული ავტომობილების შემოყვანა, რომლებიც მუშაობენ როგორც ელექტროენერგიაზე, ისე ბენზინზე. ალარაფერს ვამბობ ელექტრომობილებზე, რომლებსაც 15-20 წელიწადში ალტერნატივა არ ექნება. ცხადია, ასეთი და ბენზინზე მომუშავე ავტომანქანები ერთნაირად ვერ დაიბეგრება, ამიტომ დღესვე უნდა მივხედოთ ამ საქმეს და, თუ ეს პოლიტიკა ვარ შემუშავდა, ვერანაირი ტექდათვალიერება ჩვენს ავტოპარკს ვერ უშველის.

**– არასამთავრობო ორგანიზაციები უჩივიან საწვავის ხარისხს საქართველოში და ფაქტია, რომ ეს არ არის ევროსტანდარტების საწვავი, ცნობილია, „სოკარი“ „ევრო-2-ს“ სტანდარტის საწვავს აწარმოებს და სავსებით ბუნებრივია, რომ არც დანარჩენები შემოიტანენ ქვეყანაში ამაზე მაღალი ხარისხის საწვავს იმავე ფასად. გამართავ ავტომანქანას, მაგრამ ჩაასხამ ბენზინს და ის ისევ დაზიანდება.**

– ამიტომ ამ ყველაფერს აუცილებლად წინ უნდა უსწრებდეს სახელმწიფოს მხრიდან საწვავის ხარისხის კონტროლის განახლება. მე ძალიან კარგად ვიცი საკანონმდებლო მოთხოვნები საწვავში მძიმე მეტალებისა და გოგირდის შემცველობის შესახებ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ჩვენ არ ვიცით, როგორ საწვავს მოვიხმართ. ჩვენი ცოდნა ამ საკითხში გამოიხატება მხოლოდ სუბეიქტური შეგრძნებით, იმისდა მიხედვით, როგორ დადის ჩვენი ავტომობილი. სხვა მხრივ, თავიდან ბოლომდე დამოკიდებულნი ვართ ნავთობიმპორტიორების კეთილსინდისიერებაზე, იმიტომ რომ მათ არავინ აკონტროლებს. მით უმეტეს, როდესაც 100 პროცენტით კარგი ხარისხის საწვავიც კი, როდესაც ქსელში გადის, ვერავინ დადებს თავს, რა მოხდება ადგილებზე. თანაც, დაბალი ხარისხის საწვავის მაღალი ხარისხის საწვავად გასაღების არა ერთი შემთხვევა ყოფილა დაფიქსირებული. ამიტომ სახელმწიფოს მხრიდან საწვავის კონტროლისა და არასამთავრობო ორგანიზაციების გააქტიურება აუცილებელია. ეს წინ უნდა უსწრებდეს ტექდათვალიერებას, იმიტომ რომ საკმარისია, ტყვიის შემცველ საწვავზე, თუნდაც, ერთ საათს იმუშაოს სრულიად ახალმა ავტომანქანამ, რომ ავტომანქანის ერთ-ერთი ყველაზე ძვირფასი – სამკომპონენტიანი კატალიტური კომპონენტი – მაშინვე გამოვა მწყობრიდან.

**– ჯერჯერობით არაფერს ამბობენ საწვავის ხარისხის კონტროლსა და გაუმჯობესებაზე, გამოდის, რომ მანამდე ტექდათვალიერების აღდგენა კატალიზატორების ბიზნესის ხელშესაწყობი ღონისძიება იქნება?**

– მე ვამბობ იმას, როგორ წარმომიდგენია, თორემ გადაწყვეტილების მიმღებმა უნდა გადაწყვიტოს, როგორ უნდა იყოს. ჩემი ხედვა ასეთია: საწვავის ხარისხის კონტროლის განახლება წინ უნდა უსწრებდეს ტექდათვალიერების პროცედურების ამოქმედებას. ამაზე ორი აზრი

(გაგრძელება მე-13 გვერდზე)

## ქეთი ასლანიშვილის გახსენება



27 თებერვალს, ქეთი, შენი დაბადების დღეა. გილოცავთ დაბადების დღეს და სიმბოლურია, ალბათ, რომ სწორედ „თბილისელების“ ფურცლებიდან მოგმართავთ, რომლის კითხვაც ასე ძალიან გიყვარდა.

ჩვენთვის ეს დღე სიმწრისა და ცრემლის დღედ იქცა. სიკვდილმა წაგვართვა შენი თავი.

27 თებერვალს შენ 54 წლის გახდებოდი, მაგრამ 18 თებერვალს შენი გარდაცვალებიდან მე-40 დღე გადავიხადეთ, რაც უსაზღვრო ტკივილია ჩვენთვის.

ქეთი, შენი სახელი უკვდავია, შენ ისევ ჩვენ გვერდით, ჩვენთან ხარ. ყველას ძალიან, ძალიან გვიყვარხარ. შენი დაკარგვით გამოწვეული ტკივილი და ღრმა ჭრილობა მოუშუშებელია.

მსუბუქი იყოს შენთვის ის მიწა, სადაც მარადიული სასუფეველი დაიდე.

უფალს ვთხოვთ, ნათელში გამყოფოს.

**არსენა, ქეთინო, ბექა და ნუცა**




# 2 250 ლარი

# საქართველოს უნივერსიტეტი

## ყველაზე დიდი კერძო უნივერსიტეტი საქართველოში, სადაც სწავლის საფასური სახელმწიფო უნივერსიტეტებში არსებული სწავლის გადასახადის ტოლია

### სპეციალური პირობები

* **ყველაზე წარმატებული სტუდენტების მონაწილეობას გაცვლით პროგრამებში უცხოეთის უნივერსიტეტებთან აფინანსებს უნივერსიტეტი.**
* **პირველ კურსზე სტუდენტები სწავლის საფასურს დაფარავენ ორ ნაწილად (სემესტრულად) – სექტემბერში და იანვარში.**

საქართველოს უნივერსიტეტი ამზადებს თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ცოდნითა და პრაქტიკული უნარებით აღჭურვილ პროფესიონალებს. უნივერსიტეტს აქვს სიმულაციური საავადმყოფო, იმიტირებული სასამართლო დარბაზი და საფონდო ბირჟა. უახლესი ტექნოლოგიით აღჭურვილი ფიზიკის, კომპიუტერების, სტომატოლოგიის, მიკრობიოლოგიის, ანატომიის, ენებისა და CISCO-ს ლაბორატორიები, ტელემედია ცენტრი, მდიდარი სასწავლო და სამეცნიერო ლიტერატურით აღჭურვილი ბიბლიოთეკა, კეთილმოწყობილი კაფეტერია, ღია და დახურული სპორტული მოედნები და სატრენაჟორო დარბაზი.

### საქართველოს უნივერსიტეტში თქვენ გელით:

* სწავლების უმაღლესი ხარისხი დაბალ ფასად – 2 250 ლარი.
* სწავლების განმავლობაში უცვლელი გადასახადი.
* ძირითადი და დამატებითი სპეციალობების კომბინირების დიდი არჩევანი.
* გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამების ფართო სპექტრი.
* სასწავლო პროცესი მცირე სამუშაო ჯგუფებში საუკეთესო ქართველ და უცხოელ პროფესორებთან, შეხვედრები დარგის ექსპერტებთან.
* თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი აუდიტორიები, ლაბორატორიები, ჯგუფური მუშაობის სპეციალიზირებული ოთახები.
* სასწავლო პროცესის ადმინისტრირების ელექტრონული სისტემა.
* მრავალფეროვანი სტუდენტური ცხოვრება.
* საერთაშორისო სასერტიფიკატო პროგრამები: CISCO – CCNA, CCNP, Microsoft, Oracle Academy.
* სწავლის დასრულების შემდეგ – დასაქმება და წარმატებული პროფესიული კარიერა.









სტომატოლოგიური ლაბორატორია



სტუდენტური ცხოვრება: სათხილამურო კლუბი გუდაურში; დაშვება არაგვის ხეობიდან

სტუდენტები ძალეებზე მუშაობას CISCO-ს ლაბორატორიაში სწავლობენ



საქართველოს უნივერსიტეტში თავდაპირველად სტუდენტები მულიაჟებზე გადიან პრაქტიკებს, მაღალკურსებზე კი – კლინიკებში











მიკრობიოლოგიის ლაბორატორიაში ბაქტერიული კულტურების კვლევის დროს

**„მამა გიორგი და მამა იოანე ორი ცეცხლოვანი სვეტი იყო ღვთის წინაშე მდგომი საქართველოსთვის და ადამიანის სულის ცხონებისთვის. მამა გიორგი შეუწყვეტელი ლოცვის ძალას ფლობდა, მე თვითონ ჩავაწვინე სამარეში და გულზე სახარება და ჯვარი დავადე. ის უხრწნელი წევს საფლავში – მე ეს კი არ მწამს, არამედ, ვხედავ ამას. გახსენით მისი საფლავი. რა უნდა უხრწნელ მამას მიწაში!" – მამა გაბრიელი (ურგებაძე).**

# როგორ კურნავდნენ ბეთანიელი მამები სნეულებს და როგორ აზიარა სიკვდილის წინ მამა გიორგი (მხეიძე) წმიდა მამა გაბრიელმა

20 თებერვალს მამა გაბრიელის კიდევ ერთი წინასწარმეტყველება ახდა. როგორც ცნობილია, ამ დღეს გაიხსნა ორი დიდი წმიდანის, ბეთანიელი მამების, წმიდა გიორგი (სქემაში იოანე მხეიძე) და წმიდა იოანეს (ვასილ მაისურაძე) საფლავები. თვითმხილველთა თქმით, მამა გაბრიელის სულიერი მოძღვრის, მამა გიორგი-იოანეს სხეული უხრწნელი, ხოლო მამა იოანეს სხეული წმიდა ნაწილების სახით იყო. 22 თებერვალს კი მამა გაბრიელის საფლავი გაიხსნება მცხეთაში ***(სტატია მომზადებულია 21 თებერვალს, – ავტორი).*** ხალხში წლების განმავლობაში გავრცელებული იყო მამა გაბრიელის სურვილი, რომ, უწინარეს მისი საფლავის გახსნისა, უნდა გახსნილიყო ბეთანიელი მამების საფლავები, რაც, ასევე, ასრულდა და მორწმუნე ერი უფლის მიერ გამოვლენილი ამ დიდი ნუგეშის თვითმხილველი გახდა.

საბჭოთა პერიოდში, როდესაც ძალიან ბევრი მონასტერი დაიხურა, ბეთანიის მონასტერი იყო ადგილი, სადაც მონასტრული ცხოვრება დიდი ხნის განმავლობაში გრძელდებოდა, მანამ, სანამ 1962 წელს ბოლო მამა, მამა გიორგი (მხეიძე) არ გარდაიცვალა. მამა გიორგისა და მამა იოანეს ცხოვრება ბეთანიის მონასტერში ერთმანეთზე იყო გადაჯაჭვული. მამა იოანე (ვასილ მაისურაძე) დაიბადა 1884 წელს, სოფელ ერედვში. პირველად ბეთანიის მონასტერში 12 წლის ასაკში მივიდა და მონასტრის აღდგენაში ეხმარებოდა მღვდელმონაზონ სპირიდონს (კეთილაძე), შემდეგ კი ათონის მთაზე გაემგზავრა, სადაც იოანე ღვთისმეტყველის სავანეში 17 წლის განმავლობაში მოღვაწეობდა. მაგრამ, იძულებული გახდა, ათონის მთა დაეტოვებინა და საქართველოში დაბრუნებულიყო, სადაც, ასევე, ძალიან მძიმე სიტუაციაში მოუწია მოღვაწეობა. არმაზის მონასტერში 1921 წლისთვის ორი ბერი იყო დარჩენილიყო – მამა იოანე და ერთი ბერი. ერთ დღეს მონასტერში ორი შეიარაღებული ჩეკისტი მივიდა, რომლებმაც ბერებს უბრძანეს, თან გაჰყოლოდნენ. გზაში, მოულოდნელად, ორივე ბერს ესროლეს და, რაკი დახოცილები ეგონათ, ხევში გადაყარეს. მეორე ძმა მალე მოვიდა გონს და გაჭირვებით მილასლასდა მცხეთამდე. დაუწყეს ძებნა მამა იოანეს და ისიც ცოცხალი იპოვეს. გულ-მკერდის არეში დაჭრილ მამა იოანეს დიდხანს უვლიდნენ სამთავროს მონასტრის დედები. გამოჯანმრთელების შემდეგ წმიდა ბერი ბეთანიაში წავიდა. 1924 წელს კი ბეთანიის მონასტერში მამა გიორგი (მხეიძე) მივიდა. მამა გიორგი დაიბადა რაჭაში, სოფელ კრიხში, 1887 წელს. თავიდან საერო მოღვაწეობას ეწეოდა, პეტერბურგში სწავლობდა. ერთ-ერთი ცნობის თანახმად, ის ცოტა ხანს ილია ჭავჭავაძის პირად მდივნად მუშაობდა. მაგრამ, მოგვიანებით მის ცხოვრებაში დიდი გარდატეხა მოხდა და, გადაწყვიტა, უფლის სამსახურში ჩამდგარიყო. ბერად აღკვეცილი მამა გიორგი თავიდან ხირსის მონასტერში მოღვაწეობდა, ბერად მიტროპოლიტ ნაზარს აღუკვეცია. ხირსის მონასტრიდან კომუნისტებმა 1924 წელს ყველა გამოყარეს. მათ მამა გიორგის სანახევროდ გაკრიჭეს წვერი, რის გამოც, სანამ წვერი არ წამოეზარდა, სახეახვეული დადიოდა. მეორედ ასეთი შეურაცხყოფა მას ღვიძლი ძმებისაგან შეხვდა: მათ ძმას ღამით, მძინარეს მოკრიჭეს წვერ-ულვაში. გამოღვიძებულმა, ძმებს მხოლოდ ეს უთხრა – ღმერთი გაგებინებთ პასუხსო. მისმა ერთმა ძმამ თავი მოიკლა, მეორე კი მეუღლესთან ერთად დახვრიტეს. მამა იოანესა და მამა გიორგის ერთმანეთის მიმართ განსაკუთრებული სიყვარული გააჩნდათ. რადგან მამა გიორგი ფიზიკურად სუსტი იყო და ხშირად ავადმყოფობდა, ამიტომ, მამა იოანე არიდებდა მძიმე სამუშაოს და თვითონ



ასრულებდა. მამა გიორგისაც განსაკუთრებულად უყვარდა თავისი სულიერი ძმა. როცა მამა იოანე საავადმყოფოში დაწვა ოპერაციის გასაკეთებლად, შეწუხებული მამა გიორგი წერილებს სწერდა საავადმყოფოში მთავარ ექიმს, მხურვალედ ევედრებოდა, ყველაფერი ელონათ, რომ მამა იოანე კარგად გამხდარიყო. მამა იოანე კი, თავის მხრივ, იმას წუხდა, როგორ იყო მონასტერში მარტოდ დარჩენილი მამა გიორგი. როდესაც მამა იოანე გარდაიცვალა, აღდგომის დღესასწაულზე ბეთანიაში ასულ მორწმუნეებს, რომლებმაც მამა იოანეს საფლავთან სააღდგომო ტროპარი იგალობეს, მამა გიორგიმ ჰკითხა: „უგალობეთ მამა იოანეს? არ გაგცათ ხმა? აი, მე კი შემეხმიანა. ვახარე: მამაო იოანე, ქრისტე აღსდგა! მან მიპასუხა: ჭეშმარიტად აღსდგა".

მამა გიორგის წინასწარმეტყველებანი ზედმიწევნით სრულდებოდა. ერთხელ მონასტერში უცნობი ახალგაზრდა კაცი მივიდა. უცებ მამა გიორგიმ სახელით მიმართა, თუმცა, არ იცნობდა. გაოცებულ სტუმარს მამა გიორგიმ უპასუხა: როცა შენ გნათლავდნენ ამა და ამ ეკლესიაში, მეც იქ ვიყავიო. ეს ამბავი კი 30 წლის წინ მომხდარა, როცა ის კაცი ორი თვის ყრმა იყო. ბეთანიელი მამები სნეულებისგანაც კურნავდნენ მონასტერში რწმენით მოსულ ადამიანებს. ერთი კაცი სიყრუისგან განკურნეს: ტაძარში შეიყვანეს და მხურვალედ ევედრებოდნენ უფალს მისთვის. მამა გიორგის ძმისშვილი ტვინის ანთებით იყო ავად და ექიმებს მისი გამოჯანმრთელების იმედი დაკარგული ჰქონდათ, მაგრამ, წმიდა მამებმა ის ერთი თვით მონასტერში დაიტოვეს და ოჯახს გამოჯანმრთელებული დაუბრუნეს. ერთხელ მონასტერში 20 წლის ქალიშვილი მივიდა, რომელსაც საშინელი თავის ტკივილები აწუხებდა. ვილაცას ერჩია, ბეთანიის მონასტერში წადი, იქაური წყაროს წყალი განგკურნავსო. ერთი კვირის განმავლობაში დარჩა მონასტერში და სრულად განიკურნა სნეულებისგან, თუმცა, მამები ამ სასწაულებს ყოველთვის ყოვლადწმიდა ღვთისმშობელს მიაწერდნენ – ბეთანიის მონასტერიც ხომ დედა ღვთისმშობლის შობის სახელობისაა, ამიტომაც დაწესდა ამ ორი წმიდა მამის ხსენების დღედ 21 სექტემბერი. ორივე მამას გამოცხადებებიც ჰქონდა. ერთხელ, როდესაც მამა გიორგი ტაძართან იჯდა, წმიდა მოწამე თეკლა გამოეცხადა და ყურძნის მტევანი გაუწოდა, ანუ, ზეციური საჩუქარი მისცა. ერთხელ მამა გიორგის მკერდის არეში აუტანელი ტკივილები ჰქონდა, არაფერმა არ უშველა. უეცრად ღვთისმშობელი გამოეცხადა და განკურნა აუტანელი ტკივილისგან, რაც მან შემდეგ მამა გაბრიელს (ურგებაძე) აუწყა. შემდეგ, როდესაც მძიმედ იყო ავად, თბილისში გამოეცხადა ანგელოზი, რომელმაც უთხრა: „შენ უნდა დაბრუნდე მონასტერში." მართლაც, დაბრუნდა და იქ აღესრულა. მამა გაბრიელი მონასტერში ხშირად უვლიდა მამა გიორგის, მაგრამ, იმ მომენტში სვეტიცხოველში წირვის ჩასატარებლად იყო წასული. ამ დროს მას ხმა ჩაესმა: „სასწრაფოდ წადი ბეთანიაში." მამა გაბრიელი მაშინვე წავიდა. მამა გიორგის ძალიან გაუხარდა მისი ნახვა: ღვთისმშობელმა უზიარებელი არ გამიშვა ამქვეყნიდანო და მამა გაბრიელს წირვის დაყენება, ზიარება სთხოვა. ეზიარა, შემდეგ კი მამა გაბრიელს სთხოვა, სულის გასვლის ლოცვა წამიკითხეო: „ამისთვის გიხმე შვილო, შენ უნდა ჩაიბარო ჩემი უკანასკნელი ამოსუნთქვა და ბოლო კურთხევა". მამა გაბრიელს თავიდან გასჭირვებია ლოცვის კითხვა – ცრემლები მახრჩობდაო. მამა გიორგის გამოურთმევია და თვითონ დაუწყია კითხვა – მაგრამ, მამა გაბრიელს მორიდებია და ლოცვა გაუგრძელებია. ასე აღესრულა მამა გიორგი. მამა გაბრიელი სთხოვდა: მეც წამიყვანე, ნუ დამტოვებ ამ მშფოთვარე წუთისოფელშიო, მამა გიორგიმ კი მას უწინასწარმეტყველა: შენ უნდა დარჩე, გაიარო რთული გზა, ბევრი განსაცდელი გექნება, შენც არ გაგაჩერებენ მონასტერში, მაგრამ, ნუ გეშინია, მე შენ გვერდით ვიქნები, უფალი არ მიგატოვებსო. მამა გაბრიელი დიდი სიყვარულით იხსენიებდა ორივე წმიდა მამას, მათი ღვაწლის შესახებ ყველას უყვებოდა. ბავშვობიდან გამორჩეულმა მამა გაბრიელიმა თავისი სიცოცხლის განმავლობაში 15 წელი იმათხოვრა, 25 წელი კი სასაფლაოზე იცხოვრა, გამოსცადა ციხეში და საგიჟეთში ყოფნა... მამა გაბრიელი 1995 წლის 2 ნოემბერს გარდაიცვლა. ის პირველია, რომელის დასაფლავებაც ერთგვარ ქადაგებად იქცა. მისი ბევრი წინასწარმეტყველება დღემდე სრულდება, ხოლო გადაცვალებამდე სინჯარაში აღებული მისი სისხლი უხრწნელია და, მისით, ისევე, როგორც მის საფლავთან დანთებული კანდელის ზეთით, ბევრი ადამიანი იკურნება.

**ნათია უტიაშვილი**

გამოიწერეთ ჟურნალი „თბილისელები"
*შინიდან გაუსვლელად ყოველ ორშაბათს*
*ფოსტალიონი მოგართმევთ სახლში*
„მაცნე" – 214-39-06;
„პლანეტა" – 251-75-21;
„ელვასერვისი" – 238-80-02;
„ინფოსერვისი" – 234-11-40, 234-09-35;
„ჯეომედია" – 295-51-70;
ქ. ბათუმი, „სალუქვაძე და კომპანია" – 294-32-32

# რა უპირატესობა აქვს ჰეპატიტის დროს ოზონოთერაპიით მკურნალობას

*დღეს ჰეპატიტის თემა ძალიან აქტუალურია მთელ მსოფლიოში. უამრავ ადამიანს სჭირდება მკურნალობა და შესაბამისად, ყველას ძალიან აინტერესებს ინფორმაცია მკურნალობის კურსთან დაკავშირებით. შეიძლება, ბევრისთვის არც იყოს ცნობილი იმის შესახებ, რომ ნებისმიერი ტიპის ჰეპატიტის მკურნალობისას, ძალიან ეფექტურია ოზონოთერაპია. სწორედ ამ თემასთან დაკავშირებით ჩვენი სტუმარია „აინო" – ოზონოთერაპიის პირველი ქართული კლინიკის დამფუძნებელი, ექიმი* **ადა მჭედლიძე.**



**ადა მჭედლიძე**: ოზონოთერაპიის გამოყენების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია ჰეპატიტების მკურნალობა. თერაპიის ეფექტურობა განპირობებულია როგორც მისი იმუნომოდულატორული ეფექტით, ასევე ოზონის უშუალო ზემოქმედებით ვირუსზე. ოზონოთერაპია საუკეთესო საშუალებაა ნებისმიერი ტიპის A, B, C, D ჰეპატიტების მკურნალობისას, განსაკუთრებით, თუ დაავადება ქრონიკულია. ოზონი აზიანებს ვირუსის გარსს და ახდენს ვირუსის გამრავლების ბლოკირებას. კაფსულირებული ვირუსი უფრო მგრძნობიარეა ოზონის მიმართ, რადგან კაფსულა დიდი რაოდენობით ცხიმებს შეიცავს. ოზონი წვავს ცხიმს, შესაბამისად, არღვევს ვირუსის მემბრანას. ოზონი აძლიერებს როგორც უჯრედულ, ასევე ჰუმორულ იმუნიტეტს. ოზონის ზემოქმედებით აქტიურდება ორგანიზმის მიერ საკუთარი ინტერფერონის სინთეზი, რომელიც ვირუსისგან ორგანიზმის დაცვის უმნიშვნელოვანესი ფაქტორია. ეს ყოველივე ახდენს ანთებითი პროცესის ლიკვიდაციას.

ოზონი ამცირებს თრომბოციტების აგრეგაციას. ოზონი აძლიერებს ერითროციტების კედლის დრეკადობას, რითაც ააქტიურებს მათ მიერ ქსოვილებამდე ჟანგბადის მიტანას. შესაბამისად, ძლიერდება ქსოვილების ოქსიგენაცია და აღდგება სისხლის მიმოქცევა დაზიანებულ ორგანოებში.

ღვიძლის ქრონიკულ დიფუზურ დაავადებებს შორის სულ უფრო და უფრო ხშირად გვხვდება ტოქსიკური (ალკოჰოლური, მედიკამენტური) ჰეპატიტები. ასეთი ტიპის ჰეპატიტების გამოყენებისას ოზონი ააქტიურებს ორგანიზმის ანტიოქსიდანტური დაცვის მექანიზმებს.

**– რით განსხვავდება ოზონოთერაპია, მედიკამენტური მკურნალობისგან?**

– ანალოგიური შეკითხვით ძალიან ბევრი გვიკავშირდება კლინიკაში ნომრებზე: 225 31 39; 571 25 55 33, ან მოდიან ჩვენთან დაწვრილებითი ინფორმაციის მისაღებად, მისამართზე, მცხეთის ქუჩა 8/90. პასუხი ამ კითხვაზე კი ასეთია, მედიკამენტური მკურნალობისაგან განსხვავებით, ოზონოთერაპიას არ ახასიათებს გვერდითი მოვლენები. პირველივე პროცედურებიდან პაციენტებს აღენიშნებათ სუბიექტური შეგრძნებების გაუმჯობესება. მაგალითად, მადისა და ძილის რეჟიმის მოწესრიგება. მცირდება კანის ქავილი, სიმძიმის შეგრძნება ღვიძლის არეში. აღინიშნება სისხლის ბიოქიმიური მაჩვენებლების დადებითი დინამიკა. მცირდება ჰიპერბილირუბინემია, ALT, AST და ტუტე ფოსფატაზა. შემთხვევათა 60 პროცენტში აღინიშნება ვირუსმატარებლობის აღმოფხვრა.

**მარიკა ხიდურელი**

(მე-10 გვერდიდან)

არ არსებობს.

**– მთავრობის წარმომადგენლები ამშვიდებენ მძღოლებს, რომ ეს არ იქნება მკაცრი შემოწმება. შესაძლებელია, მსუბუქად შემოწმდეს ავტომანქანის გამართულობა?**

– ჩემი დაკვირვებით, ადამიანს აშინებს არა ექიმთან მისვლა, არამედ დიაგნოზი, რასაც ეტყვის ექიმი და ამიტომ ხშირად პრევენციის მიზნით ექიმთან მისვლის ხალისი ეკარგებათ. ტექდათვალიერება გეუბნება, რომ ავტომანქანას აქვს ესა და ეს პრობლემა. არსებობს ჩამონათვალი, რაზეც მოწმდება ავტომანქანა. მე არ ვიცი, რას ნიშნავს მსუბუქად შემომწება: რომ მუხრუჭი ან იჭერს, ან არ იჭერს. ეს, ალბათ მას უნდა ჰკითხოთ, ვინც ეს თქვა. მე, როგორც სპეციალისტი, როგორც ავტოინჟინერი, გეტყვით, რომ ტექდათვალიერების დროს მანქანის მუხრუჭი უნდა იჭერდეს.

**– თუ ტექდათვალიერებისას ხარვეზი აღმოაჩნდა ავტომანქანას ის ხელმეორედ გაივლის უახლოეს მომავალში?**

– ეს წარსულშიც ასე იყო. რადგან ტექდათვალიერება კორუფციით საკმაოდ დაზიანებული სფერო იყო, იმიტომაც შეჩერდა თავის დროზე მსუბუქი ავტომანქანების ნაწილში. ევროპული გამოცდილება ასეთია: თუ ავტომანქანას აღმოუჩინეს, რომ არ აქვს წესრიგში სამუხრუჭე ხუნდები, მას მიეცემა გონივრული ვადა: ერთი კვირის ან ათი დღის განმავლობაში შეაკეთოს და ხელმეორედ სწორედ ამ ხარვეზზე შეამოწმოს ავტომანქანა. ეს არის ევროპული სტანდარტი. ჩვენ ხომ ხშირად ვამბობთ, რომ ევროპისკენ მივდივართ, მაგრამ ევროპისკენ სიარული არ არის მხოლოდ სიხარულის ყიჟინა ამის გამო, ევროპელობა ნიშნავს მკაცრი თამაშის წესების მიღებას. ევროპული წესი ამბობს: გაქვს ხარვეზი? გონივრულ ვადაში აღმოფხვერი და გზა მშვიდობისა. ახალ ავტომანქანებს 4 წელიწადში ერთხელ სჭირდებათ ტექდათვალიერების გავლა. ხაზს ვუსვამ: პროცედურაა ევროპული, თორემ სტანდარტები და ციფრები სხვა თემაა.

**– და დამატებით თანხას ვიხდი ხარვეზის გამოსწორების შემდეგ ტესტირებისას?**

– უცხოეთში, მაგალითად, გერმანიაში, თუ მეხსიერება არ მღალატობს, ტექდათვალიერება, საშუალოდ, ღირს 60-80 ევრო და, თუ რამე ხარვეზს დაუდგენენ ავტომანქანას, ხელმეორედ მისვლის დროს მეპატრონე ან არ იხდის, ან იხდის მინიმალურ თანხას. ეს ასე უნდა იყოს ჩვენთანაც.

**– როგორც წინასწარ გვითხრეს, ავტომანქანებს შეგვიმოწმებს უცხოური ფირმა.**

– როგორც ჩემთვისაა ცნობილი, ქართულ-გერმანული ფირმა. გერმანული ფირმა ერთ-ერთი ცნობილი ბრენდია და მეორე მხრივ, შსს-ს მომსახურების სააგენტოს მიერ დაფუძნებული ერთობრივი ქართულ-გერმანული ორგანიზაცია.

**– ჩვენ საკუთარი ძალებით ვერ მოვახერხებდით? იმის გასარკვევად, მუხრუჭი იჭერს თუ არა ან შუშის საწმენდი წმენდს თუ არა შუშას, გერმანიიდან რატომ ჩამოგვყავს ფირმა?**

– ამ თემაზე საუბარი დაიწყო შარშან და როგორც არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი, მიმიწვიეს იმ კომისიაში, რომელიც იხილავდა არა რომელიმე ფირმის შემოყვანას, არამედ ზოგადად ტექდათვალიერების დასაწყებად საჭირო პროცედურებს. უცხოური ფირმის ოპერატორის შემოსვლის შემთხვევაში აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული ჩვენს ბაზარზე მოქმედი ბიზნესსუბიექტების ინტერესები, მით უმეტეს, დღესვე რომ ამუშავდეს ეს ნორმა, ტექდათვალიერების დღეს არსებული 22 სადგურის სიმძლავრეები ნამდვილად არ ეყოფა. მეორე მხრივ, რატომ უნდა მოხდეს ზედმეტი ინვესტირება, როდესაც ეს ბიზნესსუბიექტები არსებობენ?! უპრიანი იქნება, ბიზნესი დაელაპარაკოს ბიზნესს. ამ საწარმოების უმეტესობას აქვს სახელმწიფო აკრედიტაცია ტექნიკურ კომპეტენტურობაზე, რის გაუქმება ნამდვილად ანიტიკონსტიტუციური იქნება. ისინი ელოდნენ, როდის ამოქმედდებოდა სრულფასოვნად მსუბუქი ავტომობილების ნაწილში ტექდათვალიერება, საკმაოდ სოლიდურ თანხას იხდიდნენ ყოველ წელიწადს აკრედიტაციისთვის და მათ დაიმსახურეს, რომ მათი ინტერესიც გაითვალისწინონ.

# რა კრიტერიუმებით შემოწმდება ავტომანქანები ტექნიკურ გამართულობაზე და როგორ გამოჰყავს მწყობრიდან სავსებით ახალი ავტომანქანის კატალიზატორი ერთ საათში საქართველოს ბაზარზე არსებულ საწვავს

**– ეს ნიშნავს, რომ სახელმწიფოსაც ჰქონია მოსამზადებელი სამუშაოები ჩასატარებელი, რომ პროცესი შეუფერხებლად წარიმართოს. რა დამატებითი სიმძლავრეებია საჭირო, რომ მომავალი წლის მარტიდან ამოქმედდეს ტექდათვალიერება მსუბუქი ავტომანქანებისთვის?**

– აუცილებლად დასჭირდება დამატება. მაგალითად, თბილისში არსებული 6 სადგურიდან, მსუბუქი ავტომანქანების ტესტირების ხაზი აქვს მხოლოდ ოთხს. თითოეულს წელიწადში მხოლოდ 10 000 ავტომანქანის შემოწმება შეუძლია. თუ დღეში 30-40 ავტომანქანაზე მეტს ვერ მოემსახურება თითოეული, დადგება რიგი, რაც ამ პროცესის დისკრედიტაციას გამოიწვევს. წესით, როდესაც მიხვალ დათქმულ დროს, მაშინვე უნდა გაგატარონ პროცედურა, რომ ზედმეტი დრო არ დაკარგო. ვიმეორებ, თბილისში დღესვე რომ ამოქმედდეს ტექდათვალიერების ნორმა, არსებული სადგურების გამტარუნარიანობა ნამდვილად არ ეყოფა ამ პროცედურის სრულყოფილად და ხარისხიანად ჩატარებას. ასე რომ, სიმძლავრეების დამატება გარდაუვალი პროცესია.

**ნინო ხაჩიძე**

**ხათუნა ლაგაზიძე ნამდვილად იმსახურებს ექსპერტის სტატუსს. მან ბევრი წლის წინ დაამტკიცა, რომ არაჩვეულებრივი ანალიზის უნარი და შესანიშნავი პოლიტიკური ინტუიცია აქვს. მიუხედავად უამრავი საქმისა, რამდენიმე სამსახურისა და ბიზნესისა, რომელსაც მეუღლესთან ერთად უძღვება, ქალბატონი ხათუნა ახერხებს, იყოს შესანიშნავი დედა, ცოლი და... კულინარი. როგორი იყო გზა ექსპერტობამდე და როგორია მისი ოჯახური ცხოვრება, ამაზე ვრცლად თავად გვიყვება.**

# რატომ გამოიპარა ხათუნა ლაგაზიძე სამშობიაროდან და რომელი პრეზიდენტისთვის წერდა ის გამოსვლებს

**ხათუნა ლაგაზიძე**: ბევრჯერ მითქვამს ცხოვრებაში, რომ ვარ უბედნიერესი. ამას ბევრი ფაქტორი განაპირობებს, მაგრამ, ერთ-ერთი – ჩემი პროფესიაა. უზომოდ მიყვარს ის საქმე, რომელსაც ვაკეთებ. ხანდახან მეშინია ამის არა მარტო თქმის, არამედ, გაფიქრებისაც. ალბათ, შეუძლებელია, პროფესია შვილის მსგავსად გიყვარდეს, მაგრამ, გარწმუნებთ, ჩემთვის ძალიან ახლოს დგას ეს ორი გრძნობა ერთმანეთთან. როგორი დაღლილიც არ უნდა ვიყო, საქმის კეთება უდიდეს სიამოვნებას მანიჭებს, ეს ჩემი მუდმივი, განახლებადი ენერგიის წყაროა. უდიდესი სიამოვნებაა, როდესაც შენი ანალიზით მიდიხარ იმ ჭეშმარიტებამდე, რომლის დანახვაც ვერ შეძლო თუნდაც შენმა ვერც ერთმა კოლეგამ; როდესაც შეგიძლია წინასწარ დაინახო პოლიტიკური პროცესები როგორც შენს ქვეყანაში, ისე მსოფლიოში. თუ არასასურველი პროცესების პრევენციის გზებიც დასახე – ეს ხომ იდეალურია.

**– ალბათ, თავიდანვე არ აგირჩევიათ პოლიტოლოგია.**

– არა, თავიდან არაფერი მოასწავებდა ამ შედეგს. სკოლის დამთავრების შემდეგ ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფილოლოგიის ფაკულტეტზე ჩავირიცხე, რომელიც წითელ დიპლომზე დავამთავრე და ჩავირიცხე ასპირანტურაში. პარალელურად ჩავირიცხე თეატრალურში, თეატრმცოდნეობის ფაკულტეტზე. დღეს დიპლომების თემა აქტუალურია და შემიძლია ამაზე თამამად ვისაუბრო. ამის შემდეგ დავამთავრე სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართალმცოდნეობის ფაკულტეტი. მერე წავედი გერმანიაში, კერძოდ, ბავარიაში, ჯორჯ მარშალის სახელობის ევროპის უსაფრთხოების ცენტრში და ოცდამეერთე საუკუნის ლიდერების კურსი გავიარე უსაფრთხოებისა და სტრატეგიული მართვის სპეციალობით. თუმცა, ეს კვალიფიკაციის ამაღლება იყო და არა დიპლომი, მაგრამ, ბევრი რამ შემძინა. გათხოვების შემდეგ ამ ჩემი დიპლომებისა და სერტიფიკატების სიას შეემატა ბუღალტრის სპეციალობა და ეს პერიოდი საკმაოდ მწარედ მახსოვს.



**არავინ თქვას, რომ შევარდნაძე იმ პროცესების საქმის კურსში არ იყო, მაგრამ, რატომღაც, ამას ყურადღებას არ აქცევდა**

**– პარალელურად, მუშაობდით?**

– რა თქმა უნდა. უნივერსიტეტში ჩავირიცხე 1989 წელს, ეროვნული მოძრაობის წლებში და ბევრთან ერთად მეც ვიდექი ამ მოძრაობის სათავეებთან. იმ პერიოდიდან მომყვებიან ფიქრია ჩიხრაძე, თედო ისაკაძე, და სხვები. იმ პერიოდში საქართველოში პირველად გაჩნდა თავისუფალი პრესის ნიშნები და მუშაობა დავიწყე „თავისუფალ გაზეთში". უზომოდ მიყვარდა თეატრი და პირველი ინტერვიუ ავიღე ბატონი თემურ ჩხეიძისგან – 18 წლის გოგოს მაინც სხვა თავხედობა აქვს ***(იცინის).*** ეს ინტერვიუ იქცა ჩემი და თემურ ჩხეიძის ოჯახის დიდი მეგობრობის დასაწყისად, რაც დღემდე გრძელდება. მაშინ სპეციალიზება არც ხდებოდა და ძალიან მალე დავიწყე პოლიტიკური ინტერვიუების კეთება. ამის შემდეგ დაიწყო „ჯორჯიან თაიმსის" ეპოქა: ძალიან საინტერესო თაობა იყო: დათო პაიჭაძე, გივი თარგამაძე, მალხაზ გულაშვილი, ნანა გაგუა, ლიზა ბაგრატიონი, თამაზ სულაძე... მაინც სიყმაწვილეს ვარქმევ ამ პერიოდს, რადგან, მიმაჩნია, რომ ყველაზე სისხლსავსე ახალგაზრდობის წლები ახლა მაქვს. სიყმაწვილეც ძალიან საინტერესო იყო. ამის შემდეგ იყო „კავკასიონი", როდესაც გვქონდა განცდა, რომ საკუთარი ხელებით ვაშენებდით დამოუკიდებელ ქართულ ჟურნალისტიკას. 19-20 წლის ვიყავი, როდესაც ინტერვიუზე მივედი რამაზ საყვარელიძესთან და ასე გავიცანით ერთმანეთი. დგება 1992 წელი, შევარდნაძე ჩამოდის საქართველოში და რამაზ საყვარელიძეს იწვევენ სახელმწიფო მეთაურის პრეს-სამსახურის უფროსად. ბატონმა რამაზმა წამიყვანა თავისთან ანალიტიკოსად. „ანალიტიკური ჯგუფი" ერქვა და მარტო ვმუშაობდი. ეს იყო აფხაზეთის ომის წლები, როდესაც საშინელი ინფორმაციები მოდიოდა ომიდან. ჩემი ოთახის კარი უყურებდა ნუგზარ საჯაიას ოთახის კარს და ჩვენი გაცნობაც ასე მოხდა.

**– როგორც ვიცი, მასთან საკმაოდ დიდხანს იმუშავეთ.**

– დიახ. 1995 წელს მიიღეს საქართველოს ახალი კონსტიტუცია, რომლის თანახმად, იქმნება ახალი სტრუქტურა – ეროვნული უშიშროების საბჭო. ცხონებული ჯიმი ჯალიაშვილის რეკომენდაციით მოვხვდი ნუგზარ საჯაიასთან და აღმოვჩნდი იქ, სადაც იქმნებოდა ქვეყნის პოლიტიკა. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ შვილის დაბადებამდე, ეს ჩემი ცხოვრების საუკეთესო წლები იყო. საინფორმაციო-ანალიტიკურ დეპარტამენტში სულ ოთხი ადამიანი ვმუშაობდით: გია სოფაძეს მიჰყავდა ეკოლოგიური უსაფრთხოება, რომელიც დღეს ჩემი მეჯვარე და შვილის ნათლიაა; დანარჩენებს კი – მე, ჰენრი კუპრაშვილსა და ჯიმი ჯალიაშვილს გადანაწილებული გვქონდა როგორც შიდა, ისე საგარეო უსაფრთხოების საკითხები. სწორედ მაშინ იკვეთებოდა ჩვენი საგარეო პოლიტიკის ორიენტირები: საერთაშორისო ორგანიზაციებში, ევროსაბჭოსა თუ გაეროში, საქართველოს მაშინდელი პრეზიდენტის – ედუარდ შევარდნაძის გამოსვლების ნაწილი მაინც ჩემ მიერ იწერებოდა.

**– იმპროვიზაციას არ მიმართავდა?**

– ნაკლებად. რაღაც დოზით, ალბათ, კი, მაგრამ, ყველა ძირითადი მესიჯი მიჰქონდა მსმენელამდე. ეს იყო წლები, როდესაც ჩვენ იძულებული ვიყავით გვემუშავა ყველა მიმართულებით. ვმუშაობდით ირანთან, სომხეთთან, თურქეთთან თუ აზერბაიჯანთან ურთიერთობის სტრატეგიაზე, ჩრდილო კავკასიიდან მომავალი საფრთხეების ტენდენციაზე და ასე შემდეგ. ყველაფერი ეს ჩვენს ხელში გადიოდა. დღემდე მაქვს შენახული ზოგიერთი დოკუმენტის ასლი, რაც ჩემი სიამაყის ერთ-ერთი საფუძველია. სახელმწიფოს მიერ პირველი ნაბიჯების გადადგმაში გარკვეულ მონაწილეობას მეც ვიღებდი. უშიშროების საბჭოში 2001 წლის ბოლომდე ვიმუშავე. ყველა ის პროცესი, რომელიც ქვეყანაში ხდებოდა, ზუსტად იყო დანახული და გააზრებული ჩვენ მიერ, რეკომენდაციებიც კი ჰქონდა დადებული შევარდნაძეს იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოქცეულიყო, რომ ხელისუფლების სათავეში არ აღმოჩენილიყვნენ ისინი, ვინც აღმოჩნდნენ. არავინ თქვას, რომ შევარდნაძე იმ პროცესების საქმის კურსში არ იყო, მაგრამ, რატომღაც, ამას ყურადღებას არ აქცევდა.

**– თქვენ როგორ ფიქრობთ, რატომ?**

– ვერ გეტყვით. იყო ერთი საინტერესო შემთხვევა, როდესაც უსინათლობის დროს ვაკეში საბურავები დაწვეს და ქუჩა გადაკეტეს. ცხონებულმა ნუგზარ საჯაიამ, რომელიც საქართველოს ისტორიაში საუკეთესო თუ არა, ერთ-ერთი საუკეთესო მენეჯერი იყო, გამიშვა ადგილზე და მდგომარეობის შესაფასებლად ანალიტიკური მოხსენება დავწერე, თუ როგორ განვითარდებოდა მოვლენები და რა ალტერნატიული სცენარები შეიძლებოდა დაგვედო. ბატონმა ნუგზარმა გაგზავნა ეს მოხსენება შევარდნაძესთან და მისგან არანაირი რეაგირება არ მოჰყოლია. მაშინ ვნახე პირველად, როგორი შეწუხებული იყო საჯაია, რადგან, იმ წერილზე რეაქციის არქონა ნიშნავდა იმას, რომ პროცესები წავიდოდა სწორედ ისე, როგორც წავიდა.

**– რა შეგრძნებაა, როდესაც რაღაც ისე მიდის, როგორც თქვენ იწინასწარმეტყველეთ?**

– გააჩნია, რა. უამრავი სტატია მაქვს გამოქვეყნებული იმის შესახებ, თუ რა მოხდებოდა სააკაშვილის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ და ეს ნაბიჯები მან ზუსტად, ერთი-ერთში გადადგა. ეს სტატიები არსებობს. რომ გითხრათ, ამან გამახარა-მეთქი, ნამდვილად მოგატყუებთ. იმ პერიოდში იშვიათი იყო ადამიანი, რომელიც ხედავდა იმ მომავალს, რაც რეალურად მოხდა.

**– ვარდების რევოლუციის შემდეგ რა მიმართულებით განაგრძეთ საქმიანობა?**

– არასამთავრობო კუთხით ვმუშაობდი. „მრავალეროვან საქართველოში" ვიყავი ფრონდაიზერი. საკმაოდ წარმატებულად განვახორციელეთ რამდენიმე პროექტი. პარალელურად, „ალმა-მატერში" ვასწავლიდი სახელმწიფო მართვისა და სისტემების კურსს. 2007 წლის მარტის ბოლო იყო, როდესაც ჩემს უახლოეს მეგობართან გურიაში ჩავედი. ყოველთვის ძალიან მიყვარდა ზღვა და კულინარია. ამიტომ, როგორც კი შაბათ-კვირას დრო გამომიჩნდებოდა, მასთან მივდიოდი, ლელა თავართქილაძესთან, რომელიც, ასევე, ჩემი მეჯვარე და შვილის ნათლიაა. ჩვენი საერთო მეგობარი მაშინ ფოთში პოლიციის უფროსი იყო. ზღვასაც გადახედავ და გემრიელადაც გაგვიმასპინძლდებაო, – მითხრა ლელამ და ფოთისკენ გავწიეთ. ოზურგეთიდან ურეკამდე ლამის საურმე გზა იყო გასავლელი და გზაში დაგვიღამდა. ლელამ, წამოდი, ურეკში შევიაროთ, ჩემს მეგობარს სასტუმრო აქვს და გვიმასპინძლებსო. კარგი-მეთქი, ვუთხარი და ასე საოცრად შევხვდი ჩემს მომავალ მეუღლეს.

**– და, ვინ აღმოჩნდა მეუღლე?**

– მეუღლე აღმოჩნდა ბიზნესმენი, ამირან ჩხაიძე, რომელიც ჩემზე ოცდაორი წლით უფროსია. ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდი, თუ თბილისიდან შორს ვიპოვიდი ჩემს მეორე ნახევარს და, თან, ამხელა ასაკობრივი სხვაობით.

**– რამდენი წლის იყო, როდესაც გაიცანით?**

– 57-ის. მას ჩემს გაცნობამდე ჰყავდა გარდაცვლილი პირველი მეუღლე. ჰყავს ორი შვილი, გოგო და ბიჭი. ჩემი ანა უკვე არის დეიდა. ანას დისშვილები ნიკო და თემი 16 და 11 წლისანი არიან.

**– როგორ შეძლო თქვენი მოხიბვლა?**

– ჩემი გურული დაქალის თვალს რას გამო-

**(გაგრძელება მე-16 გვერდზე)**

**არაჩვეულებრივი შეგრძნებაა, როცა ზიხარ და ცოცხლად უყურებ კარგ შოუ-პროგრამას, რასაც ქართველები მოკლებულნი ვართ. ორიგინალური ჟანრი თავისებურ ინტერესს იწვევს და მას ყოველთვის ჰყავს მაყურებელი. გია ფარადაშვილს, გამომდინარე იქიდან, რომ სულ მოგზაურობაშია, ჩვენთან ნაკლებად იცნობენ. ის არა მხოლოდ კარგი ილუზიონისტი, არამედ, კარგი მოსაუბრეც არის. ჩვენი ინტერვიუ ყოველთვის მეგობრულ სიტუაციაში, ხუმრობა-ხუმრობაში იწერება.**

# რისი ჩუქება აიძულა აფრიკის პრეზიდენტს გია ფარადაშვილმა და როგორ აპირებდა ის შერისთვის ძვირფასეულობის „მოტეხვას"

**– ისევე, როგორც ყველა მსახიობს, ილუზიონისტებსაც თავის მაყურებელი ჰყავს და, ბუნებრივია, ვინც აღარ ჩანს თბილისში, მის ფანებს აინტერესებთ, სად არიან, როგორ არიან, წარმატებულები არიან თუ წარუმატებლები... შენსკენ რა ხდება?**

– ახლა ჩემს შვილს ვუმზადებ ძალიან მაგარ პროგრამას, შევუკვეთე და უკვე ჩამომივიდა. ირაც იწყებს მუშაობას. სცენაზე ვიმუშავებთ მე, ჩემი ცოლი, ბიჭი და ქალიშვილი – ოჯახური პროგრამა გვექნება. გპირდებით, რომ, ალბათ, მალე ვანახვებ თბილისელებს მაგარ შოუს, ისეთს, ჯერ რომ არ უნახავთ ცხოვრებაში. გახსოვთ, გადაცემა „დროებაში" რომ გავაქრე ქართლის დედა? მაშინ ხალხს შევპირდი, რომ პირველ აპრილს გავაკეთებდი ამ ტრიუკს და გავაკეთე. ეგონათ, რადგან პირველი აპრილი იყო, ვატყუებდი. ბარათაშვილის ხიდზე ვიდექით მე და ირა და იქიდან დავუმზინე. როცა ნახეს, როგორ გაქრა ქართლის დედა, გაოცდნენ. რაც შეეხება ჩემს უცხოეთში ყოფნას, ყველამ იცით, რომ ანტალიაში ვმუშაობ, ცხრა თვე იქით ვარ, დანარჩენი დრო – თბილისში. რომ მომენატრება თბილისი, ჩამოვდივარ, თორემ, იქ კარგი ანაზღაურებაც მაქვს და ყველანაირი პირობა, რომ დავრჩე, მარტო ანტალიაში კი არა, ჰონკონგში, საფრანგეთში, ლას-ვეგასში... აქ როგორ უნდა ვიმუშაო, არც შოუ-ბიზნესია და არც არაფერი. დიდ ასპარეზზე რომ გახვიდე, ჯერ აქედან უნდა წახვიდე, თუ გინდა, რამეს მიაღწიო.

**– გაიხსენე, როგორ იწყებდი ილუზიონისტობას?**

– ჩემი პირველი ნომერი, რითაც გამოვჩნდი, თევზებისა და თაგვების ფოკუსი იყო. მაშინ მერვე კლასში ვსწავლობდი. მთელი კლასი გიჟდებოდა ჩემზე, რადგან, ძალიან მოუსვენარი ვიყავი და, თუ რაღაცას გავაკეთებდი, ჩათვალე, რომ მთელი კლასი „გულაობდა". რაღაცას რომ ჩავიდენდი, მერე მასწავლებელი გამომიძახებდა, მე კი დროს ვწელავდი, ვითომ გაკვეთილს ვყვებოდი და ბავშვებს უხაროდათ. ერთი ფოკუსი მქონდა ნანახი: შუშის ნიჟარაში წყალს ჩაასხამ, თევზებს ჩაყრი, თავსაფარს გადააფარებ და, რომ მოხსნი, თევზები აღარ არიან. გადავწყვიტე, მეც გამეკეთებინა. ჯიბეში წყლით სავსე ცელოფნის პარკი მედო, რომელშიც სამი ოქროსფერი თევზი მყავდა. მთელმა სკოლამ გაიგო, რომ ამას ვაკეთებ, დირექტორმა სხვა სკოლის დირექტორებს გააგებინა – ასეთი და ასეთი ნიჭიერი ბავშვი გვყავსო და შეკრიბა, რომ ენახაო, რას ვაკეთებ. კონცერტი მიდის მუსიკის თანხლებით. დარბაზში ადგილი არ არის, ერთმანეთს მხრებზე ასხედან. გამომიტანეს შუშის ნიჟარა და მაგიდაზე დამიდეს; მოიტანეს ვედრით წყალი და ჩაასხეს. ჯიბიდან ჩუმად უნდა ამოვიღო წყლით სავსე ცელოფანი, რომ თევზები ჩავყარო. ჩემს ცხოვრებაში პირველად მაშინ შემრცხვა და ვთქვი, ილუზიონისტობა აღარ მინდა-მეთქი, რადგან, ასრიალდნენ ეს თევზები და იატაკზე დაცვივდნენ; ვერ ვიღებდი, ხელიდან მისხლტებოდნენ. მერე, როგორც იქნა, ჩავყარე ნიჟარაში. დირექტორმა ხელი ჩაიქნია – ეჰ, შენგან არაფერი გამოვაო, – და დაიშალნენ. ჩემი კარიერა თბილისში დაიწყო. 1975 წლიდან დავდივარ უცხოეთში. ფილარმონიაში რომ გავაკეთე კონცერტი, – კოსტიუმი, მუსიკა, რეკვიზიტები, ნომერი – ყველაფერი მაღალ დონეზე მქონდა. მეორე დღეს ქუჩაში ველარ გავდიოდი, ისეთი ყურადღების ცენტრში აღმოვჩნდი. ხან სურათის გადასაღებად მაჩერებდნენ, ხან ავტოგრაფისთვის. აი, ეგეთი დრო იყო, გენაცვალე, ყოველთვის ძვირად ღირებული მსახიობი ვიყავი.

**– თავიდან მარტო გამოდიოდი სცენაზე, მერე კი შენი მომავალი მეუღლე, ირა დაიყენე ასისტენტად. როგორ შეეწყვეთ ერთმანეთს სცენაზე და ცხოვრებაში?**

– ირა მოსკოვში იყო ერთ-ერთი ცნობილი, ძლიერი ფოტომოდელი. აქ გავიცანი, თბილისში და, მერე, მოსკოვში რომ წავედით, იქ ჩემს ახლობლებთან დაიწყო ერთ-ერთ დიდ სტუდიაში მუშაობა და საკმაოდ მაღალ საფეხურზეც ავიდა. თავიდან მართლაც მარტო ვმუშაობდი, მერე კი პროგრამა გავაკეთე და ერთად დავიწყეთ გამოსვლები.

**– უცხოეთში, ალბათ, ბევრ ცნობილ მსახიობსა და მომღერალს შეხვედრიხარ სცენაზე.**

– შარშან სცენაზე ენრიკე იგლესიასთან და „ბონდთან" ერთად (ოთხი მევიოლინე გოგო ინგლისიდან) ვიმუშავე. სტამბულში იყო ძალიან დიდი კონცერტი – „კნაუფის" პრეზენტაცია და იქ გამოვდიოდით. ასევე, „ბონიემთან" ვმუშაობდი, ერთხელ აქაც მყავდა ჩამოყვანილი გასტროლებით; 90-იან წლებში მადონასთან ერთადაც მიმუშავია. ჯეიმს ბრაუნი რომ იყო ჩამოსული, თუ გახსოვთ, ამერიკიდან ჰყავდა ილუზიონისტი, რომელიც 15 წუთი მუშაობდა სცენაზე. ასე რომ, მარტო არ მუშაობენ სოლო კონცერტის დროს. არც ილუზიონისტები და არც მომღერლები. მაგალითად, „ორერა" რომ მიდიოდა გასტროლებზე, მოსკოვიდან ან ბალეტის ჯგუფთან ერთად მიდიოდნენ, ან – პანტომიმის მსახიობებთან ერთად... მადონასთვის მინახვებია, ფული როგორ ქრება და გაოგნებულა.



ვისაც დავადე ხელი, ყველა ცოლ-ქმარი გახდა; რომელ ქალსაც დავადე ხელი, ყველა დაორსულდა

**– მაგას ფოკუსი რად უნდა გია – ფული გაქვს და, უცებ, არ გაქვს. ეგ ყველას გამოსდის. მადონა მართლა გაკვირვებული იქნებოდა, უფულობა არ იცის რა არის. იცი რა მაინტერესებს, ილუზიონისტებს განსაზღვრული გაქვთ სცენაზე ყოფნის დრო, რა ასაკამდე შეიძლება ყოფნა თუ ამას მნიშვნელობა არ აქვს?**

– მე ყოველთვის ვცდილობ, სცენაზე არ დავბერდე და კარგად გამოვიყურებოდე. 56 წლის ვხდები, მეტყობა რამე? თუ გინდა, 16 წლის ბიჭი დამიყენე და ნებისმიერ რაღაცაში ვაჯობებ – ცეკვაში, პანტომიმაში...

**– როცა სცენაზე ხარ, აკვირდები მაყურებელს, მოსწონს თუ არ მოსწონს შენი გამოსვლა?**

– სცენაზე რომ გამოვდივარ, მაყურებელს არ ვუყურებ. ზუსტად 50 წუთი ვარ სცენაზე და ამ 50 წუთის განმავლობაში მთლიანად ჩემს ნომერში ვარ. ახლა ჰონკონგში მიმიწვიეს და არ წავედი, იმიტომ რომ, ძალიან ბევრი კონცერტი მქონდა ზედიზედ და გადავიღალე. ახლა ვისვენებ, ცოტა ხნით აქ რომ ვარ. ამას წინათ „ცეკვავენ ვარსკვალვებზე" ვიყავი ჩამოსული. ქეთი ხატიაშვილი ჩემთან გამოდიოდა „მის სპორტზე" და მეორე ადგილი აიღო. ლევანს მე გავაყოლე ცოლად. შარდენზე ვიყავით ბარში და ვუთხარი: ლევან, კარგად შეხედე ქეთის. შენ ეს გოგო ცოლად რომ არ მოიყვანო, ქართლის დედასავით გაგაქრობ-მეთქი; მერე ავიღე ლევანის ხელი, ქეთის ხელზე დავადე და ვუთხარი: მორჩა, ცოლ-ქმრად გაცხადებთ-მეთქი. ვისაც დავადე ხელი ყველა ცოლ-ქმარი გახდა; რომელ ქალსაც დავადე ხელი, ყველა დაორსულდა. საერთოდ, ჩვენ, ილუზიონისტები, ძალიან ცოტას ვლაპარაკობთ და ხელებით ვმუშაობთ.

ქართლის დედის გაქრობას რომ ვაპირებდი, წინა საღამოს რეპეტიცია გავიარე. ჩემი მეუღლე და კიდევ ორი ახლობელი მანქანით ავიყვანე ქანდაკებასთან, თვითონ კი ქვემოთ ჩამოვედი – მინდოდა, ქვემოდან დამენახა, ჩანს თუ არა გამქრალი „სტატუეტკა". ერთ-ერთ რესტორანთან ვიდექი და ჩემს ცოლს ტელეფონით ველაპარაკებოდი. მაშინ ახალი ჩამოსული ვიყავი უცხოეთიდან და, რომ გამოაცხადეს, გია ფარადაშვილი პირველ აპრილს გამოვა და ქართლის დედას გააქრობსო, არ სჯეროდათ. ეგონათ, გამოვიდოდი და ვიტყოდი: „დღეს პირველი აპრილია, მოტყუება ადვილია". ჩემს ცოლს რომ დავურეკე და ვუთხარი, აბა, მზად ხართ? დავიწყოთ-მეთქი, ზუსტად მაგ მომენტში ორი მთვრალი კაცი სიგარეტს ეწეოდა. მომიახლოვდნენ და გვერდით დამიდგნენ. ზემოთ რომ ვიყურებოდი, ერთ-ერთმა მათგანმაც ზევით აიხედა და კაცი გამოშტერდა: დაინახა, ქართლის დედა იდგა და აღარ დგას. ხელები წაიშინა თავში და მეორეს ეუბნება – შეხედე, ქანდაკება აღარ დგასო. სანამ იმან თავი ასწია, ქანდაკება ისევ გაჩნდა. გაქრობისთვის თხუთმეტი წამი დამჭირდა, გაჩენისთვის – ათი წამი.

**– მერე რა, მე მახსოვს, კოპერფილდმა პირდაპირ სცენაზე გააქრო უზარმაზარი თვითმფრინავი.**

– სულ კოპერფილდს იხსენებენ, რატომღაც, თითქოს პირადად შეხვედრიან. პირველად მე ჩამოვიტანე თბილისში კოპერფილდის კასეტა, თვითმფრინავი და ქანდაკება რომ გააქრო, მაგრამ, მაგაზე ძლიერებიც არიან. მაგალითად, ლას-ვეგასში არის მსოფლიოში ყველაზე ძლიერი და მდიდარი ილუზიონისტების წყვილი, მეგობრები არიან – ზიგფრი და როი, რომლებიც თეთრი ცხოველებით მუშაობენ. ჰყავთ თეთრი სპილო, თეთრი გველი, თეთრი არწივი, თეთრი ვეფხვი და უფრო ლამაზი შოუც აქვთ. ამერიკაში ზიგფრისა და როის კონცერტზე ბილეთს ვერ იშოვიდი. ამჟამად გაჩერებულები არიან. თეთრ ლომს ეთამაშებოდნენ, ვეფხვებმა ეს ვერ აიტანეს და დაგლიჯეს. სასტუმრო „მირაჟის" წინ მათი ვარსკვლავია გახსნილი და „სტატუეტკა" დგას – შუაში ლომი და აქეთ-იქით ზიგფრი და როი. ტურისტები მიდიან და მათ პატივსაცემად ვარსკვლავთან სურათს იღებენ. მეც დავაპირე სურათის გადაღება. გავიხედე და, ვიღაც მაგარი ქალი დგას. ჩემს ძმაკაცს ვუთხარი: ეს ქალი ვიღაცას მაგონებს, მაგრამ, ვერ ვიხსენებ, ვის, მგონი, თბილისში მინახავს-მეთქი. ვიფიქრე, ავიღებ კარტებს, მივალ და გამოვეცნაურები: გამარჯობა, მე გია ფარადაშვილი ვარ, თბილისიდან-მეთქი... რა თბილისი, რის თბილისი, თურმე, შერია. იმ დროს ლას-ვეგასში კონცერტი ჰქონია ერთ-ერთი სასტუმროს – „ცეზარპალასის" დარბაზში. ჩემი მეგობარი მეუბნება, ნახე ერთი, რა სამკაულები უკეთია, მოდი, მოვხსნათო. რა უნდა მოხსნა, ბი-

(გაგრძელება 75-ე გვერდზე)

# ადვოკატი გირჩევთ



**რუბრიკას უძღვება ადვოკატი**
**ირაკლი გაბრიჭიძე**

> *უვიცობის სამეფოში თვით უწესიერესი ადამიანიც კი დამნაშავე ხდება.*
> **ანატოლ ფრანსი**

**კითხვა: მაინტერესებს, როგორ გადაწყდება საკითხი, როდესაც პირის მიერ ნივთის ფლობა დადასტურებულია მტკიცებულებებით და მოცემული დროისთვისაც მის მფლობელობაშია. თუმცა, სხვა პირი აცხადებს პრეტენზიას, რომ ეს ნივთი დროის რაღაც მონაკვეთში იმყოფებოდა მის მფლობელობაში და ამის გამო ითხოვს ნივთის მისთვის გადაცემას?**

**პასუხი:** გაცნობებთ, რომ თუ პირი ნივთს ფლობდა დროის რაღაც მონაკვეთის დასაწყისსა და ბოლოს, ივარაუდება, რომ ის ფლობდა ამ ნივთს დროის შუა პერიოდშიც.

**კითხვა: გთხოვთ, მაცნობოთ, როგორ ხდება და არის თუ არა შესაძლებელი, საცხოვრებელ ბინაზე საკუთრების უფლების მოპოვება იმ შემთხვევაში, როცა ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობს ამ სახლს იქ მცხოვრები პირი?**

**პასუხი:** გაცნობებთ, რომ ზოგადად, უძრავ ნივთებზე საკუთრების შეძენა შესაძლებელია ხანდაზმულობით. კერძოდ, თუ პირი საჯარო რეესტრში შეტანილია ბინის თუ სხვა უძრავი ქონების მესაკუთრედ ისე, რომ არ შეუძენია საკუთრების უფლება მათზე, ის მოიპოვებს ამ საკუთრების უფლებას, თუკი რეგისტრაცია არსებობდა თხუთმეტი წლის განმავლობაში და ამ პერიოდში პირი ფლობდა მას, როგორც საკუთარს.

**კითხვა: გთხოვთ, მაცნობოთ, რას ნიშნავს, ზოგადად, ნივთის მფლობელობა?**

**პასუხი:** გაცნობებთ, რომ მფლობელობა წარმოიშობა ნივთზე ფაქტობრივი ბატონობის ნებითი მოპოვებით.

**კითხვა: გთხოვთ, მაცნობოთ, ჩაითვლება თუ არა ნივთის მფლობელად ის პირი რომელიც ნივთზე ფაქტობრივ გამგებლობას ახორციელებს, თუმცა ამ ნივთით მიღებულ სარგებელს სხვას გადასცემს?**

**პასუხი:** გაცნობებთ, რომ მფლობელად არ ითვლება ის პირი, რომელიც თუმცა ახორციელებს ფაქტობრივ ბატონობას ნივთზე, მაგრამ სხვა პირის სასარგებლოდ და რომელსაც ნივთის ფლობის უფლებამოსილება მიღებული აქვს ამ პირისგან. მფლობელად მიიჩნევა მხოლოდ უფლებამოსილების მიმნიჭებელი პირი.

**კითხვა: გთხოვთ, მაცნობოთ, რა კონკრეტული კრიტერიუმების მიხედვით უფარდებს მოსამართლე ბრალდებულ პირს აღკვეთის ღონისძიების ამა თუ იმ სახეს?**

**პასუხი:** გაცნობებთ, რომ აღკვეთის ღონისძიებისა და მისი კონკრეტული სახის გამოყენების საკითხის გადაწყვეტისას სასამართლო ითვალისწინებს ბრალდებულის პიროვნებას, მის საქმიანობას, ასაკს, ჯანმრთელობას, ოჯახურ და ქონებრივ მდგომარეობას, მიყენებული ქონებრივი ზიანის ანაზღაურებას, ადრე შეფარდებული რომელიმე აღკვეთის ღონისძიების დარღვევის ფაქტს და სხვა გარემოებებს.

**კითხვა: გთხოვთ, მაცნობოთ, რამდენი სახის აღკვეთის ღონისძიების სახეს ითვალისწინებს სისხლის საპროცესო კანონმდებლობა?**

**პასუხი:** გაცნობებთ, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულია აღკვეთის ღონისძიების შემდეგი სახეები: გირაო, არასრულწლოვანი ბრალდებულის მეთვალყურეობაში გადაცემა, შეთანხმება გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ, პირადი თავდებობა, სამხედრო მოსამსახურის ქცევისადმი სარდლობის მეთვალყურეობა და პატიმრობა. ასევე, სასამართლოს მიერ აღკვეთის ღონისძიების მითითებულ სახეებთან ერთად, შეიძლება, განსაზღვრული იქნეს ნებისმიერი სხვა ღონისძიება, რომელიც აუცილებელია აღკვეთის ღონისძიების გამოყენების მიზნების მისაღწევად.

---

# რატომ გამოიპარა ხათუნა ლაგაზიძე სამშობიაროდან და რომელი პრეზიდენტისთვის წერდა ის გამოსვლებს

**(მე-14 გვერდიდან)**

აპარებ! გამოვედით თუ არა იქიდან, მითხრა, ამირანს მოეწონეო; ოზურგეთში ჩასულები არ ვიქნებით, რომ ამაში დარწმუნდებიო. დაახლოებით ათ წუთში რეკავს ამირანი და ლელას ეუბნება - არ დამცინო და, მითხარი, შენი მეგობარი რამდენი წლის არისო. ოცდათხუთმეტი წლისო, – ამან უპასუხა. ვიფიქრე, გამიმართლა, ამაშიც ბედი არ მქონიაო, – უთხრა ამირანმა. ვერ წარმოიდგინა, რომ ეს ოცდაორწლიანი სხვაობა შეიძლებოდა გადალახულიყო. როგორ მომხიბლა, არ ვიცი, ფაქტია, რომ ოქტომბერში დავქორწინდით. გადამწყვეტი იყო მისი უკიდეგანო სიყვარული, რომელიც ან პატარა ასაკში, ახასიათებთ ადამიანებს, ან იმ ასაკში, როდესაც ჩემს მეუღლეს შევუყვარდი. ერთნაირი ვნებაა, როგორც ჩანს, ამ ასაკში – პირველი და უკანასკნელი... ძალიან საინტერესოა ის წლები, რომლებიც ერთად გავატარეთ. 2008 წლის 7 აგვისტოს დაიბადა ანა, რომელსაც მამა „ომიანას" უძახის.

**– უფროსი შვილები როგორ შეხვდნენ მამის ამ გადაწყვეტილებას?**

– ბუნებრივია, მათთვის ეს მძიმე იქნებოდა, თუმცა, სრულიად გულწრფელად შემიძლია, ვთქვა, რომ ჩემი და ამირანის ოჯახის შენარჩუნებაში ძალიან დიდი წვლილი მიუძღვით მის შვილებს – სოფოს და თემურს. ისევე, როგორც ყველა ოჯახმა, ჩვენც გავიარეთ უამრავი კატაკლიზმა და ვნებათაღელვა, რომელთა გადალახვაშიც ამირანის შვილები ძალიან დაგვეხმარნენ.

**– და, გაჩნდა ანა...**

– როდესაც პალატაში ჩემი მეუღლე შემოვიდა, პირველი, რაც მოლოცვის შემდეგ მითხრა იყო – ომი დაიწყოო. ყველაფერი პარალიზებული იყო: იქით – მოწყვეტილი ბიზნესი, აქეთ – ახალნაოპერაციები ცოლი და რამდენიმე საათის დაბადებული შვილი; უფროსი ქალიშვილი შვილებით, რომლის მეუღლეც ომში იყო და იბრძოდა... ძალიან მძიმე დღეები გავიარეთ. სხვათა შორის, დიპლომები მაშინაც არ დამვიწყებია და პალატაში მივატანინე. მაშინაც, შვილთან ერთად, ის იყო ჩემთვის ყველაზე ძვირფასი, დაბომბვის შემთხვევაში, რისი გადარჩენაც მინდოდა. როდესაც რუსები თბილისზე წამოვიდნენ, „ლეჩკომბინატის" ექიმი, დავით დავარაშვილი შემოვიდა და გვითხრა, ვისი სახლში გაშვებაც შეიძლება, უმჯობესია, წავიდნენო, რადგან, მაშინ „ლეჩკომბინატი" მოდულის შენობასთან ახლოს იყო და მოსალოდნელი იყო წერტილოვანი დარტყმები. ღამის 12 საათზე ხუთი დღის ბავშვით ხელში და ღამის პერანგით გამოვედი საავადმყოფოდან. ჩემმა მეზობელმა გოგომ გარისკა ჩვენთვის მოეკითხა და ასე გამოვიქეცით საავადმყოფოდან. შვილის გაჩენის სიხარული წამსვე გადამავიწყა იმ მდგომარეობამ, რომელიც ქვეყანაში იყო. ეს ძალიან მძიმედ მოსაგონარი დღეებია.

**– ოჯახში ხშირად საუბრობთ პოლიტიკაზე?**

– ჩემი მეუღლე საკმაოდ კარგ პოლიტიკურ ანალიზს აკეთებს. ქალისთვის შვილია უდიდესი ბედნიერება, მაგრამ, ამის შემდეგ სწორედ ჩემი მეუღლეა ჩემთვის ყველაზე დიდი შენაძენი. ის ჩემი საუკეთესო მრჩეველი და მეგობარია. მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკასთან შეხება არასდროს ჰქონია, საოცარი პოლიტიკური ალღო და ანალიზის უნარი აქვს. ის ჩემთვის ყველაზე ერთგული და მოუსყიდველი მრჩეველია და ქართველი კაცების იმ იშვიათ კატეგორიას განეკუთვნება, რომელსაც შეუძლია, ცოლის კარიერისთვის ბევრი რამ გაწიროს. ჩემი წარმატებების დიდი წილი მასზე მოდის. მან, ფაქტობრივად, გაწირა ყველაფერი, როდესაც წინასაარჩევნოდ ვბედავდი და აქა-იქ ვჩნდებოდი ჩემი ანალიტიკური გამოსვლებით. ახლა ანას განათლებაში ვდებთ დიდ დროსა და ენერგიას. ანა უკვე სრულყოფილად ლაპარაკობს რუსულად და ინგლისურად. ისე კისკისებს ჩემს ინგლისურ აქცენტზე ***(იცინის)...*** ძალიან დიდი ბედნიერებაა, როდესაც მშობლები ამდენს დებენ შენს აღზრდაში. 5 წლის ვიყავი, როდესაც მშობლები გარდამეცვალა და ამის შემდეგ ბებია და დეიდები მზრდიდნენ. მათი დამსახურებაა ყველაფერი, რასაც მივაღწიე.

**– ანუ, ქალი, შეიძლება, ყველა მიმართულებით წარმატებული იყოს?**

– რა თქმა უნდა და ამაში უდიდესი როლი ეკუთვნის ოჯახს: გარდა იმისა, რომ მე და ჩემი მეუღლე ერთმანეთისთვის ვართ მეუღლეები და მეგობრები, ასევე, ვართ პარტნიორებიც. როდესაც მეუღლე შენი პარტნიორიცაა, ცდილობ, ისიც წარმატებული იყოს – ესაა ჩემი წარმატების საიდუმლო.

ახლა პირველად მიწევს ოჯახის, ანას ამდენი ხნით დატოვება. სამი კვირით მივემგზავრები შტატებში. უნიკალური შანსი მომცა ამერიკის საელჩომ და სახელმწიფო დეპარტამენტმა – ჩავიდე უშიშროების საბჭოში, სახელმწიფო დეპარტამენტში, კონგრესში, სადაც იქნება ძალიან ბევრი და საინტერესო შეხვედრა. შეხვედრები შედგება პოლიტოლოგიისა და დიპლომატიის ისეთ მექებში, როგორებიცაა სტენფორდისა და ჯორჯთაუნის უნივერსიტეტები. ეს არის არაჩვეულებრივი შანსი, რომ ამ არამყარი და ობობას ქსელივით ჩახლართული გეოპოლიტიკური ვითარების არა მხოლოდ გულში, თავშიც ჩაიხედო და სწორი გასაღები მონახო.

**სალომე გველესიანი**

# როგორ უნდა ვიმკურნალოთ „კამელინით“, რომლის უნიკალურმა თვისებებმა დღემდე ბევრ ადამიანს შეუნარჩუნა სიცოცხლე

***რამდენიმე ათეული წლის წინ, ცნობილმა ექიმა და ქირურგმა ძაგული (ბენედიქტე) მაღლაკელიძემ შექმნა უნიკალური პრეპარატი „კამელინი“. ეს იყო სწორედ მაშინ, როცა არ არსებობდა ეფექტური საშუალებები ბაქტერიული და სიმსივნური დაავადებების სამკურნალოდ. სანამ ამ პრეპარატს გამოიგონებდა, ბატონი ძაგული თავის პაციენტებს სუფთა თაფლით მკურნალობდა, რისგანაც შემდეგ უებარი წამალი – „კამელინი“ დაამზადა. პრეპარატის გამოგონებისთანავე დაიწყეს მისი კვლევა სხვადასხვა მიმართულებით. თავიდან შეამოწმეს როგორც ანტიბაქტერიული საშუალება. წამალმა ყველა ბაქტერია გაანადგურა. შემდეგ გადაწყვიტეს მისი სიმსივნის საწინააღმდეგო მოქმედებების შესწავლა თბილისის, მოსკოვის, ლენინგრადის სამეცნიერო-კვლევით და კლინიკურ დაწესებულებებში როგორც ექსპერიმენტული კვლევების, ისე კლინიკური აპრობაციის სახით. დადებითი პასუხების მიღების შემდეგ, დაიწყეს ამ პრეპარატის კლინიკური მოხმარება. მალე „კამელინი“ მსოფლიოს წამყვანი სამეცნიერო და კლინიკური ცენტრების გამორჩეული ინტერესის ობიექტი გახდა, რაც ახლაც გრძელდება. ამ პრეპარატის კვლევისა და მათ ქვეყანაში დარეგისტრირების მსურველთა რიცხვი დღითი დღე იზრდება. წლების წინ კი „კამელინის“ სიმსივნეზე ზემოქმედების მექანიზმი შეისწავლეს კანადისა და ამერიკის შეერთებული შტატების სამეცნიერო ცენტრებში. საცდელად აიღეს ადამიანის ფილტვისა და სწორი ნაწლავის კიბოს უჯრედები; ასევე, გამოიყენეს კიბოთი ხელოვნურად დაავადებული თეთრი თაგვები. კვლევებით დადგინა, რომ „კამელინს“ აქვს ორმაგი მოქმედება: ის კიბოთი დაავადებულ თაგვებში მკვეთრად ზრდის ეგრეთ წოდებულ „სიმსივნის ნეკროზის ფაქტორს“ (სიმსივნის უჯრედების სიკვდილს) და სხვა მნიშვნელოვანი ციტოკენების (იმუნურ სისტემაში ჩართული ნივთიერებების) რაოდენობას და ამით ორგანიზმს უადვილებს, დაძლიოს სიმსივნით გამოწვეული პრობლემები. ამასთანვე, ის უშუალოდ თრგუნავს კიბოს უჯრედებს და დროის გარკვეულ მონაკვეთში ახდენს მათ სრულ განადგურებას, ანუ, „კამელინის“ მოლეკულები თავისით „პოულობენ“ სიმსივნურ უჯრედებს და პირდაპირი ზემოქმედებით ახდენენ მათ განადგურებას.***

**კობა გურიელიძე** ***(კომპანია „კამელინის“ აღმასრულებელი დირექტორი და სამეცნიერო პროექტების ხელმძღვანელი, ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი):*** მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე მედიცინაში გაჩნდა დიაგნოსტიკური მეთოდები, რომლებიც საშუალებას იძლევა, კიბოს განვითარების ადრეული ეტაპი იყოს დაფიქსირებული, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, საქართველოში ერთხელ და სამუდამოდ ისწავლონ, რომ ყველაზე უტყუარი მეთოდი კიბოს საწინააღმდეგოდ არის მისი პროფილაქტიკა – სწორი და ხარისხიანი კვება. ცნობილია მეტად საჭირო ნივთიერებების შემცველი მრავალი პროდუქტი (მცენარეული თუ ცხოველური), რომლებიც ხელს უწყობენ ადამიანის იმუნიტეტის გაჯანსაღებას, მაგრამ, ეს არ არის საკმარისი. ამიტომ, სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერებმა შექმნეს პრეპარატები, რომლებიც მკვეთრად ზრდიან იმუნური სისტემის ეფექტურ მოქმედებას და, შედეგად, კიბოს წარმოქმნის ალბათობაც მინიმალურ დონეზეა დასული. ამ პრეპარატებს იმუნომოდულატორები ეწოდება. სწორედ ასეთ შესანიშნავ იმუნომოდულატორს წარმოადგენს პრეპარატი „კამელინი“.

დღეს ონკოლოგების გარკვეული ნაწილი უკვე ღიად საუბრობს „კამელინ მ 1-ისა“ და „კამელინ მ 2-ის“ გამოყენებით მიღებულ იმ შედეგებზე, რომელიც მიღწეული იყო სხვადასხვა სიმსივნის, უმძიმესი დიაგნოზის (მე-4 სტადიის) მქონე პაციენტებში. შედეგი ასეთია: ზოგადი მდგომარეობის საგრძნობი გაუმჯობესება, ნარკოტიკული საშუალებების შემცირება, რიგ შემთხვევებში – დროებით მოხსნა, სიცოცხლის ხარისხის გაუმჯობესება და გახანგრძლივება, მადისა და ენერგიის მატება, დეპრესიული ფონის მოხსნა, მეტასტაზური სიმსივნის რეგრესი. გარდა ამისა, „კამელინი“ ეფექტურად გამოიყენება სხვადასხვა დაავადების სამკურნალოდაც, არის კარგი იმუნომოდულატორი, აქვს ტკივილგამაყუჩებელი ეფექტი, აფერხებს სიმსივნური უჯრედების ზრდას, აღადგენს დაზიანებულ უჯრედებს, მათ შორის – ღვიძლის უჯრედებს, ხელს უწყობს ჭრილობის ძალიან მალე შეხორცებას. კარგია „კამელინის“ მალამოს გამოყენება დამწვრობის დროს. მისი, როგორც იმუნომოდულატორის გამოყენება ძალიან კარგია არა მარტო სიმსივნური დაავადების მიმდინარეობისას, არამედ, მისი თავიდან აცილების მიზნითაც. ანუ, კიბოს საწყისი ეტაპის „გამოპარვის” შემთხვევაში, „კამელინი“ ძალიან კარგად მოქმედებს ავადმყოფზე და იწვევს მისი მომავალი განვითარების შეფერხებას. შესაბამისად, მისი გამოყენება სიმსივნის დასაწყის სტადიებში დიდი ეფექტურობით გამოირჩევა. ასევე, ეფექტურია „კამელინის“ გამოყენება ოპერაციის შემდგომ პერიოდში, ჭრილობების შეხორცების, ორგანიზმის ზოგადი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. კარგია „კამელინის“ გამოყენება ვაგინალური ინფექციების, მათ შორის – ბაქტერიული, ვირუსული, სოკოვანი გენეზისის, საშვილოსნოს ანთებითი დაავადებების, საშვილოსნოს ყელის ეროზიების სამკურნალოდ; ასევე, პროქტატების, სწორი ნაწლავების ნახეთქების, ჰემორეის დროს.



**კ.ნ.** ***(პაციენტი 65 წლის):*** დაახლოებით ერთი წლის წინ დამისვეს ფილტვის კიბოს დიანოზი, მეოთხე სტადია. ხომ წარმოგიდგენიათ, როგორ მდგომარეობაში ვიქნებოდი. საშინლად დასუსტებული, უიმედოდ, არც ძალა მქონდა და არც გადარჩენის იმედი. როგორც მერე მითხრეს, სუნთქვაც შესუსტებული მქონია და ძლიერ ტკივილებსაც განვიცდიდი. როგორც კი შეიტყო ჩემმა შვილმა „კამელინის“ შესახებ, მაშინვე დამიწყო ექიმების გარეშე მისი გაკეთება. წამალი ცოტა მწარე იყო, მაგრამ, იმ ტკივილებთან შედარებით, რასაც განვიცდიდი, ახლოსაც არ მოვიდოდა. ჩავიტარე მკურნალობის 5 კურსი, თავისი შესვენებებით. მდგომარეობა თანდათან გამიუმჯობესდა: ტკივილები მომეხსნა, თავისუფლად ვმოძრაობ, ძალაც მომემატა და ჭამის მადაც და, როგორც ხედავთ, საუბრის სურვილიც გამიჩნდა.

**კ.კ.** ***(პაციენტი, 74 წლის):*** დაუდგინდა ფილტვის კიბო, მეტასტაზებით ძვალში, მეოთხე სტადია. იყო უმძიმეს მდგომარეობაში: ჰქონდა სუნთქვის უკმარისობა, აწუხებდა ძლიერი ტკივილები, სისუსტე, მოძრაობა – შეზღუდული. ჩაიტარა „კამელინით“ მკურნალობის 5 კურსი. მდგომარეობა გაუუმჯობესდა. ტკივილები მოეხსნა.

**ლ.ჭ** ***(პაციენტი)*** – დიაგნოზი: საშვილოსნოს ყელის წყლული. 15 წლის განმავლობაში მკურნალობდა სხვადასხვა მედიკამენტით, რის გამოც განუვითარდა მედიკამენტოზური ინტოქსიკაცია. 6 თვის განმავლობაში იმკურნალა „კამელინით“. ინტოქსიკაციური სიმპტომები მალევე მოეხსნა, ამიტომ, გადაწყვიტა, გაეგრძელებინა მკურნალობა. გინეკოლოგთან გამოკვლევების ჩატარების შემდეგ აღმოჩნდა, რომ წყლული შეუხორცდა.

**ლ.მ.** ***(პაციენტი 45 წლის):*** ბუასილი მქონდა და ძალინ დიდი ტკივილებს განვიცდიდი. როდესაც შევიტყვე, რომ ძალიან კარგი იყო „კამელინის“ გამოყენება, ვიყიდე სანთლები და დავიწყე მკურნალობა. ჩავიტარე მკურნალობის კურსი და სრულიად გამოვჯანმრთელდი.

**თ. ლ.** ***(პაციენტი, 55 წლის):*** რამდენიმე წლის წინ, მოულოდნელად, თავი შეუძლოდ ვიგრძენი, დამეწყო სისუსტე და თავის საშინელი ტკივილები. არანაირი ტკივილგამაყუჩებელი საშუალება არ მიჩერებდა აუტანელ ტკივილებს. ორჯერ გონებაც დავკარგე. ოჯახის წევრებმა საავადმყოფოში გამოკვლევები ჩამიტარეს. როგორც შემდეგ მითხრეს (როცა უკვე უკეთ ვგრძნობდი თავს, თავიდან კი დამიმალეს), აღმომაჩნდა სარკომა, რაც იწვევდა თავის ტკივილებს, სისუსტეს, უძილობას. მოკლედ, ვგრძნობდი, თანდათანობით როგორ უარესდებოდა ჩემი მდგომარეობა. ოჯახის წევრებმა სად არ წამიყვანეს და რა პრეპარატი არ გამიკეთეს, მაგრამ, არაფერი მშველოდა. ცოტა ხანში ლაპარაკი და საწოლიდან ადგომაც გამიჭირდა. ერთ დღესაც, ჩემს სანახავად ნათესავი მოვიდა. მას ადრე საშვილოსნოს სიმსივნე აწუხებდა და ჩემს შვილს ურჩია, ჩემთვის „კამელინის“ ნემსები გაეკეთებინათ, რადგან ის თავის დროზე ამით მკურნალობდა. დამიწყეს „კამელინით“ მკურნალობა. სიმართლე გითხრათ, ცოტა მწარე ნემსია, მაგრამ, გავუძელი. 5 ნემსის გაკეთებისთანავე თავი უკეთესად ვიგრძენი, ხალისი დამიბრუნდა და საჭმელიც მოვითხოვე. ერთი კურსის შემდეგ სიარულიც შევძელი. უკვე რამდენიმე კურსი ჩავიტარე და აღარც ტკივილები მაწუხებს, აღარც სისუსტე. როგორც მითხრეს, სარკომა საკმაოდ დაპატარავდა. იმედია, აღარასოდეს შემაწუხებს.

***P.S. ვისაც გაქვთ „კამელინთან“ დაკავშირებული შეკითხვები, გსურთ კონსულტაცია ან დამატებითი ინფორმაციის მიღება ქართული წარმოების პრეპარატთან დაკავშირებით, შეგიძლიათ, დარეკოთ ტელეფონის ნომრებზე: 599 33-10-89; 599 58-09-07; 599 23-03-33; 2-98-57-78; 2-71-04-80; 2-22-26-68; 2-93-20-87.***

**ნათია უტიაშვილი**

**–ექსკლუზივი: ჩვენი სიმართლის რეპორტაჟი–**

# ექსკლუზივი: ჩვენი სიმართლის რეპორტაჟი „როდესაც ვთქვი, რომ ზედმეტ წონას დავიკლებდი, ჩემმა დაქალებმა კარგად იხალისეს...“

## ... მაგრამ დღეს მათ შურთ ჩემი ახალი სილუეტის!

გაეცანით ანას ისტორიას, რომელიც გვიმხელს, თუ როგორ შეძლო ზედმეტი კილოგრამების დაკლება 2 თვეში და ყველას გაოცება მოახერხა!







**ერთი წლის წინ ვიწონიდი 160 კგ (სიმაღლე 1.70 მ). მინდა გითხრათ, რომ ძალიან მაწუხებდა ჩემი სხეული.**
ისევე როგორც ჩემ მდგომარეობაში მყოფმა ბევრმა ადამიანმა, მეც ბევრი რამ ვცადე გასახდომად. ყველაფრის ჩამოთვლას არ დავიწყებ, მაგრამ ერთი რამ ცხადია: ეს ყველაფერი კარგი ფული დამიჯდა. მაგრამ არაფერი არ გამოდიოდა და უფრო და უფრო უიმედობა მეუფლებოდა.
აკვიატებული მქონდა ჩემი წონა და ამის გამო უფრო მეტად ვსუქდებოდი. ყველაზე მკაცრი დიეტებითაც კი ერთ გრამსაც ვერ ვიკლებდი, თითქოს ერთი ჭიქა წყალიც კი მასუქებდა! აღარ ვიცოდი რა მექნა. ის იყო ხელი ჩავიქნიე და შევეგუე იმ აზრს, რომ მუდამ მსუქანი ვიქნებოდი, რომ...

**... აღმოვაჩინე „რაღაც“, რამაც საბოლოოდ დამაკლებინა**
შვილთან ერთად ექიმის მისაღებში ვათვალიერებდი სამედიცინო ჟურნალს, სადაც ვნახე სტატია გახდომის სფეროში შვეიცარიის ლაბორატორიის ახალ აღმოჩენასთან დაკავშირებით. ცნობისმოყვარეობის გამო დავიწყე კითხვა. როდესაც კითხვას მოვრჩი, მივხვდი, რომ სწორედ ეს იყო ჩემი ჭარბი წონის პრობლემის მოგვარების გზა. მტკიცე გადაწყვეტილებით, რომ იმ დღესვე ვიყიდდი, ჩავიწერე მისამართი, სადაც SlimNature (სლიმნეიჩარის) ყიდვა შეიძლებოდა.

**ამის თაობაზე ველაპარაკე ჩემს ექიმს.**
მან დამიდასტურა, რომ დღეს ეს ყველაზე უტყუარი გასახდომი საშუალებაა, რომელმაც თავი დაიმკვიდრა ამ სფეროში. რევოლუციური ისაა, რომ ხილის მჟავაზე სპეციფიკური წყალმცენარის დამატებით აქტიური აგენტების ეფექტურობა გაათმაგებულია. შედეგად თქვენი ორგანიზმის ნაგროვები ცხიმი ლოკალიზებულია და ძირეულად და საბოლოოდ შეუბრალებლად არის დამწვარი, ამავდროულად, საკვების შაქარი და ცხიმი, რომლებიც უსარგებლოა თქვენი ორგანიზმისთვის, განეიტრალდებიან ჩანაცვლებითი კალორიებით, წყალმცენარე ქლორელას საშუალებით, რომელიც SlimNature-ს შემადგენლობაშია. რამდენიმე სპეციალიზებულმა ჟურნალმა უკვე მიულოცა ლაბორატორიას, რომელიც აწარმოებს SlimNature-ს ეს მნიშვნელოვანი აღმოჩენა, რომელიც ხელს უწყობს სიმსუქნის წინააღმდეგ ბრძოლას.

**პირველივე დღეებში დავიკელი 2 კგ!**
როდესაც SlimNature-ის მიღება დავიწყე, ვერც კი წარმომედგინა, რომ უკვე ახალგაზრდობის წონის დასაბრუნებლად დროის ათვლა დაიწყო... თანაც იმ დღეს ჩემი გოგოს დაბადების დღე იყო და დიდი შოკოლადის ტორტი გავაკეთე. როგორც ყველამ, მეც ვჭამე ტორტი, რადგანაც კარგად არის განმარტებული, რომ თავი არ უნდა შემეზღუდა და დიეტა არ უნდა დამეცვა.
მეორე დღეს გულაჩქარებული შევდექი სასწორზე. და აი, საოცრება – 5 კგ მქონდა დაკლებული! თვალებს არ ვუჯერებდი!

**ერთ კვირაში უკვე 7 კგ.**
შემდეგ დღეებში, ვკარგავდი საშუალოდ 1 კგ-ს დღეში. როდესაც სარკეში ვიხედებოდი, განსხვავება შესამჩნევი იყო. თვალის დახამხამებაში ვდნებოდი, ეს შთამბეჭდავი იყო!
პირველი კვირის ბოლოს დავიკელი 7 კგ და უფრო მოტივირებული ვიყავი, რომ წარმატებისათვის მიმეღწია.

**მხოლოდ 2 თვეში მე დავიკელი 43 კგ!**
შემდეგ ყველაფერი ისე წარიმართა, როგორც სიზმარში. ეს მართლაც ძალიან იოლი იყო. მე მხოლოდ SlimNature-ის კაფსულებს ვსვამდი და რეგულარულად ვიკლებდი კვირაში 5 კგ-ს.
ნელ-ნელა ვხედავდი, თუ როგორ გარდაიქმნებოდა ჩემი უფორმო სხეული ჩემს საოცნებო სილუეტად.

**ჩემი მეუღლე გაოგნებული იყო სწრაფი შედეგით!**
როდესაც სასწორი საბოლოოდ 65 კგ-ზე გაჩერდა, ბედნიერების ზენიტში ვიყავი! მე მოვახერხე 43 კგ-ის დაკლება! 54 ზომიდან გადავედი 40 ზომაზე! რა ბედნიერი ვიყავი! მე მქონდა ლამაზი, ბრტყელი და მკვრივი მუცელი, არანაირი ცელულიტი, არამედ სრიალა და მკვრივი ბარძაყები, თეძოებზე ქონი გამიქრა, ხოლო მუხლები და მკლავები დაიხვეწა. როდესაც ჩემმა მეუღლემ ნახა, რომ ისეთი გამხდარი ვიყავი, როგორც ქორწინებამდე, მითხრა, რომ ჩემით ამაყობდა. ეს ჩემთვის საუკეთესო კომპლიმენტი იყო.

**ახლა ჩემი ჯერია, ვიხალისო...**
ჩემი დაქალები გაოგნდნენ ჩემი ახალი სილუეტის ნახვით. ზოგიერთმა ჩემი საიდუმლოს გამხელა მთხოვა და მე მათ ვუთხარი, როგორ შევძელი 43 კგ-ის დაკლება ასე მცირე დროში, ყველანაირი ძალისხმევის, შიმშილისა და დაღლის გარეშე. მათ თვითონაც სცადეს SlimNature და თითქმის ყველა გახდა.

**მას შემდეგ აღარ გავსუქებულვარ.**
დღეს უკვე ამ უცნაური გამოცდილების მე-15 თვეა და ერთი გრამითაც არ მომიმატებია. მე არ მჭირდება, თვალყური ვადევნო ჩემს კვებას და შემიძლია რაც მინდა ის გავაკეთო. უკვე აღარ მაწუხებს ზედმეტი წონა.

**ჩემი რეალური ისტორია ამტკიცებს Slimnature-ის ეფექტურობას.**
მთელი გულით მინდა, რომ ყველა ქალმა, ვისაც გახდომა უნდა, დაიბრუნოს მომხიბლავი და გამხდარი სილუეტი. სწორედ ამიტომაც დავთანხმდი, რომ ჩემი ისტორია გამოქვეყნებულიყო პრესაში. ყოფილი მსუქნისგან ეს წარმატების ყველაზე მეტი მტკიცებულებაა! ამგვარად, ვინც ჭარბი წონით იტანჯება და ვისაც უკვე აღარაფრის არ სჯერა, ვურჩევ, გამოცადოს Slimnature. ნახავთ, რომ ეს იოლი და ეფექტურია.

ანა

**SlimNature (სლიმნეიჩარი) – ით გარანტირებული შედეგები**

- კუჭი: -14 – 17 სმ
- ზომა: 12 – 18 სმ
- თეძოები: 9 – 16 სმ
- საჯდომი: 12 – 19 სმ
- ბარძაყები: 7 – 15 სმ

www.slimnature.net

# გახდომა: კიდევ 650 ადამიანს ვეძებთ, ვისაც სურს სწრაფად გახდომა!



ნუტრიციოლოგი, ლაბორატორიის ხელმძღვანელი, სპეციალისტ-დიეტოლოგი ს.პოფბაუერი

**<u>მნიშვნელოვანია:</u> ეს აქცია ეხება იმათ, ვისაც სულ ცოტა 5კგ აქვს დასაკლები.**
ანას ისტორიამ, რომელიც წაიკითხეთ, ალბათ გაგაოცათ. მაგრამ ეს ცალკეული შემთხვევა არაა, პირიქით. ამ ახალი აღმოჩენის წყალობით 2894 ადამიანმა შეძლო დაკლება და ჯამში მათ დაიკლეს 37900კგ! და ამიტომაც დარწმუნებულები ვართ, რომ თქვენც დაიკლებთ SlimNature-ის მეშვეობით.

**რატომ გინდათ გახდომა?**
ამაზე გვიფიქრია? იფიქრეთ იმაზე, რის გაკეთებას შეძლებთ, იმაზე როგორი თვალით შეხედავთ ყველაფერს ზედმეტი კილოგრამების შემდეგ. ნამდვილად გინდათ გახდომა? და თანაც მარტივად? გინდათ დაიბრუნოთ ლამაზი ეფექტური და სექსუალური სილუეტი? ჩაიცვათ ისე, როგორც გსურთ?

**თუ თქვენი პასუხია კი...**
**წაიკითხეთ როგორ დაიკლოთ რისკის გარეშე**
კიდევ ერთხელ გიმეორებთ, რომ სულ ცოტა 5 კგ მაინც უნდა გქონდეთ დასაკლები. თუ ეს ასეა, მაშ დღესვე იმოქმედეთ **და ისარგებლეთ ჩვენი 30%** სპეცშემოთავაზებით, რომელიც განკუთვნილია ამ ჟურნალის მკითხველისათვის. რათა იყოთ შერჩეული გამოიყენეთ შანსი და დარეგისტრირდით www.slimnature.net ან დაგვიკავშირდით ტელ: 2244 024; 2244 025.

SlimNature გაგახდუნებთ იმ შემთხვევაშიც, თუ აქამდე არაფერმა არ გაჭრა. მისი კალორიების ჩანაცვლებითი მოქმედებ-





ით თქვენი საკვები აღარ გადაიქცევა ცხიმების მარაგად, არამედ თქვენი სხეული უბრალოდ გამოყოფს იმას, რაც მას არ სჭირდება. SlimNature არის 100 % ნატურალური პროდუქტი, ყველანაირი გვერდითი მოვლენების გარეშე. წონას კარგავთ ბუნებრივად, დიეტისა და იმედგაცრუების გარეშე.

▪ ამიტომაც, თქვენს ინტერესებში შედის, რომ აღარ იყოყმანოთ და რამდენიმე კვირაში დაიბრუნოთ საოცნებო სილუეტი რათა იყოთ შერჩეული გამოიყენეთ შანსი და დარეგისტრირდით www.slimnature.net ან დაგვიკავშირდით ტელ: 2244 024; 2244 025.

**რა ღირს დაკლება Slimnature-ით?**
თქვენ ალბათ ფიქრობთ, რომ ასეთი მნიშვნელოვანი აღმოჩენა ძვირი იქნება. მაგრამ დამშვიდდით, ეს ასე არაა. SlimNature ისეთივე ეფექტურია, როგორიც ქირურგიული ლიპოსაქცია, მაგრამ მისი ფასი ამგვარი ჩარევის მეათედიც არაა. ჩვენ მხოლოდ ის გვინდა, რომ თქვენ შეძლოთ გახდომა ისე, რომ ფულმა დაბრკოლება არ შეგიქმნათ. ამიტომაც, ჩვენ ტესტირების გარანტიის გარდა გთავაზობთ მნიშვნელოვან 30%-იან ფასდაკლებას Slimnature პაკეტის ყიდვისას, რომელსაც აირჩევთ ქვემოთ მოცემულ კუპონზე.
მაშასადამე, არ დაგავიწყდეთ, რომ თქვენ იხდით მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ 100 % კმაყოფილი ხართ მიღებული შედეგებით. თქვენი გადასაწყვეტია.

**მნიშვნელოვანია!!**
თუ თქვენ ძალიან სწრაფად ხდებით (იკლებთ 7 კილოზე მეტს კვირაში) გირჩევთ, შეწყვიტოთ SlimNature-ის მიღება 2 დღის განმავლობაში და შემდეგ გააგრძელოთ მანამდე, სანამ არ მიაღწევთ სასურველ წონას.

www.slimnature.net

## Slimnature (სლიმნეიჩარი) = კილოობით ხილს + ქლორელა კონცენტრირებული ერთ კაფსულაში







SlimNature ძირითადად დამზადებულია ტროპიკული ხილის მჟავებისაგან (AHA), რომლის გასახდომი ეფექტურობა საეჭვო აღარაა. რევოლუციური ისაა, რომ ხილის მჟავაზე სპეციფიკური წყალმცენარის დამატებით აქტიური აგენტების ეფექტურობა გაათმაგებულია. შედეგად თქვენი ორგანიზმის ნაგროვები ცხიმი ლოკალიზებულია და ძირეულად და საბოლოოდ შეუბრალებლად არის დამწვარი.

**კალორიებით ჩანაცვლებითი მოქმედებით.**

საკვების შაქარი და ცხიმი, რომლებიც უსარგებლოა თქვენი ორგანიზმისთვის, განეიტრალდებიან, წყალმცენარე ქლორელას საშუალებით, რომელიც SlimNature-ის შემადგენლობაშია. მაშასადამე შემდგომში თქვენ აღარ გასუქდებით. ეს უდავოდაა დამტკიცებული.
ქლორელა ცხიმებისა და ტოქსინების ნამდვილი შთანმთქავია, მდიდარია მინერალებითა და მიკროელემენტებით (იგი შეიცავს 17 ვიტამინს და მინერალს, 18 ამინმჟავას და ვიტამინ B12). იგი აძლიერებს, ხელს უწყობს ორგანიზმის რემინერალიზაციას და დეტოქსიკაციას. აბალანსებს ორგანიზმს.
ციტრუსის Aurantium სამმაგად მოქმედებს ცხიმების გამოდევნასა და მათ წვაზე და ამავდროულად ზრდის თერმოგენეზს, რომელიც არის გახდომის გამომწვევი ბუნებრივი პროცესი.

**სანახაობრივი შედეგები.**

SlimNature-ის კოქტეილის გასახდომი ეფექტი მაშინვე შესამჩნევია:
1. ცელულიტი ქრება და თქვენი კანი ნაზი და სრიალა ხდება.
2. თქვენი მუცელი კვლავ ბრტყელი და მკვრივია პირველი დღეებიდანვე.
3. თქვენი სილუეტი მთლიანად ტრანსფორმირდება და იღებს ლამაზ ფორმებს, კარგავთ სანტიმეტრებს იქ, სადაც საჭიროა.
4. Slimnature ხელს უშლის ახალი ცხიმების დაგროვებას, მაშასადამე, შემდგომშიც ინარჩუნებთ სასურველ წონას.
5. შედეგები გარანტირებული და მდგრადია. ნელ-ნელა ეს პრეპარატი მთლიანად აწესრიგებს ნივთიერებათა ცვლას.
ისარგებლეთ ჩვენი 30 %-იანი შემოთავაზებით!
დიახ! ამ ჟურნალის ყველა მკითხველს ჩვენ ვთავაზობთ სპეციალურ 30 %-იან ფასდაკლებას SlimNature–ის ოფიციალურ ფასზე. რათა იყოთ შერჩეული გამოიყენეთ შანსი და დარეგისტრირდით www.slimnature.net ან დაგვიკავშირდით ტელ: 2244 024; 2244 025.

**ისარგებლეთ ჩვენი 30 %-იანი შემოთავაზებით !**
**დიახ! ამ ჟურნალის ყველა მკითხველს ჩვენ ვთავაზობთ სპეციალურ 30 %-იან ფასდაკლებას SlimNature (სლიმნეიჩარი) - ის ოფიციალურ ფასზე.**

## გარანტიით გახდომის კუპონი

**დიახ,** მეც მინდა დავიკლო ჭარბი წონა SlimNature-ის მეშვეობით. თქვენი გარანტიით და - 30% ფასდაკლებით კმაყოფილი დარჩებით:
☐ SlimNature (სლიმნეიჩარი) N1, 6 კგ-მდე დასაკლებად 59ლ (ნაცვლად 85ლ)
☐ SlimNature (სლიმნეიჩარი) N2, 7 დან 12 კგ-მდე დასაკლებად 89ლ (ნაცვლად 127ლ)
☐ SlimNature (სლიმნეიჩარი) N3, 13 დან 18 კგ-მდე დასაკლებად 129ლ (ნაცვლად 185ლ)
☐ SlimNature (სლიმნეიჩარი) N4, 18 კგ-ზე მეტის დასაკლებად, 149ლ (ნაცვლად 215ლ) რომ მიიღოთ სლიმნეიჩარის კაფსულები, ესტუმრეთ ჩვენს ვებ გვერდს ან დაგვიკავშირდით www.slimnature.net (ჩვენ ამ კვირაში ვმუშაობთ: 9სთ-დან 21სთ-მდე შაბათ-კვირის ჩათვლით) 2244 024; 2244 025
იჩქარეთ ! პირველი 100 შეკვეთა მიწოდებული იქნება სრულიად უფასოდ. ჩვენი ექსპრეს სერვისით. ასევე შეგიძლიათ ადგილზე შეიძინოთ SlimNature შემდეგ მისამართზე:

პეკინის ქ. 34, მესამე სართული, თბილისი 0172

# ყველა კაცი ღალატობს თუ არა ცოლს და როგორია მამაკაცური ლოგიკა

**ხშირად საუბრობენ ქალების მდგომარეობაზე, როცა მათ ქმრები ღალატობენ... რას განიცდიან ისინი, რას გრძნობენ, რა ამოძრავებთ, როცა აპატიებენ მეუღლეებს ღალატს და მიდიან ისეთ დათმობაზე, რაც მათ ფსიქოლოგიურად და მორალურად ანადგურებს? პროგრესი თითქოს უკეთესობისკენ ცვლის ადამიანებსაც და ურთიერთობებსაც, მაგრამ, მამაკაცების უმრავლესობას თავი ქუდში აქვს – მათ იციან, რომ ღალატს მაინც აპატიებენ, თუმცა, მაინც გრძნობენ სინდისის ქენჯნას, დგებიან გულახდილობის გუნებაზე და ამით სერიოზულ პრობლემებსაც იქმნიან...**



**ზურა** *(44 წლის):* კაცები არ ლაპარაკობენ ასეთ თემებზე. ეს არც კომპლექსია და არც ამპარტავნება. უბრალოდ, კაცები თავიდანვე განწირულები ვართ საზოგადოების მხრიდან გულგრილობისთვის. ჩვენ ხომ ნებისმიერ შემთხვევაში დამნაშავეები ვართ. „ყველა კაცი ღალატობს ცოლს!" – აი, ამ იარლიყზე გელაპარაკებით.

**– ვფიქრობ, თქვენ მაგ იარლიყით მშვენივრად სარგებლობთ.**

– დაახლოებით ვხვდები, რასაც გულისხმობთ. მთლად ეგრეც არ არის საქმე, ღალატი არ არის ყველა კაცის იდეაფიქსი.

**– ანუ, ყველა კაცი არ ღალატობს ცოლს? ამისი თქმა გინდათ?**

– ყველა კაცის მაგივრად მე როგორ ვილაპარაკო, მაგრამ, დამიჯერეთ, უმრავლესობა მერე ნანობს, რომ ცოლს უღალატა.

**– ვერაფერი შეღავათია ცოლებისთვის.**

– გეთანხმებით, მაგრამ, ცხოვრება მოულოდნელობებით არის სავსე. ყველაფერი ხდება. მე ვცდილობ, ქალებისაც გავიგო, ანუ, ჩემს ცოლს გავუგო. უმძიმესია, როცა ის ადამიანი გატკენს გულს, რომელიც ძალიან გიყვარს. ამბობენ, ოჯახი ურთიერთნდობაზე იგებაო, მაგრამ, მე უამრავი ოჯახი ვიცი, სადაც ერთმანეთს საერთოდ არ ენდობა ცოლ-ქმარი. ლამის ფარული კამერა დაუყენოს ცოლმა ქმარს, ქმარმა კი კერძო დეტექტივი დაიქირაოს.

**– მერე, ეს ნორმალურია?**

– არ არის ნორმალური, მაგრამ, საკუთარ თავს ბოლომდე ვერ ენდობი. არც ბოლომდე გახსნა და გაშიფვრაა კეთილგონივრული. ზომიერება ნდობაშიც საჭიროა. სამწუხაროდ, ძალიან გვიან მივხვდი იმას, რომ ზოგჯერ დუმილი მართლაც საჭიროა და აუცილებლად უნდა დააჭირო ენას კბილი. ყველაფერი ცოლს კი არა, საკუთარ თავს არ უნდა მოუყვე სარკეში.

**– რა თქმა უნდა, ცოლს არ უნდა მოუყვე, რომ ნაშებში „იგრიალე".**

– რა სისულელეა, ამას არც ვგულისხმობდი. უბრალოდ, მეგონა, რომ ოჯახის წევრებს შორის გულახდილობა ყოველთვის იგებს, მაგრამ, არ ყოფილა ასე. გეუბნებით, დროულად ვერ დავაჭირე ენას კბილი.

## კაცების უმრავლესობა მერე ნანობს, რომ ცოლს უღალატა

**– რომ დაგეჭირათ, ღალატიც შეგრჩებოდათ – ეს გაწუხებთ?**

– არა. საქმე შერჩენა-არშერჩენაში არ არის. მე მართლა ძალიან მაწუხებს ჩემს ოჯახში არსებული სიტუაცია, ძალიან მწვავედ არის ყველაფერი.

**– გრძნობები, ემოციები, შეხედულებები ხომ უნდა გაუზიარო მეუღლეს?**

– აუცილებლად, ამაზე ორი აზრი არ არის, მაგრამ, ზედმეტი არაფერივარგა. თუმცა, პრობლემა მაინც ისაა, რომ მე სიყვარულის, იმ დამაკავშირებელი ძაფების მჯეროდა, რომელიც ყველა ცოლ-ქმარს შორის უნდა არსებობდეს. იცით, რისი მჯეროდა? თუ მე ვიქნებოდი ბოლომდე გულწრფელი, ცოლი ყველაფერს გამიგებდა და მაპატიებდა. ეს შეცდომა იყო. მართალია, სიყვარული პატიებას თავისთავად მოიაზრებს, მაგრამ... ხომ ბუნებრივია, როცა ადამიანი გიყვარს, როგორ შეიძლება, მას შეცდომა არ აპატიო, მით უმეტეს, გულწრფელად და ალალად მონანიებული?!

სიტუაცია საკმაოდ ბანალურია – მე ცოლს ვუღალატე. თავს არ დავდებ იმაზე, რომ ძალიან მაგარი ტიპი ვარ და, რაც დამემართა, ჩემგან აბსოლუტურად დამოუკიდებლად მოხდა. დავაშავე, ოღონდ, ძალიანაც ნუ განმსჯით, ანათემას ნუ გადამცემთ. ვაღიაროთ, რომ ადამიანები არაფრისგან არ ვართ დაზღვეულები, მით უმეტეს – უნებისყოფო მამაკაცები.

**– აღიარებთ, რომ მამაკაცები უნებისყოფოები ხართ?**

– ვაღიარებ. ქალებიც არიან უნებისყოფოები, მაგრამ, ქალს შინაგანი ცენზურის მექანიზმი ბევრად უფრო გააქტიურებული აქვს, ყოველ შემთხვევაში, უმრავლესობას. მე არ ვამტკიცებ, რომ ეს ასეც უნდა იყოს და კაცებს ნაკლები პასუხისმგებლობა გვაკისრია, მაგრამ, ცხოვრება რეალობაა და არა მოსაზრებები. რამდენიც არ უნდა ვილაპარაკოთ, ხდება ის, რაც ხდება – ფაქტებს ვერსად წაუხვალ. სტატისტიკის მიხედვითაც, კაცები უფრო მოღალატეები გამოვდივართ, ან, ჩვენ უფრო ხშირად „გვიბაზრდება" ეს ამბავი, ვიდრე ქალებს. რაც მე დამემართა, უამრავ კაცს შეიძლება დაემართოს და დამართნია კიდეც. ლამაზი, ახალგაზრდა ქალი თავისით რომ ჩამოგეკიდება კისერზე, მოდი და თქვი უარი. როგორია თავის შეკავება?!

**– გინდათ, სხვას გადააბრალოთ საკუთარი დანაშაული?**

– არავითარ შემთხვევაში, ამისთვის არ მითქვამს. გადაბრალებით რას მივაღწევ ან რას შევცვლი? მე ჩემს ოჯახში არსებული სიტუაცია მაწუხებს და მადარდებს, იმას რა უნდოდა და რა რატომ გააკეთა, ეს ნაკლებად მაინტერესებს. გეუბნებით, როგორ ძალიანაც არ უნდა უყვარდეს კაცს ცოლი, სხვა ქალი ყელზე რომ ეხუტება და ინტიმური ხმით სექსუალურად ჩასჩურჩულებს რაღაცეებს, ანუ ლამის პირდაპირ ეუბნება, ყველაფერზე თანახმა ვარ, წავიდეთ ჩემთანო, უარს ვერ ეტყვის, დამიჯერეთ. სიყვარული სხვა რამეა, ასეთი შემთხვევითი „გადახვევები" – სხვა.

**– ძალიან ცდებით. ზუსტად ასე შეუძლია ქალსაც, თავი იმართლოს, მაგრამ, მეეჭვება, რომელიმე ქმარმა გაიგოს და აპატიოს.**

– არიან ქმრები, რომლებიც იგებენ და აპატიებენ კიდეც. ჩემთვის ის შემთხვევა ძალიან არაფრისმთქმელი იყო, უფრო „ტონუსის ამაღლებას" დავარქმევდი. ვიცი, რომ თქვენ ჩემი ნათქვამი გაღიზიანებთ, მაგრამ, მინდა, სულ ცოტათი მაინც შეხვიდეთ ჩემს მდგომარეობაშიც.

**– ანუ, ქალს უარი ვერ უთხარით, ვერ გაანაწყენეთ... ეს უნდა გავიგო?**

– კაცი რომ იყოთ, უფრო გამიგებდით. არ მიკვირს, ასეთი პოზიცია რომ გაქვთ ჩემ მიმართ. ჩემი ცოლიც ზუსტად ისე ფიქრობს, როგორც თქვენ. არადა, დარწმუნებული ვიყავი, რომ ძალიან ვუყვარდი.

**– რადგან მშვიდად და აუღელვებლად არ შეხვდა თქვენს ღალატს, იმიტომ? მგონი, ქალის მხრიდან ქმრის ღალატზე ურეაქციობა უფროა ნაკლები სიყვარულის მაჩვენებელი.**

– არ ვიცი. შეიძლება, თქვენი ნათქვამიც არის სიმართლესთან ახლოს, მაგრამ, რომ არ მპატიობს, საშინლად განვიცდი. შეურაცხყოფილი ვარ. ნუთუ მისი პრინციპები უფრო მნი-

## რედაქციაში წერილი მოვიდა

**ამ ბოლო დროს ჩემი ქმარი ძალიან შეიცვალა – საერთოდ აღარაფერს მიყვება თავის შესახებ და არც არაფერს მეკითხება. პირდაპირ ფაქტის წინაშე მაყენებს და, თუ უკმაყოფილება გამოვთქვი, საერთოდ მაიგნორებს. აქამდე ასე არ იყო. ამიტომ, ვშიშობ, რამე „ისეთი" ხომ არ ხდება, ხომ არ აქვს ამას უფრო სერიოზული მიზეზი. როგორ მოვიქცე? გულახდილად რომ გითხრათ, ძალიან ნაწყენი და შეურაცხყოფილი ვარ.**

**გამოხმაურება:** თქვენ ერთხელ მაინც ელაპარაკეთ ქმარს ამ ყველაფერზე? საუბარი აუცილებელია. მხოლოდ მშვიდი და კონსტრუქციული საუბრის მერე მიხვდებით, რა ხდება და შემდგომ სამოქმედო გეგმასაც დასახავთ. აუცილებლად დაელაპარაკეთ და, უპირველესად, უთხარით, რომ გულს გტკენთ მისი ასეთი საქციელი.

**ფსიქოლოგი**
**მაგდა რობაქიძე**

# როგორ დააკარგვინა ომმა მამას და შვილებს ერთმანეთი და ვის ეძებენ უკრაინიდან საქართველოში

*21 წლის სოფია თეიმურაზის ასული მაჩაიძე ეძებს 52 წლის თეიმურაზ მაჩაიძეს.*

**ისტორია**: ვეძებ მამას – 52 წლის თეიმურაზ მაჩაიძეს. მამის შესახებ 1993 წლიდან არაფერი ვიცი. სწორედ ამ პერიოდში, საქართველოში ომი დაიწყო და დედამ მე და ჩემი ძმა უკრაინაში, თავის მშობლებთან წაგვიყვანა. ძალიან მინდა, მამის პოვნა და იმის გაგება, როგორ არის. ამდენი წლის განმავლობაში მამაზე ფიქრი არც ერთი დღით არ შემიწყვეტია. გიგზავნით მამის ფოტოებს და დიდი იმედი მაქვს, რომ მის პოვნაში თქვენ მაინც დამეხმარებით.



**ჟურნალისტის შენიშვნა**: 21 წლის სოფია თეიმურაზის ასული მაჩაიძე, მშობელ მამას უკრაინიდან ეძებს. მე დიდი იმედი მაქვს, რომ დაკარგული თეიმურაზი ჩემს სტატიას გამოეხმაურება და მამასა და შვილებს შორის ამდენი წლის გაწყვეტილი კავშირი აღდგება.



**– მოგვიყევი შენი ამბავი, როგორ დაკარგეთ მამა-შვილმა ერთმანეთი.**

– ჩემმა მშობლებმა ერთმანეთი 1987 წელს გაიცნეს. დაახლოებით ერთი წლის შემდეგ, მათ იქორწინეს კიდეც და დედა (რომელიც უკრაინაში ცხოვრობდა) საცხოვრებლად მამას სამშობლოში, საქართველოში გადავიდა. საქართველოში დედ-მამა ქალაქ თბილისში ცხოვრობდა. 1989 წლის 27 ივლისს დაიბადა ჩემი ძმა – გიორგი, ხოლო 1993 წლის 22 იანვარს – მე. შემდგომ საქართველოში (როგორც დედა მიყვება) ომი დაიწყო და დედამ 1993 წლის სექტემბერში მე და ჩემი ძმა უკრაინაში, ქალაქ როვნოში წაგვიყვანა. იქ დედას მშობლები ცხოვრობდნენ. მამა საქართველოში დარჩა. მას შემდეგ ჩვენ მის შესახებ არაფერი გვსმენია. მამა არც კი მინახავს ამდენი წლის განმავლობაში.



**– მას შემდეგ ძალიან დიდი დროა გასული და ნუთუ მასთან დაკავშირება არ გიცდიათ?**

– დედაჩემი დაახლოებით სამი წლის განმავლობაში გზავნიდა საქართველოში წერილებს და დეპეშებს, მაგრამ პასუხი არც ერთზე არ მიუღია. ბოლოს მოვიდა პასუხი: თითქოს მამა უგზოუკვლოდ დაკარგულადაა მიჩნეული. მეტი მის შესახებ არაფერი გაგვიგია. მხოლოდ და მხოლოდ ის შემიძლია გითხრათ, რომ რამდენადაც ვიცი, მამაჩემი 1993 წლამდე ქალაქ თბილისში, შოთა რუსთაველის ქუჩაზე ცხოვრობდა. ძალიან მინდა და მჯერა, რომ მამა ცოცხალია და გამოგვეხმაურება. სად შეიძლება იყოს ამჟამად, ნამდვილად არ ვიცი. დიდი იმედი მაქვს, ჯანმრთელად და კარგადაა და ჩვენ შორის ამდენი წლის განმავლობაში გაწყვეტილი კავშირი, ბოლოს და ბოლოს, აღდგება.

**– ღმერთმა ქნას და მამაშენი კარგად იყოს. ხომ შეიძლება, ამჟამად მას სხვა ოჯახიც ჰყავდეს. რას ფიქრობ, ამ შემთხვევაში, როგორ აეწყობა თქვენი ურთიერთობა?**

– ამაზე მეც მიფიქრია. პირადად მე, ძალიან გამიხარდება, თუ აღმოჩნდება, რომ საქართველოში ნახევარდა ან ნახევარძმა მყავს. იმედი მაქვს, არც მათ ეწყინებათ ჩვენი გამოჩენა. მთავარია, ვიპოვოთ ერთმანეთი და ჩვენ შორის კავშირი აღდგეს.

**– მამის პოვნის შემთხვევაში, აპირებ თუ არა მათთან შეხვედრას?**

– ძალიან მინდა, მამა ვნახო. მე ხომ ის, არც კი მახსოვს. თითქმის თოთო ვიყავი, მას რომ დავშორდი. იმედი მაქვს, მამას არ დავვიწყებივართ და მასაც ენდომება ჩვენი ნახვა. იქნებ, ვინმემ იცნოს მამაჩემი ფოტოზე და გაგვაგებინოს მისი ამბავი. ამის დიდი იმედი მაქვს. შეიძლება, ისიც გვეძებს და ვერ გვპოულობს. პირადად მე, არ მასვენებს ფიქრი, რომ მამა ცოცხალია და გვეძებს.

***თუ გაქვთ რაიმე ინფორმაცია ამ ისტორიასთან დაკავშირებით ან თუ გსურთ, თქვენც გაგიწიოთ დახმარება დაკარგული ახლობლის მოძებნაში, დაგვიკავშირდით: 239-23-52; 239-23-53; 593 22-04-31. დარეკეთ საღამოს, 6 საათის შემდეგ. E-mail: tbiliselebi2001@yahoo.com.***

**ნატალია მახარაშვილი**

---

შვნელოვანია, ვიდრე ჩვენი ურთიერთობა და სიყვარული? ყველაფერი სწრაფად და ქარიშხლისებურად მოხდა. ჩემს სულზე ამას კვალი საერთოდ არ დაუტოვებია. მალევე დამავიწყდებოდა, რომ არა სინდისის საშინელი ქენჯნა და განცდა. სწორედ ამ განცდებმა მიმიყვანა

## ლამაზი ქალი თავისით რომ ჩამოგეკიდება კისერზე, მოდი და შეიკავე თავი – როგორია?!

იმ იდიოტურ გულახდილობამდე, რომელმაც ყველაფერი გააფუჭა.

**– სიამოვნება ჩაგაშხამათ, ანუ...**

– რა უცნაური მიმართულებით მიგყავთ საუბარი... სულ სხვა რაღაცაზე გელაპარაკებით. მტკივა და მაწუხებს ის პრობლემა, რომელიც საკუთარ თავს შევუქმენი. ვერ ვაგებინებ ჩემს ცოლს, რომ მარტო ის მიყვარს და არანაირი გრძნობა არ მქონია იმ ქალის მიმართ. არც მქონია და არც მაქვს. რა სისულელეა! მხოლოდ სექსი იყო, მეტი არაფერი. ემოციურ დონეზე არც კი შემხებია.

**– ძალიან მარტივად ამბობთ საკმაოდ მძიმე რაღაცას.**

– ვიცი, მაგრამ, ცხოვრებაც მძიმეა და ხომ ვცდილობთ მის გაადვილებას? აბა, რა ვქნა, მთელი ხმით ვიყვირო, რომ ნაძირალა ვარ და ყველაფერი დავანგრიო?

**– მგონი, იმაზე, რომ შეიძლება, ყველაფერი დაგენგრიათ, ცოტა ადრე უნდა გეფიქრათ.**

– ჩამქოლეთ ახლა. ვერ ვიფიქრე, ველარ იმუშავა ტვინმა. ხომ ვაღიარე, რომ უპასუხისმგებლოდ მოვიქეცი? ჩემს ცოლსაც ვუთხარი ეს, ბოლომდე ვიტვირთე დანაშაულის მთელი სიმძიმე. ერთ ჟურნალში წავიკითხე, შემთხვევითი კავშირი ცოლქმრულ ურთიერთობას აჯანსაღებსო.

**– სასაცილოდ ჟღერს. თქვენ გჯერათ ეს?**

– ფაქტით თუ ვიმსჯელებთ, არაფერიც არ გაუჯანსაღებია. მე დამეწყო სინდისის ქენჯნა, მოვალე პირი, შენდობა რომ მეთხოვა და ახლა ვარ სერიოზულ შარში. ცოტა ნასვამიც ვიყავი და ეტყობა, ამანაც ამამჩატა. როცა გამოვფხიზლდი, შევძრწუნდი – ცოლს თვალებში როგორ შევხედო-მეთქი. ოღონდ, ამას აბსოლუტურად გულახდილად ვამბობ, ყოველგვარი ირონიის გარეშე.

**– თუ ფიქრობდით, რომ არც ისეთი დამნაშავე იყავით, რატომღა მოუყევით ცოლს?**

– ხომ გითხარით. ვმოქმედებდი პრინციპით: ცოლ-ქმარს შორის დამალული არაფერი უნდა იყოს! ამას დაუმატეთ სინდისის ქენჯნის საშინელი განცდაც... მოკლედ, ძალიან გამიჭირდა, მაგრამ მაინც მივედი ცოლთან და ვუთხარი.

**– ხომ არ შეეცადეთ, აგეხსნათ, რომ ცოლს ყველა კაცი ღალატობს და ეს არ არის ტრაგედია?**

– დაახლოებით. იდიოტივით მოვიქეცი, ხომ? ჩემმა თექვსმეტი წლის ვაჟმაც იგივე მითხრა. შენ ადგილას მე ამას არ გავაკეთებდი, მაგრამ, თუ გავაკეთებდი, ხმას აღარ ამოვიღებდი და არ ვილაპარაკებდი ამაზეო. ფაქტია, რომ პატარა ბიჭმა მაჯობა ჭკუით. უკვე სამი თვეა, ჩემი ცოლი არ მელაპარაკება. ერთ სახლში ვართ და ისე მივლის გვერდს, თითქოს ნივთი ვიყო. ეტყობა, არაფრად ვუღირვარ, თორემ, შეეშინდებოდა ჩემი დაკარგვის. იფიქრებდა იმაზე, რომ ასეთი ურთიერთობით უფრო გამაგდებს სახლიდან. ის ჩუმად არის და, ვერ ვიგებ, ითმენს იმას, რომ ვუღალატე თუ, რამისთვის ემზადება. მინდა ვკითხო, ისევ ვუყვარვარ თუ არა, მაგრამ არაადეკვატური რეაქციის მეშინია.

**დალი მიქელაძე**

კუჭ-ნაწლავის დისკომფორტი (შეკრულობა, ფაღარათი, შებერილობა) დისბაქტერიოზი

მ ი ი ღ ე თ

ლაქტო-ჯი

www.laqto.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად
მიმართეთ ექიმს.

**სამწუხაროდ, მოდის კვირეულების ხანმოკლე სიცოცხლემ მოდის სფეროს განვითარება საქართველოში მკვეთრად დაამუხრუჭა. მათი აქტიურობა მედიის აქტიურობაზე პირდაპირ პროპორციულად აისახებოდა. ახლა კი, დიზაინერები, მოდელები და ამ სამყაროში მოღვაწე კიდევ უამრავი საინტერესო ადამიანი, ყურადღების მიღმა რჩება, მიუხედავად იმისა, რომ საკმაოდ ბევრს მუშაობენ როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ. ანუკა ქებურია სწორედ მათ რიცხვშია. ანუკა არაჩვეულებრივი რესპონდენტია, მისი ცხოვრება შემოქმედების მიღმაც ძალიან საინტერესოა და ყოველთვის ამა თუ იმ თემაზე საუბარი სავსე და დატვირთული გამოდის.**

# რა „დააშავა" ანუკა ქებურიამ და რატომ უწევთ მის თაყვანისმცემლებს სამ ქალთან ურთიერთობა

**ანუკა ქებურია**: ძალიან სამწუხაროა, რომ „ჯორჯიან ფეშენ-ვიქი" დაიხურა, თბილისის მოდის კვირეულმაც ერთი სეზონი ჩააგდო და ამის გამო ჩვენს სფეროში ცხოვრება ცოტა მინელდა. თუმცა, ეს პერიოდი გამოვიყენეთ იმისთვის, რომ მაქსიმალურად მოგვეხერხებინა ჩვენი შემოქმედების სხვა ქვეყნებში გატანა. რაც უფრო მეტ ადგილას ჩავალთ, რაც უფრო მეტი ადამიანი გაეცნობა ჩვენს შემოქმედებას, მით მეტად გაიცნობენ თანამედროვე ქართულ კულტურას, რომლის შემადგენელია მოდაც. სხვათა შორის, ის მიმართულება, რომელშიც მე ვმუშაობ, ვგულისხმობ ხელნაკეთ ნივთებს, ფეხსაცმელებსა და აქსესუარებს, უცხოეთში გაცილებით მეტად ფასობს. ადრე კიდევ უფრო მეტად იყო თბილისში ეს ამბავი – ეს ხელით შეკერილი რა არის, „ფირმა" გვირჩევნია, თუ რაღაც ეგეთებს ამბობდნენ. ახლა უცხოეთში და საქართველოშიც ეს ტენდენცია შემოდის – კარგ ტონად ითვლება, როცა ჯერ კიდევ უცნობი დიზაინერის, უცნობი ბრენდის, ექსკლუზიურად შენთვის შექმნილი სამოსი გაცვია, რომელიც ახალი და საინტერესოა. ხალხსაც მობეზრდა მასობრივი, ერთნაირი სამოსის მორგება. თუნდაც სადღაც რომ მიდიხარ, კოლოსალურ თანხას გადაიხდი უცნობილესი ბრენდის კაბაში და შეიძლება, გვერდით შენნაირ კაბაში ჩაცმული ადამიანი მოგიჯდეს, რაც უკვე ძალიან ცუდია. ხალხს განსხვავებულობის სურვილი გაუჩნდა და ეს ჩვენთვის მხოლოდ და მხოლოდ მისასალმებელია.



ენერგიული ვარ და დარწმუნებული ვარ, რაც მომინდება, იმის მოსწრებას აუცილებლად მოვახერხებ. მთავარი სურვილია

**– ბოლოს სად იყავით?**

– ყაზახეთში, ალმა-ატაში, მოდის დღეებზე ჩავედით მე, ლელა ელოშვილი, ნინო ბაბუხადია, „გიზი" და „მატერია". ჩვენებების შემდეგ იყო შოუ-რუმები. ამ დღეებმა დიდი წარმატებით ჩაიარა, რამაც ძალიან გაგვახარა.

**– ფეხსაცმლის მოდა ისეთი სისწრაფით არ იცვლება როგორიც ტანსაცმლის, მაგრამ მაინც რა ტენდენციებია ახლა აქტუალური?**

– ძირითადად, აქცენტები კეთდება ფერებზე. თან, გააჩნია, სად მიდიხარ. არსებობს, ეგრეთ წოდებული, გამოსასვლელი ფეხსაცმელი, რომელიც აუცილებლად ქუსლზე უნდა იყოს. წელსაც აქტუალურია პლატფორმა, რადგან ის მაღალქუსლიან ფეხსაცმელს ძალიან კომფორტულს ხდის. თუმცა, როგორც მრგვალი, ისე წვეტიანი ცხვირი, ორივე კარგ ტონად ითვლება, გააჩნია თვითონ ფეხსაცმელს. ზაფხული მოდის და აქცენტი ფერად ფეხსაცმელებზე კეთდება. მართალია, მე შავის ერთგული ვრჩები, ეს ჩემი საყვარელი ფერია და ჩემს გარდერობშიც, ძირითადად, შავი ფერი ჭარბობს, მაგრამ, მაინც შევიტანე ფერები ზაფხულის კოლექციაში. მაგალითად, ყაზახეთში ძალიან უყვართ ფერადოვნება და იქ წასაღებ კოლექციაში ოქროსფერი, წითელი შევიტანე. გარუჯულ სხეულს ოქროსფერი, ხორცისფერი ფეხსაცმელი ძალიან უხდება. ორი ხაზით ვმუშაობ, ერთი ეს არის ინდივიდუალური შეკვეთები, რომელიც შედარებით ძვირი ღირს და მეორე, რომელიც მაღაზიაში დევს, ბარონვზე, ქართველი დიზაინერების მაღაზიაში. ტანსაცმლის დიზაინერობაზე პრეტენზია არასდროს მქონია, მაგრამ ამ მაღაზიაში დევს ჩემი მაისურები, რომლებმაც დიდი მოწონება დაიმსახურა, ასევე ჟაკეტები და პალტოები. პარალელურად, ვმუშაობ სპექტაკლებზე, ფილმებზე, ტელევიზიაში კოსტიუმების მხატვრად. ეს სფეროც ძალიან მომწონს.

**– პირად ცხოვრებაში რა ხდება, ამ თემაზე ლაპარაკი არ გიყვარს.**

– არა, რადგან პირადი იმიტომ არის პირადი, რომ ამ თემაზე საჯაროდ არ ილაპარაკო. არაფერი ხდება ისეთი, რომ გავასაჯაროო და თუ მოხდება, გპირდები, ამაზე ვრცლად და ექსკლუზიურად შენთან ვილაპარაკებ.

**– ცნობილი გოგოები სულ წუწუნებენ, რომ პირადი ცხოვრების მოწესრიგება, ურთიერთობების აწყობა უჭირთ რიგი მიზეზების გამო, უპირველესად, იმიტომ რომ, ცნობილები არიან, უამრავი საქმე აქვთ და არ სცალიათ ბევრი რამისთვის...**

– არ დავეთანხმები ამას, რადგან მიმაჩნია, როცა რაღაც ძალიან, ძალიან გინდა, ის აუცილებლად გამოგივა. ბედნიერი ვარ იმით, რომ ვაკეთებ საქმეს, რომელიც უზომოდ მიყვარს. მიუხედავად იმისა, რომ გავთხოვდი თექვსმეტი წლის ასაკში და ჩემი შვილი უკვე თოთხმეტის ხდება, ვარ უზომოდ ბედნიერი, რადგან ნატუკა არის ჩემი ყველაზე დიდი ბედნიერება. უპირველესი არის ნატუკა, მერე ჩემი საქმე და უკვე შემდეგ ყველაფერი დანარჩენი. მაგრამ ენერგიული ვარ და დარწმუნებული ვარ, რაც მომინდება, იმის მოსწრებას აუცილებლად მოვახერხებ. მთავარი სურვილია.

**– ნატუკას აზრი რამდენად მნიშვნელოვანია, როდესაც შენს ცხოვრებაში რაღაც ხდება?**

– ნატუკა ნომერ პირველია ჩემთვის ყოველთვის და ყველაფერში, იქნება ეს კოლექციაზე მუშაობა, თუ რაიმე გადაწყვეტილების მიღება. მისი აზრი უმნიშვნელოვანესია. საკმაოდ კარგად ხატავს, კარგი გემოვნება აქვს და ჭკვიანურ რჩევებს მაძლევს. ასაკშიც იმდენად პატარა სხვაობაა ჩვენ შორის, რომ ის ჩემი ახლო მეგობარია. ამიტომ, თუ რაღაც ხდება, მასთან დაჯდომა და მოყოლა არ მიწევს, ისედაც სულ ერთად ვართ და ყველაფერი, ყოველდღიურ რეჟიმში იცის.

**– და პლუს დედაშენი, რომელიც ისევე, განუყოფელია შენგან – როგორც ნატუკა, სულ ერთად ხართ. მამაკაცს თუ შენთან ურთიერთობა მოუნდება, უნდა იცოდეს, რომ სამი ქალი უნდა მოხიბლოს და სამი ქალის რენტდგენქვეშ გაიაროს.**

– *(იცინის)* ასე გამოდის. როგორი ურთიერთობაც გვაქვს მე და ნატუკას, იგივე ხდება ჩემსა და ნატოს, ანუ დედაჩემს შორის და იგივეა – ნატუკასა და ნატოს შორის. ნატუკა ბებიამისს ყველაფერს უყვება, მას აინტერესებს დედაჩემის აზრი, რადგან ყოველთვის ყველაზე დასაფიქრებელ რჩევებს იძლევა. ყველაზე მეტად, ნებისმიერ სიტუაციაში დედაჩემის აზრი მაინტერესებს. ნატუკას, დედაჩემისა და მამაჩემის აზრი გადამწყვეტია ჩემთვის.

**– კონსერვატორია თავის შეხედულებებში?**

– პირიქით, საკმაოდ თანამედროვეა და სწორად აზროვნებს. ნატოს ჩემი ყველაფერი ესმის და საჭიროება არ დგას, რომ რამე დავუმალო. ისეთსაც არაფერს ვაშავებ. თექვსმეტი წლის გავთხოვდი და უკვე დავაშავე. მორჩა, მეტი რაღა უნდა დავაშავო?! ***(იცინის)*** ნატუკას ფაქტორს თუ გამოვრიცხავ, ეს ნაბიჯი მართლა ძალიან დიდი სისულელე იყო და არანაირად არ მინდა, ნატუკამ იგივე გააკეთოს. უბრალოდ, როგორც უკვე ვთქვი, ნატუკას გამო, თავიდან რომ გავდიოდე იმ გზას, ისევ იგივეს გავაკეთებდი. ცოტა მოგვიანებით რომ მექნა, არ იქნებოდა ურიგო. ნატუკა საკმაოდ ჭკვიანი გოგოა და მგონია, გონივრულ გადაწვეტილებას მიიღებს. მის თაყვანისმცემლებზე ცოტა კი მეცინება. მას ძალიან დიდი გეგმები აქვს, სულ ამბობს, რომ უნდა ვისწავლო, გავხდე ჟურნალისტი, წავიდე ამერიკაში და „ვოგს" ვურედაქტოროო. ასე რომ, პატარა ფლირტებისთვის არ სცალია. მომწონს, რომ ასეთი მიზანდასახულია და დარწმუნებული ვარ, სისულელეს არ გააკეთებს.

**სალომე გველესიანი**

კუჭ-ნაწლავის დისკომფორტი (შეკრულობა, ფაღარათი, შებერილობა) დისბაქტერიოზი

მიიღეთ

ლაქტო-ჯი

www.laqto.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

**იშვიათად თუ ნახავთ ისეთ ექიმს, რომელსაც სხვადასხვა სფეროში იმდენი გამოგონება ჰქონდეს, რამდენიც ბატონ დავით გიგაურს. ექიმი-ფსიქიატრის პროფესიის წყალობით მან ბევრი ადამიანის განკურნება შეძლო და ამას დღესაც უანგაროდ აკეთებს. ბატონი დავითი მეხუთე კურსზე იყო, როცა შექმნა ლავიწის ძვლის მოტეხილობის ფიქსატორი, რომელიც გამოიყენება როგორც მოტეხილობის, ასევე, სქოლიოზის და მოხრილობის დროს. სწორედ ამის შემდეგ დაიწყო უნიკალურ გამოგონებათა სერია და, საკმარისი იყო, ვინმეს ეთქვა, ეს არ გამოდისო, ბატონი დავითი იწყებდა იმ საკითხზე მუშაობას, ათენებდა ღამეებს და ყოველთვის აღწევდა შედეგს. საპასუხისმგებლოა, იდგე იმ ადამიანების სამსახურში, რომლებსაც მხოლოდ შენი იმედი აქვთ, თუმცა, ეს ბატონი დავითისთვის რთული სულაც არ ყოფილა, რადგან, მისი გამოჯანმრთელებული პაციენტების რიცხვი ათასებს აღწევს.**

# რატომ უნდა ანდოთ საკუთარი ქვეცნობიერი ექიმ-ფსიქიატრ დავით გიგაურს და როგორ კურნავს ის ადამიანებს ჰიპნოზისა და ბიოდენების დახმარებით

**დავით გიგაური**: წლების განმავლობაში, სხვადასვა ადგილებზე, სხვადასხვა თანამდებობაზე მიწევდა მუშაობა: გახლდით მთავარი ექიმი, მოადგილე, განყოფილების გამგე. პროფესიით ექიმი-ფსიქიატრი გახლავართ. უამრავ პაციენტს გაუვლია ჩემს ხელში და ყოველთვის ვცდილობდი, მათთვის ყურადღება და სითბო არ მომეკლო – ადამიანური მიდგომა ხომ ყველაზე მთავარია იმისთვის, ვინც გიყურებს და უთქმელადაც გეუბნება, მიშველეო. წლებია, ვაკვირდები ადამიანებს და დასკვნებს ვწერ. მაგალითად, ყველა ადამიანში ზის კონკრეტული ცხოველის ბუნება. უფრო სწორად, ნებისმიერი ადამიანი რომელიმე ცხოველის ბუნებით არის დაჯილდოებული და, ამას ისედაც ვხვდები როგორც კი პიროვნებას შევხედავ, ხმაც რომ არ ამოიღოს.

**– ამ ცხოველური ბუნების გამოვლინება როგორ ხდება?**

– ქცევით, საუბრით, ქმედებით. როგორც ექიმი-ფსიქიატრი, ამ ცხოველურ ბუნებას ხუთ სიტყვაში მივუხვდები ადამიანს. 47 წელია, ამ დარგში ვმუშაობ და ეს ნამდვილად არ გამიჭირდება ***(იცინის).*** არ დამავიწყდება, ერთ დღეს, ერთი ქალი მოვიდა ჩემთან და მითხრა, სად აღარ ვიყავი, ვის აღარ ვთხოვე დახმარება, მაგრამ, ვერავინ მიშველა. თქვენთან მოსვლა ჯუნა დავითაშვილმა მირჩია, უნდა დამეხმაროთ, გოგონა მყავს მძიმედ ავადო. ჩავეძიე და გავარკვიე, რომ ტრავმის გამო, ის გოგონა სრულიად პარალიზებული იყო წლების განმავლობაში და ვერ დგებოდა, ამას თან დაერთო სიბრმავე. ამ გოგონას ისტორია რომ მომიყვა დედამისმა, კი ვუთხარი, მე რომ მკვდრების გაცოცხლება შემეძლოს, პირველ რიგში ბებიაჩემს გავაცოცხლებდი-მეთქი, მაგრამ, მაინც გავყევი. მოკლედ, შვიდი წელი ის გოგონა ვერ ინძრეოდა, კიდურებს ვერ ამოძრავებდა, იწვა საწოლში, ნელ-ნელა დააკლდა თვალთახედვა და არავისთან კონტაქტი არ უნდოდა. მივხვდი, ეს ყველაფერი ისტერიის ბრალი იყო და სიბრმავეც სწორედ ამან გამოიწვია. დავიწყე მასთან მუშაობა ბიოდენების დახმარებით. რომ შევეხე ხელის მტევანზე, მივხვდი, რეაქცია ჰქონდა, რამდენიმე წუთის განმავლობაში ხელს ხელზე ვუსვამდი და დავინახე, როგორ აამოძრავა თითები. მოკლედ, სამი საათი დავყავი პირველ დღეს მის გვერდით, მერე კი ნელ-ნელა, დღითი დღე გაუმჯობესდა მისი მდგომარეობა და დღეს ის გოგონა სრულიად ჯანმრთელია. სხვათა შორის, ბიოდენების დახმარებით ვმუშაობდი დიდხანს და ძალიან კარგი შედეგები მქონდა. მინდა გითხრათ, ყველას აქვს ბიოდენი ორგანიზმში, თუმცა, ყველამ როდი იცის მისი მართვა, არადა, ეს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. ერთი ხელის დადებითაც კი გამოჯანმრთელებულა ჩემთან მოსული პაციენტი. მე ფსიქიატრი ვარ, მაგრამ, მკურნალობაში ბიოდენებსაც ვიყენებ, ჰიპნოზსაც და შთაგონებასაც. თუმცა, თუ საკუთარ ძალებში არ ხარ დარწმუნებული ადამიანი, არაფერი გამოვა ***(იცინის).*** მოკლედ, ადამიანის ქვეცნობიერის დონეზე მიწევს მუშაობა და ეს ყველაფერი ძალიან შედეგიანია. ქვეცნობიერის მართვით ნებისმიერ დაავადებას დაამარცხებთ. ისტერიული დაავადებები საკმაოდ მომრავლებულია, სწორედ ეს იწვევს ქვეცნობიერის დაქვეითებას და, ამის შედეგად, სიცოცხლისთვის საშიშ უამრავ დაავადებას. ეპილეფსიური გულყრაც, შეიძლება, ისტერიკული დაავადების შედეგი იყოს და ესეც განკურნებადია. ასევე, სიბრმავე, სიყრუე, გულ-სისხლძარღვთა დაავადებები, დამბლა და ასე შემდეგ. ქვეცნობიერი ინახავს უამრავ ინფორმაციას, მე კი ვახერხებ ამ ქვეცნობიერში შესვლას და ჩემი ტექნიკით მის სწორად „ამუშავებას". ელემენტარულად, როცა ადამიანს შიშები აქვს, დაძაბულია და სტრესულ სიტუაციაში დიდხანს უწევს ყოფნა, დიდი ალბათობაა, რომ მის ფსიქიკაში მოხდეს გარდატეხა და ჩამოყალიბდეს შიზოფრენია. ამიტომ, დროულად უნდა დაძლიონ ეს შიშები, ამაში კი მე დავეხმარები, თანაც უანგაროდ. ფულის კეთება კი არა, სიკეთის კეთება მინდა და, გადავწყვიტე, ცხოვრების ბოლომდე უანგაროდ ვემსახურო ხალხს. ასე რომ, შეგიძლიათ, დამირეკოთ ნომერზე: 599 38-75-43.



**– როგორც ვიცი, წლებია, ჰიპნოზის დახმარებით მთელი რიგი დაავადებებისგან კურნავთ პაციენტებს. იქნებ, უფრო კონკრეტულად გვიამბოთ ამის შესახებ? ნუთუ მართლა ერთი შეხედვით ხვდებით, ვის რომელი დაავადება აწუხებს?**

– დიახ, ჰიპნოზის სეანსებს ვატარებდი, უამრავი ადამიანი ესწრებოდა და ბევრი მათგანი სრულიად განიკურნა სხვადასხვა დაავადებისგან. პაციენტს კითხვას რომ დავუსვამ და პასუხს გამცემს, მისი ხმის ტონალობით, გამოხედვით, ხელების მოძრაობითა და ქცევით ვხვდები, რა აწუხებს და როგორ დავეხმარო. არ დამავიწყდება, ერთხელ ჩემთან მოიყვანეს 14 წლის ბიჭი, რომელსაც ენაბლუობა აწუხებდა. როგორც მისმა მშობლებმა მითხრეს, არ დაუკლიათ ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნების საუკეთესო სპეციალისტებთან და პროფესორებთან სიარული, მაგრამ უშედეგოდ. ერთ მათ ახლობელს უთქვამს, ხომ არ ჯობია, ბავშვი ფსიქიატრ დავით გიგაურს ვაჩვენოთო და მოვიდნენ ჩემთან. არ დაიჯერებთ და, ბიჭმა ერთ თვეში დაიწყო გამართულად საუბარი.

**– ეს როგორ მოახერხეთ?**

– სპეციალურად შედგენილი სავარჯიშოთი, რომელიც მოიცავს სწორად სუნთქვას, მშვიდად და დაუძაბავად კითხვას და ამ წაკითხულის მშვიდად გადმოცემას. სულ ეს იყო.

**– ფსიქიატრი და ლოგოპედი როგორ გახდით?**

– 1965 წელს დავამთავრე თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტი. ლოგოპედიამ თავიდანვე დამაინტერესა და უამრავი ლიტერატურა წავიკითხე. 1977 წელს კი ხარკოვში, ფსიქოთერაპიის 4-თვიან კურსებზე გამგზავნეს. ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტში გატარებულმა იმ ოთხმა თვემ საბოლოოდ გადამაწყვეტინა, მეტყველების აღდგენაზე მემუშავა და, უკვე წლებია ამაზე ვმუშაობ კიდეც. ჩემი აზრით, ლოგოპედიაში აუცილებელია ფსიქოლოგისა და ფსიქიატრის ჩარევა, იმპროვიზაციის უნარი, თითოეულ ავადმყოფთან ინდივიდუალური მიდგომა და თავისუფალი კონტაქტის დამყარება – აი, სულ ეს არის საჭირო იმისთვის, რომ მიზანს მიაღწიო. ერთი თანამდებობის პირი მოვიდა ჩემთან და მითხრა, უკვე სამი თვეა, საშინელი თავის ტკივილი მაწუხებს, ვერ ვწვები, ვზივარ მთელი ღამე და ისე ვათენებო. დავიწყეთ მკურნალობა და, უნდა გენახათ მისი სახე, როცა მეთერთმეტე სეანსის შემდეგ მოვიდა და მითხრა: ძლივს არ დავიძინე ღამით? არც თავის ტკივილი მაწუხებდა და, მივხვდი, რა ბედნიერება ყოფილა, ბალიშზე თავდადებულს რომ გძინავსო ***(იცინის).***

**– თქვენ ერთადერთი ექიმი ხართ, რომელსაც უამრავი გამოგონებაც აქვს სხვადასხვა სფეროში. კერძოდ, რომელი გამოგონებებია ესენი?**

– დიახ, უამრავი გამოგონება მაქვს და მათზე წლებია ვმუშაობ. ისინი რომ პრაქტიკაში დაინერგოს, ვფიქრობ, საკმაოდ შეუმსუბუქდებათ დაავადებულ ადამიანებს ცხოვრება. მაგალითად ასეთია, ზურგის დამჭერი, დამწვრებისთვის სპეციალური საწოლი, მაშველი თვითმფრინავი, ელექტროსტიმულატორი, ტერფის სპეციალური სუპინატორი, ყინულზე სასრიალო სპეციალური ციგურები, ელექტროდები და ასე შემდეგ – რომელი ერთი ჩამოგითვალოთ.

**ნონა დათეშიძე**

**ერთი კვირა დარჩა აღდგომის მარხვის დაწყებამდე. ეს კვირა კი ყველიერის კვირაა, რომელიც შენდობის დღით მთავრდება. მთელი მარხვის პერიოდში ადამიანი ისე უნდა მოემზადოს საკუთარ თავში ცოდვილი მდგომარეობის დასანახად, როგორც ის აღდგომის მარხვის მოსამზადებელ კვირებში ემზადებოდა დიდმარხვის დასაწყებად. ამ საკითხების შესახებ უფრო დაწვრილებით გვესაუბრება, ვაკის წმიდა გიორგის სახელობის ეკლესიის წინამძღვარი, მამა საბა (ბიკაშვილი):**

# რა არ უნდა იტვირთოს ეკლესიაში ახალმისულმა ადამიანმა და რატომ ვარდება ის აღდგომის მარხვაში ხიბლის მდგომარეობაში

– აღდგომის მარხვა იმიტომ არის განსაკუთრებული, რომ აღდგომა დღესასწაულთა დღესასწაულია. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ადამიანი მხოლოდ სული ან ხორცი არ არის, ის ორივეს ერთობლიობაა. შესაქმე გვასწავლის, რომ ადამიანი შეიქმნა ღვთის ხატად და ეს მდგომარეობს არა მხოლოდ ფიზიოლოგიურ ადამიანობაში, არამედ, ყველაფერში. ეს ნიშნავს იმას, რომ ადამიანი ღმერთს მხოლოდ ამით არ ჰგავს, ის უფალს სამებობითაც წააგავს.

**– ეს რას ნიშნავს?**

– ადამიანი ღმერთს უნდა ჰგავდეს თავისი შინაგანი და გარეგნული აგებულებით. მამა, რომელიც არის მშობელი, ძე – მისგან შობილი დაუსაბამოდ და სულიწმიდა – მისგან გამომავალი. ადამიანის გონება – ეს არის განსახიერება, მიმსგავსება მამა ღმერთთან, რადგან გონების გარეშე არაფერი ხდება. ხოლო ძე, წმიდა სამების მეორე პირი, ეს არის სიტყვა, შეზავებული აზროვნებასთან. როგორც უმტკივნეულოდ იბადება გონებისგან აზრი, ასე უმტკივნეულოდ იბადება მამისგან ძე. მესამე ადამიანის სულია, ანუ თავად სულიწმიდა. მამების სწავლებით, ადამიანი ამ კუთხით განასახიერებს წმიდა სამებას. ამიტომაც, ადამიანი თავისი დანიშნულებით, ღირსებით არის დიდი და ეს ყველაფერი მან არა მხოლოდ სულიერად, ხორციელადაც უნდა გადაიტანოს და გაითავისოს. როდესაც ჩვენ ვიწყებთ მარხვას, ხორციელის კვირის შემდეგ უარს ვამბობთ მძიმე საკვებზე და კიდევ ერთი კვირა გვრჩება იმისთვის, რომ შეძლებისდაგვარად, ჩვენი უძლურების გამო, ნელ-ნელა გადავიდეთ მარხვაზე. ეს დიდი მამების, მსოფლიოს კრებების დაწესებული, ეკლესიური გამოცდილებით დადგენილი წესია, რომელიც ჯერ კიდევ მეოთხე საუკუნეში ყალიბდებოდა. ეს ყველაფერი, რა თქმა უნდა, ადამიანისთვისაა დაწესებული, რომ მან საკუთარი უძლურების გამო არ დაიწყოს მარხვა, გაუაზრებლად არ გადავიდეს მარხვაზე. ამ ყველაფერს სულიერი განსჯა, გაწონასწორება სჭირდება და ამიტომ, ყველიერის კვირაში ადამიანი ნელ-ნელა გადაეწყობა ხორციელი მარხვიდან სულიერ მარხვაზე, მარხვა რომ წარმატებული იყოს. უპირველეს ყოვლისა, სულიერი ნიჭის მოხვეჭაა, სულიერი ბრძოლების გადატანაა საჭირო, რადგან, ბრძოლების გარეშე ადამიანის სული ვერ გაიწვრთნება. თუ ადამიანი ყველაფერს ეტაპობრივად არ გადის, მისი სულიერი ცხოვრება ვერ იქნება წარმატებული და ხშირია შემთხვევა, როცა სულიერად გადაიწვებიან ხოლმე.

**– აღდგომის მარხვის პირველი და ბოლო კვირა მძიმეა და ხშირად ადამიანები ამ დღეებში თითქმის არაფერს ჭამენ. ბევრი მხოლოდ წყალზე და პურზეა. სწორია ასეთი მიდგომა?**

– აღდგომის მარხვის პირველი კვირა და ბოლო კვირა, რომლებიც მძიმეა, ასევე, ადამიანების მიერ ხშირად არასწორადაა გააზრებული. მოდიან და ამბობენ: „მე არ შევჭამ არაფერს, მინდა მხოლოდ წყალსა და პურზე ვიყო, ან მხოლოდ წყალზე, ან, ზეთიან საკვებს შაბათ-კვირასაც არ მივიღებ“... რა თქმა უნდა, ასეთი მიდგომა არასწორია. ის უნდა აცნობიერებდეს, უნდა ჰქონდეს შესაბამისი განათლება და მორჩილება იმ გაგებით, რომ მოძღვარს ჰკითხოს, როგორ მოიქცეს. თვითრჯულობა კარგისკენ ვერ წაიყვანს. თუ ადამიანი ამ ყველაფრისთვის მზად არ არის, არ შეუძლია იმის დაძლევა, რასაც შეეჭიდება, ეს კარგად არ დამთავრდება. ისინი დიდი ენთუზიაზმით გამოირჩევიან, რაც საეკლესიო ენაზე ხიბლის მდგომარეობაა და სარწმუნოებრივად გადაიწვებიან ხოლმე. ის, რაც იმათთვისაა დადგენილი, ვინც წლების განმავლობაში ეკლესიაში დადის, მოღვაწეობს, გარკვეულწილად, აქვს სულიერ ცხოვრებაში შენაძენი, გამოცდილება, იგივე ახალმოსულმა არ უნდა იტვირთოს საკუთარ თავზე. ყველამ უნდა იმარხულოს, როგორც შეუძლია, მოძღვრის მეთვალყურეობის ქვეშ, რომ ამ ყველაფერმა საფრთხე არ შეუქმნას მის ჯანმრთელობას, სულიერებას, აზროვნებას, არ ჩავარდეს ხიბლის მდგომარეობაში.



**ჩემი საქმეები თუ არ ემთხვევა ჩემს შინაგან მდგომარეობას, მაშინ გამოდის, რომ მე ვიქცევი როგორც ფარისეველი. შესაბამისად, ეს მარხვა მე არაფერს მომცემს, ეს ჩემს სულიერებაში წარმატების მომტანი არ იქნება**

**– მარხვის დროს ეკლესია ხშირად მოგვიწოდებს სინანულისკენ, საკუთარი თავის გამოცდისკენ, ცოდვების დანახვისკენ. რაც, ვფიქრობ, არცთუ ისე ადვილია.**

– გარდა იმისა, რომ როგორც ყველიერის, ასევე სხვა კვირებში, ადამიანს ფიზიკურად ამზადებს, ნელ-ნელა გადადის საკვების მხრივ შეზღუდვებზე – ეს არის სულიერი სამზადისიც. ეს კვირები ადამიანს ახსენებს იმას, რომ მარხვას იწყებს თავმდაბლობით. ამაში იგულისხმება ჭეშმარიტი თავმდაბლობა და არა მონობა, უვიცობა. თავმდაბლობა – ეს არის საკუთარ თავში ჩაღრმავება: რომ მე ძალიან ცუდი ვარ და არავის ვჯობივარ, თუნდაც იმას, ვინც ეკლესიაში არ დადის. ასე რომ, თუ გვინდა, რომ მარხვა წარმატებული იყოს, გავიზარდოთ, რაიმე შეგვემატოს, მაშინ მარხვა უნდა დავიწყოთ იმის გააზრებით, რომ ცოდვილები ვართ – ბევრი რამ გვჭირდება იმისთვის, გამოვსწორდეთ და რასაც არ უნდა მივაღწიოთ, მაინც ბევრია საჭირო. მაგრამ იმის აღიარება, რომ ცოდვილი ვარ, მხოლოდ და მხოლოდ ბუტაფორიული არ უნდა იყოს. ადამიანის ქმედება უნდა ემთხვეოდეს მისივე გულისწადილს, მის შინაგან განწყობას. თუ შინაგანი განწყობა მართალია, ამაში საქმეც ერთვება და მას უყვარს ადამიანები, არ შურს, არ განიკითხავს, არ არის უსიყვარულო, არ არის ვერცხლისმოყვარე, უყვარს გაცემა. თუ ადამიანი ამ ყველაფერს არ აკეთებს, მაშინ ფუჭია მისი მარხვა, ეკლესიაში სიარული. ეს მხოლოდ თავის მოტყუება და დროის უქმად კარგვაა. ჩვენ ხშირად მარხვის მიმართაც ზერელე დამოკიდებულება გვაქვს – თითქოს მარხვა არის მხოლოდ წესები, კანონების დაცვა, საკვების მიღებისგან თავის შეკავება. მაგრამ, უნდა ითქვას ერთი რამ: მარხვა სწორედ ადამიანის გონებიდან, მისი აზრებიდან იწყება, რომელიც შემდეგ ადამიანის გეგმებში, ქმედებებში ხორციელდება. მარხვა ჩვენი აზრების მომზადება, შინაგანი მდგომარეობის გაწმენდაა, რადგან აზრით იწყება ადამიანის დაცემა, რომელსაც შემდეგ ქმედება მოჰყვება. ადამიანი, რომელიც საკუთარ თავს ულრმავდება, აცნობიერებს მართლმადიდებლისთვის ფუნდამენტურ რამეს, ბოლომდე კონცენტრირებულია საკუთარი თავის მიმართ, არსად იყურება – ღმერთს არ ეძებს არც ქვევით, არც ზევით. ის მხოლოდ საკუთარ ცოდვებს ულრმავდება და მარხვას იწყებს ამ სულისკვეთებით. სხვათა შორის, როცა კანონებზე ვსაუბრობთ, მინდა აღვნიშნო, რომ უფალს ჩვენთვის არც ერთი კანონი არ დაუდგენია. მათ ჩვენ დავარქვით სახელები: რომ ეს არის კანონი, ეს არის რჯული, მოთხოვნა, წესი, რომელიც უნდა დავიცვათ. შესაბამისად, არც ერთი კანონი თავისი კონკრეტული შინაარსით არ არის კანონი. ეს არის მხოლოდ უფლის სიყვარულის გამოხატულება და ზრუნვა ადამიანებზე. ეს არის არა კანონი, არამედ მაგალითი ადამიანებისთვის. ადამიანმა წარმატებულად უნდა განვლოს მარხვის ათეული დღე და საერთოდ, თავისი ქრისტიანული ცხოვრება. ზედმიწევნით რომ დავიცვა მარხვა, ცნებები, არც ერთი მსახურება არ გავაცდინო, მაგრამ არ მქონდეს შინაგანი მართებული აზროვნება იმისა, რომ ვარ ცოდვილი, მაკლია ბევრი რამ და ბევრი უნდა შევიძინო, ვიშრომო ამისთვის; ჩემი საქმეები თუ არ ემთხვევა ჩემს შინაგან მდგომარეობას, მაშინ გამოდის, რომ მე ვიქცევი როგორც ფარისეველი. შესაბამისად, ეს მარხვა მე არაფერს მომცემს, ეს ჩემს სულიერებაში წარმატების მომტანი არ იქნება, ერთი ნაბიჯითაც წინ ვერ წავიწევი. მარხვის, ლოცვის, ყველაფრის, რაც სულიერი ცხოვრების მოსაწესრიგებლად არის საჭირო, დაცვა აუცილებელია, მაგრამ ადამიანი შინაგანად უნდა იაზრებდეს თავის ცოდვილ მდგომარეობას.

**თუ ადამიანი ყველაფერს ეტაპობრივად არ გადის, მისი სულიერი ცხოვრება ვერ იქნება წარმატებული და ხშირია შემთხვევა, როცა ადამიანები სულიერად გადაიწვებიან ხოლმე**

**ნათია უტიაშვილი**

# ლოცვის ძალა

ერთხელ სქემოსან მღვდელმონაზონ ალექსანდრეს მოწაფემ ჰკითხა: „მამაო! იციან ჩვენმა მიცვალებულებმა, ვინ და როდის ლოცულობს მათთვის?“

როგორც ცნობილია, ეს შეკითხვა ბევრისთვის არის საინტერესო, განსაკუთრებით მათთვის, ვისაც ახლობლები გარდაეცვალა. ბერმა შეკითხვას წმიდა სერგის ლავრის წინამძღვრის, არქიმანდრიტ ანტონის მონათხრობით უპასუხა, რომელსაც სულიერ ადამიანად იცნობდნენ:

„1831 წელს, როდესაც ღირსი სერგის ლავრაში მივედი, არცთუ მრავალრიცხოვან ძმობაში იმდენად ცოტა იყო კარგი ხმის მქონე დიაკონი, რომ ზოგჯერ მსახურება ვერ ხერხდებოდა. რამდენიმე ხნის შემდეგ ჩვენთან საცხოვრებლად ჩამოვიდა დიაკონი, ქვრივი, რომელსაც კარგი ხმა ჰქონდა. ამის შემდგომ იგი ყოველთვის ჩემთან ერთად მსახურობდა და სხვებზე უპირატესიც იყო.

ერთხელ იგი ჩემთან მოვიდა და მთხოვა, ცოტა ხნით მშობლიურ სოფელში გამეშვა. ვუთხარი, რომ დღესასწაული ახლოვდებოდა და მას ჩემთან ერთად უნდა ემსახურა. დიაკონმა მიპასუხა, რომ დღესასწაულისთვის დაბრუნებას მოასწრებდა და მსახურებასაც შეძლებდა. მაშინ, წასვლის ნება დავრთე.

დღესასწაულის წინა დილას ვიკითხე, დაბრუნდა თუ არა დიაკონი. შეკითხვაზე უარი მივიღე.

იგი არც სადილობისთვის დაბრუნებულა.

უკვე მწუხრი იწყებოდა, დიაკონი კი ისევ არ ჩანდა. მისმა საქციელმა ძლიერ გამანაწყენა.

ბოლოს, მწუხრის დასასრულს, დიაკონი გამოჩნდა.

„რას ჰგავს ეს, შენ ხომ უნდა გემსახურა?“ – ვუთხარი მკაცრად. მან მიპასუხა, რომ მზად იყო. „თუ მზად ხარ, მაშინ იმსახურე“, – ვუთხარი მე. მან ჩემთან ერთად შესანიშნავად აღასრულა ლოცვა.

ლიტურგიის შემდეგ სატრაპეზოში წავედით. ძმათაგან ზოგიერთმა დიაკვანზე იხუმრა, „ხედავ, სამშობლოში წახვედი და როგორ მსახურობდი, ხმა დაგისუსტდა!“ მათი დაშოშმინება და დაწყნარება მომიხდა.

ტრაპეზის შემდეგ ყველამ თავის სენაკს მიაშურა. დიაკონმა ჭურჭელი აიღო და წყლის მოსატანად წავიდა. უკან დაბრუნებულმა წყლიანი ჭურჭელი თავის კართან დადგა და მხოლოდ კარში გასაღების გაკეთება მოასწრო, რომ უსულოდ დაეცა.

როგორც კი ეს ამბავი შევიტყვე, თავი დამნაშავედ ვიგრძენი, რადგან, ვაიძულე, ჩემთან ერთად ემსახურა, შემდეგ კი, მგზავრობით დაღლილს, თავის სენაკში, მისთვის განკუთვნილი კანონების, დაუჯდომლისა და საღამოს მსახურების წაკითხვაც მოუხდა.

ღრმად დამწუხრებულმა, მასზე ლოცვა დავიწყე და განკარგულება გავეცი, იგი მოსახსენიებელში ჩაეწერათ და კვეთასა და ყველა საეკლესიო მსახურებაში მოეხსენიებინათ. მხურვალედ ვლოცულობდი მისი სულის ცხონებისთვის, რადგან ნაღველი მოსვენებას არ მაძლევდა.

დიაკვნის გარდაცვალებიდან მეორმოცე დღეს ჩემს სენაკში მცირე ხნით დასასვენებლად წამოვწექი. უეცრად მივხვდი, რომ ჩემთან ვიღაც შემოვიდა. სენაკი განათდა და ჩემ წინ გარდაცვლილი დიაკვანი დავინახე.

– მადლობის გადასახდელად მოვედი, – მითხრა მან.

– რისთვის? – ვკითხე მე.

– იმისთვის, რომ ჩემთვის ლოცულობდით.

– მხოლოდ მე კი არა, მთელი საძმო ლოცულობდა; მე ყველგან ჩავაწერინე და მოვახსენიებინე შენი სახელი.

დიაკვანმა მითხრა, რომ იგი არსად არაა ჩაწერილი და არც არსად იხსენიებენ.

მართლაც, როგორც შემდეგში გავარკვიე, დიაკვნის ჩაწერა დავიწყებოდათ.

„საიდან იცით, რომ შენზე ვლოცულობდი?“ – ვკითხე მე.

მან მიპასუხა:

– თუკი ჩვენ, სამი საჟენი მიწის სიღრმეში ჩამარხულნი, ვხედავთ, რომელი ადამიანი ვისთვის ლოცულობს, ვისთვის რას ითხოვს, ღმერთი, მით უმეტეს, ყველაფერს ხედავს.

– როგორ გაიარე საზვერეები? – ვკითხე მე.

– ელვასავით, – მიპასუხა მან.

– რატომ?

– იმიტომ, რომ ღმერთმა იმ დღესა და იმ წუთს ზიარების ღირსი გამხადა.

– შენ ხომ ტრაპეზის დროს ძმებთან იკამათე?

– ღმერთმა ეს არ გამიხსენა!

– ხოტკოვოს მონასტრის ერთი მონაზონი გარდაიცვალა, სად მკვიდრობს იგი?

– ის ჩემზე მაღლაა, – მიპასუხა გარდაცვლილმა.

ამით ხილვა დასრულდა.

**წმიდა სერგის ლავრის წინამძღვრის, არქიმანდრიტ ანტონის მონათხრობი**

# მოძღვარი გვირჩევს

**კითხვა: როდის რეკენ ეკლესიაში ზარებს?**

**პასუხი**: მართლმადიდებლურ ეკლესიაში ზარებს რეკენ: ღვთისმსახურების წინ, მორწმუნეთათვის საღმრთო მსახურების დაწყების შესატყობინებლად; ლიტანიობისას, რათა მას მიეცეს განსაკუთრებულად სადღესასწაულო ელფერი; გარდაცვლილის დაკრძალვისას; ასევე, სხვა რომელიმე საგანგებო და სადღესასწაულო მომენტებში.

**კითხვა: რა მოვალეობები აკისრია ქრისტიანს მოყვასის მიმართ?**



**პასუხი**: ქრისტიანს ყველა უნდა უყვარდეს უფლის მიერ, ყველა დააყენოს თავისზე წინ, მოთმინებით აიტანოს მათი უძლურებანი და უგუნურებანი, არავინ შეურაცხყოს, სარგებლობა მოუტანოს მათ, ილოცოს მოყვასისთვის.

**კითხვა: შეიძლება თუ არა, ადამიანმა თავის ნებით იტვირთოს სხვა ადამიანის (მაგალითად, შვილის) ცოდვები?**

**პასუხი**: ყველა ადამიანი საკუთარ ცოდვაზე თავად აგებს პასუხს და არავის შეუძლია სხვისი ცოდვის თუნდაც ნებაყოფლობით ტვირთვა. მხოლოდ მაცხოვარს, უფალს ჩვენსას იესო ქრისტეს შეეძლო, ნებაყოფლობით ეტვირთა სხვისი ცოდვები.

**კითხვა: შეიძლება თუ არა, ჩემს შვილს სახელად იესო დავარქვა?**

**პასუხი**: საქართველოში იესოს სახელად დარქმევის ტრადიცია არ ყოფილა. ქართველი ადამიანი დიდი კრძალვით შეჰყურებდა უფლის სახელს და უბრალო მოკვდავისთვის მის დარქმევას ერიდებოდა. სასურველია, ეს ტრადიცია ახლაც გაგრძელდეს. თუმცა, იესოს დარქმევა ჩვილისთვის საეკლესიო კანონიკით აკრძალული არ არის.

# ჭეშმარიტი სარწმუნოება

## როგორ მიიღო უფალმა მადლი მეძავზე, რომელმაც მოყვასი სიკვდილს გადაარჩინა

ეგვიპტის ალექსანდრიაში ერთი მდიდარი ქალიშვილი ცხოვრობდა, რომელსაც მშობლები გარდაცვლილი ჰყავდა. ერთხელ, საკუთარ ბაღში სეირნობისას, კაცი დაინახა, თოკისგან ყულფი გაემზადებინა და თავის ჩამოხრჩობას აპირებდა. „რას შვრები?“ – შეჰკივლა სანახაობით შეძრწუნებულმა ქალმა. „თავი გამანებე“, – უპასუხა კაცმა. „შენი მწუხარების მიზეზი გამანდე და შეძლებისდაგვარად დაგეხმარები“, – უთხრა ქალიშვილმა. „ვალებში ვარ გადავარდნილი, მოვალეები კი მოსვენებას არ მაძლევენ, მოითხოვენ, რომ დაუყოვნებლივ გადავუხადო, ასეთ ყოფას სიკვდილი მირჩევნია“, – შესჩივლა კაცმა. „გამომყევი, რაც გამაჩნია, აიღე და ვალები გაისტუმრე, ოღონდ, თავს ნუ დაიღუპავ“, – მიმართა ქალიშვილმა. კაცმა ფული გამოართვა, მოვალეები დაამშვიდა და თავისუფალი შეიქნა. ქალიშვილი კი გალატაკდა და დახმარების ვერსად მპოვნელმა სიძვას მიჰყო ხელი. ერთი წლის შემდეგ ქალიშვილი დაავადმყოფდა, გონს მოეგო და მეზობლებს შესთხოვა: „ღვთის გულისათვის, იქნებ პატრიარქთან მიშუამდგომლოთ, მომნათლოს და გამაქრისტიანოს“. მაგრამ, მისი არავინ შეისმინა და ყველა ერთხმად გაიძახოდა: „ეს მემრუშე ამგვარი მოწყალების ღირსი არ არის“. ერთხელ, როდესაც მარტოდმარტო მწუხარებაში ჩავარდნილიყო და ლოცულობდა, უფალმა მოხედა და წყალობა გარდმოუვლინა. მან ქალს იმ კაცის სახით, რომელიც სიკვდილს გადაარჩინა, ანგელოზი წარმოუგზავნა. „რატომ სწუხხარ, ჩემო ქალბატონო“, – მიუგო ანგელოზმა. „მინდა, მოვინათლო და ქრისტიანი გავხდე, მაგრამ ყველა უარს მეუბნება, ჩემი თხოვნა პატრიარქს მოახსენოს“, – შესტირა ქალმა. „გაქრისტიანება ნამდვილად გადაგიწყვეტია?“ – შეეკითხა იგი. „დიახ“, – მიუგო მხევალმა. „ნუ გეშინია! თანაშემწეებს მოგივლენ და ისინი წარგიძღვებიან ეკლესიისკენ“. იმწამსვე ორი ანგელოზი გაჩნდა და ღვთის მოშიში მხევალი ტაძარში მიაბრძანა. უსაზღვროდ გახარებულმა თავის თვალით იხილა პატრიარქი, პრესვიტერი, დიაკვნები და ნათლობის მოშურნე არსება წმიდა სამების მადლით იქნა მათ მიერ მონათლული. ისინი უფლის ანგელოზები იყვნენ. ადამიანთაგან შეურაცხყოფილი ქალის მონათვლა უფალმა თავის მსახურთ მიანდო. როდესაც სასწაული გაცხადდა და ღვთის წყალობის შესახებ, რაც ამ ქალს თავს გადახდა, ყველასთვის ცნობილი გახდა, ეპისკოპოსმა მოიხმო ის და შეეკითხა: „მიამბე, ნუ დამიმალავ, შენი კეთილი ღვაწლის შესახებ უფლის წინაშე“. მან კი უპასუხა: „განა შეიძლება, მეუფეო, მემრუშე კეთილ ღვაწლში იმყოფებოდეს? თუ არ ჩავთვლით იმას, რომ ერთხელ უფლის წყალობით, კაცი გადავარჩინე. მას მოვალეები სტანჯავდნენ და თავის მოკვლა ჰქონდა გადაწყვეტილი. მე ჩემი კუთვნილი ქონება მივეცი და ვალები გავასტუმრებინე“. ყველას გასაოცრად, ღვთის მოშიში მხევალი ამ სიტყვების წარმოთქმისთანავე გარდაიცვალა. ამის შემხედვარე ყველამ ერთხმად განადიდა უფალი, ეპისკოპოსმა კი ბრძანა: „მართალი ხარ, შენ, უფალო და მართალ არს სჯაი შენი! დიდება შენდა, უფალო, იმ დიდთა საკვირვებელთათვის, რომელთაც კაცთა გარდმოუვლენ!“

**მოამზადა**
**რევაზ ტომარაძე**

# კინოვარსკვლავი ფეხბურთელები

*სპორტსმენები კინემატოგრაფში არც-თუ იშვიათი მოვლენაა. ქართულ კინოშიც არის ცნობილი პრეცედენტი, როდესაც მოჭიდავე ლევან თედიაშვილმა და ველომრბოლელმა ომარ ფხაკაძემ მთავარი როლები შეასრულეს გიორგი შენგელაიას ცნობილ ფილმში – „ხარება და გოგია." ამჯერად ფეხბურთის უცხოელი ვარსკვლავების შესახებ გაგაცნობთ საინტერესო ცნობებს, რომლებმაც ბედი კინოში სცადეს.*

## დევიდ ბექჰემი

ბრიტანული „სანის" ცნობით ინგლისელი ვეტერანი ფეხბურთელი მეთიუ ვონის ახალ



პროექტში მიიღებს მონაწილეობას, მძაფრსიუჟეტიანი ჟანრის ფილმში – „საიდუმლო სამსახური". ბექჰემთან ერთად ფილმში ითამაშებენ კოლინ ფერტი და სამუელ ელ ჯექსონი. ცნობისთვის, ბექჰემი უკვე გადაღებულია კომედიაში – „ითამაშე ბექჰემივით", თუმცა, 2002 წელს გადაღებულ ფილმში ის ეპიზოდური როლით შემოიფარგლა.

## ზინედინ ზიდანი

ზიდანმა დასამახსოვრებელი პერსონაჟი განასახიერა კომედიაში „ასტერიქსი და ობელიქსი ოლიმპიურ თამაშებზე". ფეხბურთის ლეგენდამ ეპიზოდური როლი შეასრულა და ჯერჯერობით მის ფილმოგრაფიაში ეს ერთადერთი ფილმია. აღსანიშნავია, რომ კინემატოგრაფმა არ გაიტაცა ზიდანი და სამწვრთნელო საქმიანობის შესწავლა არჩია, მიუხედავად იმისა, რომ კარიერის დასრულების შემდეგ მას არაერთი სცენარის წაკითხვა მოუწია.

## პელე

„გაქცევა გამარჯვებისკენ" ერთ-ერთი პირველი ფილმია, სადაც ერთბაშად ფეხბურთის რამდენიმე ვარსკვლავმა მიიღო მონაწილეობა (ოსვალდო არდილესი, ბობი მური და სხვები), ხოლო ფილმის უპირველესი ვარსკვლავი სილვესტერ სტალონესთან ერთად, ლეგენდარული ბრაზილიელი პელე იყო, რომელმაც მეორე მსოფლიო ომში გერმანელების მიერ ტყვედ აყვანილი ჯარისკაცის როლი განასახიერა. სცენარის მიხედვით, ტყვეების გუნდი გერმანელ ფეხბურთელებს ეთამაშა და მოუგო მატჩი, ხოლო პელემ გამარჯვების გოლი გაიტანა „მაკრატელა" დარტყმით. ცნობისთვის, „მაკრატელას" შესრულება პელემ პირველივე დუბლში მოახერხა და რეჟისორ ჯონ ჰიუსტონის მოწონება დაიმსახურა.

## ერიკ კანტონა

„მანჩესტერ იუნაიტედისა" და საფრანგეთის ნაკრების ლეგენდარული ნახევარმცველი ერიკ კანტონა ფეხბურთის მოედანზე ნამდვილი პროფესორი იყო და იგივე შეიძლება ითქვას მის კინოკარიერაზეც. კანტონა ბოლო დროის ერთ-ერთ ყველაზე ტირაჟირებულ და ცნობილ ფრანგ მსახიობად შეიძლება დავასახელოთ. მის ფილმოგრაფიაში სულ 35 ფილმია, საიდანაც 14-ში საკუთარ თავს განასახიერებს, ხოლო 21-ში სხვა როლებს, მათ შორის გამომძიებლებს, პოლიციელებს, მაფიოზებსა და სხვა პროფესიის ადამიანებს. ცნობისთვის კანტონას დებიუტი შედგა ოსკაროსან დრამაში – „ელიზაბეტი."



## ვინი ჯონსი

უელსელმა კინოვარსკვლავმა სახელი გაი რიჩის ფილმებით გაითქვა. ამას წინათ ჯონსი თბილისს ესტუმრა, საფეხბურთო კარიერის პერიოდში კი მას საქართველოს ნაკრების წინააღმდეგაც აქვს ნათამაშები კარდიფში, როდესაც გიორგი ქინქლაძის გოლით ჩვენმა გუნდმა გაიმარჯვა, ხოლო ჯონსი უხეში თამაშისთვის გააძევეს. „ბანქო, ფული და ორი ლულა", „გაიტაცო 60 წამში", „იქსმენები" და სხვა უამრავ ჰოლივუდურ ბლოკბასტერში ჯონსი ბრუტალურ პერსონაჟებს ასახიერებს. გარეგნობის გამო, ჯონსს ხშირად სთავაზობენ უარყოფით როლებს და ყოფილი ფეხბურთელიც სიამოვნებით ირგებს „ცუდის" მანტიას. ექსფეხბურთელებიდან ვინი ჯონსს ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული კარიერა აქვს.

## პიცა – სამწლიანი შენახვის ვადით

ამერიკის სამხედრო ლაბორატორიის მეცნიერებმა შეიმუშავეს პიცის რეცეპტი, რომელიც სამი წლის განმავლობაში ინახება. ოთახის ტემპერატურაზე. ამასთან, გემოთი და კვებითი ღირებულებებით ოჯახში გამომცხვარ პიცას არ ჩამოუვარდება. კვლევითი სამუშაოები ორ წელს გაგრძელდა. მთავარი პრობლემა პიცის მალფუჭებადი ინგრედიენტები იყო. ამიტომ, დაუმატეს ტომატში, ყველსა და ცომში, ეგრეთ წოდებული, სითხის შემანარჩუნებელი ნივთიერებები – მარილი და შაქარი. ამან პროდუქტებში მჟავიანობა გაზარდა და შესაბამისად, ბაქტერიების გავრცელება შეანელა.

## ლივერპულური „ქიბაბი" – ტარაკნებით

ბრიტანეთის ციხის ხელმძღვანელობას, რომელთაც ზემდგომმა ორგანოებმა არაერთხელ მოსთხოვეს, გაენადგურებინათ ასე გამრავლებული ტარაკნები, დამხმარედ თავად პატიმრები მოევლინენ. მათ, უბრალოდ, ამ საზიზღარი მწერების ჭამა დაიწყეს და ბრიტანულ გაზეთ „ინსაიდ თაიმსს" მათი გემრიელად მომზადების რეცეპტებიც კი შესთავაზეს. როგორც 43 წლის ნეილ ჰარისონ-სკოტი აცხადებს, ციხის ღარიბ რაციონში ტარაკნები საყვარელ საუზმედ იქცა. „შეგროვება ადვილია, დადეთ იატაკზე ჩიპსების ცარიელი პაკეტი, ჩააქრეთ შუქი და სულ მალე „პროდუქტით" გაივსება. მისი მოხარშვა შეგიძლიათ ჩაიდანში, შებრაწეთ კონსერვის ქილაში ან მოამზადეთ პატიმრების საყვარელი „ქებაბი": წკირზე წამოაცვით რამდენიმე ტარაკანა, შემდეგ მოათავსეთ შემდნარ შოკოლადის ფილაზე და გადაახვიეთ".

## კრიშტიანუ რონალდუ და ირინა შეიკი – ყველაზე ცეცხლოვანი წყვილი

ბრიტანული გამოცემა „მირორის" ვერსიით, „რეალის" ნახევარმცველი კრიშტიანუ რონალდუ და რუსი სუპერმოდელი ირინა შეიკი „ყველაზე ცეცხლოვან წყვილად" დასახელდნენ. ამ ტიტულისთვის ბრძოლაში მხოლოდ ფეხბურთელები და მათი მეორე ნახევრები იღებდნენ მონაწილეობას და რონალდუ-შეიკის წყვილმა დევიდ ბექჰემისა და ვიქტორია ადამსის ცნობილ წყვილს გაუსწრო. გამოკითხულებმა, ასევე, „ცეცხლოვან წყვილებში" შეიყვანეს: ლიონელ მესი და ანტონელა როკუცო, სტივენ ჯერარდი და ალექსი, ჟერარდ პიკე და შაკირა, იკერ კასილასი და სარა კარბონერო, ფრენკ ლამპარდი და კრისტინ ბლიკლი, უეინ ბრიჯი და ფრანჩესკა სენდფორდი, გარეტ ბეილი და ემა რის-ჯონსი. გამოკითხვაში ბოლო ადგილზე „სტოკ სიტის" ფორვარდი პიტერ კრაუჩი და მისი მომხიბლავი მეუღლე – ები კლენსი გავიდნენ.



## პორნოვარსკვლავის სტიმული – კალათბურთელებს

ცნობილმა ამერიკელმა პორნოვარსკვლავმა ავა დევაინმა გადაწყვიტა, „კლივლენდ კავალიერსის" კალათბურთელები გაამხნევოს და თუკი ისინი მიმდინარე სეზონში „პლეი-ოფში" გავლენ, თითოეულ მათგანთან სექსით დაკავდება. „თუკი ისინი გავლენ „პლეი-ოფში", ყველასთან დავწვები, თუ საჭირო გახდება, დაქალსაც დავიხმარ, მაგრამ, ვფიქრობ, რომ მარტოც გავართმევ თავს," – განაცხადა პორნოვარსკვლავმა. „კლივლენდ კავალიერს" ამჟამად მეთერთმეტე პოზიცია უკავია კონფერენციაში და ოთხი მოგებით ჩამორჩება საპლეიოფო ადგილზე მყოფ „შარლოტ ბობკეტს".

## ლევანდოვსკი ინტერნეტ-პროექტით დაინტერესდა

დორტმუნდის „ბორუსიის" პოლონელმა ვარსკვლავმა, რობერტ ლევანდოვსკიმ, რომელიც სეზონის ბოლოს „ბაიერნის" ფეხბურთელი გახდება, ინტერნეტ-პროექტ Scondoo-ში ფული დააბანდა. ინტერნეტ-სერვისი ითვალისწინებს სმარტფონებისთვის განკუთვნილი პროგრამის მეშვეობით სუპერმარკეტებში პროდუქტების, ჰიგიენური საშუალებებისა და სხვა საყოფაცხოვრებო მოხმარების ნივთების შეძენას მნიშვნელოვანი ფასდაკლებებით. ლევანდოვსკისთვის ეს ინტერნეტ-პროექტში ფულის ჩადების პირველი შემთხვევაა და ფეხბურთელი იმედოვნებს, რომ ბიზნესი წარმატებული იქნება.

## გარი ნევილის მაისურების კოლექცია

„მანჩესტერ იუნაიტედისა" და ინგლისის ნაკრების ყოფილმა მცველმა, გარი ნევილმა, „ტვიტერის" საკუთარ გვერდზე განათავსა კარიერის განმავლობაში შეგროვილი ცნობილი ფეხბურთელების მაისურების კოლექცია. ნევილის თქმით, ყველა ეს მაისური არა სახლში, არამედ, სპეციალურ ადგილას ინახება. სავარაუდოდ, ამის დაკონკრეტება მას იმის გამო მოუწია, რომ მაისურების დასაკუთრების მსურველებმა მისი სახლი არ გატეხონ. ნევილის კოლექციაში რონალდოს, პაოლო მალდინის, რობერტო ბაჯოს, ერიკ კანტონას, ანდრეი შევჩენკოს, არიელ ორტეგასა და სხვა ვარსკვლავების მაისურები ინახება.

**გვერდი მოამზადა უშანგი რუხაძემ**

# „ფორბსის" მილიარდერები, რომლებმაც ყველაფერი დაკარგეს

***ცხოვრებაში ყველაფერი ხდება და, შესაძლოა, ერთ დღეს „ფორბსის" მილიარდერების რეიტინგის წევრმაც კი დაკარგოს ყველაფერი. ამის არაერთი მაგალითი არსებობს.***

### ბიორგოლფურ გუდმუნდსონი

ერთ დროს სიმდიდრით მეორე ადამიანმა, ისლანდიელმა ბიორგოლფურ გუდმუნდსონმა, მთელი თავისი კაპიტალი ბანკ „ლენდსბანკში" დააბანდა და, ასევე, საკუთარი საფეხბურთო კლუბი შეიძინა. გუდმუნდსონის კაპიტალი 1,4 მილიარდ ამერიკულ დოლარად იყო შეფასებული. 2008 წლის ფინანსური კრიზისის დროს ისლანდიის საბანკო სისტემა ჩავარდა და ბანკი გაკოტრდა, ხოლო გუდმუნდსონის მთელი კაპიტალი „დაიფშვნა".



### ალენ სტენფორდი

იყო დრო, როცა ალენ სტენფორდი 2,2 მილიარდ დოლარად შეფასებულ ქონებას ფლობდა, ხოლო „ფორბსს" ის შეყვანილი ჰყავდა 400 უმდიდრესი ამერიკელისგან შემდგარ რეიტინგში. 2009 წელს გაირკვა, რომ სტენფორდის კაპიტალი თავიდან ბოლომდე ფინანსურ პირამიდაზე იყო აწყობილი და, მისი პოტენციური ინვესტორები, რომელთა რაოდენობა 20 ათასს შეადგენს, დღემდე ელოდებიან მისგან თანხის დაბრუნებას.

### ეიკე ბატისტა

ბრაზილიელი ეიკე ბატისტა, სულ რაღაც ორი წლის წინ, პლანეტის ერთ-ერთ უმდიდრეს ადამიანად ითვლებოდა – მისი კაპიტალი 33 მილიარდ ამერიკულ დოლარს შეადგენდა. ბატისტას შემოსავლის წყაროს ნავთობი იყო, კომპანია OGX. რამდენიმე ხნის წინ ბატისტა ნავთობმომპოვებელი ახალი საბადოების მოძიებას შეუდგა და ამ საქმეში დაიწყო ფინანსების დაბანდება. მან რამდენიმე ათეული საბურღი აპარატურა, ტანკერები და სხვა საჭირო ხელსაწყოები შეიძინა, თუმცა, ყველაფერი ამაო გამოდგა: ის ადგილი, სადაც ბატისტა ნავთობს ეძებდა, გამოუსადეგარი გამოდგა – იქ, არ აღმოჩნდა იმ რაოდენობის ნავთობი, რამდენსაც ბატისტა ელოდა და პლანეტის უმდიდრესი ადამიანი, უბრალოდ, გაკოტრდა.

### იოშიმიცუ შიგეტა

კომპანია „ჰიკარი ტსუნიშის" დამფუძნებელი, იაპონელი იოშიმიცუ შიგეტა, პლანეტის ერთ-ერთ ყველაზე მდიდარ ადამიანად ითვლებოდა ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისში – მისი კაპიტალი 42 მილიარდი დოლარით განისაზღვრებოდა. 2000-იანი წლების დასაწყისში IT-სამყაროს შემოსვლამ მის ბიზნესს მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა და, საბოლოოდ, შიგეტა გაკოტრდა. ამჟამად იგი წარსული დიდების დაბრუნებას ცდილობს, თუმცა, ამაოდ.

### შონ ქუინი

ირლანდიელი მილიარდერი შონ ქუინი 6 მილიარდი დოლარის კაპიტალს ფლობდა. 2007 წელს მან მთელი თავისი ქონება „ანგლო აირიშ ბანკში" დააბანდა – უძრავი ქონების ინვესტიციებში. მაგრამ, მას შემდეგ, რაც ირლანდიაში ეკონომიკური კრიზისი დაიწყო, შონ ქუინის ბიზნესი ჩავარდა და მან ყველაფერი დაკარგა. ირლანდიის მთავრობამ ბანკის ნაციონალიზება დაიწყო, რის შემდეგაც ყოფილი მილიარდერისა და მისი ოჯახის წევრების ანგარიშზე მხოლოდ 15 ათასი დოლარი დარჩა ხელმისაწვდომი.

# მხოლოდ ფაქტები

* 1980-იან წლებში დან შეხტმანი სამეცნიერო ინსტიტუტიდან გაუშვეს კრისტალოგრაფიის საფუძვლების არცოდნის გამო. მოგვიანებით კი მან ნამდვილი გადატრიალება მოახდინა მეცნიერებაში სწორედ კრისტალის შესწავლით, რისთვისაც 2011 წელს ნობელის პრემია მიიღო ქიმიაში.

* პაბლო პიკასოსთვის ციფრი 7 გადაბრუნებული ცხვირი იყო.

* კომპანია „ფლეიტექსს", რომელიც მამაკაცის თეთრეულს აწარმოებს და რომელმაც მთვარის პროგრამაში მონაწილე ამერიკელი კოსმონავტებისთვის სკაფანდრი შექმნა, „აპოლონის ჩამცმელი" უწოდეს – აპოლონი ანტიკური ხანიდან შიშველი გამოისახებოდა.

* ცნობილმა ინგლისელმა მსახიობმა ლოურენს ოლივიემ ლორდის ტიტული 1970 წელს მიიღო.

* ანატოლი ჩეხოვი 1897 წლის თებერვალში დაწერილ ერთ-ერთ წერილში წერდა, რომ ძალიან მობეზრდა ეს საქმიანობა, „წერა თითების დაღლამდე", ანგარიში და ლექციების კითხვა ოცდაათი თანაშემწისთვის... ეს, რა თქმა უნდა, არ ეხებოდა არც მწერლობას და არც მის საექიმო პრაქტიკას – ჩეხოვი მოსახლეობის აღწერაში იღებდა მონაწილეობას.

* მენდელეევის პერიოდულ სისტემას თუ დავაკვირდებით და გავითვალისწინებთ გვარების ეტიმოლოგიას, სპილენძის სახელი ორ ელემენტს ჰქვია: ერთი – თავად სპილენძი, მეორე კი – კოპერნიკიუმი, რადგან, კუპრუმ – ლათინურად და კუფერ – გერმანულად, ორივე სპილენძს ნიშნავს.

* ულექსიტი იშვიათი მინერალია, რომელიც უნიკალური თვისებით გამოირჩევა – მისი ბოჭკოები ბუნებრივი სინათლისგამტარია. თუ პოლირებულ ქვას რამე ტექსტზე დავდებთ, ასოების გამოსახულება ამ ბოჭკოებით ქვის ზედა მხარეს გადაეცემა. მას ინგლისელები TV-ს ეძახიან – ტელევიზორ-ქვას.

* ალბერტ აინშტაინის ტვინი 1955 წელს ტომას ჰარვიმ სახლში წამოიღო და დიდი ხნის განმავლობაში ინახავდა. მისი შედარებითი ანალიზი კი მხოლოდ 1980 წელს გააკეთა პროფესორმა მარიან დაიმონდმა.

* ცნობილი ფრაზა – „წილი ნაყარია" – რუბიკონის გადალახვის დროს, ჩვენს წელთაღრიცხვამდე 49 წელს, იულიუს კეისარმა წარმოთქვა.

* ფრანგულმა დიზაინსტუდია „ატიპიკმა" გამოსცა სათამაშო ბანქო – „რევოლუცია". სათამაშო ბარათებში მეფეები, „დამები" და „ვალეტები" უთავოდ არიან გამოსახულნი.

* ყოფილი ლენინის მუზეუმის სათავსოში ინახება თაგვებისგან დაზიანებული სტალინის ბიუსტი, ხოლო რევოლუციის მუზეუმში ანალოგიური ექსპონატები წყლის მილის დაზიანების გამო მთლიანად განადგურდა – ბიუსტები შაქრისგან იყო დამზადებული.

* ევროპული ეკოლოგიური ორგანიზაციები ყოველ წელს აღნიშნავენ „ღამურების დაცვის დღეს"... თუმცა, ღონისძიებები ღამით იმართება.

* შიზოფრენია, როგორც დაავადება, ოიჰენ ბლეილერმა 1908 წელს აღწერა.

* ამერიკელები ჩვენზე არანაკლებ პატრიოტები ყოფილან: თავიანთი მშობლიური შტატის სიყვარულით, მშობლებმა ტყუპ გოგონებს ოკლა და ჰომა დაარქვეს; ასევე მოიქცა მინესოტაში მცხოვრები ცოლ-ქმარი – მათ გოგონებს მინე და სოტა ჰქვიათ.

# ფილიპ სეიმურ ჰოფმანი: ჰოლივუდის ვარსკვლავის ტრაგიკული სიკვდილით დასრულებული სიცოცხლე

***ფილიპ სეიმურ ჰოფმანი გარდაცვლილი ნახეს ნიუ-იორკში, საკუთარ ბინაში. სიკვდილის მიზეზად დასახელდა ნარკოტიკული საშუალების ზედმეტი დოზა. ოფიციალური ვერსია კი ჯერაც არ ხმაურდება. ფილიპ სეიმურ ჰოფმანი 46 წლის იყო. ის ითვლებოდა მეორეხარისხოვანი როლების შემსრულებელ ჰოლივუდის ნომერ პირველ მსახიობად.***

* ფილიპ სეიმურ ჰოფმანი 1967 წლის 23 ივლისს დაიბადა ფეირპორტში, როჩესტერის შემოგარენში. დედა, მერილინ ო'კონორი, მოსამართლე და შემდგომში ადვოკატი იყო; მამა, გორდონ სტაუელ ჰოფმანი კი ამერიკულ კომპანია „ქსეროქსში" მუშაობდა. ფილიპს ჰყავდა დები – ჯილი და ემილი და ძმა – გორდი. ფილიპ სეიმურ ჰოფმანის წინაპრები იყვნენ ირლანდიელები, გერმანელები, ინგლისელები და ჰოლანდიელები. ფილიპის მამა პროტესტანტი იყო, დედა – კათოლიკე, თავად ფილიპი კი არც ერთი რელიგიის მიმდევარი არ გახლდათ.



* ბავშვობაში ფილიპი გატაცებული იყო ჭიდაობით, მაგრამ, კისრის ტრავმის გამო მას სპორტის მიტოვება მოუხდა და მსახიობობით დაინტერესდა. 17 წლის ასაკში იგი ნიუ-იორკის ხელოვნების საზაფხულო სკოლაში მოეწყო, ხოლო შემდგომ სწავლა ნიუ-იორკის უნივერსიტეტში განაგრძო დრამის ფაკულტეტზე. პირველი როლი კინოში მან 1991 წელს ითამაშა დამოუკიდებელ ფილმში – „ჩით", ხოლო საზოგადოებამ 1992 წელს გაიცნო ჯორჯ ვილისის როლით გახმაურებულ ფილმში „ქალის სურნელი", სადაც მთავარ როლებს ალ პაჩინო და კრის ო'დონელი ასრულებდნენ. 2005 წელს ფილიპ სეიმურ ჰოფმანმა მიიღო „ოსკარის" ჯილდო მამაკაცის საუკეთესო როლის შესრულებისთვის ბიოგრაფიულ დრამაში „კაპოტე". ეს ფილმი მის ფილმოგრაფიაში პოლ ტომას ანდერსონის „ოსტატთან" ერთად საუკეთესოდ ითვლება. 2015 წელს კინოეკრანებზე გამოვა ფილიპ სეიმურ ჰოფმანის უკანასკნელი ფილმი – „შიმშილის თამაშები", რომლის გადაღება მსახიობის გარდაცვალებამდე ორი კვირით ადრე დასრულდა.

* კინოსთან ერთად, სეიმურ ჰოფმანი წარმატებით გამოდიოდა ბროდვეის სცენაზე. თეატრალური კრიტიკოსი ბენ ბრეტლი მას თავისი თაობის საუკეთესო მსახიობს უწოდებდა.

* უკანასკნელი 15 წლის განმავლობაში ფილიპ სეიმურ ჰოფმანი სამოქალაქო ქორწინებაში ცხოვრობდა კოსტიუმერ მიმი ო'დონელთან, რომელთანაც ჰყავდა სამი შვილი: კუპერ ალექსანდერი, ტალულა და ვილი.

* 2006 წელს მიცემულ ინტერვიუში ფილიპ სეიმური აცხადებდა, რომ ნარკოტიკებთან პრობლემა ჯერ კიდევ 22 წლის ასაკში დაეწყო და მას შემდეგ მან პრაქტიკულად ყველა სახის ნარკოტიკი გასინჯა. ის რამდენჯერმე მკურნალობდა სარეაბილიტაციო კლინიკაში, უკანაკსნელად – 2013 წლის მაისში.

**გვერდი მოამზადა**
**უშანგი რუხაძემ**



## რამდენად საშიშია გულის არითმია და არის თუ არა ის ინსულტის წინამორბედი სიმპტომი

გული შედგება წინაგულებისა და პარკუჭებისგან. წინაგულებში არსებობს სინუსის კვანძები, რომლებშიც გამომუშავდება იმპულსები. გულის არითმიების განვითარების საფუძველი შეიძლება, იყოს იმპულსის წარმოქმნის მოშლა და იმპულსის გატარების დარღვევა. მოციმციმე არითმიის დროს, დარღვეულია სწორედ იმპულსის წარმოქმნა. ამ დროს წინაგულები კარგავს სინქრონული შეკუმშვის უნარს და იწყებს ქაოსურ ციმციმს. წინაგულების ციმციმი განპირობებულია თავად გულის პათოლოგიით, ან გარეშე ფაქტორების მავნე ზემოქმედებით. მისი აღმოცენების ძირითადი მიზეზია მიოკარდიუმის ინფარქტი, ჟანგბადის ნაკლებობა, გულის მანკი, თირეტოქსიკოზი, მედიკამენტური ინტოქსიკაცია, ჰიპერტონიული დაავადება, გულის ინფექციური დაზიანება. ასაკში შესული ადამიანებისთვის ახლად აღმოცენებული მოციმციმე არითმია შეიძლება, ფარულად მიმდინარე იშემიის, ანუ გულის კუნთის კვების მოშლის შედეგი იყოს. ახალგაზრდებში კი ამის მიზეზი ხშირად მიტრალური სარქვლის პროლაფსის არასწორი მუშაობის შედეგია.

ზოგჯერ არითმია დაავადების არსებობის გარეშეც აღმოცენდება, მაგალითად, ალკოჰოლის დიდი დოზით მიღებისას. მოციმციმე არითმიის განვითარების დიდი რისკია შაქრიანი დიაბეტით დაავადებულისთვის, განსაკუთრებით მაშინ, თუ მაღალი არტერიული წნევაც ახლავს. წინაგულების ციმციმი შეიძლება, ასოცირებული იყოს სხვა სახის არითმიასა და იმპულსის გატარების მოშლასთან.

ხშირად ისეც ხდება, რომ დაავადება პირველი გამოვლენის დროს გართულებულია, თან ახლავს ტაქიკარდია ანუ იმპულსის გახშირება. ამ დროს გული დიდ სამუშაო დატვირთვას იღებს, რის შედეგადაც შეიძლება, განვითარდეს ტკივილი მკერდის ძვლის უკან. ეს კი სტენოკარდიის ან მიოკარდიუმის ინფარქტის ერთ-ერთი ნიშანია. არითმიის გამო, შესაძლოა, დაქვეითდეს გულის მუშაობის ეფექტურობა, რაც მეორე გართულების – გულის უკმარისობის მიზეზად შეიძლება, იქცეს.

წინაგულების მწვავედ აღმოცენებული ციმციმის დროს, მკურნალობის მიზანია პარკუჭების შეკუმშვათა სიხშირის შემცირება და გარდა ამისა, ნორმალური რიტმის აღდგენა. არითმიის აღმოცენებისთანავე, ჩაიტარეთ მკურნალობის კურსი, რადგან მოციმციმე არითმიის დროს, წინაგულებში მკვეთრად ნელდება სისხლის დინება. ეს კი თრომბების აღმოცენების მიზეზი ხდება. როცა მკურნალობის შედეგად, გულის მუშაობის ნორმალური რიტმი აღდგება, შესაძლებელია, თრომბის ფრაგმენტები მოწყდეს და რომელიმე ორგანოს სისხლძარღვებს დაეცოს. უფრო ხშირად, ეს ხდება თავის ტვინის სისხლძარღვებში, რის შედეგადაც ვითარდება ინსულტი. ამიტომ, მკურნალობაში აუცილებლად უნდა ჩაერთოს ის პრეპარატები, რომლებიც სისხლის შედედების უნარს ამცირებს.

## მარილი ადამიანის ორგანიზმისთვის აუცილებელია

მარილი ადამიანის ორგანიზმს ნატრიუმისა და ქლორის იონებით ამარაგებს. ამ იონების გარეშე წარმოუდგენელია, კუჭის წვენის მთავარი შემადგენლის, ტუტეებისა და მარილმჟავას წარმოქმნა, რაც აუცილებელია, უჯრედების ნორმალური მუშაობისა და ქსოვილებში წყლის განაწილებისთვის. ოფლში, ნერწყვში, ცრემლში მარილის არსებობა თვალსაჩინო მაგალითია, რომ ორგანიზმის ცხოველქმედებაში ის აქტიურად მონაწილეობს.

ადამიანისთვის მარილის დღიური ნორმა 4-6 გრამია. ჰიპერტონიის, თირკმელების დაავადებების, შეშუპებისა და ორსულობის ბოლო თვეებში გირჩევთ, მარილის მოხმარება შეამციროთ.

ხალხურ მედიცინაში, უძველესი დროიდან, საკმაოდ ხშირად იყენებდნენ მარილს სხვადასხვა დაავადების სამკურნალოდ. გთავაზობთ ზოგიერთ რეცეპტს:

*კუჭის შეკრულობის დროს, სასაქმებლად, 4 ჩაის ჭიქა კიტრის მარინადის მარილიანი წვენი დალიეთ. აშლილობისას კი ტაფაზე 1-1,5 კილოგრამი მარილი გაახურეთ, ჩაყარეთ ქსოვილის პატარა პარკში და მუცელზე დაიდეთ.

*დაჟეჟილი ადგილების მოსაშუშებლად მარილიანი ძმრის კომპრესი გაიკეთეთ.

*თუ ფუტკარმა ან კრაზანამ გიკბინათ, მწიკვი მარილი დანამეთ და ნაკბენზე დაიდეთ. ტკივილს გაგიჩერებთ და შესიებას დააცხრობს.

*გაციების დროს კარგია ცხვირისა და ყელის მარილწყლით გამორეცხვა. 0,5 ჩაის კოვზი მარილი ჩაყარეთ 1 ჩაის ჭიქა წყალში. პროცედურა დაავადების ხანგრძლივობას ამცირებს და ხელს უშლის სასუნთქ გზებში ინფექციის გავრცელებას.

მარილის ხსნარი აქტიურად ურთიერთქმედებს ორგანიზმის ქსოვილებში შემავალ სითხესთან და შეიწოვს დაავადების წარმომშობ მიკრობებს, ვირუსებს, შხამებსა და არაორგანულ ნივთიერებებს, მაგრამ ხელუხლებელს ტოვებს ერითროციტებს, ლეიკოციტებსა და ცოცხალ უჯრედებს. ამგვარად, დაავადებული ორგანოს ქსოვილების სითხის განახლება და დეზინფექცია ხდება, პათოლოგიური პროცესი კი წყდება.

მიუხედავად მარილოთერაპიის მაღალეფექტურობისა, გასათვალისწინებელია, რომ მას გარკვეული უკუჩვენებაც აქვს. დიდი რაოდენობით გამოყენებამ შეიძლება, შაკიკის პროვოცირება მოახდინოს, ასთმის დროს კი მდგომარეობა დამძიმდეს. ამიტომ, რაოდენობის კონტროლი აუცილებელია, რადგან ზედმეტი მარილი ორგანიზმსა და სისხლძარღვებში წყლის შეკავებას იწვევს, რაც ანუსის ვენების შესიების მიზეზი ხდება.

## რა იწვევს ქალებში მკერდის კიბოს და როგორ ამოვიცნოთ ეს დაავადება ადრეულ სტადიაში

საკმაოდ იმატა ქალებში საკვერცხეებისა და სარძევე ჯირკვლების კიბოთი დაავადების რიცხვმა. საკვერცხის კიბოს წარმოქმნის მიზეზი ჯერ კიდევ უცნობია. ფეხმძიმობა და მშობიარობა ამ დაავადების განვითარების რისკს საგრძნობლად ამცირებს, უნაყოფობა კი, პირიქით – ამაღლებს. ჰორმონული პრეპარატები, რომლებიც ოვულაციას ასტიმულირებს, დაავადების განვითარების რისკს კიდევ უფრო უწყობს ხელს. საკვერცხის კიბოს განვითარების მაპროვოცირებელ ფაქტორად ზოგიერთი ვირუსიც მოიაზრება. იმისთვის, რომ შეამციროთ რისკი, აუცილებელია მშობიარობა, მემკვიდრული განწყობის ცოდნა და გინეკოლოგის ხშირი მეთვალყურეობა.

თუ ქალი მუცლის არეში ხშირად განიცდის დისკომფორტს, აღენიშნება მენსტრუალური ციკლის დარღვევა, მუცლის ხშირი შებერვა, სიმძიმის შეგრძნება და ნაწლავების მოქმედების დარღვევა, აუცილებლად უნდა გაესინჯოს გინეკოლოგს, რათა გამოირიცხოს დაავადების რისკი. საკვერცხის კიბოს ადრეული დიაგნოსტიკის სირთულე ისაა, რომ ამ ეტაპზე დაავადება, ფაქტობრივად, უსიმპტომოდ მიმდინარეობს. მკურნალობა კი დაავადების სტადიაზეა დამოკიდებული.

რაც შეეხება სარძევე ჯირკვლის კიბოს, ამ რისკის ჯგუფში ის ქალები შედიან, ვინც შვილი გვიან ასაკში გააჩინა. ასევე, ისინი, ვინც ჩვილს ბუნებრივად არ კვებავდა. სარძევე ჯირკვლის დაავადების მიზეზი ხშირად

კუჭ-ნაწლავის დისკომფორტი (შეკრულობა, ფაღარათი, შებერილობა) დისბაქტერიოზი
მ ი ი ღ ე თ
ლაქტო-ჯი
www.laqto.ge
გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

მემკვიდრეობითი მიდრეკილება, კვება და ცხოვრების სტილი, ასევე, ალკოჰოლი და თამბაქო. სარძევე ჯირკვლის კიბოს განვითარების ხშირი და მთავარი მიზეზი კი აბორტი და დაბინძურებული ეკოლოგიური გარემოა. საჭიროა, წელიწადში ერთხელ მაინც მიაკითხოთ მამოლოგს და ჩაიტაროთ ჯირკვლის ულტრაბგერითი კვლევა-შემოწმება.

თუ ქალმა მკერდის ნებისმიერ ადგილას ან იღლიის ფოსოში გამკვრივებული უბანი აღმოაჩინა, ან ძუძუს თავმა შეიცვალა ფორმა, აღინიშნება გამონადენი ან მკერდის ფორმის შეცვლა, აუცილებლად მიაკითხეთ ექიმს. დროულად გამოვლენილი დაავადება მკურნალობას ექვემდებარება. ულტრაბგერითი გამოკვლევა კი ერთ-ერთი უზუსტესი მეთოდია სარძევე ჯირკვლის კიბოს დიაგნოსტიკაში.

რისკის ჯგუფებში ძირითადად ის ქალები შედიან, რომელთა წინაპრებსაც ონკოლოგიური დაავადებები აღენიშნებოდათ, ვისაც აქვს ქრონიკული ანთებითი პროცესები, ენდომეტრიოზი, ან, დაავადებები, რომლებიც არ ემორჩილება ან რთულად ექვემდებარება ჰორმონულ თერაპიას. ყველა ქალი, ვისაც მსგავსი სიმპტომები აღენიშნება, აუცილებლად უნდა გადიოდეს კონსულტაციებს გინეკოლოგთან და ითვალისწინებდეს მათ რეკომენდაციებს.

### რომელ საკვებს გააჩნია სამკურნალო თვისებები

*საკვები ჯანმრთელობაზე სერიოზულ გავლენას ახდენს. ბევრ მათგანს კი მკვეთრად გამოხატული სამკურნალო თვისება გააჩნია. კერძოდ:*

* **ისპანახი** მდიდარია რკინითა და ფოლატებით, რომლებიც კარგად მოქმედებს ნერვულ სისტემაზე და ამცირებს ჰომოცისტინების რაოდენობას. შეგიძლიათ, ისპანახი ყოველდღიურ რაციონში ჩართოთ, რადგან ის კალორიებს მხოლოდ მცირე დოზით შეიცავს, ცხიმს კი – საერთოდ არა. ისპანახი ასევე ძალიან სასარგებლოა მხედველობისთვის.

* **პომიდორი** ამცირებს წინამდებარე ჯირკვლისა და საჭმლის მომნელებელი ტრაქტის კიბოს განვითარების რისკს. ეს თვისება ამ ბოსტნეულში შემავალი ლიკოპენის, ანუ ერთ-ერთი უძლიერესი ანტიოქსიდანტის დამსახურებაა. ასევე, პომიდორი C ვიტამინის უმდიდრესი საბადოა.

* **ნიორი** ამაგრებს გულს, ებრძვის ავთვისებიანი უჯრედების განვითარებას, ასევე, ებრძვის ვირუსებს, ამცირებს სისხლში ქოლესტერინს.

**მოცვი** დიდი რაოდენობით შეიცავს ანტიოქსიდანტებს. ის ამცირებს გულის დაავადებებისა და კიბოს განვითარების რისკს. დადებითად მოქმედებს ტვინის მუშაობაზე, აუმჯობესებს მეხსიერებას, ებრძვის შარდ-სასქესო ორგანოების ინფექციებს.

* **ორაგული** ამცირებს სისხლში ტრიგლიცერიდებისა და ქოლესტერინის შემცველობას. შეიცავს ცხიმის განსაკუთრებულ სახეობას, რომელსაც „ომეგა 3-ს" უწოდებენ. ეს უკანასკნელი კი იცავს ორგანიზმს აუტოიმუნური დაავადებებისგან, მაგალითად, როგორიც არის რევმატოიდური ართრიტი. ასევე, დადებითად მოქმედებს თავის ტვინის მუშაობაზე და აფერხებს დაბერების პროცესს.

# ექიმის რჩევები

**კითხვა: დასაშვებია თუ არა სექსუალური ურთიერთობა ორსულობის დროს?**

**პასუხი:** სექსი ორსულობის დროს უკუნაჩვენებია მხოლოდ მოსალოდნელი ნაადრევი მშობიარობის, საშვილოსნოს ტონუსის მომატების დროს და მისგან თავი უნდა შეიკავოთ ორსულობის ბოლო 1 თვის განმავლობაში, რათა არ მოხდეს მშობიარობის დაჩქარება.

**კითხვა: მყავს მეთორმეტეკლასელი ვაჟი. ბოლო ხანებია, დაეწყო მეხსიერების დაქვეითება. ძნელად იხსენებს წაკითხულს. რა რჩევას მომცემდით?**

**პასუხი:** პირველ ყოვლისა, აუცილებელია დღის რეჟიმის სწორად დაგეგმვა – ჯანსაღი ცხოვრების წესი, რაც გულისხმობს: დაბალანსებულ კვებას, ძილის რეჟიმის მოწესრიგებას, მსუბუქ ვარჯიშს და, რა თქმა უნდა, ბევრ მეცადინეობას. უარი თქვას სოციალურ ქსელებზე („ფეისბუქი", სკაიპი და სხვა) და კომპიუტერულ თამაშებზე. პარალელურად, სასურველია, გაიკეთოს სისხლის საერთო ანალიზი (ანემიის გამოსარიცხავად) და ფარისებრი ჯირკვლის ფუნქციის გამოკვლევა.

**კითხვა: მაინტერესებს, რანულას საწყისი ეტაპის განკურნება თუ შეიძლება ქირურგიული ჩარევის გარეშე და რა მეთოდებით?**

**პასუხი:** რანულას, ანუ, რეტენციული კისტის მკურნალობის ყველაზე რაციონალური და სწორი მეთოდია მისი ამოკვეთა.

**კითხვა: რკინის ნაკლებობის გამო, ჩემს შვილს ექიმმა დაუნიშნა მედიკამენტები: ლომპასარი და სორბიფერ დურულესი. ამავდროულად, გოგონას აქვს გასტრიტი და ერთი თვეა, მკურნალობს. მაინტერესებს, შეიძლება თუ არა, ამ მედიკამენტების გამო, განავალს შავი ფერი ჰქონდეს?**

**პასუხი:** სორბიფერ დურულესი არის რკინის პრეპარატი, რომლის მიღებამ, შეიძლება, გამოიწვიოს განავლის გამუქება და კლინიკური მნიშვნელობა არ გააჩნია.

**კითხვა: მყავს სამი შვილი: 13, 6 და 2 წლის. თუ შეიძლება, რომ ყოველდღიურად მივაღებინო სტაფილოს წვენი? გთხოვთ, მომწეროთ დოზები.**

**პასუხი:** დიახ, შეგიძლიათ, მისცეთ სტაფილოს წვენი. დოზები: 1 ჭიქა – 13 და 6 წლის ბავშვებს, 2 წლისას კი – 1/2 ჭიქა.

**კითხვა: უკვე ერთი თვე იქნება, რაც ჩემი 2 წლის ბიჭი ჭამის მერე ძალიან აბოყინებს, თან, ბევრჯერ და ხმიანად. რისი ბრალი შეიძლება იყოს? შემწვარს და შოკოლადს ძალიან იშვიათად ვაჭმევ.**

**პასუხი:** ბიჭი ბავშვთა გასტროენტეროლოგს აჩვენეთ. ერთ-ერთი მიზეზი შეიძლება იყოს არანორმირებული და ძალდატანებითი კვება.

**კითხვა: მყავს 5 თვის ბიჭი, რომელიც დაბადებიდან ხელოვნურ კვებაზეა. დამატებითი საკვები ჯერ არაფერი მიმიცია. მაინტერესებს, რა შეიძლება მივცე პირველად და როგორ უნდა იკვებოს ამ ასაკის ბავშვი?**

**პასუხი:** 5 თვის ბავშვის მენიუ და რეჟიმი დაახლოებით ასეთი უნდა იყოს: 6.00-7.00 – ადაპტირებული რძის საკვები. 10.00-10.30 - 150 გრამი ბოსტნეულის პიურე (დასაწყისში ხილ-ბოსტნეულის პიურე მიეცით, 1-2 ჩაის კოვზის ოდენობით, შემდეგ კი გაუზარდეთ 140-150 გრამამდე), 30 გრამი ფაფა ან ხაჭო, ნახევარი მოხარშული კვერცხის გული; 14.00 – ადაპტირებული რძის ნარევი. 17.00-18.00 – 150 გრამი ფაფა, 30 გრამი ხილის წვენი. 21.00-22.00 – ადაპტირებული რძის ნარევი (ამ პროდუქტებით რაციონის გამდიდრება თანდათან უნდა მოხდეს). ეს არის ზოგადი რეკომენდაცია. გახსოვდეთ, კვების რეჟიმი ინდივიდუალურად, ბავშვის ფსიქომოტორული განვითარების გათვალისწინებით, პირად პედიატრთან შეთანხმებით დგება.

**რუბრიკას უძღვება ოჯახის ექიმი**
**მაია ნუცუბიძე**

* საკვებად **შვრიის** რეგულარული გამოყენება სისხლში ქოლესტერინის დონეს დასაშვებ ზღვარზე მეტად არ ზრდის. შვრია სასარგებლოა ჰიპერტონიით დაავადებული ადამიანებისთვის, რადგან ის ამცირებს არტერიულ წნევას, ასევე, კარგია მათთვის, ვისაც ჭარბი წონის პრობლემები აწუხებს.

* **ნიგოზში, თხილსა** და **ნუშის გულში** შემავალი ცხიმი ძალიან სასარგებლოა ადამიანის ორგანიზმისთვის. ის ამცირებს ორგანიზმში ტრიგლიცერიდებისა და ქოლესტერინის დონეს. ეს კი აუცილებელია გულის დაავადებების თავიდან ასაცილებლად. ნიგოზი შეიცავს ელამინის მჟავას, რომელიც სიმსივნურ უჯრედებს ანადგურებს. მაგრამ, გაითვალისწინეთ ისიც, რომ მისი უზომოდ ჭამა არ არის რეკომენდებული.

* **ყურძენი** შეიცავს ძლიერმოქმედ ანტიოქსიდანტებს. მათ შორის, ერთ-ერთია რესვერატროლური ოქსიდანტი, რომელიც ორგანი-



ზმში ამაღლებს კარგი ქოლესტერინის დონეს. დღეში ერთი ჭიქა წითელი ღვინო გულისთვის ძალიან სასარგებლოა.

**გვერდები მოამზადა**
**ნონა დათეშიძე**

# როგორ დაიწყო ჯაბა იოსელიანისა და ზვიად გამსახურდიას ურთიერთობა და როდის ჩატყდა მათ შორის ხიდი

„... რაც შეეხება ჩემს ბიოგრაფიას, ეს ხომ კულუარების მუდმივი სალაპარაკო მასალა გახდა: როგორ? არაპარტიული, კომკავშირში არანამყოფი, ნაციხარი, ჯარში არნამსახურევი, საზოგადოებრივ ცხოვრებაში არააქტიური და ასე შემდეგ და ასე შემდეგ... ბოლოს და ბოლოს, ვინ არის ეს იოსელიანი? ამას დაემატა ერთი პიკანტური გარემოებაც. ჩემი „შავი რეცეზენტის" ცოლის დაქალი, გასაგები მიზეზების გამო, ჩემი ამაოდ მოძულე ქალბატონი გამოდგა..."



„სამი განზომილება" – ასე უწოდა წიგნს მწერალმა და დრამატურგმა, პოლიტიკურმა მოღვაწემ, „მხედრიონის" ლიდერმა – ჯაბა იოსელიანმა, რომელშიც ის დეტალურად და ძალიან საინტერესოდ ყვება თავის ცხოვრებაზე, იხსენებს ციხის პერიოდებს, მისი და ზვიად გამსახურდიას ხელისუფლებას შორის დაპირისპირების მომენტებს, აფხაზეთსა და სამაჩაბლოში შექმნილ რეალურ მიზეზებსა და საბრძოლო ვითარებას, თბილისში დაწყებულ სამოქალაქო ომს... ჯაბა იოსელიანის მიმართ, რომელიც, ჩემი აზრით, საქართველოში ერთ-ერთ საინტერესო ფიგურად მოიაზრებოდა თავისი განვლილი ცხოვრებით, ქართველი ხალხის დამოკიდებულება ორგვაროვანი იყო: იგი ან უყვარდათ, ან არ უყვარდათ, თუმცა, დღეს ამას მნიშვნელობა აღარ აქვს. ის უკვე ისტორიას ეკუთვნის, ისტორია კი ყველაზე მიუკერძოებელი მსაჯულია. მე მხოლოდ რამდენიმე ეპიზოდს შემოგთავაზებთ მისი წიგნიდან, რომელიც, ვფიქრობ, ყველა მკითხველის ინტერესს მძაფრად გააღვივებს.



„... ციხეში თითქოს არაფერი შეცვლილა ამ ოცდაათი წლის განმავლობაში, თითქოს გუშინ გადავყავდი ამ მიწისქვეშა გვირაბით. ისევ „შმონი", იდიოტური შეკითხვები ამნისტიის შესახებ, ცნობისმოყვარეობით დაღებული პირები, ნესტი, ანტისანიტარია, ვირთხები, ძველბიჭური თომარი. ერთი ღამე გავათიე მანქანის გამტაცებელთან ერთ ლოგინზე... შავნაბადაზე ნაცემი ბიჭები ციხის საავადმყოფოში ჰყავთ. ზვიადის ერთგულებაში თავი გამოუჩენიათ გვარდიელებსაც და მილიციასაც... მოდის ახალდანიშნული ციხის რეჟიმის უფროსი, რომლის შესახებაც კამერაში მიამბეს. მრგვალი მაგიდის წევრი და გაქანებული ზვიადისტია, პატიმრებს ურტყამს და აშინებს. ჩემთან დაჭიმულია. ერთი სული აქვს, შეურაცხყოფა მომაყენოს. მეც ყველა უკიდურესობისთვის მზად ვარ... ხუთი ათასამდე კაცი შეგროვილა და „ჯა-ბა, ჯა-ბას" სკანდირებით, ციხეს მოდგომიან. მოითხოვენ ჩემს გათავისუფლებას. ადმინისტრაციამ სასწრაფოდ იმიტომ ჩამკეტა „შმონის" ოთახში, შეეშინდათ არ გამეგო და საპასუხო რამ არ მომეწყო. ამავე დროს, ციხის რომელიღაც თანამშრომელი აუგზავნიათ მეოთხე კორპუსის მაღლივ კამერაში და იქედან, ვითომდა, პატიმარი ყოფილიყოს, ციხის გალავანს შემორტყმულ ხალხს ფანჯრიდან გადასძახა თურმე: „ჯაბა აქ არ არის, წაიყვანეს, არ ვიცით სადაა". რამდენიმე დღის შემდეგ გამსახურდიამ შავნაბადაზე თავდასხმის ამბავი პროვოკაციად მონათლა. თურმე რუსის ჯართან შეტაკება მე და საქართველოში საბჭოთა ჯარის მთავარსარდალს გენერალ პატრიკეევს მოგვიწყვია. ხოლო მე როგორ აღმოვჩნდი ციხეში, ან ამას მსხვერპლი რატომ მოჰყვა, ან ნაცემ-ნაგვემ მხედრიონელებს ციხის საავადმყოფოში რა საქმე ჰქონდათ, ან ასე ნატურალისტურად რატომ წარიმართა ინსცენირება: ჩვენი საკუთარი ავტოფარეხი დავანგრიეთ, ოთხასამდე სატვირთო თუ მსუბუქი ავტომანქანა ჯართად ვაქციეთ – ეს ყველაფერი გაუშიფრავი აბსურდის თეატრი გახლდათ. ერთი წლის შემდეგ თენგიზ კიტოვანისგან გავიგე, ამ ოპერაციაში გამსახურდიას 250 ათასი მანეთი გადაუხდია „ლამურებისთვის", ვინც ჩვენს დარბევაში მონაწილეობდა. მაშინ 250 ათასი მანეთი დიდი ფული იყო – დაახლოებით 100 ათასი ამერიკული დოლარის ეკვივალენტი. გენერალ პატრიკეევს ამის შესახებ „კაგებეს" ციხიდან იუმორისტული წერილიც კი გავუგზავნე, სათაურით: „ღია წერილი" და „გრიფით – ყოვლად საიდუმლოდ" (წერილის ასლი ჩემს პირად არქივში ინახება)...



ცენტრალური გაზეთის მეშვეობით პროკურატურამ გაავრცელა ჩემი 35 წლის წინანდელი განაჩენი. გამსახურდია ხალხს არწმუნებს, რომ მე ბანდიტი ვარ! მახსოვს, ზვიად გამსახურდიასთან პირველი კონტაქტები. მე თეატრის, კინოსა და მუსიკის მუზეუმის დირექტორის მოადგილე ვარ. ეს 1975-1976 წლებია. ერთ მშვენიერ დღეს ჩემთან, სამსახურში მოდის და მთხოვს ვითანამშრომლო მის ახლად შექმნილ ჟურნალ „საქართველოს მოამბეში". მანამდე მას გამარჯობა-გაგიმარჯოთი ვიცნობდი. თუმცა, ბატონ კონსტანტინესა და ქალბატონ მირანდასთან უწინ ახლო ურთიერთობა მქონდა.



1966 წელს, როცა მე, ახალი გათავისუფლებული, ჩემს ცოლთან ერთად გაგრაში ჩავედი დასასვენებლად, იქ გამსახურდიების ოჯახი დამხვდა და ჩემს პატივსაცემად ბატონმა კონსტანტინემ სასტუმრო „გაგრიფშში" პურ-მარილიც კი გაშალა. მართალია, სულ ოთხ პერსონაზე: მე, ჩემი ცოლი, თვითონ და ქალბატონი მირანადა, მაგრამ ესეც ადგილობრივი მასშტაბის სენსაციად იქცა. სასტუმროს და რესტორნის ადმინისტრაცია გაკვირვებულები მხრებს იჩეჩდნენ: ბატონი კონსტანტინე ცნობილია სიძუნწით, მისი დაპატიჟებული კაცი ჯერ არავის უნახავს, ჩვენც აქ ყოველ კაპიკს გვითვლის, შენ ვინ ყოფილხარ, გაგვაფრთხილა, ფული არაფრით არ გამოართვათო. მთელი საღამო „ლუბიანკის" საპყრობილეში თავისი პატიმრობის (მე მაინც ვფიქრობ, შეთხზულ) ამბავს მიყვებოდა და ცდილობდა, მეც ავყოლოდი. ვეჭვობ, რაღაც პროფესიული დაინტერესება ამოძრავებდა. სურდა, ჩემგან მიეღო პროტოტიპური მასალები. ქალბატონი მირანდა სულ იცინოდა და უშლიდა: კარგი ერთი, თავი დაანებე, კაცი ძლივს გამოვიდა, შენ კიდევ ისევ ციხის ამბებს უბრუნდებიო. ბატონი კონსტანტინე ცხარობდა: „გაჩერდი! შენ რა იცი, მაგას სწორედ ეგ აინტერესებს". იმდენი რა გითხრა, ვამბობდი გულში და ქალბატონ მირანდას მადლიერების გრძნობით ვუღიმოდი. ერთი-ორჯერ მათთან ზვიადიც ჩამოვიდა. სხვა დროს ბიჭვინთაში, თავის სახლში მოვინახულე. მასთან ჩამოსულ რუს დისიდენტს შევხვდი. ასე რომ, ჩემს სამსახურში მისი გამოჩენა სულაც არ გამკვირვებია. იცოდა, როგორი ანტისაბჭოთა, ანტიკომუნისტური განწყობითა და იდეებით ვიყავი გამსჭვალული. მის წინადადებაზე სიხარულით დავთანხმდი, მხოლოდ გავაფრთხილე, ჩემს თანამშრომლობას აფიშირებას ნუ გაუკეთებთ, რადგან, უპირველეს ყოვლისა, ჩემით დააშინებენ ხალხს. თქვენს კომპრომეტირებას ჩემით შეეცდებიან სტანდარტული ფრაზით: „უგალოვნიე ელემენტი"... საერთოდ ეს კომუნისტთა ახალი თაობის შანტაჟისტური ფანდია, თორემ სტალინი და ბერია ტყვიას და მორფს არ უდებდნენ ჯიბეში ბუხარინსა და ორახელაშვილს. ჩემთვის, პირიქით, კარგი იქნება, პოლიტიკური სტატუსი თუ მექნება, გინდაც დამიჭირონ.





ახლა უკვე „კაგებეს" ციხეში ვიგონებ ამ ამბავს და გუნებაში მწარედ მეცინება, თვითონ კომუნისტებს დაასწრო და გამოიყენა ეს შანტაჟისტური ილეთი, ოღონდ იარლიყი: „უგალოვნიე ელემენტი" უფრო ტევადი, ინტერნაციონალური ტერმინით – „კრიმინალით" შეცვალა. 1989 წლის 23-24 ნოემბრის ცხინვალში გასვლითი მიტინგის წარუმატებლობის შემდეგ, ამ ღონისძიების იდეის ავტორად მე მასახელებდნენ. ვერ დავიჟინებ, იქნებ მართლაც ასე იყო, რადგანაც წინააღმდეგი არ ვიყავი... „ილია ჭავჭავაძის საზოგადოებაში" და „მხედრიონის "გადარჩენილ ნაწილში დაიბადა აზრი, რომ მე წარმადგინონ პრეზიდენტობის კანდიდატად. თუ ვერ გავიმარჯვებ (და ალბათ ასეც იქნება), პატიმრობიდან ხომ მაინც გავთავისუფლდები. საჩქაროდ მომიგზავნეს ჩემი ვექილი ***(ქართლოს ღარიბაშვილი, რომელიც ჯაბა იოსელიანის დამ, ლილი იოსელიანმა აიყვანა – ავტორი)*** პარალელურად, სანდო პირმა შემომიტანა წერილი, სადაც მარწმუნებდნენ, რომ ეს ჯერჯერობით ერთადერთი გამოსავალია ჩემს გასათავისუფლებლად. დავთანხმდი. შეგროვდა ხელმოწერები, გამზადდა ყველა საბუთი, საჭირო იყო მხოლოდ ჩემი ხელწერილი თანხმობის შესახებ. საბუთების მიღების ბოლო ვადად განსაზღვრული იყო – 22 აპრილი. მე ოცში დავთანხმდი და ხელწერილიც გავგზავნე, მაგრამ სულ ბოლო დღემდე ციხეში იდო. ასეც ვვარაუდობდი და მოვაწყე ალიაქოთი. მაშინ იკადრეს და 22 აპრილს, ყველა საჭირო საბუთს, რომელიც უკვე დიდი ხანია, ცსკ-ში ჰქონდათ ჩაბარებული ჩემს აქტივისტებს, ჩემი ხელწერილიც დაემატა. გამსახურდიამ განგაში ატეხა. სასწრაფოდ, 23 აპრილს, მოიწვია უზენაესი საბჭო და მიაღებინა უპრეცედენტო დადგენილება: აღმკვეთი ღონისძიებით პატიმრობაში მყოფ პირებს ეკრძალებოდათ არჩევნებში მონაწილეობა... ის 23-ში უკვე მოქმედებდა, რაც ყვე-



ლა საერთაშორისო კანონისა და მიღება-გავრცელების ნორმების უხეში დარღვევაა: ის, რაც მე მეხება, მე უნდა ვიცოდე, გამოუქვეყნებლად მისი ძალაში შესვლა, თაღლითობაა. აქვე ირღვეოდა საერთაშორისოდ მიღებული უკუქმედების პრინციპი... ამ დადგენილებით ირღვეოდა, ასევე, უდანაშაულობის პრეზუმციიის პრინციპიც: ვიდრე სასამართლო არ მცნობს დამნაშავედ არავის შეუძლია, ასეთად ჩამთვალოს. ასე რომ, საქმე გვქონდა ორჯერად თაღლითობასთან – გამოუქვეყნებლად კანონის ძალაში შესვლა და რიცხვის ფალსიფიკაცია... შიმშილობის მიზეზის ფორმალურად დასაფიქსირებლად, მოდის ვახტანგ გვარამია – გენერალური პროკურორის მოადგილე, ვისაც დაევალა ჩემს დაპატიმრებაზე სანქციის გაცემა და მხედრიონელთა საქმეების წარმოების ხელმძღვანელობა. უწინ, ჯერ კიდევ მილიციაში მუშაობის დროს, პოლიტიკაში ერეოდა – ჯერ ფორუმისა და შემდეგ ეროვნული კონგრესის გულშემატკივრის როლს თამაშობდა, გია ჭანტურიას ახლობლობდა, ახლა გამსახურდიასთან გადაუნაცვლია. ისმენს ჩემს პრეტენზიებს, ცინიკურად იღიმება. შემდეგ გულახდილად ლაპარაკობს: „თქვენ წარმოდგენა არა გაქვთ, რა ხდება გარეთ – ხალხი აღმერთებს გამსახურდიას! ახლა პრეზიდენტად აირჩევენ და ყველაფერი დამთავრდება. ოპოზიცია უხერხემლოა, მასები მათ მხარს არ უჭერენ. თქვენი საქმე ხომ საერთოდ უიმედოა. ერთ დროს მხედრიონი ქუხდა. ახლა ვინ ხართ თქვენ? ერთი მუჭა ბანდიტების, ყაჩაღების ჯგუფი". მე თავს ვერ ვიკავებ და ლანძღვაზე გადავდივარ... „მომავალ მაისს გამსახურდია აღარ იქნება, დიდი დიდი კიდევ ერთი წელიწადი". თავდაჯერებულად იცინის: „თავს ტყუილად ნუ გაიტანჯავთ, თქვენი შიმშილობა არაფერს მოიტანს". რასაკვირველია, ძალიან კარგად ვიცოდი, რომ შიმშილობით ჩემი არც ერთი მოთხოვნა არ დაკმაყოფილდებოდა, მაგრამ ეს აუცილებელი იყო, არა მხოლოდ ისტორიისთვის, არამედ ეროვნული მოძრაობისა და დემოკრატიის პრინციპების დასაცავად...



ჩემი შიმშილობის ოცდამეთორმეტე დღეს ზვიად გამსახურდია საქართველოს პრეზიდენტად გამოაცხადეს. მოდის მილოცვები. შევარდნაძე უცხოეთიდან ულოცავს – ოჰ, ეს პოლიტიკური პირფერობა! ოცდამეთხუთმეტე დღეს მომინახულა ნოდარ ნათაძემ, როგორც პრეზიდენტობის ყოფილმა კანდიდატმა. ვადაგასულ თეატრალურ აფიშას მაგონებს მისი ვიზიტი. ჩემი შიმშილობა 41 დღეს გაგრძელდა. სპეციალურად მეწვია საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე. მომიტანა ნაკურთხი კვერი, სანთლები, ხატი. მთხოვა, მიმელო საჭმელი და რაც მთავარია, შთამაგონებლად მითხრა: „თქვენ სჭირდებით საქართველოს, იფიქრეთ ამაზე". სიკვდილის პირას ვიყავი მისული. დავთანხმდი. შიმშილობის მოხსნიდან ერთი კვირის შემდეგ, დამეწყო ჯერ ფარული, შემდეგ კი ღია სისხლდენა კუჭ-ნაწლავიდან. შეიკრიბნენ ექიმები, სასწრაფოდ საოპერაციო ვარ, მაგრამ გამსახურდიამ არავის მისცა უფლება, საავადმყოფოში გადავეყვანე. გადაუწყვეტიათ, მოვმკვდარიყავი. ღმერთმა სხვაგვარად ინება, ყოველგვარი რადიკალური მკურნალობის გარეშე გამოვჯანმრთელდი. ერთი სამარცხვინო ამბავი მაინც უნდა აღვნიშნო. ასეთი ხანგრძლივი შიმშილობის შემდეგ, ბუნებრივია, ციხის უხეში საკვების მიღება არ შეიძლებოდა, ამიტომაც ერთი-ორჯერ ნება დამრთეს, სახლიდან ბულიონი და რაღაც წვნიანი მიმელო. ეს შეუტყვია გამსახურდიას ცოლს, მანანას და ციხის უფროსს, ტარიელ დილიბაზაშვილს თურმე შავი დღე აყარა. რა ვიცი, ეკადრებოდა საქართველოს პრეზიდენტის მეუღლეს ასეთი საქციელი?

...ვზივარ და ვწერ ჩემს რომანს „ლიმონათის ქვეყანას". მუშაობა ძნელად მიდის, მასალები არ მაქვს. ნებას არ მრთავენ, ქართულ-რუსული ლექსიკონი მომიტანონ სახლიდან. არადა, არის რუსული ჟარგონი, რომელსაც შესატყვისი არ მოეძებნება ქართულ „სლენგში". ლექსიკონიდან რაიმეს გამოვძებნიდი, კალკა რომ არ გამოვიდეს. საქართველოში საშინელი მიწისძვრებია. დაინგრა პატარა და დიდი ლიახვის ხეობების სოფლები. დაბა ჯავა, ცხინვალის ნაწილი, რაჭა – განსაკუთრებით ოსური სოფლების მიმდებარე რაიონები... ასე არ მოხდა ომის დაწყების წინ სომხეთში, სპიტაკში? გამსახურდია სისულელეს სისულელეზე აკეთებს. ბლოკადა გამოუცხადა რუსეთს. ისევ იმ, ნაცადი, ავანტიურისტული ხერხით, რომლითაც ადგილობრივი კომუნისტები შეაშინა და საარჩევნო კანონი მიაღებინა, იმითვე სურს „დააჩოქოს" რუსეთი... იყო თუ არა მცდელობა მასთან მშვიდობიანი მოლაპარაკების ჩასატარებლად?.. 250 მხედრიონელი შიმშილობდა მხოლოდ და მხოლოდ იმისათვის, რომ გამსახურდიას რეჟიმი მოლაპარაკებებზე წამოსულიყო. ასევე, შიმშილობდნენ ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის წევრები. რა შეგვიძლია გავაკეთოთ, ნუთუ კვლავ ციხეში წავიდეთ და ვუყუროთ, როგორ იღუპება ქვეყანა? არ ვიცი, დამიჯერა თუ არა, მაგრამ ვფიქრობ, ბევრ რამეზე ჩაფიქრდა... სხვა კორესპონდენტები მოდიან და უპირველესად, შეფარვით თუ თავხედურად მეკითხებიან: თქვენ, ვიდრე პოლიტიკით დაინტერესდებოდით, ვინ იყავით? პროფესორი, – ვპასუხობ, – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, დრამატურგი, მწერალი. ეს მათ არ აკმაყოფილებთ. მაშინ – ახალგაზრდობაში ცნობილი ქურდი. გაწყობთ, სენსაციისთვის? რამდენიმე ხნის შემდეგ, სადღაც მათქმევინეს კიდეც, რომ ხელისუფლებაში მოვიდნენ უცნობი მხატვარი თენგიზ კიტოვანი და ცნობილი ქურდი ჯაბა იოსელიანი – ეს რუსულად კარგად ჟღერდა. ხშირად იმასაც მეკითხებიან, აი, თქვენ ხომ მის გვერდით იდექით, როცა ის დისიდენტი იყო, ახლა რატომ განუდექითო. მე მას მაშინვე გადავუდექი, როცა ოფიციალურად დაგმო დისიდენტური მოძრაობა და ყოველგვარი გამოთქმული აზრიც კი, კომუნისტური რეჟიმის წინააღმდეგ. მაშინ გასცა თავისი თანამოაზრეები...





ჯაბა და ლილი



ქალაქში პურის გასაჭირია, დენი პერიოდულად ითიშება, საწვავი არ შემოდის. ქალაქის მერი და მისი მოადგილეები გაქცეულები არიან. ჩემთან მოდის თბილისის აღმასკომის ყოფილი თავმჯდომარის მოადგილე, ჯემალ ზამბახიძე – ჩემი ახლობელი, პატიოსანი და მშრომელი ადამიანი. ვავალებ, მიხედოს ქალაქს. „წაიყვანე ჩვენი ბიჭები და მიხედეთ უპირველესად სინათლეს, პურს". „მიხედეთ... კი მიხედეთ, მაგრამ ვინ ხარ, ან ვის უნდა მოჰკითხო?! – გაურკვევლად იცინის და ხელებს შლის ჯემალი. „მიდი, მიდი, ჩვენ მოვთხოვთ ჯერ ძველებს". „ისინი ბუნკერში არიან"...

... აკადემიის შენობაში პრესკონფერენციაა ჟურნალისტებისთვის. ჩვენი და უცხოელი ჟურნალისტები გვაძლევენ ათასნაირ შეკითხვებს. მე და თენგიზი ვპასუხობთ... მე ციტატა მომაქვს ადამიანთა უფლებების 1948 წლის ქარტიიდან, სადაც პირდაპირ წერია, რომ დემოკრატიისთვის მებრძოლ ხალხს უფლება აქვს, უკიდურეს შემთხვევაში, მიმართოს აჯანყებას... დილით მეოთხე სართულიდან ჩამოდიან ირინა სარიშვილი და გია ჭანტურია. გია რაღაცნაირად აღრენილია, მეუბნება: „შენ რა, შენი ხალხი ჩამისვი იმ ოთახებში? – ვერ ვხვდები რას ამბობს. „რა ოთახები, რომელი ხალხი?" „შენი დამკვირვებლები". ირინას ვეუბნები: „შენი ქმარი ნორმალურია?" რას მეუბნება, ვერ გამიგია? მგონი, ორივენი ხვდებიან, რომ რაღაც სულელურ ეჭვიანობას აჰყოლიან და ბანზე მიგდებენ სიტყვას. მეც აღარ ვამწვავებ, თუმცა ნაწყენი ვრჩები. ქალაქში, სხვადასხვა რაიონში, ცალკეული შეჯახებების სახით, ომი გრძელდება... ვიბარებ გია სვანაძეს, ვეუბნები, არავითარ შემთხვევაში, არ აჰყვნენ, საალყო ძალებიდან არ მოხსნან ბიჭები და არ მოდუნდნენ. ჩვენი მხრიდან უკვე ბევრია დაჭრილი... გადარჩენის შანსი ცოტაა. დღეს მოგვიკლეს მხედრიონის მშვენება, უჭკვიანესი, ულამაზესი, ყველაზე ახალგაზრდა მებრძოლი, სანდრო შაიშმელაშვილი – ჩვენი „სკილეტა". მის დღიურებში ასეთი ბრძნული აზრია: „ცხოვრება ნასკვია. ვიდრე მას გამოხსნი, მთავრდება კიდეც!" შეძრწუნებული ვარ. რა ვუყო მამამისს. ერთადერთი ვაჟის დაკარგვა როგორ ვუთხრა. როგორც ამბობენ, დაჭრილი ჯერ ბუნკერში მიუყვანიათ, იქ უწამებიათ და მერე ჯანდაცვის ყოფილ მინისტრს, ქალს (დედას) ციხეში გადაუგზავნია. მიყვანისთანავე გარდაცვლილა. გავდივარ მოსაცდელში. იქ მამამისი ზის... ვეხვევი. „რა ვქნათ, ჯაბა, – თითქოს აქეთ მამხნევებს, – ასეთი ყოფილა ჩემი ბედი". ღმერთო გვაპატიე! ღმერთო ფუჭი არ გამოდგეს ეს ამოდენა მსხვერპლი!

**ეკა პატარაია**

კუჭ-ნაწლავის დისკომფორტი (შეკრულობა, ფაღარათი, შებერილობა) დისბაქტერიოზი

მიიღეთ

ლაქტო-ჯი

www.laqto.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.



**ალბათ, ხშირად შეგიმჩნევიათ, რომ ერთ ოჯახში თავს მყუდროდ და კარგად გრძნობთ, მეორეში კი რაღაც გაწუხებთ, დისკომფორტს განიცდით, ხოლო შინ მისულს საშინელი დაღლილობა და უხასიათობა გეუფლებათ. როგორც პარაფსიქოლოგი, ქალბატონი ლია ამბობს, ეს იმიტომ ხდება, რომ ყველა სახლს თავისი ენერგოინფორმაციული სტრუქტურა აქვს. ასე რომ, თუ კარგად გვექნება შესწავლილი ჩვენი საცხოვრებელი, გვეცოდინება, როგორ გავანეიტრალოთ ბინაში ნეგატიური ენერგია და რა დაგვიცავს მისი „დაბუდებისგან”, თავს უფრო უსაფრთხოდაც ვიგრძნობთ და მშვიდად ვიცხოვრებთ.**

# რა ქმნის ბოროტ ზონებს ჩვენს ბინაში და შესაძლებელია თუ არა საცხოვრებელი სახლის ენერგეტიკული სტრუქტურის შემოწმება

**ლია**: ყველა საცხოვრებელ სახლს თავისი „ხასიათი” აქვს და ის ადამიანზეც გადადის. ანუ, სახლის „ხასიათის” არსებობა სიმართლეა და პარაფსიქოლოგებისთვის უცხო სულაც არ არის. ენერგეტიკული ზონები, როგორც ობობის ქსელი, ისე ედება საცხოვრებლის გარემოს: ერთგან კეთილია, მეორეგან კი – ბოროტი და სწორედ ამაზეა დამოკიდებული სახლის „ხასიათი”. ისიც მართალია, რომ სახლში პოზიტიურ და ნეგატიურ ენერგიებს თავად ადამიანები ვქმნით.

**– ესე იგი, ყველაფერი ჩვენზეა დამოკიდებული?**

– დიახ, ასეა. საყვარელი სავარძელი, ასე რომ მიეჩვიეთ იქ ჯდომასა და დასვენებას, მალე სასიამოვნო ენერგიის წყაროდ იქცევა და, შემდეგ, ავადმყოფობის დროს, ეს სავარძელი მოგგვრით შვებას. სამზარეულო, სადაც ქმარს ხშირად ეჩხუბებით; მაგიდის კუთხე, სადაც მუდამ ჭუჭყიანი ჭურჭელი დევს; გაურეცხავი სარეცხი აბაზანაში – ეს ყველაფერი ბოროტ ზონებს ქმნის საცხოვრებელში. რაც ნაკლებად იქნება ზემოხსენებული სიტუაციები სახლში, მით უკეთესია თქვენთვის და თქვენი ოჯახის წევრებისთვის. ანუ, იმის თქმა მინდა, რომ, როგორც თავად ეპყრობით სახლს, ისიც ისე მოგექცევათ, ამაში დარწმუნებული ბრძანდებოდეთ.

**– შესაძლებელია თუ არა საცხოვრებელი სახლის ენერგეტიკული სტრუქტურის შემოწმება და როგორ მოვახერხოთ ეს?**

– მაგალითად, იმ ბინაში, სადაც პოზიტიური ენერგიაა, ნელა შრება წყალი, ყვავილები გვიან ჭკნება, ლითონის ნივთები ოდნავ ცივია, ხის ნივთები კი – თბილი. ნეგატიური ენერგიის დაგროვების არეში კი მუსიკალური ცენტრი და მობილური ტელეფონი კარგად იჭერს მოკლე ტალღებს, ძირს დავარდნილი ვერცხლის ჭურჭელი, მონეტები ან ნივთები ყრუდ წკარუნობს, რძე მალე იჭრება, ადუღებული წყალი მალევე ცივდება, კარაქი და სხვა ცხიმები მალე დნება. ასევე, დადებითი ენერგიის არეში სინათლის ალი ყოველთვის კარგად ანათებს, უარყოფითში კი – თამაშობს, ალი სუსტია და „ფეთქავს”. გეტყვით იმასაც, რომ, სანამ სახლს უარყოფითი ენერგიისგან გაწმენდთ, უნდა ეცადოთ, რომ ახალი „ბოროტი” ზონები აღარ შექმნათ, მაგალითად, არასდროს მიიტანოთ სახლში ქუჩაში ნაპოვნი ნივთი, რადგან, სხვისი ნივთი ყოფილი პატრონის ენერგიას ატარებს და, თუ ეს ენერგია ნეგატიურია, თქვენს სახლში კიდევ ერთი უარყოფითი ზონა გაჩნდება. ვისაც თქვენთვის ცუდი უნდა, შეუძლია, თქვენს სახლში ან კართან უარყოფითი ენერგიით გაჟღენთილი ნივთი დადოს და ესეც უარყოფით ზონას შექმნის, რაც თქვენზე ცუდად იმოქმედებს. სხვათა შორის, ამავე პრინციპით მოქმედებს თილისმები, ოღონდ, პირიქით, რადგან, ისინი დადებითი ენერგიითაა გაჟღენთილი, ცუდს კარგად იწოვს და გათვალვისგან გვიცავს, განსაკუთრებით კი ბავშვებს. აქვე იმასაც დავძენ, რომ განსაკუთრებით კარგია, თუ უარყოფითი ენერგიების ზემოქმედებისგან დამცავ თილისმად ბავშვს ექნება გულის ფორმის სამკაულები და აქსესუარები – კულონი, საყურე, ბეჭედი, სამაჯური, ბალთიანი ქამარი, თმის სამაგრი და ასე შემდეგ. არ დაგავიწყდეთ უარყოფითი ზონებისგან დამცავი ნივთების პერიოდულად საპნით გარეცხვა, რათა უარყოფითი ენერგია წყალმა ჩარეცხოს და წაიღოს. ასევე, გირჩევთ, არასდროს შეიტანოთ სახლში ცუდი გუნება-განწყობა, ცუდი ფიქრები, ისინი ზღურბლს იქით დატოვეთ, რადგან, ნივთები მალე იწოვს ნეგატიურ ენერგიას, ყველაზე უკეთ კი – სარკე. ასევე, „სიავის დამგროვებლად” ითვლება ბუმბულის ბალიში. თუ მასზე დაემხობით და იტირებთ, მერე, როცა ყველაფერი დალაგდება და სიტუაცია გამოსწორდება, ბალიში ყოველღამე „გაგიზიარებთ” წარსულში დაგროვილ ცუდ ენერგიას. საერთოდ, ენერგეტიკული თვალსაზრისით, ჰოლი და სამზარეულო ყველაზე არასასიამოვნო ადგილებია. რასაკვირველია, ჭუჭყიან ჭურჭელსა და გასაწმენდ ფეხსაცმელს თქვენ აუცილებლად მოაწესრიგებთ, მაგრამ, მათ უკვე შეძლეს უარყოფითი ინფორმაციის „გაშვება”. არ შეიძლება, ლარნაკით დიდხანს გედგათ დამჭკნარი ყვავილები, რადგან, დამჭკნარი ყვავილები სიკვდილს „იხმობს”, დამდგარი წყალი კი უარყოფით ენერგიას მოიზიდავს. სიკვდილის ენერგიას ინახავს და, თავისთავად, ნეგატიური ენერგიის მატარებელია, ასევე ჰერბარიუმი, მწერების კოლექცია და ნატურალური ქურქი, რაც დღეს ასე მოდაშია.

**არ შეიძლება, ლარნაკით დიდხანს გედგათ დამჭკნარი ყვავილები, რადგან, დამჭკნარი ყვავილები სიკვდილს „იხმობს”, დამდგარი წყალი კი უარყოფით ენერგიას მოიზიდავს**

**– საინტერესოა, საიდან გადადის ფეხსაცმელსა და ტანსაცმელზე უარყოფითი ენერგია?**

– ტანსაცმელსა და ფეხსაცმელზე უარყოფითი ენერგია გადადის ქუჩიდან. ამიტომ, სახლში მისვლისთანავე უნდა გაიხადოთ და გაწმინდოთ. ასევე, არასდროს არ დააგროვოთ და შეინახოთ ძველი ტანსაცმელი, რომელსაც აღარ იცვამთ, რადგან, თქვენი ცხოვრება უკეთესობისკენ მიდის, ძველი ტანსაცმელი კი წარსულში გაბრუნებთ. სახლში უნდა „იცხოვრონ” მხოლოდ იმ ნივთებმა, რომლებიც აუცილებლად გჭირდებათ – ამით არასასიამოვნო ზონების არსებობა მცირდება ბინაში.

**– იქნებ, გვასწავლოთ, როგორ მოვიქცეთ, რომ ჩვენს ბინაში სიმშვიდე და იდილია სუფევდეს?**

– სახლის ენერგეტიკას ჩვენი მხრიდანაც სჭირდება დახმარება. მაგალითად, გეოპათოგენურ ზონას მშვენივრად ანეიტრალებს ქარვა, რომელსაც ძლიერი ენერგეტიკა აქვს. დადეთ ის ოთახში და ხშირად შეუშვირეთ გამდინარე წყალს, რომ ცუდი ენერგია „ჩამორეცხოს”. ასევე, ოთახის კუთხეებში დადეთ მუხის, არყის ან ვერხვის პატარა ტოტები – ასე ნეგატიურ ენერგიას კარგად გაანეიტრალებთ. ალბათ, ბევრს სმენია ფუძის ანგელოზების შესახებ, მაგრამ, მათი არსებობის უმეტესობას არ სჯერა. არადა, ოჯახის, ფუძის ანგელოზზე ისტორიები უძველესი დროიდან არსებობს და მათ მფარველობას ბევრი ჩვენგანი გრძნობს. ჩვენს წინაპრებს მის არსებობაში არც ეჭვი შეჰპარვიათ, უფრო მეტიც, იცოდნენ, თუ როგორ ესიამოვნებინათ მისთვის, რომ ოჯახიდან არ წასულიყო. სინამდვილეში, არსებობს მფარველი ანგელოზი, რომელსაც ადამიანს ნათლობის შემდეგ მოუვლენს უფალი, სახლს კი – კურთხევის შემდეგ და ის იცავს მათ ყველანაირი ბოროტისგან. ზოგი გზააბნეული ადამიანი, იმის ნაცვლად, რომ სიკეთეს თესდეს და ცოდვებს ინანიებდეს, სულს უფრო იმძიმებს მკითხავებთან სირბილით, მათი ზეგავლენის ქვეშ ექცევა და, როგორც ისინი ეუბნებიან, მართლაც ისე მისდით ცხოვრება. არადა, მფარველი ანგელოზი ყველას მფარველობს და ჩვენც უნდა გავუფრთხილდეთ მას, რომ საცხოვრებლიდან არ გავიდეს.

**– როგორ სახლში არ ჩერდება მფარველი ანგელოზი?**

– მფარველი ანგელოზი არ ჩერდება ისეთ ოჯახებში, სადაც ადამიანები ქრისტიანული წესით არ ცხოვრობენ, არის გამუდმებული აყალმაყალი, ჩხუბი, გინება, ხდება გარყვნილება. მას ჩვენ ჩვენი ქმედებით ვიხმობთ. მაგალითად, როცა ადამიანი ახალ ბინას ყიდულობს და იქ გადადის, სიხარულის განწყობა ეუფლება და ამით კი იქ დადებითი ემოცია შეაქვს. დროთა განმავლობაში, ეს ენერგეტიკა იქ მყოფ საგნებსაც გადაეცემა, ანუ ენერგეტიკის გაცვლა ხდება და ამ საგნების დანახვისას ან შეხებისას კარგი განწყობა გეუფლებათ. ასეთი დადებითი მუხტის მქონე საგანი ერთგვარი თილისმის როლს ასრულებს. ანგელოზი ყოველთვის კეთილია. თუმცა ზოგჯერ ისიც ბრაზდება და მისი გაბრაზების მიზეზი ხშირად თვითონ ადამიანია. ის ძალიან მგრძნობიარე არსებაა და ვისგანაც კეთილგანწყობას გრძნობს, მას უერთდება და იცავს. ასე რომ, არ შეიძლება, მფარველი ანგელოზის უარყოფა და ცხოვრების სიძნელეებთან მის გარეშე ჭიდილი. უმჯობესია, მას მოვეფეროთ, თბილად, ტკბილად მივმართოთ და ამით მისი გულიც მოვიგოთ და საკუთარი სიცოცხლეც დავიცვათ.

**ნონა დათეშიძე**

## შენ მაინც იზეიმე

ძალიან ბევრი ადამიანი ფიქრობს, რომ სიყვარულის აფიშირება, ან სიყვარულის დღის განსაკუთრებულად აღნიშვნა, არ არის გულწრფელი. ჭეშმარიტ გრძნობას ასეთი იაფფასიანი „შეხსენებები” არაფერში სჭირდებაო. მათი სკეპტიკურობა გასაგებია, თუმცა ფსიქოლოგები სხვა შეხედულების არიან. მათ მიაჩნიათ, რომ ნებისმიერი დღესასწაული, ასევე მისთვის სამზადისი, ძალიან სასარგებლოა ადამიანის ფსიქიკისთვის. ანუ, თუ ჩვენი ფსიქიკა ჯანსაღია, მაშინ დღესასწაულები ისევე გვახარებს, როგორც ბავშვებს. ადამიანებს გვეუფლება სიხარულის განცდა, რაღაცნაირად ამაღლებული ემოციები გვაქვს და ბუნებრივია, სტრესების მიმართ გაცილებით მდგრადი ვხდებით. მათ გაცილებით ნაკლებ ყურადღებას ვაქცევთ. სხვათა შორის, ზამთარშია თავმოყრილი დღესასწაულების უმრავლესობა და ეს არ გახლავთ შემთხვევითობა. მზის სინათლის ნაკლებობის გამო, ადამიანებს ძალიან გვაკლია პოზიტიური განწყობა. ცივი ამინდი ისედაც გვიფუჭებს გუნებას. ამიტომაც, ძალიან გვჭირდება დღესასწაული. იმაზე უფრო მეტად, ვიდრე ზაფხულში. დადგენილია, რომ, თუ ადამიანს პატარა მიზეზი მაინც ჰყოფნის დღესასწაულისთვის, ის არასოდეს ჩავარდება დეპრესიაში. ყველა, ფსიქოლოგიურად მდგრად პიროვნებას უყვარს დღესასწაული. ასე რომ, თუკი გიყვართ ვინმე, თუკი თქვენში სიყვარული ფეთქავს, იზეიმეთ. ამაში ცუდი არაფერია. პირიქით, მხოლოდ დადებით ემოციებს შეგმატებთ.

## საუკეთესო საჩუქარი

მამაკაცები საკმაოდ მოიკოჭლებენ ფანტაზიის საკითხებში. მით უფრო, როცა საქმე საჩუქარს ეხება, მათ კი ბრილიანტის ყიდვის საშუალება არა აქვთ. ამიტომ, საყვარელი ქალისთვის საჩუქრის შერჩევისას ისინი საკმაოდ წვალობენ. ქალბატონებს კი სწყინთ, როცა შეფუთულში სასურველი ნივთი არ აღმოჩნდება. ძალიან ცოტაა ისეთი ქალი, რომლისთვისაც მთავარი კაცისგან ყურადღებაა და არა თავად საჩუქარი.

თუ გაინტერესებთ საჩუქრების სტატისტიკა, ის საკმაოდ მხიარულად გამოიყურება. სხვა საქმეა, ეპატიებათ თუ არა მამაკაცებს, რომ შეყვარებულებიც კი არ ცდილობენ, ფანტაზიის გავარჯიშებას.

7 პროცენტი მამაკაცებისა საყვარელი ქალისთვის საუკეთესო საჩუქრად ყვავილების თაიგულს მიიჩნევს.

10 პროცენტი ფიქრობს, რომ გულის ფორმის ტკბილეული კარგი საჩუქარია.

8 პროცენტი – არჩევანს კოსმეტიკური საშუალებების და პარფიუმის სასარგებლოდ აკეთებს.

2 პროცენტი ცდილობს საყვარელ ქალს რომანტიკული ვახშამი აჩუქოს.

10 პროცენტი მამაკაცებისა და თითქმის ამდენივე ქალების ერთმანეთს საიუველირო ნაკეთობებს უძღვნის.

6 პროცენტი მამაკაცებისა ხშირად ყიდულობს საყვარელ ქალს კინოს, ან თეატრის ბილეთებს.

1 პროცენტი – ცდილობს, საყვარელი ქალი თავისი დაწერილი ლექსებით „გაანებივროს.”

მამაკაცების 25 პროცენტი კი საერთოდ დარწმუნებულია, რომ საყვარელი ქალის საუკეთესო საჩუქარი თავად არის და სხვა საჩუქრის ყიდვით აღარ წუხდება.

## ურთიერთობა ურთიერთობისთვის

ურთიერთობა ცალმხრივი არ შეიძლება, იყოს. ყოველთვის ყველაფერი ისე არ იქნება, როგორც თქვენ გინდათ და ამას თავიდანვე უნდა შეეგუოთ. მოგიწევთ სხვისი აზრის გათვალისწინებაც. თქვენი, თუნდაც უნებლიე ეგოიზმი, შეიძლება, როგორც მუქარა, ისე იყოს აღქმული. უფრო გასაგები რომ იყოს – პარტნიორი იფიქრებს, მე სანაცვლოდ ვერაფერს მივიღებო და ურთიერთობის ახალ ეტაპზე გადასვლისთვის აღარაფერს გააკეთებს. ფსიქოლოგებს მიაჩნიათ, რომ თუ ადამიანებს და არა მხოლოდ ორ სქესს შორის ურთიერთობას, სიხარული არ ახლავს, ის კრახისთვის არის განწირული.

ურთიერთობის კოდექსი არ არსებობს, მაგრამ თავადაც მიხვდებით, როგორი უნდა იყოს ის, რომ ორივე პარტნიორმა სიამოვნება მიიღოს. ურთიერთობა – ურთიერთობისთვის! – ძალიან კარგი და სასარგებლო დევიზია. თუ ამ პრინციპით იხელმძღვანელებთ, ყველაფერი ძალიან კარგად იქნება. ადამიანები უფრო ხშირად ხელმძღვანელობენ ეგოისტური მოსაზრებებით. იმიტომ არა, რომ ჩვენ ყველანი ცუდები, მესაკუთრეები და ეგოისტები ვართ. უბრალოდ, ადამიანი ბუნებით არის ასეთი – მას თავისთვის ყოველთვის უკეთესი უნდა, მაგრამ ვინც გიყვარს, ისიც ხომ შენია – შენი სულის და გულის ნაწილია. ამიტომ, მისთვისაც მხოლოდ საუკეთესო უნდა გინდოდეთ. როცა ამას გააცნობიერებთ, მაშინ ურთიერთობა ურთიერთობისთვის თავისთავად გამოვა.

## რჩევები ლიდერისთვის

წარმატებული და ლიდერი, მხოლოდ საქმეში კი არა, ურთიერთობაშიც უნდა იყოთ. მაშინ ბედნიერებასაც ადვილად იპოვით. გახდეს ლიდერი, თითქმის ყველას შეუძლია. ყველას, ვინც საკმაოდ მარტივი წესები იცის.

ყოველთვის მიიღეთ სიამოვნება პროტესტისა და მონაწილეობისგან. შეიგრძენით ახალი ემოციები. იმოქმედეთ ინტერესებისთვის. ეს აუცილებელია.

ზედმეტი ნუ მოგივათ. რა თქმა უნდა, ცდა არ უნდა დააკლოთ, მაგრამ ლიდერობისკენ სწრაფვამ სიქა არ უნდა გაგაცალოთ. გონება სწრაფად ილლება, სხეულზე უფრო სწრაფად. ლიდერს კი ცოცხალი და საღი გონება სჭირდება.

თქვენს ლიდერობას არ უნდა ემსხვერპლოს მეგობრებთან, ახლობლებთან, საყვარელ ადამიანთან ურთიერთობა, ან მათი ინტერესები.

არასოდეს მიიჩნიოთ თავი წაგებულად, თუ გამარჯვების შანსი ცოტა მაინც არის. ასეთი შანსი კი ყოველთვის არსებობს.

***P.S. არ გამოიყენოთ ბოროტად ის წარმატება, რასაც მიაღწიეთ. ლიდერობა არც საქმეში ნიშნავს ტირანიას და არც, მით უმეტეს, ურთიერთობაში. ეს საერთოდ, ოქროს წესია და რა თქმა უნდა, კეთილი, სასარგებლო რჩევა!***

## იმოქმედე და გაიმარჯვე!

გამარჯვებულებს არ ასამართლებენ. წარმატებული უყვარს ყველას. თანამედროვე სამყარო გაცილებით მეტ მოთხოვნებს გვიყენებს და უარს გვათქმევინებს სისუსტეზე. ქალიც კი არ შეიძლება, სუსტი იყოს. თუ გესმის,



რა მნიშვნელობა აქვს შენი ცხოვრების გაუმჯობესებისთვის პირად სიძლიერეს, მაშინ არც მოქმედება გაგიჭირდება და მით უმეტეს, არც დაგეზარება.

შინაგანი სიძლიერის გაცნობიერება ეხმარება ქალს გაიკეთოს თავბრუდამხვევი კარიერა, იპოვოს საუკეთესო პარტნიორი და შექმნას საკუთარი ბედნიერება თვითონ. ეს ყველას არ შეუძლია იქამდე, სანამ არ მიხვდება, რომ ეს შეუძლია! ანუ, თუ ძალიან არ მოინდომებთ და სხვების შემხედვარე მხოლოდ მათი წარმატებებით აღფრთოვანდებით, რა თქმა უნდა, წინ ერთი ნაბიჯითაც ვერ წაიწევთ. მიზნის მიღწევა კი ბედნიერების საფუძველია. სხვათა შორის, ნებისყოფის სიძლიერე მჭიდრო კავშირშია თვითშეფასების კრიტერიუმთან და ეს სრულიად ბუნებრივია. თუ არ გაქვს საკუთარი თავის რწმენა, არ აფასებ მას და მუდმივად ფიქრობ, რომ შენნაირებს არასოდეს უმართლებს, რომელ წარმატებასა ან გამარჯვებაზეა ლაპარაკი.

აღზარდეთ საკუთარ თავში გამარჯვებული. თავიდან ცოტას იწვალებთ, მაგრამ შედეგი ამად ღირს.

**გვერდი მოამზადა ნინო წულუკიძემ**

კუჭ-ნაწლავის დისკომფორტი (შეკრულობა, ფაღარათი, შებერილობა) დისბაქტერიოზი

მიიღეთ

ლაქტო-ჯი

www.laqto.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

# ახალი სიტყვა დიეტოლოგიაში

*კვების პროდუქტების შეფასება ყველგან და ყოველთვის არ ხდება კალორიულობის მიხედვით. მაგალითად, ამერიკელმა დიეტოლოგებმა სამხედროებისა და ასტრონავტებისთვის შეიმუშავეს განსხვავებული პირობითი ერთეულები იმის მიხედვით, თუ როგორ ითვისებს ადამიანის ორგანიზმი უმ ან მოხარშულ საკვებს. ამით კი განსაზღვრავენ იმ ყველა საჭირო ნივთიერების რაოდენობას, რაც უზრუნველყოფს ორგანიზმის ჯანმრთელობასა და ზედმეტი წონისგან გათავისუფლებას.*



*დაადგინეს, რომ:*

ა) მათთვის, ვინც ნაკლებად მოძრაობს, ეს პირობითი ერთეული არ უნდა აღემატებოდეს დღეში 40 ქულას;

ბ) წონაში კლება იწყება მაშინ, თუ დღიური ნორმა არ აღემატება 40 ქულას;

გ) წონის შენარჩუნება ხდება 60 ქულამდე;

დ) წონაში მატება იწყება 60 ქულიდან ზემოთ.

თუ 8 დღის განმავლობაში შეძლებთ და თქვენი ქულათა რაოდენობა არ ასცდება 40-ს, დაიკლებთ 5,5 კილოგრამს.

მათთვის კი, ვინც დღის განმავლობაში ფიზიკურად დიდ ენერგიას ხარჯავს, ქულათა რაოდენობა დაახლოებით 5-10 ერთეულით არის მომატებული.

ამერიკული დიეტოლოგები გვირჩევენ, თავი შევიკავოთ ტკბილეულის, ცომეულისა და კარტოფილისგან. ერთი ნატეხი შაქარიც კი ძალიან ზრდის ქულებს, დანაყრების შეგრძნებას კი არ მოგიტანთ.

***გთავაზობთ ძირითადი პროდუქტების სიას, სადაც გამოთვლილია 100 გრამზე პროდუქტის შესაბამისი ქულები:***

| | | |
|---|---|---|
| თეთრი პური | – | 48 ქულა; |
| შავი პური | – | 40 ქულა; |
| მანანის ბურღულის ფაფა | – | 17 ქულა; |
| მაკარონი „ლაფშა“ | – | 14 ქულა; |
| მოხარშული ბრინჯი | – | 18 ქულა; |
| მოხარშული ხორცი (საქონლის) | – | 0 ქულა; |
| ხორცი სოუსით | – | 6 ქულა; |
| ხორცი ორცხობილათი | – | 45 ქულა; |
| ცეხვილი პური | – | 1 ქულა; |
| მჭლე ლორი | – | 5 ქულა; |
| ნაღების კარაქი | – | 5 ქულა; |
| ზეთი | – | 0 ქულა; |
| მარგარინი | – | 0 ქულა; |
| მაიონეზი | – | 5 ქულა; |
| არაყანი | – | 40 ქულა; |
| ყველი | – | 2 ქულა; |
| ხაჭო | – | 3 ქულა; |
| კეფირი | – | 5 ქულა; |
| რძე (0,5 ლიტრი) | – | 12 ქულა; |
| შესქელებული რძე („სგუშჩონკა“) | – | 50 ქულა; |
| კვერცხი (ნებისმიერი სახით, 1 ცალი) | – | 0,5 ქულა; |
| საქონლის გული | – | 1 ქულა; |
| ხბოს ღვიძლი | – | 4 ქულა; |
| საქონლის ღვიძლი | – | 6 ქულა; |
| სოსისი (საქონლის ხორცის) | – | 1 ქულა; |
| შემწვარი ქათამი | – | 1 ქულა; |
| შემწვარი კურდღელი | – | 1 ქულა; |
| მოხარშული თევზი | – | 8 ქულა; |
| კრაბი | – | 2 ქულა; |
| ახალი პომიდორი ( 1 ცალი) | – | 6 ქულა; |
| ბულგარული წიწაკა (1 ცალი) | – | 9 ქულა; |
| კიტრის მწნილი (1 ცალი) | – | 2 ქულა; |
| უმი ბოსტნეულის სალათა | – | 6 ქულა; |
| ხახვი (1 საშუალო თავი) | – | 11 ქულა; |
| მწვანე ხახვი | – | 6 ქულა; |
| ჭარხალი (საშუალო ზომის, 1 ცალი) | – | 6 ქულა; |
| მოხარშული ყვავილოვანი კომბოსტო | – | 6 ქულა; |
| უმი კომბოსტო | – | 5 ქულა; |
| კომბოსტოს მწნილი | – | 3 ქულა; |
| მწვანე ლობიო | – | 8 ქულა; |
| ზეთში ჩაშუშული ბოსტნეული | – | 5 ქულა; |
| სტაფილო | – | 5 ქულა; |
| სოკო | – | 6 ქულა; |
| სიმინდი | – | 15 ქულა; |
| მოხარშული კარტოფილი | – | 23 ქულა; |
| შემწვარი კარტოფილი | – | 20 ქულა; |
| გამომცხვარი კარტოფილი | – | 20 ქულა; |
| კარტოფილის პიურე | – | 30 ქულა; |
| ქათმის და საქონლის ხორცის ბულიონი (0,5 ლიტრი) | – | 0 ქულა; |
| ბოსტნეულის სუპი (0,5 ლიტრი) | – | 16 ქულა; |
| მუხუდოს სუპი | – | 20 ქულა; |
| სოკოს სუპი | – | 15 ქულა; |
| „შჩი“ | – | 12 ქულა; |
| „სალიანკა“ ხორცით | – | 22 ქულა; |
| შაქარი (1 ჩაის კოვზი) | – | 26 ქულა; |
| შოკოლადის ტორტი | – | 51 ქულა; |
| უკრემო ტორტი | – | 23 ქულა; |
| ბლინი (1 ცალი) | – | 8 ქულა; |
| ხილის ნაყინი | – | 15 ქულა; |
| ნაღების ნაყინი | – | 22 ქულა; |
| თაფლი | – | 34 ქულა; |
| მწარე შოკოლადი | – | 23 ქულა; |
| ნიგოზი | – | 56 ქულა; |
| ქიშმიში | – | 14 ქულა; |
| შოკოლადის კანფეტი | – | 75 ქულა; |
| ვაშლი (1 ცალი) | – | 18 ქულა; |
| მსხალი (1 ცალი) | – | 17 ქულა; |
| მანდარინი, ფორთოხალი | – | 17 ქულა; |
| კენკრა | – | 10 ქულა; |
| ყურძენი | – | 9 ქულა; |
| ხილის კომპოტი | – | 11 ქულა; |
| ვაშლის წვენი (ახალგამოწურული, 1 ჭიქა) | – | 30 ქულა; |
| ფორთოხლის წვენი | – | 28 ქულა; |
| ყურძნის წვენი | – | 24 ქულა; |
| პომიდვრის წვენი | – | 10 ქულა; |
| მინერალური წყალი | – | 0 ქულა; |
| უშაქრო ჩაი და ყავა | – | 0 ქულა; |
| ნატურალური ღვინო | – | 0,8 ქულა; |
| ლუდი | – | 5 ქულა; |
| ვისკი | – | 1,5 ქულა. |

# კოსმეტოლოგის რჩევები

**კითხვა: ფრჩხილებისთვის როგორი ქლიბია უკეთესი და რა ხანგრძლივობით შეიძლება მისი გამოყენება? ამჟამად მუყაოს ქლიბით ვსარგებლობ.**

**პასუხი:** ქლიბის „სიცოცხლის“ ხანგრძლივობა დამოკიდებულია მისი მოხმარების სიხშირეზე. საშუალო სიხშირით გამოყენების შემთხვევაში, მუყაოს ქლიბი „ცოცხლობს“ 2-3 თვე, მინისა და ლითონის – 4-6 თვე. არ დაგავიწყდეთ, რომ ყოველი მოხმარების შემდეგ ქლიბი უნდა გარეცხოთ საპნიანი წყლით ან გაწმინდოთ სპირტიანი ბამბით. ასევე, რეკომენდებული არ არის სხვისი ქლიბის გამოყენება (ან საკუთარის თხოვება სხვისთვის).

**კითხვა: როგორ უნდა დავიხატო თვალების კუთხეებში „ისრები“, რომ ერთნაირი გამომივიდეს?**

**პასუხი:** „ისრის“ ხაზის გავლება დაიწყეთ არა თვალის შიდა კუთხიდან საფეთქლისკენ, არამედ, პირიქით – საფეთქლის მხრიდან თვალის შიდა კუთხისკენ. ხელი რომ გაივარჯიშოთ, ჯერ ფანქრით სცადეთ (უფრო ადვილი წასაშლელია) და შემდეგ გადადით „ლაინერზე“.

**კითხვა: მაინტერესებს, სალონში რა მეთოდებით შეიძლება კანზე „ზზარების“ (სტრიების) გაქრობა?**

**პასუხი.** ძველ სტრიებს (თეთრი ფერის) აშორებს ლაზერი $CO_2$, ახლებს კი – ლაზერი RF-ლიფტინგი. გაიარეთ კონსულტაცია თქვენს ექიმთან (ანუ, დაადგინეთ, შეიძლება თუ არა თქვენთვის რომელიმე მეთოდის გამოყენება) და მხოლოდ ამის შემდეგ შეარჩიეთ თქვენი შესაფერისი ვარიანტი.

**კითხვა: რა არის სახეზე ნაოჭების გაჩენის ძირითადი მიზეზი?**

**პასუხი:** საერთოდ, კანი შედგება 70 პროცენტი წყლისგან. ასაკის მატებასთან ერთად (შეიძლება, ამის მიზეზი გახდეს არა მხოლოდ ასაკი, არამედ, კანის არასწორი მოვლა, ან, სულაც, მოუვლელობა; არასწორი კვება, მედიკამენტები, ჰავა და ასე შემდეგ), კანი კარგავს ტენიანობას, სიმკვრივეს, ელასტიკურობას,



შრება და, შესაბამისად, ჩნდება ჯერ წვრილი და ზედაპირული, შემდეგ კი ღრმა ნაოჭები. ეს რომ არ მოხდეს, უნდა სვათ დღეში 2 ლიტრამდე წყალი და ყოველდღე წაისვათ დამატენიანებელი კრემი.

**მოამზადა**
**თამრიკო ზამთარაძემ**

# რატომ აკრძალა სტალინმა ბულგაკოვის „ოსტატი და მარგარიტა“ და ამ წიგნის რომელი პერსონაჟები მიაჩნდა მას ბერიას კრებით სახელ



სტალინი კაცობრიობის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი, წინააღმდეგობრივი ფიგურაა და მასზე საუბარი დღემდე აქტუალურია. მისი გარდაცვალებიდან სამოც წელზე მეტი გავიდა, მაგრამ ეს პიროვნება დღესაც ცხოველ ინტერესს იწვევს მთელ მსოფლიოში, როგორც უბრალო ხალხში, ასევე ისტორიკოსებსა და სხვადასხვა სფეროს მკვლევარ-მეცნიერებში. სტალინს დღესაც იკვლევენ, სწავლობენ მის ბიოგრაფიას, აანალიზებენ მის ქმედებებსა და ყველა იმ დასკვნამდე მიდის, რომ ეს იყო ძალიან მაღალი ინტელექტის მქონე, უაღრესად განათლებული ადამიანი. მას თავისი ცხოვრების განმავლობაში ოცი ათასამდე სხვადასხვა მოცულობის წიგნი ჰქონდა წაკითხული. ეს კი მილიონამდე ნაბეჭდი გვერდია და გამოდის, რომ სამოცდასამი წლის განმავლობაში (ათი წლიდან სამოცდაცამეტ წლამდე) ყოველდღიურად, საშუალოდ ის ორმოცდაათ ნაბეჭდ გვერდს კითხულობდა. ზემოთ მოყვანილი მონაცემები, მხოლოდ და მხოლოდ დადასტურებული გამოკვლევების შედეგადაა მოყვანილი. სინამდვილეში კი, ეს რიცხვი უფრო დიდია, მასში არ შედის ის სახელმწიფო დოკუმენტები, რომლებსაც სტალინი ყოველდღიურად ძალიან დიდი რაოდენობით კითხულობდა.

სტალინს ორი აბსოლუტურად ერთნაირი ბიბლიოთეკა ჰქონდა კუნცევოს აგარაკსა და კრემლის ბინაში. თითოეული 35-35 ათასი წიგნისგან შედგებოდა. სწორედ ამ ბიბლიოთეკის შესწავლამ გააოგნა მისი ბიოგრაფები და დადგინდა, რომ მან ოცი ათასამდე წიგნი წაიკითხა. სტალინს ჩვევად ჰქონდა, რომ ყოველ წაკითხულ წიგნს, სხვადასხვა გვერდზე საკუთარ კომენტარებს ურთავდა და ამას წითელი და ლურჯი ფანქრებით აღნიშნავდა. სტალინის ბიბლიოთეკაში არსებული პირველი შენიშვნებიანი წიგნი 1889 წლით თარიღდება. ამან მის ბიოგრაფებს საშუალება მისცა, დაედგინათ, რომ ის ათი წლის ასაკიდან უკვე ძალიან აქტიური მკითხველი იყო. ეს წიგნი გახლდათ ილია ჭავჭავაძის პატრიოტული ლექსების მცირე კრებული, გამოცემული 1887 წელს. ამ თხელტანიანი წიგნის შიდა ყდაზე ათი წლის სოსო ჯუღაშვილს წითელი ფანქრით მიეწერა: „დიდებულია და ფრიად სასარგებლო ბატონი ილია ჭავჭავაძის ლექსები“. იმ პერიოდში, ანუ ათი წლის ასაკიდან, სტალინი რუსი და ფრანგი მწერლების შედარებით მსუბუქ ნაწარმოებებს ეცნობა. ხოლო 1894-1895 წლებში, 15-16 წლის სტალინი საფუძვლიანად ეცნობა ფრანგი განმანათლებლების ნაშრომებს, კლასიკურ გერმანულ ფილოსოფიასა და აკრძალულ ლიტერატურას. სხვათა შორის, სტალინის პირად ბიბლიოთეკაში მრავალი ისეთი წიგნი აღმოჩნდა, რომელიც პირადად სტალინის მიერ იყო აკრძალული საბჭოთა კავშირში. იქ იყო მიხაილ ზოშჩენკოს მოთხრობები, ადრეული პასტერნაკი, მანდელშტამი, ბულგაკოვი. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ბულგაკოვის „ოსტატი და მარგარიტას“ გვერდებზე გაკეთებული წარწერები. ცნობილია, რომ „ოსტატი და მარგარიტა“ სპეციალურად სტალინისთვის დაბეჭდეს ერთადერთ ეგზემპლარად. დიდი ბელადი აღფრთოვანებული იყო ამ ნაწარმოებით და თითქმის ყოველ გვერდზე წითელი ფანქრით ჰქონდა მიწერილი: „გენიალურია. მახვილგონივრული მიგნებაა“ და ასე შემდეგ. სტალინს განსაკუთრებულად მოსწონდა წიგნის ის ადგილი – დიალოგი, სადაც პილატე აფრანიუსს იუდას მოკვლას ავალებს. სტალინს აგრეთვე ძალიან ახალისებდა ვოლანდის გარემოცვა და ერთ-ერთ გვერდზე მიაწერა: „კოროვიევი, ბეჰემოთი და აზაბელო – ბერიას კრებითი სახე...“ მოწონების მიუხედავად, წიგნის შიდა, პირველ ყდაზე წითელი ფანქრით, რუსულ ენაზე, ლამაზად, დიდი ასოებით მიაწერა: „აიკრძალოს. საბჭოთა ხალხისთვის ამ წიგნის კითხვა ჯერ ადრეა“.

სტალინის ბიოგრაფიის ყველა სერიოზული მკვლევარი თითქმის ერთხმად აღნიშნავს, რომ დიდ ბელადს განსაკუთრებულად ორი წიგნი ხიბლავდა. ნიკოლო მაკიაველის „მმართველი“ (გასუდარ) და ალექსანდრ დიუმას „გრაფი მონტე კრისტო“. „მმართველის“ შიდა ყდაზე სტალინმა მიაწერა: „პოლიტიკის წარმართვის თითქმის იდეალური რეცეპტი“. ხოლო „გრაფი მონტე კრისტოს“ ბოლო გვერდზე კი, სტალინმა ლურჯი ფანქრით მიაწერა: „დიდებული ნაწარმოებია. თუმცა, დანტესს მეტი სისასტიკე მართებდა“.

სტალინის ბიბლიოთეკაში ბიბლიის ძალიან საინტერესო ეგზემპლარია და ესაა ერთადერთი წიგნი, რომელსაც არანაირი კომენტარი არ აქვს დართული. ეს წიგნი სხვა მხრივაა საინტერესო და საგულისხმო ისაა, რომ მასზე თბილისის ჟანდარმერიის სამმართველოს შტამპია. თავად წიგნი კი შუაში, ნახევრამდეა გახვრეტილი და რამდენიმე ფურცელიც დამწვარია. სწორედ ამ წიგნმა გადაარჩინა 20 წლის იოსებ ჯუღაშვილის სიცოცხლე 1899 წელს. იმ პერიოდში, ახალგაზრდა სტალინი ძალიან აქტიურ არალეგალურ ცხოვრებას ეწეოდა და ბაქოდან თბილისში და თბილისიდან ბაქოში არალეგალური ლიტერატურა დაჰქონდა. ერთ-ერთი ასეთი ვოიაჟის დროს, 4 მაისს, ბაქოდან ჩამოსული, არალეგალური ლიტერატურით დატვირთული სტალინი თბილისის რკინიგზის სადგურზე ჟანდარმებმა დააკავეს და ჟანდარმერიის სამმარველოში მიიყვანეს. მას ვინმე იაკობ ბაქრაძის სახელზე გაცემული, ყალბი პასპორტი აღმოაჩნდა. სანამ ჟანდარმები მის პიროვნებას იკვლევდნენ და არალეგალური ლიტერატურის წარმომავლობას სწავლობდნენ, რომლის პატრონობასაც დაკავებული უარყოფდა, სტალინი საკანში მოათავსეს და მისივე თხოვნით, ჟანდარმერიის ბიბლიოთეკიდან ბიბლია მიუტანეს.

„მე, ასტრახანში მოღვაწე მორჩილი ვარ და ბაქოს გავლით, თბილისში იმიტომ ჩამოვედი, რომ ბათუმში გავემგზავრო. ეს ჩანთა კი ვიღაც შუახნის მამაკაცმა გადმომცა ბაქოში და მითხრა, მის წასაღებად ქალი მოვაო. მე არც კი მინახავს, შიგნით რა დევს“, – ატყუბდა სტალინი ჟანდარმებს, თან ბადრაგის ცვლილებას ელოდებოდა, რომ სამმარველოდან გაპარულიყო. ჟანდარმერიის სამმართველოში ვინმე ვასო ნიკოლაძე მუშაობდა ბადრაგად. ის მარქსისტებს თანაუგრძნობდა და 1899 წლის 5 მაისს, გამთენიისას სწორედ მან გაიყვანა საკნიდან დაკავებული სტალინი და გაუშვა. 20 წლის იოსებ ჯუღაშვილი, რომელიც მშვენივრად იცნობდა თბილისის ქუჩებს, მეტეხის ხიდზე გადავიდა და ღვინის აღმართს აუყვა, რომ ავლაბარში მიმალულიყო. სომხურ ეკლესიასთან ის პოლიციის პატრულს გადაეყარა და გაიქცა. პოლიციელებმა სროლა აუტეხეს და ნაგანის ერთ-ერთი ტყვია ბიბლიას მოხვდა. სტალინმა ის ჟანდარმერიის სამმართველოდან წამოიღო და გულის ჯიბეში ედო. ტყვიას სქელმა, დამრეცმა ფურცლებმა შეუცვალა მიმართულება და მარცხნივ წავიდა, თუმცა სტალინის მარცხენა მკლავს მაინც გაჰკრა... მოგვიანებით, სტალინი ღიმილით იხსენებდა იმ საბედისწერო დღეს და ამბობდა: ღმერთმა გადამარჩინაო...

სტალინის ბიბლიოთეკაში საკმაოდ მოზრდილი სამეცნიერო-ტექნიკური ლიტერატურაა, რომელზეც დიდ ბელადს მეტად კვალიფიციური და მეცნიერებაში ღრმად ჩახედული ადამიანისთვის დამახასიათებელი წარწერები აქვს გაკეთებული. სტალინისვე ბიბლიოთეკაშია აღმოჩენილი „ვეფხისტყაოსნის“ შალვა ნუცუბიძისეული თარგმანი რუსულ ენაზე, რომელიც ბელადს დიდმა ქართველმა მეცნიერმა აჩუქა წარწერით: „პატივისცემით დიდ სტალინს, ყველა ჩვენი დიდი გამარჯვების სულისჩამდგმელსა და წინამძღოლს“. იქვე კი, სტალინს წითელი ფანქრით აქვს მიწერილი: „ვიღებ ამ ძღვენს, როგორც მოკრძალებული თანაავტორი“. ეს წარწერა, ისევე, როგორც ნუცუბიძისეული, ქართულ ენაზეა დაწერილი და „ვეფხისტყაოსნის“ რუსულად თარგმანში სტალინის მონაწილეობის აღმნიშვნელია. ცნობილი ფაქტია, რომ ერთხელ სტალინმა შალვა ნუცუბიძეს „ვეფხისტყაოსნის“ რუსულად ნათარგმნი ერთი თავი მისცა და სთხოვა, შეეფასებინა. ნუცუბიძეს კი ისე მოეწონა სტალინის თარგმანი, რომ თავის თარგმანს დაურთო. თუმცა, რომელი თავია ნუცუბიძისეულ თარგმანში სტალინის ნათარგმნი, დიდ მეცნიერს არავისთვის გაუმხელია.

**ნიკა ლაშაური**


**კუჭ-ნაწლავის დისკომფორტი (შეკრულობა, ფაღარათი, შებერილობა) დისბაქტერიოზი**

**მიიღეთ**

**ლაქტო-ჯი**

www.laqto.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად
მიმართეთ ექიმს.



რუბრიკას უძღვება თბილისის სამედიცინო აკადემიის პროფესორი, ასტროლოგი მიხეილ ცაგარელი

*„ღმერთო, მომეცი მოთმინება, რომ ავიტანო ის, რისი შეცვლაც არ შემიძლია, გამბედაობა, რომ შევცვალო ის, რაც შემიძლია და გონიერება, რომ განვასხვავო ერთი მეორისაგან“.*

**კურტ ვონეგუტი**

# რატომ უნდა გქონდეთ სახლში თქვენი ზოდიაქოს ნიშნის შესაბამისი მცენარე და არის თუ არა სახიფათო ცუდი ენერგიის მქონე სურათების სახლში დაკიდება

ბევრს უყვარს ოჯახში ანტიკვარული ნივთები და კედლებზე ძველი ნახატების ჩამოკიდება. ეს კი ძალიან სახიფათოა, რადგან, ასეთ ნივთებს აქვთ ბიოენერგეტიკული მუხტების მიღების უნარი და, შესაძლოა, ანტიკვარულ მაღაზიაში შეძენილი ულამაზესი სურათი თუ ნივთი ადრინდელი პატრონის რაიმე უბედურების მოწმეც კი იყოს. ასეთი აგრესიული ენერგიის მქონე ნივთის დაკიდება სახლში, რომელშიც ხშირად იმყოფებით ერთად ოჯახის წევრები, ყოვლად დაუშვებელია. იქ, სადაც მსგავსი სურათი ან ნივთია, თანდათანობით საგრძნობი ხდება, თუ როგორ იმუხტებიან ოჯახის წევრები უარყოფითად და როგორ იმატებს მათ შორის კონფლიქტები და აგრესია. ამიტომ, ანტიკვარულ მაღაზიაში ნივთისა თუ სურათის ყიდვა მეტ სიფრთხილეს მოითხოვს. არ შეიძლება, ასევე, მისი შემოტანა სხვა ოჯახიდან, მით უმეტეს, გარდაცვლილის ოჯახიდან, რადგან, ის ძალიან სახიფათო ხდება თქვენი ოჯახისთვის. დიდი მნიშვნელობა აქვს იმასაც, თუ ვის დახატულ სურათს დაკიდებთ სახლში. შეძლებისდაგვარად, უნდა გაარკვიოთ, რა მდგომარეობაში იყო მხატვარი სურათის ხატვის დროს, რადგან, შემოქმედს თავისი შინაგანი ენერგოვიბრაცია გადააქვს იმ სურათზე, რომელსაც ხატავს. ძველად ამ საკითხს დიდ ყურადღებას აქცევდნენ, დღეს კი – ნაკლებად. ბევრი სურათი იხატება მხატვრის მიერ, რომელიც, ხშირად, მძიმე ფსიქიკურ მდგომარეობაში მყოფი იღებს ფუნჯს ხელში. ასეთი უარყოფითი ენერგოვიბრაციის მქონე სურათი ოთახში უარყოფით ენერგიას აფრქვევს, რაც უძილობის, ფსიქიკის მოშლის, ჯანმრთელობის შერყევის მიზეზი ხდება.

ამავდროულად, თუ თქვენს ბინაში გაახარებთ ქოთნის მცენარეებს, ეს წარმატების მოპოვებაში დაგეხმარებათ. ამიტომ, გირჩევთ, შეიძინოთ თქვენთვის ასტროლოგიურად საჭირო ქოთნის ყვავილები. ისინი, ასევე, სახლისა და ზოგადად, საცხოვრებლის ატმოსფეროს ასუფთავებენ, უარყოფით ენერგიას დადებითად გარდაქმნიან.

ყვავილები ყველა ბინაში ვერ ხარობენ. ისინი აგრესიული ადამიანების სახლში ვერ უძლებენ ემოციურ დატვირთვას და იღუპებიან. სადაც ბევრია ყვავილი, იმ სახლის მცხოვრებთ ძლიერი იმუნიტეტი აქვთ და ნაკლებადაც აწუხებთ ავადმყოფობები. ყვავილს შეუძლია, პატრონს ხასიათი შეუწყოს.

ცნობილია, რომ მცენარეები, ადამიანის მსგავსად, ზოდიაქოს სხვადასხვა ნიშანსა და პლანეტის გავლენას ექვემდებარებიან. თუ სახლში თქვენი ზოდიაქოს ნიშნის შესაბამისი მცენარე ხარობს, ეს თქვენს წარმატებებზეც აგებს პასუხს. ის შეუმჩნევლად და სიძნელეების გარეშე, თქვენში დამატებით ენერგიას გააძლიერებს და უარყოფით ენერგიას ჩამოგაშორებთ. სხვა ზოდიაქოს ნიშნის მცენარეები კი იმ თვისებებს შეგძენთ და მოგანიჭებთ, რომლებიც არ გაგაჩნიათ.

**ვერძის** ზოდიაქოს ნიშნის ქვეშ დაბადებულებისთვის კარგია იელი, ბეგონია და გერანი. ვერძებს ეს მცენარეები წარმატებებს მოუტანს პირად საქმეებში, გააუმჯობესებს გუნება-განწყობას, მოუხსნის სტრესს და, ასევე, განუმტკიცებს საკუთარი თავის რწმენას.

**კუროს** ზოდიაქოს ნიშნის ქვეშ დაბადებულებისთვის კარგია ია და ყოჩივარდა. ეს მცენარეები მათ მატერიალური სახსრების გაუმჯობესებასა და მოზიდვაში ეხმარება. ასევე, ამ ადამიანებში შემოქმედებით უნარს ავითარებს და მათ საცხოვრებელს უარყოფითი ენერგიებისგან წმენდს.

**ტყუპების** ზოდიაქოს ნიშნის ქვეშ დაბადებულისთვის კარგია სურო და გვიმრა. ეს მცენარეები მათ ურთიერთობების დასტაბილურებაში ეხმარება, სიამოვნებას ანიჭებს და უფრო ტაქტიანს ხდის.

**კირჩხიბის** ზოდიაქოს ნიშნის ქვეშ დაბადებულისთვის კარგია ალოე და აგავა. ეს მცენარეები მათში თვითრწმენას ავითარებს, ეხმარება ახლობლებთან საერთო ენის გამონახვაში, სახლში კი სიმშვიდე შემოაქვს, ასევე, ინტუიციის განვითარებაში ეხმარება.

**ლომის** ზოდიაქოს ნიშნის ქვეშ დაბადებულისთვის კარგია კალა, ვარდი და უკადრისა. ისინი ამ ზოდიაქოს ნიშნით დაბადებულს უვითარებს დამოუკიდებლობის გრძნობას, უმყარებს თვითრწმენას, ეხმარება შემოქმედებითი ნიჭის გამოვლენაში, სახლში კი თბილ და მყუდრო ატმოსფეროს უქმნის.

კარგია, თუ **ქალწულის** ზოდიაქოს ნიშნის ქვეშ დაბადებული სახლში მონსტერას გაახარებს. ეს მცენარე მათ ჯანმრთელობის შენარჩუნებაში, ინტელექტუალურ საქმიანობასა და საღ აზროვნებაში დაეხმარება.

**სასწორის** ზოდიაქოს ნიშნის ქვეშ დაბადებულისთვის კარგია ქრიზანთემა. ეს მცენარე სასწორებს ათავისუფლებს უსარგებლო ეჭვებისგან, ანიჭებს სიმშვიდისა და სიმყუდროვის შეგრძნებას, ჰმატებს სიმტკიცეს და საკუთარი თავის რწმენას. ასევე, წმენდს ატმოსფეროს ნეგატიური ენერგიისგან.

**მორიელის** ზოდიაქოს ნიშნის ქვეშ დაბადებულთათვის კარგია კაქტუსი. ის მათ ასწავლის ემოციების კონტროლს, ამშვიდებს, იცავს შეცდომებისგან; ეხმარება, რომ დაძაბულ სიტუაციებში თავი ხელში აიყვანონ, აუმჯობესებს მეხსიერებას და, ასევე, შემოსავლების მოზიდვაში უწყობს ხელს.

**მშვილდოსნის** ზოდიაქოს ნიშნის ქვეშ დაბადებულისთვის კარგია ლიმონი. ეს მცენარე აძლიერებს ახლის შეცნობის უნარს, ავითარებს ცნობისმოყვარეობას, ეხმარება დამოუკიდებლად მოქმედებაში.

**თხის რქის** ზოდიაქოს ნიშნით დაბადებულისთვის კარგია ფიკუსი. ეს მცენარე ამ ნიშნით დაბადებულებს წარმატებების მოპოვებაში ეხმარება, უქმნის მყუდრო გარემოს ბინაში, თავიდან აცილებს ჩხუბს და აძლევს ძალას კრიტიკულ სიტუაციებში.

**მერწყულის** ზოდიაქოს ნიშნის ქვეშ დაბადებულებისთვის კარგია რძიანა და მარანთა. ეს მცენარეები მათ სძენს ორიგინალური თვითგამოხატვის უნარს, უბიძგებს სიახლეებისკენ და ეხმარება კარიერულ წინსვლაში. ეს მცენარეები ზრუნავენ ბინაში ოჯახური სიმყუდროვის შექმნასა და შენარჩუნებაზე.

**თევზების** ზოდიაქოს ნიშნის ქვეშ დაბადებულთათვის კარგია ორქიდეა. ეს მცენარე მათ პრობლემების მოგვარებაში ეხმარება, აძლევს სტიმულს და ათავისუფლებს დეპრესიისგან. ასევე, ორქიდეა ინტუიციას უვითარებს თევზებს და მათ ოჯახურ სიმყუდროვეზეც აგებს პასუხს.

# შეკითხვა ასტროლოგს

**კითხვა**: **დავიბადე 1989 წლის 5 სექტემბერს, საღამოს საათებში. რა არის ჩემი კარმული მისია და უცხოეთის რომელი ქვეყანაა ჩემთვის მეტად მისაღები და წარმატებების მომტანი?**

**პასუხი**: თქვენი კარმულ-კოსმიური მისიაა, იყოთ „მშვიდობის მტრედი", ანუ სადაც შეხვალთ, შეიტანოთ სილამაზე, ჰარმონია, სიმშვიდე და არა აგრესია და დეპრესია. ისწავლეთ თანასწორუფლებიან პარტნიორულ პრინციპებზე ურთიერთობების აგება, დაეყრდენით დიპლომატიას, ენდეთ ინტუიციას, იყავით სამართლიანი. იმავდროულად, იყავით ორგანიზებული, დისციპლინირებული, შეუპოვარი, მიზანსწრაფული, მომთმენი, შრომისუნარიანი, პრაქტიკული. რაც შეეხება უცხოეთს, ის თქვენი კარმული მისია არ არის, მაგრამ, არც ცუდია. ქვეყნებიდან კი შედარებით უკეთესია: იტალია, არგენტინა, ბირმა, ჩინეთის ჩრდილოეთი ნაწილი, ტიბეტი, ეგვიპტე, სანმარინო, ესპანეთის კატალონიის მხარე, მონაკო, ჰავაის კუნძულები, ავსტრია, ბრაზილია, პორტუგალია, ტაილანდი, ვიეტნამი, ავსტრალიის ცენტრალური ნაწილი, ისრაელი და ფინეთი.

**კითხვა**: **დავიბადე 1997 წლის 23 ივლისს, დღის 4 საათზე. რომელი პროფესიაა ჩემთვის მისაღები და რომელი ქვეყანა მომიტანს წარმატებებს?**

**პასუხი**: გეტყვით, რომ უცხოეთი თქვენი კარმულ-კოსმიური მისიაა. ქვეყნებიდან კი კარგია: ავსტრალია, საფრანგეთის სამხრეთი ნაწილი, ესპანეთი, სერბეთი, სლოვენია, პორტუგალია, იტალია, არგენტინა, ჩინეთის ჩრდილოეთი ნაწილი, ეგვიპტე, ესპანეთის კატალონიის მხარე, ტიბეტი, მონაკო, ლატვია და ავსტრია. პროფესიებიდან კი წარმატებებს მოგიტანთ: სპორტი, პოლიტიკის ფართო სპექტრი, პროფესიონალური დიპლომატია, იურისპრუდენცია, პედაგოგიკა, ტურისტული ორგანიზაციების ბიზნესი ან შემოქმედება, პოეზია, ლიტერატურა, ხელოვნების ფართო სპექტრი, დიზაინი, სამოდელო სფერო, არქიტექტურა, პარფიუმერიულ-კოსმეტიკური საქმიანობა ან ბიზნესი, ქორეოგრაფია, ფოტოგრაფიის ხელოვნება ან ბიზნესი, სადალაქო ინდუსტრია, საკონდიტრო სფერო, სოციოლოგია, ფსიქოლოგია.

# თეატრები

## შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი
**რუსთაველის გამზირი №17. ტელ.: 272-68-68**

26 თებერვალი, **ოთხშაბათი** 19.00 - **„ქარი მწყურია მე პირდაპირი"** - მონოსპექტაკლი - (ბილეთის ფასი - 6, 8 ლარი), (ექსპერიმენტული სცენა), ავტორი, რეჟისორი, ინსცენიერების ავტორი, მხატვარი, მუსიკალური გამფორმებელი - მურმან ჯინორია. ერთადერთი მთავარი როლის შემსრულებელი - მურმან ჯინორია. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 15 წუთი;***

27 თებერვალი, **ხუთშაბათი** 19.00 - **„პირველი სიყვარული"** - (ბილეთის ფასი - 6 ლარი), (ექსპერიმენტული სცენა), რეჟისორი: ნიკოლოზ ჰაინე-შველიძე. მონაწილეობენ: ლევან ბერიკაშვილი, ზვიად პაპუაშვილი, ქეთი ხიტირი. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 15 წუთი;***

28 თებერვალი, **პარასკევი** 19.00 - **„თორმეტი განრისხებული მამაკაცი"** - (ბილეთის ფასი - 6 - 12 ლარი), (დიდი სცენა), რეჟისორი: რევაზ ჩხაიძე. მონაწილეობენ: სოსო აბრამიშვილი, დავით კვირცხალია, მურმან ჯინორია, თემიკო ჭიჭინაძე, ლევან ხურცია, ირაკლი მაჭარაშვილი, დავით დარჩია, ზურა ინგოროყვა, დავით პაპუაშვილი, ტრისტან სარალიძე, ბაჩო ჩაჩიბაია, ვანო გოგიტიძე. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 40 წუთი;***

## კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი
**მარჯანიშვილის ქუჩა №8, ტელ.: 295-59-66**

25 თებერვალი, **სამშაბათი** 20.00 - **„ჟოლო"** - (დიდი სცენა) - (ბილეთის ფასი - 11 ლარი), რეჟისორი: ლევან წულაძე. მონაწილეობენ: ნატო მურვანიძე, ნიკა კუჭავა;

26 თებერვალი, **ოთხშაბათი** 20.00 - **„არტ-ხელოვნება"** - (ბილეთის ფასი - 4 - 10.50 ლარი), (დიდი სცენა), დამდგმელი რეჟისორი: თემურ ჩხეიძე. მონაწილეობენ: ზურა ყიფშიძე, მიხეილ გომიაშვილი, ალეკო მახარობლიშვილი. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 45 წუთი;***

27 თებერვალი, **ხუთშაბათი** 20.00 - **„რეპეტიციის შემდეგ"** - (ბილეთის ფასი - 4 - 10.50 ლარი), (დიდი სცენა), რეჟისორი: თემო კუპრავა. მონაწილეობენ: ზურა ბეგალიშვილი, ქეთა შათირიშვილი; ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

28 თებერვალი, **პარასკევი** 20.00 - **„სასიყვარულო ბარათები"** - (ბილეთის ფასი - 11 ლარი), (თეატრი სხვენში), დამდგმელი რეჟისორი: თემურ ჩხეიძე. მონაწილეობენ: ნანი ჩიქვინიძე, გია ბურჯანაძე. ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

28 თებერვალი, **პარასკევი** 20.00 - **„როგორც გენებოთ"** - (ბილეთის ფასი - 6 - 16 ლარი), (დიდი სცენა), რეჟისორი: ლევან წულაძე. მონაწილეობენ: მანანა კოზაკოვა, ნატო კახიძე, ქეთევან შათირიშვილი, ქეთევან ცხაკაია, ნატა მურვანიძე, თამარ ბუხნიკაშვილი, დავით ხურცილავა, ნიკა კუჭავა, ზურაბ ბერიკაშვილი, როლანდ ოქროპირიძე, ონისე ონიანი. ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

1 მარტი, **შაბათი** 20.00 - **„ქალები"** - (დიდი სცენა) - (ბილეთის ფასი - 4 - 10.50 ლარი), რეჟისორი: ციცინო კობიაშვილი. მონაწილეობენ: ნინო ზაუტაშვილი, ნინო დუმბაძე, ქეთი ჩხეიძე, ქეთი გეგეშიძე, ირმა ბერიანიძე, ეკა მჟავანაძე, ზაზა გოგუაძე, თემო კილაძე; ***ხანგრძლივობა: 2სთ. 30 წუთი;***

1 მარტი, **შაბათი** 20.00 - **„შერეული ემოციები"** - (თეატრი სხვენში) - (ბილეთის ფასი - 11 ლარი), რეჟისორი: სანდრო ელოშვილი. მონაწილეობენ: დუტა სხირტლაძე, ქეთი ცხაკაია; ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

2 მარტი, **კვირა** 20.00 - **„ჰაჯი-მურატი"** - (დიდი სცენა) - (ბილეთის ფასი 6 - 16 ლარი), რეჟისორი: გიზო ჟორდანია. მონაწილეობენ: გივი ჩუგუაშვილი, პაატა ინაური, რატი გოგუაძე, გიორგი შავგულიძე, გაგა შიშინაშვილი, ზაზა იაქაშვილი, თემურ კილაძე; ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

2 მარტი, **კვირა** 20.00 - **„დოდოს მოლოდინში"** - (თეატრი სხვენში) - (ბილეთის ფასი - 11 ლარი), რეჟისორი: ვატო ჯუღელი. მონაწილეობენ: დავით დვალიშვილი, კოკო როინიშვილი, პაატა პაპუაშვილი, ლილე ფილფანი, ეკა მჟავანაძე, დავით ხურცილავა, ქეთი ჩხეიძე, ჯაბა კილაძე; ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

## მარჯანიშვილის თეატრი (ახალი სცენა)
**მარჯანიშვილის ქუჩა №5. ტელ.: 2 955-966**

25-26-27 თებერვალი, **სამშაბათი-ოთხშაბათი-ხუთშაბათი** 20.00 - **„მთვრალი ალუბალი"** - (ბილეთის ფასი - 14 ლარი), ტექსტის ავტორი და რეჟისორი - ლევან წულაძე, ალექსანდრე ელოშვილი. მონაწილეობენ: ეკა ჩხეიძე, მალხაზ აბულაძე, მანანა კოზაკოვა, ბარბარე დვალიშვილი, ზაზა გოგუაძე, დათო ხურცილავა, ქეთი ცხაკაია, ონისე ონიანი; ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

28 თებერვალი, **პარასკევი** 20.00 - **„საზღვრები"** - (ბილეთის ფასი - 14 ლარი), რეჟისორი და ქორეოგრაფი: გიორგი ოსეფაშვილი. მონაწილეობენ: ქეთევან ქიტიაშვილი, ბექა გოდერძიშვილი, გიორგი ოსეფაშვილი; ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

1 მარტი, **შაბათი** 20.00 - **„ქალი ძაღლით"** - (ბილეთის ფასი - 14 ლარი), რეჟისორი: ლევან წულაძე. მონაწილეობენ: ნიკა თავაძე, ნანკა კალატოზიშვილი, ნატა კახიძე, ბესო ბარათაშვილი. ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

## თავისუფალი თეატრი
**რუსთაველის გამზირი №2, ტელ.: 298-58-21**

25 თებერვალი, **სამშაბათი** 19.00 - **„ჯინსების თაობა"** - (ბილეთის ფასი - 6, 12, 14 ლარი), რეჟისორი: დათო დოიაშვილი. მონაწილეობენ: მარინა ჯანაშია, ნანა დარჩიაშვილი, გოგა ჩხეიძე, დიმა მერაბიშვილი, მერაბ ყოლბაია, აპოლონ კუბლაშვილი, ლელა მეტრეველი, ჯაბა კილაძე, მარიამ ნადირაძე, სანდრო მარგალიტაშვილი. ***ხანგრძლივობა: 2სთ. 45 წუთი;***

26 თებერვალი, **ოთხშაბათი** 19.00 - **„თაფლობის თვე"** - (ბილეთის ფასი - 6, 9, 11 ლარი), რეჟისორი: მაია დობორჯგინიძე. მონაწილეობენ: მარიამ ჯოლოგუა, სალომე ჭულუხაძე, ნათია კვაშალი; ***ხანგრძლივობა: 1სთ. 40 წუთი;***

27 თებერვალი, **ხუთშაბათი** 19.00 - **„წვიმის გამყიდველი"** - (ბილეთის ფასი - 6, 13, 15 ლარი), რეჟისორი: ნუგზარ ლორთქიფანიძე. მონაწილეობენ: ქეთა ლორთქიფანიძე, სანდრო მარგალიტაშვილი, მამუკა მუმლაძე, გიორგი ჯიქია, ლაშა გურგენიძე, შაკო მირიანაშვილი; ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

28 თებერვალი, **პარასკევი** 19.00 - **„მექანიკური ფორთოხალი"** - (ბილეთის ფასი - 6, 13, 15 ლარი), რეჟისორი: ავთო ვარსიმაშვილი. მონაწილეობენ: სლავა ნათენაძე, აპოლონ კუბლაშვილი, ჯაბა კილაძე, სანდრო მარგალიტაშვილი, მიშა არჯევანიძე, ანი ალადაშვილი, მაშო მელქაძე, ლაშა გურგენიძე. 16 წლამდე ასაკის ბავშვები სპექტაკლზე არ დაიშვებიან. ***ხანგრძლივობა: 2სთ. 15 წუთი;***

1 მარტი, **შაბათი** 19.00 - **„კორიოლანუს, რიჩარდ III"** - (ბილეთის ფასი - 6, 13, 15 ლარი), რეჟისორი: ავთო ვარსიმაშვილი. მონაწილეობენ: გოგა ბარბაქაძე, აპოლონ კუბლაშვილი, ქეთა ლორთქიფანიძე, მარიამ ნადირაძე, მარიამ ჯოლოგუა, ანი ალადაშვილი, თამუნა ნიკოლაძე, თიკო კორძაძე, ჯაბა კილაძე; ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

2 მარტი, **კვირა** 19.00 - **„მიყვარხარ! მიყვარხარ! მიყვარხარ!"** - (ბილეთის ფასი - 6, 13, 15 ლარი), პიესის ავტორი და რეჟისორი: ავთო ვარსიმაშვილი. მონაწილეობენ: მარიამ ჯოლოგუა, აპოლონ კუბლაშვილი, ანი ალადაშვილი, გიორგი ჯიქია, კახა მიქიაშვილი, მამუკა მუმლაძე, სანდრო მარგალიტაშვილი. ***ხანგრძლივობა: 2სთ. 30 წუთი;***

## გრიბოედოვის თეატრი
**რუსთაველის გამზირი №2 ტელ.: 293-11-06**

1-2 მარტი, **შაბათი-კვირა** 13.00, 15.00, 17.00 - **„მაშა და დათვი"** - (ბილეთის ფასი - 8, 11, 16, 22 ლარი), რეჟისორი: გოჩა ხვიჩია. მონაწილეობენ: ზუზუ კუცია, ამირან ბუიძე, ნიკოლოზ კანკია, თამარ ბედიანაშვილი, ნიკოლოზ კაკაბაძე. ***ხანგრძლივობა: 1სთ.;***

1 მარტი, **შაბათი** 18.00 - **„ქორწინება"** - (ბილეთის ფასი - 5 ლარი), რეჟისორი: ავთანდილ ვარსიმაშვილი. მონაწილეობენ: მარიამ კიტია, აპოლონ კუბლაშვილი, ირინა კვიჟინაძე, ვალერი ხარიუტჩენკო, ნანა დარჩიაშვილი, ოლეგ მჭედლიშვილი. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 50 წუთი;***

– კი. პროფესიით დიპლომატი და მუსიკოსია.

**– მოდი, ბოლომდე გულახდილი იყავი და გვითხარი, ვინ არის შენი რჩეული?**

– ის არის ტატო, იგივე არჩილ გეგეჭკორი. მუსიკოსი, რომელიც ძალიან დიდი ხნის წინ საქართველოში გავიცანი. მერე ტატოც ნიუ-იორკში აღმოჩნდა, სადაც გაგრძელდა ჩვენი ურთიერთობა. წლების განმავლობაში ერთად ვუკრავდით ბარებსა და კლუბებში. ასე, მეგობრულად დაიწყო ჩვენი ურთიერთობა, რომელიც სიყვარულში გადაიზარდა და დღეს ასე კარგად ვართ.

**– ტატო ამ ეტაპზე საქართველოში ცხოვრობს?**

– ტატო ჯერჯერობით აქ უნდა იყოს, რადგან მის მეორე პროფესიას სჭირდება ასე. აქ მუშაობს.

**– ალბათ, რთულია, როცა საყვარელი ადამიანი ოკეანის გადმოღმა გყავს.**

– კი, ძალიან რთული ყოფილა, რაც ვერ წარმომედგინა. ვამბობდი, წავალ ორი-სამი თვით და ისევ ჩამოვალ-მეთქი. თითებზე ჩამოთვლა არაფერი ყოფილა, რეალურად კი, დრო ძალიან იწელებოდა.

**– როცა შეყვარებული ხარ, ცხოვრებაც სხვანაირია. სხვანაირად მღერი, სხვანაირად ქმნი მუსიკას და ასე შემდეგ.**

– მართლა სხვანაირია ცხოვრება მაშინ, როცა შეყვარებული ხარ. კარგია, როცა საყვარელი ადამიანი გვერდით გყავს. მაგრამ, იმასაც თავისი ხიბლი აქვს, როცა ხანმოკლე დროით ცალ-ცალკე გიწევს ცხოვრება. თუმცა, ვფიქრობ, 2-3 თვე მაინც ბევრია. სამწუხაროდ, ერთი კვირით ამერიკაში წასვლა არ გამომივა. გეგმაში გვაქვს, მარტში რომ წავალ, ტატო ივნისში ჩამოვიდეს და მერე ერთად მოვაწყოთ ტურნე. სხვათა შორის, ზუსტად ერთი წლის წინ, ძალიან კარგი ტურნე გვქონდა – 9 დღეში ამერიკის შტატები მოვიარეთ. ახლაც იგივეს ვგეგმავთ. სენტლუისში აუცილებლად გვექნება კონცერტი, ასევე, ვგეგმავთ კონცერტს კოლორადოს შტატში.



საერთოდ არ მიყვარს პირადზე საუბარი, მაგრამ ახლა ისეთი კარგი რაღაცეები ხდება, ღირს კი არა, მიხარია ამ თემაზე ლაპარაკი

**– ერთი პროფესიის ორი ადამიანი, ხშირ შემთხვევაში, თავს ერთად ძალიან კარგად გრძნობს, რადგან მათ ერთმანეთის კარგად ესმით.**

– ნამდვილად ასეა. თან, ალბათ, მეც წლები რომ მომემატა, თავში ისე აღარ მიქრის. თუ სამსახურში არ არის, ფაქტობრივად, სულ ერთად ვართ. ბევრი საერთო მეგობარი გვყავს, გვაქვს საერთო ინტერესები. მოკლედ, იმდენად კარგი და ჰარმონიული ურთიერთობა გვაქვს, არც მეგონა, ასე თუ იქნებოდა.

**– ანუ, შენი ცხოვრება რადიკალურად შეიცვალა?**

– მისდამი ურთიერთობა არ შემცვლია, უბრალოდ საკუთარ თავს ხშრად ვამჩნევ, რომ სხვანაირი ვარ. საკმაოდ კომფორტული გავხდი, თუმცა მიმაჩნდა, რომ ადრე ნამდვილად არ ვიყავი მარტივად ასატანი. ცოტა რთული ხასიათი მაქვს. ყველა მეუბნება ამას, მაგრამ რას ვიზამ, ასეთი ვარ.

**– ამერიკაში ერთ თვეში მიემგზავრები. იქ რა გეგმები გაქვს ტურნეს დაწყებამდე?**

– ჯერ ზუსტად არ ვიცი, თუმცა კონცერტები მექნება. იანვარში გამოვიდა ჩემი ახალი სიმღერა, რომელიც შესულია ალბომში, სადაც ჩემს გარდა კიდევ 10 სხვადასხვა ჟანრის მუსიკოსია გაერთიანებული. ლეიბლის 17 მუსიკოსი ვართ ერთად, საიდანაც 10 მომღერლის სიმღერა ამ ალბომში შევიდა. ძალიან საინტერესო სინთეზი გამოვიდა ჩემს პროდიუსერთან ერთად.

**– ბოლოს როდის გქონდა ამერიკაში კონცერტი?**

– სექტემბერში მქონდა და კარგად ჩაიარა. ბევრი ადამიანი მოვიდა მოსასმენად. სხვათა შორის, ქართველების მხარდაჭერას ვგრძნობ, რაც ჩემთვის ძალიან კარგი და მნიშვნელოვანია.

**– საქართველოში ყოფნის დროს საქმითაც ხარ დაკავებული თუ მხოლოდ ისვენებ?**

– საქართველოში მე და ჩემმა მეგობრებმა წამოვიწყეთ ერთი კარგი პროექტი „ყველა." გვინდა, ჩვენი რესურსი გავუზიაროთ სხვებს. ამ შემთხვევაში, მინდა, მათ ჩემი მუსიკა გავუზიარო, რადგან არ აქვთ საშუალება, მოვიდნენ ბარში ან სხვა ადგილას. პირველ სამიზნე ჯგუფად ავიღეთ გლდანის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი. გავაკეთეთ პრეკონცერტი, შემოსული თანხით კი, მათ ვუყიდეთ ის მასალა, რომელიც სჭირდებათ. 26 დეკემბერს კი, იქვე გავაკეთეთ საერთო კონცერტი, სადაც ჩართული იყვნენ ბენეფიციალებიც. ძალიან ემოციური და მაგარი კონცერტი იყო, მგონი, ყველაზე მაგარი, რაც ოდესმე გამიკეთებია. ამ ეტაპზე გვინდა, მათივე ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვა. მარტამდე თუ არ მოხერხდება, ზაფხულში აუცილებლად გავაკეთებთ.

**მარიკა ხიდურელი**

კუჭ-ნაწლავის დისკომფორტი (შეკრულობა, ფაღარათი, შებერილობა) დისბაქტერიოზი

მიიღეთ

ლაქტო-ჯი

www.laqto.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

# როგორ დააღწია თავი „კაგებეს“ კლანჭებს ექვსჯერ ნასამართლევმა ქართველმა კრიმინალმა, მეტსახელად „პროფესორმა“

*საბჭოთა კრიმინალისტიკის ისტორიაში იშვიათად თუ მოიძებნება იმაზე დიდი ნიჭისა და გაქანების ბოროტმოქმედი, როგორც ბიჭიკო ბუცხრიკიძე იყო, რომელიც შავ სამყაროში „პროფესორის“ სახელითაა ცნობილი. ბუცხრიკიძე ექვსჯერ იყო ნასამართლევი, სამჯერ გაქცევა მოახერხა, ერთხელ კი დახვრეტა ჰქონდა მისჯილი. სწორედ ამ პიროვნების რამდენიმე კრიმინალურ ეპიზოდზეა აგებული დღევანდელი პუბლიკაცია.*

*მასალა ექსლუზიურია, პრესაში პირველად ქვეყნდება და რედაქციასთან შეუთანხმებლად მისი გამოყენება დაუშვებელია.*

## გენიალური იმიტატორი

პირველი ცნობები ბიჭიკო ბუცხრიკიძეზე მილიციაში 1971 წლის მაისში გამოჩნდა. მილიციის დამსმენი, ვინმე აშოტ ოგანეზოვი, თავის კურატორს, სტალბერ კოტუას ატყობინებდა, რომ სოლოლაკის ერთ-ერთ, ეგრეთ წოდებულ, იტალიური ეზოს სარდაფში, არალეგალურად იყო გახსნილი ხმის ჩამწერი სტუდია. ოგანეზოვის ინფორმაციით, არალეგალური სტუდია იმავე ეზოს მცხოვრებს, ბიჭიკო ფარნაოზის ძე ბუცხრიკიძეს ეკუთვნოდა, რომელიც, გარკვეული ანაზღაურების საფასურად, კლიენტებს აკრძალული საბჭოთა შემსრულებლების სიმღერებს უწერდა. ძირითადად, იყო ეგრეთ წოდებული „ბლატნოი“ (ქურდული) და ანტისაბჭოთა სიმღერები. 18 წლის ბუცხრიკიძე ამ ნაწარმოებებს ბაბინებზე წერდა, რადგან კასეტები მაშინ დეფიციტი იყო და თითოეულს ხუთ მანეთად ყიდდა. სტალბერ კოტუა, რომელსაც ოგანეზოვმა ეს ინფორმაცია მიაწოდა, იმ უბნის რწმუნებული იყო, ამიტომ, პირადად ეწვია ბიჭიკო ბუცხრიკიძეს, მისი აპარატურა აღწერა და ჩამოართვა, კუთვნილი სარდაფი დაულუქა, საქმე კი ეგრეთ წოდებულ „ფინგანში“ (ფინანსური განყოფილება, დღევანდელი საგადასახადოს მსგავსი) გადაგზავნა. იმ პერიოდში ასეთი არალეგალური სტუდიები თუ საამქროები ძალიან მრავლად იყო თბილისში და მათ არავინ ხურავდა. ბუცხრიკიძის სტუდია კი იმიტომ დალუქეს, რომ 18 წლის ბიჭიკომ კოტუასთვის წილის მიცემაზე უარი განაცხადა. მისმა სტუდიამ ოთხი თვე იარსება და ამ ხნის განმავლობაში ბუცხრიკიძემ შვიდი ათასი მანეთი გამოიმუშავა, რაც იმ პერიოდისთვის საკმაოდ სოლიდური ფული იყო. ის ისედაც აპირებდა სტუდიის დახურვას და სხვა საქმის დაწყებას. „ფინგანმა“ ბიჭიკო ბუცხრიკიძე სულ რაღაც 30 მანეთით დააჯარიმა, ხმის ჩამწერი აპარატურა კი უკლებლივ დაუბრუნეს, სარდაფზე ლუქი აუხსნეს და სარგებლობის უფლებაც დაუბრუნეს, თუმცა, მხოლოდ დანიშნულებისამებრ...



ყველაზე საინტერესო კი ამ ისტორიაში ის იყო, რომ ყველა ცნობილი საბჭოთა არალეგალი მომღერლის ნაწარმოებებს თავად ბიჭიკო ბუცხრიკიძე ასრულებდა, მყიდველები კი დარწმუნებულები იყვნენ, რომ უსმენდნენ ვისოცკის, ოკუჯავას, სევერნის, ნოვიკოვს და სხვა პოპულარულ არალეგალებს...

## დახვრეტის განაჩენი

ბიჭიკო ბუცხრიკიძე 1953 წლის 20 მარტს იყო დაბადებული და 27 წლის ასაკში, უკვე სამჯერ იყო ნასამართლევი, ერთხელ კი – ციხიდან გაქცეული...

პირველად ბიჭიკო 1975 წელს დააპატიმრეს ყალბი პასპორტის დამზადებისთვის და ოთხწლიანი პატიმრობა მიუსაჯეს, მაგრამ, წელიწად-ნახევარში გათავისუფლდა და მილიციის ზედამხედველობის ქვეშ იმყოფებოდა, 1976 წლის მაისში კი კვლავ დააპატიმრეს, ამჯერად, იმის გამო, რომ ვინმე ოთარ მურუსიძეს ხელოვნებათმცოდნეობაში საკანდიდატო დისერტაცია დაუწერა. მურუსიძემ დისერტაცია დაიცვა და ხარისხიც მიიღო, მაგრამ, მას უჩივლეს და ცრუ კანდიდატმა ყველაფერი აღიარა, რის შედეგადაც ბიჭიკო დააკავეს, მისი ბინა კი გაჩხრიკეს, დისერტაციის ხელნაწერები აღმოუჩინეს და თაღლითობისთვის ორწელიწად-ნახევრით ჩასვეს ციხეში. თუმცა, ბიჭიკო კვლავ დროზე ადრე გათავისუფლდა ციხიდან და ერთი წლის მერე უკვე სახლში იყო.

## ბიჭიკომ საკუთარი ნამუშევარი ფიროსმანის ნახატად გაასაღა და ფრანგ დიპლომატს 15 ათას მანეთად მიჰყიდა

მესამედ ბიჭიკო ბუცხრიკიძე 1978 წელს დააპატიმრეს, რადგან, მან დახატა სურათი, რომელზეც ძველი თბილისის ერთ-ერთი ხედი იყო გამოსახული, ტილო ფიროსმანის ნამუშევრად გაასაღა და მოსკოვში 15 ათას მანეთად მიჰყიდა ერთ ფრანგ დიპლომატს, რომელსაც უშიშროება უთვალთვალებდა. ბიჭიკო დააპატიმრეს და 8 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს, თუმცა, ამჯერადაც ვადაზე ადრე, ორი წლის შემდეგ გაათავისუფლეს ციხიდან. საქმე ის იყო, რომ საპყრობილის ხელმძღვანელობას საბჭოთა კავშირის გენერალური პროკურატურიდან ბლანკზე დაბეჭდილი შეწყალების საბუთი მოუვიდა, რომელსაც თავად რუდენკო აწერდა ხელს. სინამდვილეში ეს ყველაფერი თავად ბიჭიკოს მიერ იყო ფალსიფიცირებული, ფოსტა კი ციხეში ბიჭიკოს თანამზრახველმა მიიტანა... ბუცხრიკიძე სამი წლის განმავლობაში იმალებოდა, მაგრამ, 1981 წლის 13 მაისს, ანუ, იმ ღირსშესანიშნავ დღეს, როდესაც თბილისის „დინამოს” ფეხბურთელები თასების მფლობელთა თასს დაეუფლნენ, შინაგან საქმეთა სამინისტროს ოპერატიულმა ჯგუფმა ის გაგრაში, ერთ-ერთ კერძო სახლში დააპატიმრა. ბინის საიდუმლო სარდაფიდან კი მილიციელებმა კუსტარულად დამზადებული ფულის საბეჭდი პოლიგრაფიული მოწყობილობა და ათი ათასი ცალი ათმანეთიანი ამოიღო.

პოლიგრაფიული მოწყობილობა ბიჭიკო ბუცხრიკიძის მიერ იყო დამზადებული, ისევე, როგორც მასზე დაბეჭდილი ათმანეთიანები. მილიციამ ეს საქმე „კაგებეს“ გადასცა, იქ ყველაფერი გულდასმით გამოიძიეს, უტყუარი სამხილები მოიპოვეს და სასამართლოში გადასცეს. საბჭოთა კავშირის უმაღლესმა სასამართლომ ბიჭიკო ბუცხრიკიძეს დახვრეტა მიუსაჯა და 28 წლის, სამგზის ნასამართლევი, უნიჭიერესი ქართველი კაცი მოსკოვში, ბუტირკის ციხის სარდაფში, დასახვრეტ პატიმართა ერთადგილიან საკანში გამოამწყდიეს.

## კოოპერატივი „საბადო“

ბიჭიკო ბუცხრიკიძე წელიწად-ნახევრის განმავლობაში ელოდებოდა დახვრეტას. მას ლეონიდ ბრეჟნევის სახელზე ჰქონდა შეწყალების თხოვნა დაწერილი, მაგრამ, არც მისი პასუხი ჩანდა. 1982 წლის 10 ნოემბერს ლეონიდ ბრეჟნევი გარდაიცვალა, 12 ნოემბერს კი ციხეში ბრეჟნევის მიერ 8 ნოემბერს ხელმოწერილი საბუთი მოვიდა, რომლის მიხედვითაც, ბიჭიკო შეწყალებულ იქნა და დახვრეტა 15-წლიანი პატიმრობით შეუცვალეს. ბუცხრიკიძემ მხოლოდ რამდენიმე წელი გაატარა ციხეში და, როგორც კი „პერესტროიკა” დაიწყო, ის გაათავისუფლეს. ოთხჯერ ნასამართლევი ბიჭიკო ბუცხრიკიძე 1985 წელს გამოუშვეს გარეთ, ერთი თვის შემდეგ კი მან მოსკოვში კოოპერატივი „საბადო“ შექმნა, რომელიც ოქროს შესყიდვით იყო დაკავებული. ბუცხრიკიძე და მისი პარტნიორები, სხვადასხვა მაქინაციის მეშვეობით, სახელმწიფო ბიუჯეტიდან კოლოსალურ თანხებს იღებდნენ, შეისყიდდნენ დიდი რაოდენობით ოქროს და მას უცხოეთის ბანკებში აგზავნიდნენ. 1986 წლის მიწურულს ბიჭიკო ბუცხრიკიძე მეხუთედ დააპატიმრეს და ბიუჯეტიდან ფულის უკანონო მითვისებაში დასდეს ბრალი, გაასამართლეს და პირობითი სასჯელი შეუფარდეს, ანუ ბუცხრიკიძე კვლავ გარეთ იყო და კვლავ კოოპერატივ „საბადოს“ ამუშავებდა. 1987 წლის ნოემბერში კი ის მეექვსედ დააპატიმრეს და საკმაოდ მძიმე ბრალდება – ჯაშუშობის მუხლი წაუყენეს. თუმცა, ბუცხრიკიძემ ციხიდან გაქცევა მოახერხა. 20 ათასი დოლარის საფასურად, მან ბუტირკის ციხის კონტროლიორს გარეთ გამოაყვანინა თავი და მიიმალა...

## მესამე გაქცევა

მიუხედავად იმისა, რომ კოოპერატივი „საბადო“ დაშლილი იყო, ბუცხრიკიძე და მისი პარტნიორები არალეგალურად განაგრძობდნენ მოღვაწეობას და დიდი რაოდენობით შეგროვილი ოქრო უცხოეთში გაჰქონდათ. მართალია, 1988 წელი იწურებოდა და საბჭოეთის დაშლამდე სამი წელი იყო დარჩენილი, მაგრამ, საბჭოთა ძალოვანი სტრუქტურები ჯერ კიდევ გამართულად მუშაობდნენ და ძებნილი ბუცხრიკიძე 31 დეკემბერს, ლენინგრადის მახლობლად, ქალაქ გატჩინოში, ერთ-ერთ აგარაკზე აიყვანეს, სადაც ის იმალებოდა და თან იქიდან ხელმძღვანელობდა უკვე არალეგალურად მიმდინარე ოქროს შეგროვებისა და უცხოეთში გადაგზავნას. 2 იანვარს ბიჭიკო ბუცხრიკიძე მოსკოვში გადააფრინეს, ლუბიანკაზე, „კაგებეს“ შტაბ-ბინაში მიიყვანეს, დაკითხეს და იქვე, ჯურღმულში გამოამწყვდიეს. „კაგებეში“ ბიჭიკოს ოქროს დაბრუნებასა და თავისი პარტნიორების დასახელებას სთხოვდნენ, წინააღმდეგ შემთხვევაში კი სიკვდილით დასჯით ემუქრებოდნენ. ბუცხრიკიძემ მოფიქრებისთვის სამდღიანი ვადა ითხოვა, 5 იანვარს დილას კი ის ლუბიანკის ჯურღმულიდან ლეიტენანტმა იური გორბუნოვმა გამოიყვანა და, მას მერე, ქართველი კრიმინალი, მეტსახელად „პროფესორი“, აღარავის უნახავს. ბიჭიკო ბუცხრიკიძემ მესამედ და უკვე სამუდამოდ მოახერხა პატიმრობიდან თავის დაღწევა. როგორც მოგვიანებით გავრცელდა ხმა, მან უცხოეთში გააღწია, გარეგნობა შეიცვალა და დღემდე დიდ კაპიტალს განაგებს.

**ნიკა ლაშაური**

# რა გახდა არასრულწლოვანი გერისა და მისი მამინაცვლის დაპირისპირების მიზეზი და როგორ გაუსწორდა მას გოგონა

51 წლის ტარიელ მ-ძე საკუთარ სახლთან მძიმე მდგომარეობაში მყოფი მეზობელმა აღმოაჩინა. მამაკაცს სახესა და ტანზე ბასრი იარაღით მიყენებული მრავლობითი დაზიანება აღენიშნებოდა. მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა უკიდურესად მძიმე იყო – შოკურ მდგომარეობაში მყოფი ტარიელ მ-ძე ამ ამბავს შესწრებულმა მამაკაცმა სხვა მეზობლების დახმარებით, საავადმყოფოში გადაიყვანა, სადაც მას ქირურგიული ჩარევა დასჭირდა.

მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით, აღიძრა სისხლის სამართლის საქმე. სამართალდამცველებმა, უპირველესად, ის მეზობელი დაჰკითხეს, რომელმაც შოკურ მდგომარეობაში მყოფი ტარიელ მ-ძე საავადმყოფოში მოათავსა. 54 წლის ვარლამ ყ-შვილმა მიცემულ ჩვენებაში აღნიშნა: „საღამოს ათი საათი იქნებოდა, სამსახურიდან სახლში ვბრუნდებოდი. კერძო დასახლებაში ვცხოვრობ, სახლამდე მოკლე გზა მიტოვებული საბავშვო სახლის ნანგრევებზე გადის. იქვე, ახლოს სახლებია, შესაბამისად, ეზო იმ სახლების შუქით ნათდება და იქ გავლა საშიში არ არის. ეზოს კიდეში „ბესედკაა". „ბესედკას" რომ მივუახლოვდი, ძირს მამაკაცი შევნიშნე. ვიფიქრე, ვინმე ალბათ, ცუდად გახდა-მეთქი და საშველად ახლოს მივედი. მაშინვე ვიცანი მეზობლად მცხოვრები ტარიელი. შევანჯღრიე და დავინახე, რომ სახე სისხლით ჰქონდა მოსვრილი. დაჭრილი მივატოვე და მისი სახლისკენ გავიქეცი, ვიფიქრე, ოჯახის წევრებისთვის გამეგებინებინა ეს ამბავი. სახლში რომ მივედი, ტარიელის ცოლი, მარინა ისეთი მთვრალი დამხვდა, ვერაფერი გავაგებინე. მაშინვე მეზობლებს დავუძახე, მათი დახმარებით სასწრაფო გამოვიძახეთ, რომელთაც დაჭრილი მამაკაცი საავადმყოფოში მოათავსეს."

**არ მავიწყდებოდა, როგორ მაწამებდა ჩემი მამინაცვალი, როცა პატარა ვიყავი**

შემთხვევის ადგილის დათვალიერებისას, სამართალდამცველებმა ამოიღეს დანაშაულის იარაღი – მინის ნაჭერი, რომელზეც დაჭრილის სისხლის კვალი იყო. წინასწარი მოკვლევით, მამაკაცს სახეზე აღენიშნებოდა ფიზიკური ძალადობის კვალიც და სავარაუდოდ, მასზე თავდასხმა ფიზიკური ანგარიშსწორებით მოხდა.

როგორც ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებით გახდა ცნობილი, 51 წლის ტარიელ მ-ძე ბაზრობაზე მტვირთავად მუშაობდა. ის ბინაში, რომლის საიხლოვესაც დაჭრილი აღმოაჩინეს დაახლოებით ათი წლის წინ გადავიდა საცხოვრებლად, მას შემდეგ, რაც მარინა ჭ-შვილი შეირთო ცოლად. მათთან ერთად ცხოვრობდა მარინას შვილი პირველი ქორწინებიდან – 15 წლის მარი მ-ძე. მეზობლების განცხადებით, ამ ოჯახიდან ძალიან ხშირად ისმოდა ჩხუბის და დაპირისპირების ხმა. სკანდალი ხან ცოლ-ქმარს შორის ხდებოდა, ხან დედა-შვილს, ხან კი გერსა და მამინაცვალს შორის. ოჯახის ყველა წევრი ალკოჰოლს ეტანებოდა. შესაბამისად, ოჯახური კონფლიქტებიც რეგულარული იყო. მარი მ-ძე დედას და მამინაცვალს ხშირად ახსენებდა, რომ პატარა ასაკში ბავშვთა სახლში დატოვეს და ყურადღებას არ აქცევდნენ.

გამოძიების მასალებით, იმ დღეს, როცა ტარიელ მ-ძე სახლთან დაჭრილი იპოვეს, ოჯახური კონფლიქტი დედას და შვილს შორის დაიწყო, რაშიც მოგვიანებით, მამინაცვალიც ჩაერთო. ამის შესახებ სამართალდამცველებს ჩვენება მარინა ჭ-შვილმა მისცა. მისი განცხადებით, მარი მამინაცვალს მოკვლით ადრეც ბევრჯერ დაემუქრა. ამონაწერი მარინა ჭ-შვილის ჩვენებიდან: „მარის ჩემს მეუღლესთან ცუდი ურთიერთობა ჰქონდა. რამდენჯერმე ისე იჩხუბეს, რომ ერთმანეთს ფიზიკურადაც გაუსწორდნენ. იმ დღეს, როცა ტარიელი დაჭრილი იპოვეს, მე და ჩემმა შვილმა ვიჩხუბეთ. ტარიელი ამას მოგვიანებით შეესწრო. მე ნასვამი ვიყავი და დამეძინა, შემდეგ რა მოხდა არ ვიცი, მეზობლებმა მაშინ გამაღვიძეს, როდესაც ტარიელი უკვე საავადმყოფოში იყო".

სამართალდამცველები დილამდე ეძებდნენ ოჯახიდან გაუჩინარებულ ახალგაზრდა გოგონას, რომელსაც სავარაუდოდ, მომხდარის შესახებ უფრო მეტი ინფორმაცია უნდა ჰქონოდა, ვიდრე დედამისს. მარი მ-ძემ სამართალდამცველებს მომხდარის შესახებ პირველი ინფორმაცია მოგვიანებით მიაწოდა. მან აღიარა, რომ მამინაცვალს სასტიკად მას შემდეგ გაუსწორდა, რაც მან ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა. მომხდარის დეტალების შესახებ გამოძიებას ჩვენება მისცა თავად დაზარალებულმაც, რომელმაც დანაშაულში ბრალი საკუთარ გერს დასდო. ამონაწერი მარი მ-ძის აღიარებითი ჩვენებიდან: „ბოლო პერიოდში ტარიელთან ძალიან დაძაბული ურთიერთობა მქონდა. რამდენჯერმე წავასწარი, როგორ სცემდა დედაჩემს, რაზედაც ძალიან გავბრაზდი. ჩემს ცხოვრებაშიც უხეშად ერეოდა. როცა პატარა ვიყავი, მაწამებდა, მერე და მერე უფრო ვუძალიანდებოდი. რამდენიმე დღის წინ ჩემს მეგობარ ბიჭთან ერთად ქუჩაში შეურაცხყოფა მომაყენა. იმ დღეს, ეს ამბავი რომ მოხდა, საღამოს სახლში დაქალის დაბადების დღიდან მივედი. ცოტა ნასვამი ვიყავი. დედაჩემი და მისი მეუღლეც ნასვამები დამხვდნენ. ტარიელი ამიხირდა და ჩხუბი დამიწყო. ბევრი მოვუთმინე. მერე დედა დასაძინებლად დაწვა, მეც დაწოლას ვაპირებდი, მაგრამ ტარიელი ოთახში შემომივარდა და ლანძღვა დამიწყო. უკვე გახდილი ვიყავი, მაგრამ ჩავიცვი და ეზოში გავედი. ტარიელი ეზოშიც გამომყვა, ჩხუბი დამიწყო. ძალიან ცუდ სიტყვებს მეუბნებოდა. საკუთარ თავზე კონტროლი დავკარგე. ჩხუბით გავედით ჩვენს სახლთან ახლოს მდებარე საბავშვო ბაღის ეზოში. ტარიელი თმაში მწვდა და ძირს დამაგდო. ძალიან გავმწარდი, სახეში ფეხი ჩავარტყი. ძალიან მთვრალი იყო და ძირს დავარდა. კიდევ რამდენჯერმე დავარტყი სახეში. უცებ გონება გადამეკეტა, ვერც კი ვხვდებოდი, რას ვაკეთებდი – იქვე მინის ნატეხი დავინახე, ავიღე და ტარიელს სახე და მთელი ტანი დავუსერე. ისეთი მთვრალი იყო, წინააღმდეგობას ვერ მიწევდა. აფექტურ მდგომარეობაში ვიყავი – უფრო და უფრო აღგზნებული ვუსვამდი ჩემს მამინაცვალს სახეზე მინის ნატეხს. სისხლის დანახვაზე გამოვფხიზლდი, იქაურობა მივატოვე და ჩემს მეგობართან წავედი.

აღიარებითი ჩვენების შემდეგ, სამართალდამცველებმა მარი მ-ძე დააკავეს. სასამართლომ გაითვალისწინა ის შემამსუბუქებელი გარემოებები, რაც არასრულწლოვანი გოგონას მიერ ჩადენილ დანაშაულს ახლდა, ასევე, მისი ასაკი, ოჯახური მდგომარეობა და მარი მ-ძეს მამინაცვლისთვის, ტარიელ მ-ძისთვის სხეულის დაზიანების მიყენებისთვის, 6 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა.

**ეკა ბარაბაძე**

## რა მოხდა ამ დღეს

### 24 თებერვალი

1525 – ჰავაის ბრძოლაში საფრანგეთის მეფე ფრანსუა პირველი ტყვედ ჩაუვარდა ესპანეთის მეფე კარლოს პირველს.

1887 – პარიზი და ბრიუსელი გახდნენ პირველი ქალაქები, რომელთა შორისაც დამყარდა სატელეფონო კავშირი.

1938 – მაღაზიებში გასაყიდად გამოვიდა ნეილონისგან დამზადებული პირველი კბილის ჯაგრისი.

1964 – კასიუს კლეი გახდა მსოფლიოს ჩემპიონი კრივში.

### 25 თებერვალი

1836 – სემუელ კოლტმა დააპატენტა თავისი სახელობის რევოლვერი.

1932 – ადოლფ ჰიტლერმა მიიღო გერმანიის მოქალაქეობა.

### 26 თებერვალი

1815 – კუნძულ ელბაზე გადასახლებული ნაპოლეონი კუნძულიდან გაიქცა.

1848 – კარლ მარქსმა ლონდონში გამოაქვეყნა „კომუნისტური პარტიის მანიფესტი".

1935 – რობერტ უოტსონ უაიტმა გამოიგონა რადარი.

1991 – ერაყის საოკუპაციო ჯარებმა დატოვეს კუვეიტი.

### 27 თებერვალი

1814 – ვენაში გაიმართა ლუდვიგ ვან ბეთჰოვენის „მერვე სიმფონიის" პრემიერა.

1879 – აღმოაჩინეს სახარინი – შაქრის შემცვლელი ნივთიერება.

1932 – ინგლისელმა ფიზიკოსმა ჯეიმს ჩედვიკმა აღმოაჩინა ნეიტრონი.

1997 – ირლანდია გახდა ევროპის უკანასკნელი სახელმწიფო, სადაც ოფიციალურად დაუშვეს ცოლ-ქმრის გაყრა.

### 28 თებერვალი

1919 – ავღანეთი გახდა დამოუკიდებელი სახელმწიფო.

1932 – დაარსდა აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორია.

1932 – საფრანგეთში, შერბურის მახლობლად, ზღვამ დინოზავრის ჩონჩხი გამორიყა.

### 1 მარტი

86 ჩვენს წელთაღრიცხვამდე – რომაელმა მხედართმთავარმა სულამ აიღო ათენი და სათავე დაუდო შემდგომ ბრძოლებს მითრიდატე პონტოელის წინააღმდეგ, რაც საბერძნეთის რომის იმპერიის კონტროლის ქვეშ შესვლით დამთავრდა.

1790 – პირველად ჩატარდა მოსახლეობის აღწერა ამერიკის შეერთებულ შტატებში. მაშინ იქ ცხოვრობდა 3 929 214 ადამიანი.

1845 – დამოუკიდებელი სახელმწიფო ტეხასი გაუქმდა და ის შეუერთდა ამერიკის შეერთებულ შტატებს.

1912 – ამერიკელი ალბერტ ბერი პირველად გადმოხტა პარაშუტით მფრინავი თვითმფრინავიდან.

1947 – მუშაობა დაიწყო საერთაშორისო სავალუტო ფონდმა.

### 2 მარტი

1067 – დაარსდა ქალაქი მინსკი (ბელორუსია).

1878 – ბულგარეთი გათავისუფლდა თურქეთის უღლისგან, დასრულდა რუსეთ-თურქეთის ომი.

1923 – გამოვიდა ჟურნალ Time-ს პირველი ნომერი.

1983 – მაღაზიებში გასაყიდად გამოიტანეს პირველი კომპაქტდისკები.

1992 – ბოსნიაში დაიწყო სამოქალაქო ომი.

# ფლორის სამყაროში



რუბრიკას უძღვება ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი ამირან ბიწაძე

> ყვავილებს არ აქვთ სალაპარაკო ორგანოები, მაგრამ ისინი გულის ენას ქმნიან, რომლითაც გველაპარაკებიან და გრძნობენ.
>
> **გოეთე**

კითხვა: **ჩემმა საგოვანამ თითქოს მოიწყინა და ფოთლებიც დაბლა დაუშვა. რით გამოვაცოცხლო?**

**პასუხი:** იმისთვის, რომ მას ახალი ფოთლები ამოუვიდეს და მიძინებულს აღარ ჰგავდეს, საჭიროა, კაშკაშა სინათლეზე დადგათ. საერთოდ, ეს მცენარე ზამთრის ბაღში ყველაზე უკეთ ხარობს. კარგად იზრდება 7-18 გრადუსზე, მშრალ გარემოში კი რამდენიმე გრადუს ყინვასაც აიტანს.

კითხვა: **ციმბიდიუმი უეცრად დამილპა, რა მიზეზით შეიძლებოდა დამართოდა ეს?**

**პასუხი:** ეს ორქიდეა ერთ-ერთი ყველაზე იოლად გასაზრდელი ოთახის მცენარეა. ალბათ, წყალი გადაჭარბებით დაასხით ან ყვავილები დაგისველდათ და ამან გამოიწვია მცენარის ლპობა. მას ზედმეტი წყალი ვნებს, ზაფხულშიც კი, მხოლოდ მაშინ უნდა მორწყათ, როცა მიწის ზედაპირი გაშრება.

კითხვა: **ჩემს ნოლინას ქოთანში წყალი ჩაუგუბდა. შეიძლება, რომ ამან მცენარეს რამე ავნოს?**

**პასუხი:** რა თქმა უნდა, ადვილი შესაძლებელია, რომ წყლის ჩაგუბებით მცენარეს ფესვები დაულპეს. ამიტომ, გაითვალისწინეთ, რომ ნოლინა კარგი დრენაჟის მქონე მიწაში ჩარგათ და, რაც მთავარია, სინათლე არ მოაკლოთ.

კითხვა: **რით შევუწყო ხელი ცინერარიას, რომ კარგად იყვავილოს?**

**პასუხი:** უპირველესად, ნიადაგი მუდამ ტენიანი უნდა იყოს, რადგან, მიწის გამოშრობა საგრძნობლად ამცირებს ყვავილობის პერიოდს. ცინერარია ტენსა და სიგრილეში მეტხანს ყვავის. დამატებითი კვება არ სჭირდება, რადგან დაყვავილების შემდეგ ის უნდა გადააგდოთ. ამ მცენარეს ადვილად აზიანებენ ფოთლის პარაზიტები.

კითხვა: **როგორი სინათლე და ტემპერატურა მოსწონს პლატიცერიუმს?**

**პასუხი:** პლატიცერიუმს უყვარს კაშკაშა სინათლე, თუმცა, თუ მაღალ ტენიანობას ვერ უზრუნველყოფთ, მოარიდეთ მზეს. მისთვის საკმარისია ოთახის ტემპერატურა, 18-24 გრადუსი. ზამთრის მინიმალური ტემპერატურაა 13 გრადუსი. მასზე ნაკლები, მცენარეს დააზიანებს.

კითხვა: **რა სიხშირით უნდა მოვრწყათ სანსევიერა?**

**პასუხი:** აქტიური ზრდის პერიოდში სანსევიერას მიწა ტენიანი უნდა ჰქონდეს, ზამთარში კი – პირიქით, მიწას შეშრობა აცალეთ და იშვიათად მორწყეთ. მცენარის გულში წყალს ნუ ჩაასხამთ. სიცივისა და ბევრი წყლისგან სანსევიერას, შეიძლება, ძირში დაულპეს ფოთლები. მას არ მოსწონს ბევრი წყალი. ფოთლები სველი ნაჭრით გაუწმინდეთ ხოლმე. იზრდება ნელა და გადარგეთ 2-3 წელიწადში ერთხელ, გაზაფხულზე.

კითხვა: **როგორი ადგილი მოსწონს „ვენერას ქოშს"?**

**პასუხი:** ეს მცენარე მზეს მოარიდეთ და ოდნავ ჩრდილიან ადგილას დადგით. მისთვის კარგია ნაკლებად განათებული ოთახი. რაც შეეხება მის ტემპერატურას, ზამთარში იტანს 13 გრადუსს. დაყვავილების შემდეგ ტემპერატურის 3-4 გრადუსით შემცირება ხელს უწყობს ახალი ყვავილების ამოსვლას.

**მოამზადა**
**თეონა გოზალიშვილმა**

# ინტიმური საუბრები

## არ ვიცი, როგორ მოვიქცე

მე და ჩემს და-ძმას მშობლები ადრე გარდაგვეცვალა ავარიაში. მაშინ მე 14 წლის ვიყავი, ჩემი ძმა – 8 წლის, და კი – 6-ის. ჩვენთან გადმოვიდა საცხოვრებლად გაუთხოვარი მამიდა (მაშინ 56 წლის იყო) და ობოლი ძმისშვილების მოვლა და აღზრდა ითავა. მართალია, თან გვყვებოდა, მაგრამ, მარტო ვერაფერს გახდებოდა, რომ არა ჩემი თავდაუზოგავი ზრუნვა და-ძმაზე. არავის არაფერს არ ვაყვედრი, თუმცა, იმის გამო, რომ მთელ დღეებს მათ მოვლას ვანდომებდი, საკუთარი თავისთვის დრო აღარ მრჩებოდა და სკოლის დამთავრება ძლივს შევძელი, არადა, მშობლების გარდაცვალებამდე ფრიადოსანი ვიყავი და კლასში საუკეთესო მოსწავლედ ვითვლებოდი. უმაღლესში ჩაბარებაზე არც მიფიქრია. ბავშვობიდან მეხერხებოდა კერვა, თან, კარგად ვხატავდი და კერძო შეკვეთების აღება დავიწყე, რომ ბავშვებისთვის არაფერი მომეკლო. მალე ისე გავითქვი სახელი, რომ შეკვეთებს ვერ ავუდიოდი, ამის წყალობით კი ჩემს და-ძმას არაფერი აკლდა. სკოლა რომ დაამთავრეს, ორივეს ავუყვანე რეპეტიტორები და ორივემ ჩააბარა უმაღლეს სასწავლებელში. სახლის საქმეებს მამიდა აკეთებდა, რომ მე მეტი დრო მქონოდა შეკვეთების შესასრულებლად.

ისე ვიყავი და-ძმაზე გადაყოლილი, ისე გავხდი 32 წლის, არც კი გამხსენებია, რომ ქალი ვარ; ერთხელაც კი არ ვყოფილვარ პაემანზე. ისიც კი ვერ წარმომედგინა, რომ, შეიძლებოდა, მეც მოვწონებოდი მამაკაცს. ერთხელ კი გავიცანი კაცი, რომელიც მალე სიყვარულში გამომიტყდა და ხელი მთხოვა. მეც არ ვიყავი მის მიმართ გულგრილი და თანხმობა ვუთხარი. რამდენიმე შეხვედრის შემდეგ კი სახლში დავპატიჟე, რომ ჩემიანები გამეცნო. მამიდა უკვე მოხუცი იყო, 74 წლის, მაგრამ, საკმაოდ მხნედ გრძნობდა თავს. ჩემს დას და ძმასაც უკვე დამთავრებული ჰქონდათ უმაღლესი და ორივე მუშაობდა. მეგონა, ყველას გაუხარდებოდა, რომ მეც მეღირსა ბედნიერება, მაგრამ, ასე არ მოხდა. სამივემ, თითქოს პირი შეკრესო, ჩემი საქმროს თანდასწრებით გამომიცხადა, რომ უფლება არ მქონდა, ეგოიზმი გამომეჩინა და გავთხოვილიყავი, უმცროსი და-ძმა და მოხუცი მამიდა კი ბედის ანაბარა მიმეტოვებინა. ჩემმა საქმრომ აუხსნა, რომ ჩემი გათხოვება სულაც არ ნიშნავდა მათ მიტოვებას, რომ ჩვენ ყოველთვის მივხედავდით და დავეხმარებოდით, მაგრამ, არც ერთს (განსაკუთრებით – და-ძმას) არაფრის გაგონება არ სურდა. თვრამეტი წელი ისე ვუარე ორივეს, ერთხელ არ წამომიყვედრებია, მაგრამ, იმ საღამოს თავი ველარ შევიკავე და ვუთხარი: მოგიარეთ, გაგზარდეთ, განათლება მოგეცით, გზაზე დაგაყენეთ, სამსახურიც კი გიშოვეთ. მთელი ახალგაზრდობა ისე გავატარე, პირად ცხოვრებაზე არ მიფიქრია, რომ თქვენ არაფერი მოგკლებოდათ. ახლა სრულწლოვანები ხართ, საკმაოდ სოლიდური ხელფასები გაქვთ, ჰოდა, ნება იბოძეთ და თვითონ მიხედეთ თქვენ თავსაც და ერთმანეთსაც. რაც შემეძლება, დაგეხმარებით, მაგრამ, მეც მაქვს უფლება, პირად ცხოვრებაზე ვიზრუნო-მეთქი. ამ სიტყვებზე ჩემი და მომიბრუნდა და მითხრა: „იმ შემთხვევაში მოგცემთ გათხოვების უფლებას, თუ ბინიდან წილს არ მოითხოვ და მამიდას შენთან წაიყვან. აბა, მე რა მოვალე ვარ, ამას ვუარო. მალე, ალბათ, ლოგინადაც ჩავარდება და მე ვატარო ამისი ღამის ქონთნები?!" ეს სიტყვები რომ გაიგონა, საწყალ მამიდას გული წაუვიდა და სასწრაფოს გამოძახება დამჭირდა. ექიმმა კი საავადმყოფოში წაიყვანა – ინაფრქტი აქვსო. რა თქმა უნდა, მე და ჩემი საქმროც წავყევით, ჩემი და-ძმა კი სახლში დარჩა – ხვალ დილით ადრე უნდა ვიყოთ სამსახურშიო. ასე „მხიარულად" დასრულდა ჩემი ოჯახისა და ჩემი საქმროს გაცნობა. მე მაინც გავყევი ცოლად კაცს, რომელიც მიყვარდა და რომელსაც ვუყვარდი. მამიდა საავადმყოფოდან ჩემთან წავიყვანე, მშობლების ბინიდან კი მხოლოდ ჩემი და მამიდას პირადი ნივთები წამოვიღე. ძალიან გამიჭირდა ამის გაკეთება, მაგრამ, ჩემი გაზრდილი და-ძმისთვის აღარც კი დამირეკავს. აღარც მამიდას უხსენებია მათი სახელი. მხოლოდ ის გავიგე, რომ ის ბინა გაუყიდიათ და ცალ-ცალკე უყიდიათ ბინები, მაგრამ, თანხის გაყოფისას საშინელი ჩხუბი მოსვლიათ და დღემდე არ ელაპარაკებიან ერთმანეთს.

მამიდა რომ გარდაიცვალა, მაინც დავურეკე ორივეს და ჩემი მისამართიც ვუთხარი, მაგრამ, არც ერთმა არ იკადრა მოსვლა. მხოლოდ ერთი წლის შემდეგ დამირეკა ჩემმა ძმამ – ბინა ბანკმა გამიყიდა და, ან ფული მასესხე, ან შენთან ვიცხოვრებ, სანამ რამეს ვიშოვიო. ეს იმას ნიშნავდა, რომ ფული (საკმაოდ დიდი თანხა) უნდა მეჩუქებინა და ცოტა ხანში მაინც ჩემთან უნდა გადმოსულიყო საცხოვრებლად. მე მაინც შემეცოდა და, ალბათ, თანხმობას ვეტყოდი, მაგრამ, ჩემმა ქმარმა არ მომცა უფლება, რადგან, გაიგო, რომ ბინა ბანკმა კი არ გაუყიდა, კაზინოში წააგო უზარმაზარი თანხა და, იძულებული გახდა, სასწრაფოდ გაეყიდა, მაგრამ, მაინც არ შეუწყვეტია ფულზე თამაში და ისევ დიდი ვალი ჰქონია.

აღარ ვიცი, როგორ მოვიქცე. როგორ ვკრა ხელი ჩემს გაზრდილ ძმას, როგორ მოვიგლიჯო გულიდან სამუდამოდ? არადა, სახლში რომ მოვიყვანო, ვიცი, რომ თამაშს არ მოეშვება და ოჯახს დამინგრევს. საშინელ მდგომარეობაში ვარ. დღე და ღამე ვფიქრობ და გამოსავალი ვერ მიპოვია.

**ანო, 36 წლის.**

**რედაქციაში შემოსული უამრავი წერილიდან ამოვარჩიეთ საუკეთესო ამბავი და ვთავაზობთ მკითხველს. „ინტიმური საუბრებისთვის" SMS-ები შეგიძლიათ გამოგზავნოთ ტელეფონის ნომერზე: 595 40-76-78. ელექტრონული ფოსტით: tbiliselebi2001@yahoo.com ან მოიტანოთ რედაქციაში წერილის სახით.**

# რჩევები ავტომოყვარულ მძღოლებს

**კითხვა: შევიძინე ზუსტად ჩემი მეგობრისნაირი მანქანა, რომელიც რეალურად, სულ სხვაგვარი გამოდგა. მეგობრის მანქანის საჭესთან რომ ვიჯექი, ვფიქრობდი, ეს ავტომობილი ჩემთვისაა შექმნილი-მეთქი და ჩემს ავტომობილს ვერაფრით მოვერგე. რისი ბრალია ეს? იქნებ ჩემი ავტომობილი ცუდადი ნახმარია და წინა პატრონი არ უვლიდა?**

**პასუხი:** როგორი ნახმარია ამას, არსებითად, მნიშვნელობა არ აქვს, თუ, რა თქმა უნდა, რაიმე დაზიანებული არ არის. ავტომობილის სიუხეშეს, სირბილეს და მანევრს, მისი სავალი ნაწილის კომპლექტაცია იწვევს, ხოლო სიმძლავრეს, მისი ძრავისა და ელექტრონული სისტემის კომპლექტაცია. როდესაც ავტომობილის ყიდვას გადაწყვეტთ, კარგი იქნება, თუ წინასწარ, თეორიულად გაეცნობით ინფორმაციას. მწარმოებელი ამ მოდელის რა ვარიანტებს გთავაზობთ. შესაძლოა, თქვენ, თქვენი მეგობრისგან სრულიად განსხვავებული კომპლექტაციის ავტომობილი შეიძინეთ და მიზეზიც ესაა. მაგალითისთვის, ავიღოთ ყველასთვის ნაცნობი „ე კლასის", იგივე მრგვალფარებიანი „მერსედესი". ვიზუალურად, მისი სხვადასხვა მოდელი ჩვეულებრივი მომხმარებლისთვის ძნელად გასარჩევია, იმდენად მიზერულია განსხვავება მათ შორის. არადა, ამ მოდელის თუნდაც ერთი ვარიანტი ბევრ ქვევარიანტს შეიცავს – მაგალითად, ამორტიზატორების სირბილის და სიუხეშის კოეფიციენტს. ვარიანტების ცვლასთან ერთად, იცვლება როგორც ძრავის სიმძლავრე, ასევე მანევრირებადობა და რა თქმა უნდა, კომფორტის დეტალები სალონში. ამ ტიპის ავტომობილი, როგორი გასაკვირიც არ უნდა იყოს, შეიძლება, ას კილომეტრზე ხუთ-ექვს ლიტრ საწვავს მოიხმარდეს (სწორედ ასეთ მოდელებს იყენებენ ტაქსებად გერმანიაში) და შეიძლება ყოველ ას კილომეტრზე ოცი ლიტრიც კი დასჭირდეს. (AMG-ის ტუნინგით შესრულებული მოდელები).

> *ნუ ივლი მანქანით შენს მფარველ ანგელოზზე უფრო სწრაფად.*
>
> **მიხაილ შუმახერი**

**კითხვა: მყავს „ოპელ კალიბრა", 1995 წლის. ამ ბოლო დროს რაღაც უჩვეულოდ „იქცევა" – დაბალ ბრუნებზე სიჩქარეების კოლოფიდან ხმაური ისმის, მაშინაც კი, როცა დგას და კოლოფს დატვირთვა არ აქვს. დაძვრისას, რაღაც ბრუნებამდე ხმაური გრძელდება, მაღალ ბრუნებზე ხმაური წყდება, მაგრამ რაღაც მომენტის შემდეგ, ისევ იწყებს ხმაურს. თან, ყველაფერთან ერთად, ხანდახან დაძვრის დროს, თითქოს მოდების ქუროში რაღაც გაეჩხირაო და თუ კარგად დაიძრა გაურკვეველი ინტენსივობით, უფლებას არ მაძლევს, სიჩქარეებში გადავრთო. რა შეიძლება იყოს ამის მიზეზი?**

**პასუხი:** ეს სიჩქარეების კოლოფზე მეტად მოდების ქუროს დაზიანებას ჰგავს. ეგრეთ წოდებულ „ცეპლენიის პლიტას" შეიძლება, მოტეხილი ჰქონდეს რამდენიმე ფრთიდან ერთ-ერთი, რომელიც, სავარაუდოდ, მოდების ქუროსთან ჩავარდა და სწორედ ეს ნაწილია დაბალ ბრუნებზე რომ ხმაურობს. მაღალ ბრუნებზე კი ერთ რომელიმე მხარეს ეკრობა და აღარ ხმაურობს. სწორედ ამით აიხსნება „ცეპლენიის" არასტაბილური მუშაობაც. მოტეხილი ნაწილი ხან ისეთ ადგილას აღმოჩნდება, რომ გადაბმულობის განცალკევებას აფერხებს. რაც შეიძლება, მალე უნდა მოხსნათ მოდების ქურო და აღმოფხვრათ ეს გაუმართაობა, რადგან ის დააზიანებს ეგრეთ წოდებულ „მახავიკს" და მოდების სხვა დეტალებს. ის კი არა, ამან შეიძლება, სიჩქარეების კოლოფის დაზიანებაც კი გამოიწვიოს, რადგან გაუთიშავი „ცეპლენიით" სიჩქარეში გადართვა, სიჩქარეების კოლოფის დეტალებს იოლად აზიანებს.



რუბრიკას უძღვება საქართველოს ეროვნული საავტომობილო ფედერაციის პრეზიდენტი **მევლუდ მელაძე**

**ჟურნალი „თბილისელები" გირჩევთ:**

* *დაფიქრდით, სანამ დაიწყებთ ავტომობილის მართვას;*
* *ისარგებლეთ უსაფრთხოების ღვედებით;*
* *ნუ დასვამთ მცირეწლოვან ბავშვს წინა სავარძელზე;*
* *მართვისას ნუ ისარგებლებთ მობილური ტელეფონით;*

*გისურვებთ უსაფრთხო მგზავრობას!*

**მოამზადა**
**სალომე გველესიანმა**

# ვეტერინარის რჩევები

**კითხვა: სამწუხაროდ, ჩემი ძაღლი რამდენჯერმე ძალიან უცნაურად მოიქცა და გამვლელს თავს დაესხა. იქნებ მითხრათ, რა შეიძლება, იყოს ასეთი აგრესიის მიზეზი?**

**პასუხი:** უნდა გავითვალისწინოთ ის ფაქტი, რომ ჯანმრთელი ძაღლი არასდროს დაესხმება თავს ადამიანს გაფრთხილების გარეშე. არსებობს იმის აშკარა ნიშნები, რაც თავდასხმის გარდაუვალობას მოასწავებს, მაგრამ ყველა აგრესიული ძაღლი არ გამოავლენს აღნიშნულ სიმპტომებს. შეიძლება, ვინმეს გაუკვირდეს, მაგრამ არსებული სიმპტომებიდან ძაღლი რამდენიმეს მაინც გამოავლენს და გაგვაფრთხილებს მოსალოდნელი თავდასხმის შესახებ. აგრესიულობის ჩამოყალიბების მიზეზი ლეკვობაში დაშვებული შეცდომებია. ლეკვი ვერ ხედავს განსხვავებას თამაშსა და თავდასხმას შორის. ბევრი ვერ ახერხებს ამ დროს ცხოველის გაკონტროლებას და ხასიათს უფუჭებს. თამაშის დროს, როცა ლეკვი იყეფება და ზურგზე ბეწვი არა აქვს აბურძგნილი, საშიში არაფერია. ამ დროს უნდა მოვიქცეთ ისე, რომ ლეკვმა ღრენა და ყეფა შეწყვიტოს და სხვა სახით ითამაშოს ჩვენთან. კბენის შემთხვევაში კი, ეს უნდა დავუშალოთ და დავტუქსოთ. თამაშის დროს ლეკვი სახესთან არ უნდა მიუშვათ, გასართობად მას სხვადასხვა სათამაშო ან სასუსნავები მიეცით.

**კითხვა: ჩემი ძაღლი უკვე 6 წლის არის და ორსულად ჯერ არ ყოფილა. შეიძლება, რომ საერთოდ არ ეყოლოს ლეკვები?**

**პასუხი:** ამ კითხვაზე ასე მარტივად პასუხს ვერ გაგცემთ, რადგან, ცხოველი ექიმს უნდა გაასინჯოთ და ის დაუსვამს დიაგნოზს, რის მიხედვითაც გაირკვევა, თუ რატომ არ ორსულდება თქვენი ძაღლი. ზოგადად კი გეტყვით, რომ იმისათვის, რომ ძაღლს ლეკვები ეყოლოს, პირველ ყოვლისა, მას უნდა ჰქონდეს ნორმალური სქესობრივი ციკლი, რის დროსაც უნდა მოახდინოთ მისი დართვა (შეჯვარება). დართვიდან 57-65 დღეში კი ლეკვები დაიბადებიან. რადგან თქვენი ძაღლი უკვე 6 წლისაა და აქამდე არ შეგიჯვარებიათ, შეიძლება, პრობლემები შეექმნას. ამიტომ, აუცილებელია, ვეტერინართან გაიაროთ კონსულტაცია და, თუ არ აპირებთ შეჯვარებას, ჯობია, სტერილიზაცია გაუკეთოთ, რათა თავიდან აიცილოთ პრობლემები.

**კითხვა: ჩემს ძაღლს ბოლო დროს თვალები სულ ჩაწითლებული აქვს. იქნებ მითხრათ, რისი ბრალი შეიძლება იყოს?**

**პასუხი:** თვალების სიწითლე ანთებითი პროცესის ნიშანია. ეს ანთებითი პროცესი შეიძლება იყოს: თვალის ლორწოვან გარსზე, კონიუნქტივაზე – კონიუნქტივიტი, რქოვანაზე – კერატიტი, ქუთუთოებზე – ბლეფარიტი, რასაც სხვადასხვა გამომწვევი მიზეზი აქვს, მაგალითად, ალერგიული რეაქციები, ადგილობრივი ან ზოგადი ინფექციური ბუნების დაავადებები, საცრემლე აპარატის პათოლოგიები. იმისათვის, რომ გაარკვიოთ აღნიშნული პრობლემის ზუსტი გამომწვევი მიზეზი, აუცილებლად მიიყვანეთ ძაღლი ვეტერინართან, რომელიც გაგიწევთ კვალიფიციურ დახმარებას, დაადგენს პათოლოგიის მიზეზს და დანიშნავს შესაბამის მკურნალობას.



რუბრიკას უძღვება ვეტერინარიის მეცნიერებათა დოქტორი **ზაქრო ბაჯიაშვილი**

> **ადამიანებს ისევე რომ უყვარდეთ, როგორც ძაღლებს, სამყარო სამოთხედ იქცეოდა.**
>
> **ჯეიმს დუგლასი**

**მოამზადა**
**მარიკა ხიდურელმა**



ზევსის მაწოვარა თხა

თავდამსხმელი

საკვები ბალახი

მეგრელი ასე მიმართავს მამას

ნაძირალა

პოკის „ბურთი"

მშობელი

ვიბრაცია

იზაბელას ღვინო

აღმოსავლური ლექსი

სიმებიანი საკრავი

„თეთრი ოქრო"

ჩრდ.კავკასიის მინერალ. წყალი

რემბრანდტის ნახატი

აღმოსავლეთის უძველესი ქვეყანა

სიტყვობება ანუ?

შექსპირის უიღბლო მეფე

აღმოსავლური დასახლება

უდანაშაულობის საბუთი

კარგი ამინდი

ცეკვის შეძახილი

ბრძოლის ინსტრუმენტი

ჭრილობა

რუსი თავადი

მოხევის ქალი

ქალის ევროპული სახელი (მაგ. .....კასტა)

იხილე ფოტო

„ოთხი" ნარდში

ძველებური თოფი

ლამის....

(........) ისაკაძე

სვლის გამოტოვება

მთის ბუჩქი

კრივის არენა

ვარსქენმა ჩაარტყა შუშანიკს

ქალაქი რუსეთის მდინარე ამურზე

სხეულის საფარი

გოგენის კუნძული

ზონარი

გაზი ზოგადად

ძველი მანქანის ნაწილი

ამერიკელი კინორეჟისორი სტენლი....

უნგრელი კომპოზიტორი

საჩხვლეტი

გაზაფხულის მაცნე

ჩვილის „სიტყვა"

ქ-ნი კირთაძე

სოფელი ბორჯომის რაიონში

ესპანელი გიტარისტი ანდრეას...

თანამედროვეობის ამსახველი სიტყვა

დიდი ნიჟი

სხეული

ღვთიური რიცხვი

პოლიგრაფიული საწარმო

ატლასი

ესკორტი

ბატონი იპოლიტე

მენდელეევის მეცნიერება

.....თორაძე

კონგოს მეორე სახელი

დედალი ცხვარი

(.....) გოგი

დღეს მოდაშია ეს „სტატუსი"

ფრანგი მწერალი

მეორე ნოტი

სახელური

მემკვიდრეობითობის ელემენტი

პანიბალის ქალაქი

იტალიელი მწერალი

(........) სკოლა

ონის რაიონის სოფელი

ძველი ლიტვა (....)-პოსპოლიტა

ბერძენი მილიარდერი

პარიზის სასახლე

უბედურების სიგნალი ზღვაზე

„ანდების აქლემი"

ივრითი

დანიელი ფიზიკოსი

სამკურნალო დაწესებულება

| Column | Clues (top to bottom) |
|---|---|
| 1 | 4 |
| 2 | 8 |
| 3 | 10 |
| 4 | 12 |
| 5 | 5 5 1 |
| 6 | 6 1 8 |
| 7 | 4 1 2 1 7 |
| 8 | 3 1 5 7 |
| 9 | 3 3 9 7 |
| 10 | 7 11 7 |
| 11 | 6 12 6 |
| 12 | 6 13 6 |
| 13 | 5 14 4 |
| 14 | 4 15 3 |
| 15 | 2 3 12 2 |
| 16 | 1 6 7 1 |
| 17 | 1 4 8 |
| 18 | 1 2 1 2 7 |
| 19 | 1 2 2 6 1 |
| 20 | 3 3 2 2 5 2 |
| 21 | 5 5 1 6 2 |
| 22 | 5 3 2 5 2 |
| 23 | 6 13 4 |
| 24 | 5 1 11 5 |
| 25 | 3 2 8 6 |
| 26 | 17 |
| 27 | 4 5 |
| 28 | 4 |
| 29 | 6 |
| 30 | 5 |
| 31 | 5 |
| 32 | 3 |
| 33 | 3 |
| 34 | 2 |
| 35 | 1 |

| Row | Clues (left to right) |
|---|---|
| 1 | 4 4 |
| 2 | 6 6 |
| 3 | 6 6 |
| 4 | 17 |
| 5 | 6 4 |
| 6 | 4 1 |
| 7 | 3 1 |
| 8 | 3 1 |
| 9 | 3 5 3 1 |
| 10 | 2 8 5 1 |
| 11 | 2 10 5 1 |
| 12 | 1 7 3 2 4 |
| 13 | 2 9 6 |
| 14 | 2 9 6 |
| 15 | 1 9 4 5 |
| 16 | 1 9 2 5 |
| 17 | 2 8 5 |
| 18 | 1 9 3 5 |
| 19 | 1 1 18 |
| 20 | 1 2 8 4 1 |
| 21 | 6 13 3 |
| 22 | 7 10 4 |
| 23 | 9 8 6 |
| 24 | 10 7 6 |
| 25 | 11 5 8 |
| 26 | 3 7 3 4 3 |
| 27 | 4 6 1 3 3 |
| 28 | 4 6 3 5 |
| 29 | 4 6 2 5 |
| 30 | 5 5 2 5 |

**სუდოკუ**

სუდოკუ – ეს არის იაპონური კროსვორდი-თავსატეხი, ნებისმიერი ასაკის ადამიანების გონების საუკეთესო სავარჯიშო. მის ამოსახსნელად საჭიროა, ჩასვათ ციფრები 1-დან 9-მდე, ისე რომ ციფრები არ განმეორდეს როგორც ჰორიზონტალურ სტრიქონებში და ვერტიკალურ სვეტებში, ასევე ცხრა დანაყოფებიან ბლოკებშიც.

## ადვილი ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 6 | | 5 | | 7 | | 9 | 2 |
| 9 | | 2 | | | 6 | 1 | | |
| | 5 | | | | 2 | | 6 | 3 |
| 7 | | 4 | 3 | | 9 | | 1 | |
| | 9 | | 7 | 6 | | 3 | | 5 |
| 5 | 3 | 6 | | 4 | 1 | 9 | 7 | |
| | | 9 | 6 | | | 5 | | 1 |
| 6 | | 3 | | 8 | 5 | | 2 | 4 |
| 4 | | 5 | 1 | | 3 | 6 | 8 | |

## რთული ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 7 | | | | 2 | | 9 | | |
| | 5 | | 6 | | | | 1 | |
| | | 1 | | | 5 | | 3 | |
| 8 | | 6 | | | 4 | 5 | | |
| | 9 | | | | | | 6 | 1 |
| 1 | | 5 | | 3 | | 8 | | |
| | | 7 | | | 3 | | | 9 |
| 6 | | 8 | | | | | 2 | |
| | 1 | | 8 | | 2 | | 7 | |

# ისწავლეთ ხატვა ზალიკოსთან ერთად



1. ნესვის ფორმით დაიწყეთ მულტფილმის გმირის ხატვა

2. ჩახატეთ თვალი





3. მიახატეთ პირი, ულვაში და ტანსაცმლის საყელო



4. „ჩააცვით" ჩოხა



ზაალ სულაკაურის სამხატვრო სტუდია
თამარაშვილის №36
ტელ.: 272 9191



5. მიახატეთ ჩოხის ჯალთა და ხელები



6. დაასრულეთ ნახატი



7. გააფერადეთ

# იპოვეთ ათი განსხვავება



# რა არის ჩართული შტეფსელში



# უპოვე ყველას თავისი სახლი



# ტყისმჭრელი და მშიშარა მონადირე

## (იგავ-არაკი)

ერთი მონადირე ლომის ნაკვალევს ეძებდა. ტყისმჭრელს წააწყდა და ჰკითხა: ლომის კვალს ან ბუნაგს ხომ არ წაწყდომიხარო.

– თვითონ ლომს გაჩვენებო, – მიუგო ტყისმჭრელმა.

მონადირეს შიშით ფერიფური წაუვიდა და თქვა.

– მე კვალს დავეძებ, ლომს კი არაო.

სიტყვით გულადი და საქმით ლაჩარი კაცი ადვილად გამოიცნობა.

# რიცხვრებუსი

,,3, 10,, 17,,,,,,

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | | | |
| ზღვის ფრინველი / რძის ნაწარმი | | | ცხოველთა მეფე / ღამის ფრინველი | |
| | | | | |
| დიდყურა სპილო / კაცის სახელი | | | | ხის სახლი |

# როგორი პარტნიორი ხართ?



*იქნებ, ჯერ არ იცით, როგორი პარტნიორი ხართ და ურთიერთობაში შეცდომებს უშვებთ?*

*გულახდილად უპასუხეთ შეკითხვებს:*

**1. თქვენი სანუკვარი ოცნება 18 წლის ასაკში:**

ა) ულამაზესი ქორწილი საყვარელ ადამიანთან;

ბ) დამოუკიდებელი და წარმატებული ცხოვრება;

გ) უდიდესი პოპულარობის მიღწევა.

**2. რომელი ნივთია თქვენთვის სანუკვარი:**

ა) ცნობილი ბრენდების სამოსი;

ბ) ძვირფასი აქსესუარები;

გ) ძვირფასი ავტომობილი.

**3. საპირისპირო სქესის გულის მოსაგებად რომელი ხერხია საუკეთესო:**

ა) დავანახვო ბედნიერი მომავლის პერსპექტივა;

ბ) საერთო ინტერესები, საერთო თემები;

გ) მისი მოხიბვლა გარეგნობით, სამოსით, პარფიუმით.

**4. დავუშვათ, თქვენი პარტნიორი გატაცებულია სხვა ადამიანით:**

ა) ძალიან ვინერვიულებ და დავამთავრებ მასთან ურთიერთობას;

ბ) ვეტყვი, რომ მიყვარს, მაგრამ, გავუშვებ მასთან;

გ) ყველაფერს გავაკეთებ, რომ ჩემგან არ წავიდეს.

**5. მარტო ცხოვრების პერსპექტივა...**

ა) მაშინებს;

ბ) მაღიზიანებს და მაინტრიგებს;

გ) მშვენიერია. რა ჯობია თავისუფლებას!

**6. უპირველესად რას ხედავთ და ამჩნევთ სხვა ადამიანში?**

ა) თავდაპირველად, მის მინუსებს, მერე – აღზრდასა და საქმიანობას;

ბ) გარეგნობას, ფიზიკურ მონაცემებს;

გ) თვალებს, თუ როგორ მიმზერს.

**7. როცა წვეულებაზე მარტო მიდიხართ:**

ა) გული მწყდება, რომ გვერდით ღირსეული არავინ მყავს;

ბ) აქტიურად ვიწყებ პარტნიორის ძებნას;

გ) არ არის პრობლემა.

**8. თუ თქვენს პარტნიორს წასწარით პორნოფილმის ყურებისას:**

ა) ძალიან ვეჩხუბები;

ბ) გვერდით მივუჯდები და მეც მასთან ერთად ვუყურებ;

გ) არ მივაქცევ ყურადღებას.

**9. გეფლირტავებათ ადამიანი, რომლის გამოც ღირს ცოდვის ჩადენა:**

ა) შანსს ხელიდან არ გავუშვებ;

ბ) ვერავინ „ამაგდებს";

გ) არ ვიცი, არ მაქვს პასუხი.

**10. რომელი ტრანსპორტით გხიბლავთ მოგზაურობა:**

ა) ავტომობილით;

ბ) თვითმფრინავით;

გ) ველოსიპედით.

**ტესტის გასაღები**

| | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ა | 0 | 20 | 0 | 20 | 0 | 0 | 10 | 0 | 10 | 20 |
| ბ | 10 | 10 | 10 | 10 | 20 | 20 | 20 | 20 | 0 | 10 |
| გ | 20 | 0 | 20 | 0 | 10 | 10 | 0 | 10 | 20 | 0 |

**დათვალეთ ქულები**

*140-200 ქულა: მხიარული და მრავალმხრივი ხართ. იცვამთ გემოვნებით, ურთიერთობაში კი უფრო თამაშობთ, ვიდრე გულახდილი ხართ და ამით საპირისპირო სქესს მაგნიტივით იზიდავთ. ფრთხილად, თქვენი ჭეშმარიტი ბედი არ დაკარგოთ!*

*70-130 ქულა: ძლიერი, ვნებიანი და საკუთარ თავში დარწმუნებული ხართ. ძალაუფლების მოყვარული, უსიტყვოდ ითხოვთ მორჩილებას. ყველას არ შეუძლია ამის გაძლება.*

*0-60 ქულა: თავმდაბალი, ნაზი და მზრუნველი ხართ. არც გარეგნობით გამოირჩევით, არც ჩაცმულობით. თუ ვინმე მოხიბლეთ, მხოლოდ თქვენი მშვიდი და დამყოლი ხასიათით.*

## საოცარი კორპი

„საცობის" პირველადი დანიშნულება სულაც არ იყო, რაიმე ჭურჭლის თავსახური. კორპი თავდაპირველად, სულ სხვა მიზნებისთვის გამოიყენებოდა. პირველი „საცობი" ბერმა პერინიონმა შამპანურის ბოთლის დასაცობად გამოიყენა, რათა ღვინოს გემო არ დაკარგვოდა. შეიძლება, ბევრმა არც იცის, რომ ბუნებაში კორპის ხე ნატურალური ფორმით არსებობს. მას უნიკალური თვისებები აქვს – არ სველდება წყალში და არ ატარებს ჰაერს. ზოგიერთი ხის, მაგალითად, ხავერდის ხის გადამუშავებითაც მიიღება ხელოვნური კორპი. კორპისმაგვარი მუხა მარადმწვანე ხეა. ის აფრიკის კონტინენტის ხმელთაშუა ზღვის რაიონში უკვე 60 მილიონზე მეტი წელია, იზრდება. აქა-იქ გვხვდება ევროპის სამხრეთ-დასავლეთშიც, მაგალითად, პორტუგალიაში. სწორედ ეს ქვეყანა ლიდერობს კორპის წარმოებაში. მასზე მსოფლიო წილის 50 პროცენტი მოდის. კორპის მუხა 150-200 წელი ცოცხლობს. მისგან, ძირითადად, ღვინის ბოთლების საცობებს ამზადებენ. თუმცა, ეს კიდევ არ არის ყველაფერი...

კორპის უნიკალური თვისებების შესახებ ადამიანებმა ძალიან დიდი ხნის წინ შეიტყვეს. კორპის სახურავებს ამფორების დასაბეჭდათ რომაელები და ბერძნები იყენებდნენ. კორპის საცობი მართლაც უნიკალურია თავისი თვისებებით, ის ღვინოს გემოს არ უცვლის და მრავალი წლის განმავლობაში არ უკარგავს არომატს. თანაც, ელიტური ღვინოების საცობები ბევრად გრძელია. ამასაც მნიშვნელობა აქვს. 40-45 წლის განმავლობაში ინახება ასე დაბეჭდილი ღვინო.

გინახავთ კორპისგან დამზადებული ფეხსაცმელი? ძალიან დიდი იშვიათობაა. თუმცა კორპის ძირზე შეკერილი ფეხსაცმელი გამოირჩევა გამძლეობით და კომფორტულობით.

ბერი პერინიონი პირველი იყო, რომელიც მიხვდა, რამდენად სასარგებლო იყო ღვინის ბოთლის კორპის საცობით დაბეჭდვა. ამით ორჯერ შევიდა ისტორიაში, როგორც შამპანურის გამომგონებელი, ისე კორპის გამოყენებით მისი გადამრჩენი.

## ეს საინტერესოა

* კატა ადამიანმა ძაღლზე გაცილებით ადრე მოიშინაურა. აქამდე მიჩნეული იყო, რომ ფისუნია ათასი წლის წინ ეგვიპტელებმა მოაშინაურეს, მაგრამ გაირკვა, რომ ეგვიპტელებს ჩინელებმა დაასწრეს. კატამ ადამიანთან ერთ ჭერქვეშ ცხოვრება გაცილებით ადრე დაიწყო, დაახლოებით, ხუთი ათასი წლის წინ, თანაც ცენტრალურ ჩინეთში. იმ კატის ნაშთების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, რომელსაც ჩინეთის პატარა სოფლის მახლობლად, გათხრებისას მიაკვლიეს, კატა და ადამიანი უკვე 5 500 წლის წინ დამეგობრდნენ. კატა მაშინაც თაგვებზე ნადირობდა და ადამიანისთვის ძალიან საჭირო სამსახურის გაწევა შეეძლო.



* თიხის ფირფიტებზე აღმოჩენილმა წარწერებმა, რომლებიც 3900 წლისაა, დაადასტურა, რომ ნოეს კიდობანი ნამდვილად არსებობდა. ჩვენს წელთაღრიცხვამდე 1850 წელს მესოპოტამიაში, შუმერის მეფემ აგრამა ხარისმა მიმართა ღმერთს და სთხოვა წყალობა კიდობანის ასაგებად, რომ თავისი ხალხი გადაერჩინა. თანაც, აღმოაჩინეს ნახაზები, რომელმაც კიდობანზე წარმოდგენა მთლიანად შეცვალა. ის არ ყოფილა უზარმაზარი ხომალდი. უფრო წააგავდა ყუთს, დიამეტრით – 66 მეტრი. კედლები ლერწმის ჰქონდა, ხოლო კარკასი – ხის. ძველშუმერული კიდობანი ორსართულიანი იყო. თოკები, რომლითაც ის გახლდათ შეკრული, ფისით იყო გაჟღენთილი. არქეოლოგებს მიაჩნიათ, შუმერული კიდობანი არ იყო გათვლილი იმაზე, რომ მისი საშუალებით ეცურათ. მას უნდა ეტივტივა წყლის ზედაპირზე იქამდე, სანამ წყლის დონე არ დაიკლებდა.

**გვერდი მოამზადა**
**ელენე წულუკიძემ**

# სულელი სინდისი

## ჯეიმს კეინი



მისი მოკვლა არც უფიქრია, თავისთავად მოხდა. პოლიციელი მთელი ძალით ურტყამდა... არადა, ყველაფერი თითქმის გამოუვიდა. მისი გამოპარვა არავის გაუგია. მაწანწალობისთვის დაიჭირეს. პრინციპში, ის დაწესებულება, სადაც მოათავსეს, ციხე არ იყო. ნორმალურად აჭმევდნენ და თავისუფლად სიარულის უფლებასაც კი აძლევდნენ. მთავარი იყო, რვა საათზე, სიის ამოკითხვისას, ადგილზე ყოფილიყო და, დილითაც, ცხელი წვნიანის დარიგებისას, არ დაეგვიანა – მაშინ აუცილებლად გადაიყვანდნენ ჩვეულებრივ ციხეში. მაინც გაიქცა. შეიძლება, თავისი ბედისწერის შესახვედრად... ნახშირის გადასატან ვაგონში იმალებოდა, როგორც თვითონ ეგონა, საგულდაგულოდ და საიმედოდ. პოლიციელმა იქაურობას ფანარი რომ მოატარა, თავდაპირველად არც კი შეუნიშნავს. ისიც გაიტრუნა, სული განაბა. რამდენიმე მტანჯველი წუთი გავიდა. როცა იფიქრა, რომ პოლიციელის გაცურება მოახერხა და, შეეძლო, გზა გაეგრძელებინა, სწორედ მაშინ მოტყუვდა – პოლიციელი არსად წასულა. მიუხედავად საკმაოდ ცივი ღამისა, იქვე იყო ჩასაფრებული და, როცა ვაგონიდან ჩახტა, თითქმის მაშინვე გაიგონა სასტვენის ხმაც...

– მემალებოდი, ხომ, ნაბიჭვარო!.. – პოლიციელმა უხეშად შეიგინა.

გაიქცა. პოლიციელი გამოეკიდა. რაც ძალი და ღონე ჰქონდა, გარბოდა. თვითონ ახალგაზრდა იყო, პოლიციელი კი მასზე ხანდაზმულიც და მსუქანიც. უკვე ქოშინებდა სირბილისგან გადაქანცული. როცა იფიქრა, მორჩა, მე ეს ველარ დამეწევაო, სწორედ მაშინ უმუხთლა ბედმა – რელსზე ფეხი დაუცურდა და დაეცა. ხმამაღლა დაიღმუვლა ტკივილისა და იმედგაცრუებისგან. მაინც წამოხტა, მაგრამ პოლიციელი მისწვდა და მაგრადაც ჩაავლო, მერე კი აამუშავა ხელკეტი – მთელი ძალით ურტყამდა ყველგან, სადაც კი მისწვდებოდა.

– დამალობანას თამაში მოგინდა ჩემთან, იდიოტო?

მერე წააქცია და წიხლებით შესდგა, თან უშვერი სიტყვებით აგინებდა. თუმცა, ამ ყველაფრის მერეც არ უფიქრია მკვლელობაზე, ხელში რკინის სოლი რომ არ მოხვედროდა, აი, ისეთი სოლი, ლიანდაგის ქვეშ რელსის გასამაგრებლად რომ შეარჭობენ ხოლმე. პოლიციელი მისკენ რომ დაიხარა, ხელი მოიქნია და სოლი პირდაპირ შუბლში ჩაარტყა. პოლიციელის მძიმე სხეული უსულოდ დაენარცხა ლიანდაგებზე...

გარბოდა, ეცემოდა, დგებოდა და ისევ გარბოდა. რამდენიმე მეტრის გარბენის შემდეგ, ხელში შერჩენილი სოლი შენიშნა და შეძრწუნებულმა შორს მოისროლა. ო, რა სიამოვნებით დაჯდებოდა მიწაზე და ცოტათი სულს მოითქვამდა... მაგრამ, არა, სასწრაფოდ უკან უნდა დაბრუნებულიყო, ლოს-ანჯელესში, იმ თავშესაფარში, საიდანაც გაიპარა. სამზარეულო ზუსტად დილის შვიდზე იღებოდა. იქ უნდა ყოფილიყო, თითქოს არც არსად წასულა. ამაზე უკეთეს ადგილს ვერც ინატრებდა, მთავარი იყო, კერძის დამრიგებლისთვის თავი დაემახსოვრებინა. როცა ქუჩის ფანრები ჩაქრა და ცას ოდნავ შეეპარა ნათელი, ის უკვე ქალაქში იყო. საათი ექვსის ათ წუთს უჩვენებდა. არაქათი ბოლომდე ჰქონდა გამოცლილი. ძლივს მილასლასებდა და მაშინვე იქით გაემართა, სადაც მაწანწალები უკვე რიგში დგებოდნენ კუთვნილი კერძის მისაღებად, უხეშად მისწი-მოსწია ისინი და რიგს სათავეში მოექცა, ისე, რომ მათი უკმაყოფილო ბუზღუნისა და მუჯლუგუნებისთვის ყურადღება არ მიუქცევია. კერძის დამრიგებელმა იცნო ის:

– შენ ისევ აქ ხარ?

– აბა, სად უნდა ვიყო?

– მეგონა, გაიპარებოდი... – ახითხითდა კერძის დამრიგებელი.

– არც მიფიქრია... ხორცს ხომ არ მომცემ?

– არა. დღეს ხორცი არ იქნება, შაბათია.

– შაბათი? მე პარასკევი მეგონა. მატყუებ რაღაცას.

– არა. მიწამ მიყოს პირი, თუ შაბათი არ იყოს.

– მართლა? ესე იგი, ხორცს არ მომცემ?

– ჯანდაბას, მოგცემ ერთ ნაჭერს, ოღონდ, სწრაფად შეჭამე, თორემ, შეხედე, როგორი მშიერი თვალებით გიყურებენ...

ოთართან ხუთი დღე დავყავი. შემდეგ მან თავად ჩამიყვანა „მინერალურ წყლებში“, წარმატება მისურვა და თბილისში დაბრუნდა. მე ათასი მანეთი ვუგრევი. ოთარი ფულის აღებას უარობდა, მაგრამ ვუთხარი:

– ხომ არ გგონიათ, რომ მგზავრობის ფულს გიხდით. უბრალოდ, ძმურ გრევს გიკეთებ.

– კარგი რა, კობრა. კაცი პაბეგში ხარ. მაგფულს იქით უნდა გაძლევდე და როგორ გამოგართვა? – ეუხერხულა ოთარს.

– რომ არ მქონდეს, სხვაა, მაგრამ მაქვს და მინდა, პატივი გცეთ. ამიტომ, უარს ნუ მეტყვით და გამომართვით, – ვუთხარი ჩემს მხსნელს, ფული ბარდაჩოკში ჩავუდე, გამოვემშვიდობე და ჩემს გზაზე წავედი.

რუსეთში ერთი წელი დავყავი და თბილისში რომ ჩამოვედი, ოქროსანას ბაითის ქურდობაზე არავის შევუწუხებივარ, იმიტომ, რომ მისი მფარველი ბობოლა ფუნქციონერი „კაგებემ“ დააპატიმრა და მას უკვე არანაირი გავლენა არ ჰქონდა, რომ მილიციას ჩემი არაოფიციალური დევნა დაეწყო. მაშინ ბესარიონ აბრალავა ჯერ კიდევ ჩვენი რაიონის მილიციის უფროსი იყო. ქუჩაში მანქანა გამიჩერა, მიხმო და რომ ჩავუჯექი, მითხრა:

– ბედი გაქვს, კობრა, რომ იტყვიან, პერანგში დაიბადე.

– რას გულისხმობთ, ძია ბესო? – თავი გავიშტერე მე.

– ვითომ არ იცი.

– არა. მართლა არ ვიცი.

– ოქროსანას ბაითის დაბომბვა რომ ასე, ხახვივით შეგრჩა, იმას.

– არა, ძია ბესო, ეს ტყუილია.

– თუ ტყუილია, რუსეთში რატომ იმალებოდი?

– არ ვიმალებოდი. უბრალოდ, იქ ვიყავი.

– რაღა მაშინ ჩამოხვედი, როდესაც საფრთხე განეიტრალდა?

– რა საფრთხე, ძია ბესო. თბილისი მომენატრა და ჩამოვედი.

– კარგი. ახლა, რას აპირებ?

– რას უნდა ვაპირებდე? ხომ იცით, რომ მშობლიურ უბანსა და ქალაქში არ ვჩალიჩობ?

– კარგი. წადი. თავისუფალი ხარ. მაგრამ იცოდე, რომ ნაცნობობა და ახლობლობა არ გიშველის და თუკი დააშავებ, არც სასჯელს აგაცდენ.

– გასაგებია. ნახვამდის, ძია ბესო, – ვუთხარი აბრალავას და მანქანიდან გადასვლა დავაპირე, მან კი მითხრა:

– კობრა, მოიცადე.

– დიახ. გისმენ, ძია ბესო.

– კობრა, ოქროსანას ბაითი შენი და ბერძენას დაბომბილია და ეს მე ზუსტად ვიცი, – ნიშნის მოგებით მითხრა აბრალავამ.

– საიდან მოიტანეთ, ძია ბესო?

– ხელწერა ვიცანი, კობრა.

– რა ხელწერა?

– რა და ისე სუფთად გააკეთეთ, კვალი არ დაგიტოვებიათ. გარდა ამისა, ინფორმაცია მოვიდა, რომ ოქროსანას ბაითის გაქურდვის დროს იქ იყავი.

– მტრები მყავს, ძია ბესო, მტრები.

– კარგი, წადი ახლა და ჭკვიანად იყავი, – მითხრა აბრალავამ და მისი მანქანიდან რომ გადმოვედი, წავედი.

კუნთგანტელას ისეთი ზუბი მქონდა, შემეძლო, შუაზე გამეხია, მაგრამ ქურდული გაგება არ მაძლევდა მისი მოკვლის ნებას. თანაც, არსად შემხვედრია, და არც მე მიძებნია. რაც შეეხება ჩემს გადამრჩენ, ზემოვერელ ოთარს, ის მეორედაც შემხვდა, თანაც ზონაში.

იმ ამბიდან ხუთი წელი იყო გასული. მე მეორე სროკზე ვიყავი და თბილისის ციხეში ვიჯექი, როცა ოთარი მოიყვანეს. მისი დანახვა ძალიან გამიხარდა, პრაგულკის დროს ჩავეხუტე და ვუთხარი:

– ბატონო ოთარ, ვერ მიცანით?

– კობრა, ძმაო, შენ ხარ?

– მე ვარ. აქ, როგორ მოხვდით?

– როგორ და, კუნთგანტელას გამო. აი, იმ ნაბოზრის გულისთვის, შენ რომ ჩაგიშვა.




**კუჭ-ნაწლავის დისკომფორტი (შეკრულობა, ფაღარათი, შებერილობა) დისბაქტერიოზი**

# მიიღეთ

# ლაქტო-ჯი

**www.laqto.ge**

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად
მიმართეთ ექიმს.



– რას ამბობთ, რა შეგემთხვათ?

– ჩვენ ხომ ავტოვაგზალზე ვტაქსაობდით. ჰოდა, კლიენტის წაყვანის გამო ჩხუბი მოგვივიდა. ის ნაბოზარი ჩემზე ბევრად ჯანიანია და მუშტით წამოიწია. რომ არ ვეცემე, მანტიროვკა ჩავარტყი და თავი გავუტეხე. მან კი მიჩივლა და ხულიგნობისთვის ორი წლით გამსროკეს.

– ფუ, მაგის ნაბოზარი დედაც, – ვუთხარი ზემოვერელ ოთარს, – ნუ გეშინია. ორი წელი არაფერია. თანაც, დრო ისე სწრაფად გადის, ვერც კი გაიგებ. ახლა კი ვიჩალიჩებ, რომ ჩვენს კამერაში გადმოგიყვანონ და ჩიტის რძეც არ მოგაკლდება.

ზემოვერელი ოთარი, ჩვენთან შემოასახლეს და ისევე კარგად იყო ციხის პირობაზე, როგორც ჩვენ. ოთხი თვის შემდეგ, ციხეში კუნთგანტელა მოიყვანეს. როგორც გაირკვა, ის ნაბოზარი პედოფილიის მცდელობისთვის დააპატიმრეს. თურმე, თავისი პაძელნიკის, ჟორენას შვილიშვილს უფათურებდა ხელებს. ჟორენამ მილიციაში უჩივლა და დააჭერინა. კუნთგანტელას, რა თქმა უნდა, საქათმე არ ასცდა და ის უბედური ისეთ დღეში ჩააგდეს ქათმებმა, შეიძლება, მტერსაც კი არ უსურვო. შავი კალგოტკები ჩააცვეს გაპარსულ ფეხებზე და სასამართლოზე ასე მიიყვანეს...

– კობრა, ძმაო, ამ ნაბოზრის ცხოვრებას, ახლა რა აზრი აქვს. ჯობია, თავი მოიკლას, – მითხრა ოთარმა, როცა კალგოტკების ამბავი შეიტყო.

– ასეთები თავს არ იკლავენ – მივუგე.

არ შევმცდარვარ, რადგან კუნთგანტელა თავისუფლად შეეგუა კალგოტკიანი პეტუხის როლს და საქათმის მთავარი დიასახლისი გახდა. ეს ისტორია, რა თქმა უნდა, შემზარავია, მაგრამ ციხეში ყველაფერი ხდება. რამდენი ასეთი კუნთგანტელასთვის გამოუტანიათ პატიმრებს უსასტიკესი განაჩენი. დახურული სისტემის მიუხედავად, ციხეში არაფერი იმალება და არც საზლაური აყოვნებს. ბუნებით სასტიკი და სადისტი არ ვარ და არც ჯალათი ვყოფილვარ, მაგრამ სასჯელის აღსრულების პროცესს, ციხეში, არაერთხელ დავსწრებივარ. დღესაც თვალწინ მიდგას, თუ როგორ მოახერხეს თავი „დრუჟბით“ ერთ პატიმარს, რომელიც ჩაშვებაში ამხილეს, სასიკვდილო განაჩენი გამოუტანეს და იქვე აღასრულეს. ზამთარი იდგა. პატიმრები ხის ჭრაზე ვიყავით გასულები. ქურდები კოცონთან ვთბებოდით და ვსაუბრობდით. ამ დროს ოთხმა პატიმარმა ჩამშვები კოლეგა შეიპყრეს და კუნძზე დაადებინეს თავი. მეხუთე პატიმარმა კი „დრუჟბა“ დაქოქა და სიკვდილმისჯილს თავი მოახერხა... ადმინისტრაციამ აგენტი დაკარგა, მაგრამ მის მკვლელებს ვერ მიაგნეს, რადგან ყველამ პირში წყალი ჩაიგუბა და ჩვენება არავის მიუცია. რა თქმა უნდა, არავინ ისურვა თავმოხერხილის ბედის გაზიარება და ყველა გაჩუმდა. რუსული ანდაზაა: „დუმილი ოქროაო.“ დუმილი და გაუთქმელობა, ანუ, როგორც კლასიკურად იტყვიან: „წრიული თავდებობა“, შავი სამყაროს ერთ-ერთი ქვაკუთხედია. ყბედსა და ენაჭარტალას ჩვენს რიგებში ადგილი არ აქვს და ასეთ ადამიანს სერიოზულად არავინ უყურებს. მახსოვს, ჯერ კიდევ ბავშვები ვიყავით და ქურდობაზე ვოცნებობდით, როცა ხუჭუჭამ ყბედალოს უთხრა:

– ყბედალო, ერთი იდეა მაქვს და შენი აზრი მაინტერესებს, რას იტყვი?

– რა იდეა? – ყურები ცქვიტა ყბედალომ, მე კი ხუჭუჭას შევხედე და მივხვდი, რომ ეშაყირებოდა.

– ჯერ ის მითხარი, ქურდობა ხომ არ გადაიფიქრე?

– არა, რას ამბობ, რატომ მეკითხები? – გაიკვირვა ყბედალომ.

– ბიჭო, ქურდულ სამყაროში ყბედობა და ენის ჭარტალი არ მოსულა. შენ კი ყბედალო გქვია და ტეხავს, რომ ქურდს ასეთი სახელით მიმართო.

– აბა, რა ვქნა? – ვერ მიუხვდა ხუმრობას ყბედალო.

– რა და კლიჩკა უნდა შეიცვალო.

– კლიჩკა შევიცვალო?

– ჰო, რა მოხდა მერე? ხალხი სახელსა და გვარს, ეროვნებას იცვლის და დიდი ამბავი, თუ სხვა მეტსახელი დაირქვი.

– სხვა რა? რას მთავაზობ?

– რამდენიმე ვარიანტი მაქვს, მაგრამ მე, ყველაზე მეტად ერთი მომწონს.

– აბა, თქვი.

– „ზურიკო მუნჯი“! – სერიოზულად თქვა ხუჭუჭამ და დაამატა, – ჩემი აზრით, სუფთა ქურდული კლიჩკაა.

– ზურიკო მუნჯი? – ხელები გაშალა ყბედალომ და შემომხედა. ხუჭუჭამ კი თვალი ჩამიკრა და მანიშნა, ამყევიო.

– ჰო, ზურიკო მუნჯი, ან, უბრალოდ, მუნჯი, – ვუთხარი ყბედალოს, – სუფთა ქურდული კლიჩკაა და ვფიქრობ, ძალიან მოგიხდება.

– რას იტყვი, – ჩაერთო ხუჭუჭა, – თუ მართლა გინდა ქურდობა, მაშინ შესაბამისი კლიჩკაც უნდა გქონდეს.

– რა გაეწყობა, – ამოიოხრა ყბედალომ, – თუ სხვაგვარად არ გამოდის, მაშინ, მუნჯი დამიძახეთ.

– ზურიკო მუნჯი! – თქვა ხუჭუჭამ, – მარტო მუნჯი არ ივარგებს. რას იტყვი, კობრა?

მე სიცილს ძლივს ვიკავებდი. ამიტომ პაუზა გავაკეთე, ამოვისუნთქე და ვთქვი:

– კი. ზურიკო მუნჯი ჯობია. მაგრამ თითქმის არ უნდა ილაპარაკო.

– არ ვილაპარაკო? – მკითხა ყბედალომ.

– თითქმის, – თავი დავუქნიე ყბედალოს და პირზე ხელები ავიფარე, რომ არ გამცინებოდა.

– მოკლედ, გადაწყდა, ძმაო. დღეიდან შენ ახალი კლიჩკა გაქვს და ყველას უნდა ვუთხრათ, რომ ყბედალო აღარ დაგიძახონ, – უთხრა ხუჭუჭამ ყბედალოს და დაამატა, – გაიგე, ზურიკო მუნჯო?

– გავიგე, ხუჭუჭ, გავიგე, – თქვა დაღონებულმა ყბედალომ, – ქურდულ საქმეს რომ

## წინა ნომერში გამოქვეყნებული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები



| | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | ა | ნ | ი | მ | | პ | | პ | | გ |
| | | | | | | ჯ | | მ | | კ | ა | ბ | ი | ნ | ა |
| | | | | | | ი | | ა | დ | ო | ბ | ე | პ | | რ |
| | | | | | | კ | ა | რ | ა | ბ | ი | ნ | ი | | ი |
| | | | | | | ა | | ო | | რ | | ი | ნ | ა | ნ |
| | | | | | | | პ | ი | პ | ი | ა | | ი | | ჩ |
| ჩ | ი | კ | ო | ტ | ე | ლ | ა | | ა | | გ | ლ | ა | შ | ა |
| ო | | ე | | ე | | უ | რ | | თ | ო | რ | ა | | ი | |
| კ | | ს | ა | ბ | ა | დ | ო | | ო | | ა | გ | ა | რ | ბ |
| ი | რ | ო | ი | | ს | ი | ლ | ო | ს | ი | | ა | | ა | |
| ნ | | | ბ | | ტ | | ი | ს | ი | ნ | ო | მ | ა | კ | ი |
| ა | ი | ვ | ო | გ | ე | ს | | პ | | ი | ლ | ი | ვ | ი | კ |
| | უ | | ლ | | რ | | მ | ი | ხ | ა | ი | | ა | | ა |
| ა | დ | ა | ი | ლ | ი | | ა | | ე | | ვ | ი | რ | ი | |
| ს | ა | ლ | ტ | ე | | ს | ტ | ა | რ | ტ | ი | | ი | | დ |
| ტ | | ბ | ი | ლ | ი | | ი | | გ | რ | ე | ნ | ა | დ | ა |
| რ | | ა | | ო | ნ | ტ | ა | რ | ი | ო | | ი | | ა | ლ |
| ა | ლ | თ | ა | | რ | | ნ | | | ა | კ | ნ | ი | რ | ი |
| | ო | | ლ | | ო | ტ | ე | ლ | ი | | რ | ო | მ | ი | |
| მ | ს | უ | ყ | ე | | ა | | ე | ვ | რ | ო | | პ | | ტ |
| | ი | | ა | რ | | მ | უ | ს | ა | | უ | ვ | ა | დ | ო |
| შ | ო | უ | | ო | კ | ა | რ | ი | ნ | ა | | ა | ლ | ო | მ |
| | ნ | თ | | დ | ა | ნ | ი | ა | | | ბ | ზ | ა | რ | ი |
| ს | ი | ო | | მ | ა | ი | ა | | ა | ნ | უ | ი | | ე | |

### ადვილი ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8 | 6 | 1 | 9 | 5 | 7 | 4 | 3 | 2 |
| 5 | 9 | 3 | 2 | 1 | 4 | 6 | 8 | 7 |
| 4 | 2 | 7 | 3 | 8 | 6 | 1 | 9 | 5 |
| 3 | 8 | 5 | 4 | 2 | 1 | 7 | 6 | 9 |
| 6 | 7 | 9 | 8 | 3 | 5 | 2 | 4 | 1 |
| 2 | 1 | 4 | 7 | 6 | 9 | 8 | 5 | 3 |
| 7 | 4 | 2 | 6 | 9 | 3 | 5 | 1 | 8 |
| 9 | 5 | 6 | 1 | 7 | 8 | 3 | 2 | 4 |
| 1 | 3 | 8 | 5 | 4 | 2 | 9 | 7 | 6 |

### რთული ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 6 | 2 | 7 | 4 | 5 | 9 | 3 | 1 | 8 |
| 5 | 4 | 1 | 8 | 2 | 3 | 9 | 6 | 7 |
| 9 | 3 | 8 | 1 | 6 | 7 | 5 | 2 | 4 |
| 2 | 7 | 9 | 6 | 4 | 1 | 8 | 5 | 3 |
| 3 | 8 | 6 | 5 | 7 | 2 | 4 | 9 | 1 |
| 4 | 1 | 5 | 3 | 9 | 8 | 6 | 7 | 2 |
| 8 | 6 | 3 | 2 | 1 | 5 | 7 | 4 | 9 |
| 1 | 9 | 4 | 7 | 3 | 6 | 2 | 8 | 5 |
| 7 | 5 | 2 | 9 | 8 | 4 | 1 | 3 | 6 |

**„თუ გამოიცნობთ“ რუბრიკის პასუხები: 1. გაზი. 2. დედაქალაქის გადატანა ერთი ადგილიდან მეორეში. 3. ძველი აღთქმა ყოველთვის წინ უსწრებს ახალს. 4. მოქმედების ადგილი – სევილია. 5. არქიმედეს კანონი. 6. შენიღბვის მიზნით – გარემოს ფერებიდან რომ არ ყოფილიყვნენ გამორჩეულები. 7. ჩინეთის უკანასკნელი იმპერატორის შავ-თეთრი ფოტო. 8. კოკო შანელი. 9. სელენი. 10. ჩერნობილი – რომ ღრუბელი მოსკოვისკენ არ წასულიყო.**

არ სჭირდებოდეს, კლიჩკას ნაღდად არ შევიცვლიდი.

— ჯიგარი ხარ, ზურიკო მუნჯო! შენგან ნაღდი ქურდი დადგება. რაღა დარჩა, ქურდული კლიჩკა უკვე გაქვს და ქურდად კურთხევაღა გინდა, — უთხრა ხუჭუჭამ და მე მომიბრუნდა:

— ხედავ, კობრა? ზურიკო მუნჯმა რამხელა ნაბიჯი გადადგა ქურდობისკენ?

— ვხედავ, — მივუგე ხუჭუჭას, შემდეგ კი სიგარეტს მოვუკიდე, რომ არ გამეცინებოდა.

ყბედალო ჩვენს დაცინვას ვერ ხვდებოდა. ხუჭუჭა კი შაყირს აგრძელებდა და მომენტს არ უშვებდა ხელიდან, რომ ყბედალოსთვის ზურიკო მუნჯი არ ეწოდებინა. ყბედალო კი, თითქოს მეტსახელს მოერგოო, ხმას არ იღებდა, დუმდა და მოწყენილი გვიყურებდა.

— ზურიკო მუნჯო, წარმოიდგინე, უკვე ქურდი ხარ, დიდ ქურდულ სხოდკას ესწრები და ამ დროს აცხადებენ: „სიტყვით გამოვა ზურიკო მუნჯი", შენ დგები, პირს აღებ, რომ ქურდული სიტყვა თქვა, მაგრამ ხმას ვერ იღებ, — უთხრა ყბედალოს ხუჭუჭამ.

— ხმას ვერ ვიღებ? — თქვა ყბედალომ.

— ჰო. ხმას ვერ იღებ, — მიუგო ხუჭუჭამ.

— კი მაგრამ, რატომ ვერ ვიღებ ხმას?

— იმიტომ, რომ ზურიკო მუნჯი ხარ და შენი ახალი კლიჩკა არ გაძლევს ამის საშუალებას, — სერიოზულად თქვა ხუჭუჭამ და მკითხა:

— შენ რას იტყვი, კობრა?

— რა უნდა ვთქვა, მართალი ხარ, — ვთქვი მე და ხველება დავიწყე, რომ სიცილი გადამეფარა.

ყბედალო ისე იყო „დაბოლებული", რომ ვერ ხვდებოდა, რას ამბობდა და გვითხრა:

— მასე არ მაწყობს, ძმებო! კლიჩკა კი ნაღდად ქურდულია, მაგრამ ქურდული სიტყვის თქმაში თუ შემიშლის ხელს და დამაბრკოლებს, მაშინ რად მინდა? მიდი რა, ხუჭუჭ, სხვა კლიჩკა მოიფიქრე.

— მხოლოდ ზურიკო მუნჯი! სხვა კლიჩკა შენ არ მოგიხდება. შეიძლებოდა, ნიკო მუნჯიც, მაგრამ ზურიკო მუნჯი ჯობია. ზურიკო გქვია და იმიტომ. გაიგე, ზურიკო მუნჯო? — უთხრა ყბედალოს ხუჭუჭამ.

— გავიგე, ძმებო, გავიგე, — მორჩილად თქვა დაღონებულმა ყბედალომ, — უბრალოდ, ყბედალოს შეჩვეული ვიყავი, მაგრამ ზურიკო მუნჯსაც შევეჩვევი.

ყბედალოს ბოლო ფრაზაზე, უკვე სიცილი ვეღარ შევიკავეთ და მე და ხუჭუჭა ისე ავხარხარდით, ჩვენი ხმა ალბათ რუსთაველზეც ისმოდა. ყბედალომ ორიოდე წუთი გვიყურა, ვერ ხვდებოდა, რა დაგვემართა. ბოლოს ყველაფერს მიხვდა. თავში ხელი შემოირტყა და სანამ ქვევით დაეშვებოდა, გვითხრა:

— მეკაიფეთ, ხომ, თქვე უნამუსოებო.

ყბედალო ისე გაგვინაწყენდა მე და ხუჭუჭას, რომ სამი დღე ხმა არ გაუცია. როცა შევრიგდით, მითხრა:

— ხუჭუჭასგან ასეთი რამ არ მიკვირს, მაგრამ შენგან ნამდვილად არ მოველოდი და „ზურიკო მუნჯი" იმიტომ ვჭამეო...

შაყირი და უბოროტო დაგოიმება ჩვეულებრივი მოვლენაა პატიმრებს შორის და ასეთი რამ ციხეებსა და ზონებში გართობის ერთ-ერთი ფორმაა. ასეთ რამეს ძირითადად ახალბედა, გამოუცდელ პატიმრებს უკეთებენ და ხალისობენ. თუმცა, ზოგჯერ საპირისპიროც ხდება და ერთი „შებერტყილი" პატიმარი აბითურებს ყველას. პირველ სროკზე რომ წავედი, მსგავსი რაღაცეების თეორიული გამოცდილება მქონდა, თანაც ქურდებმა ქსივაც შემოუშვეს და ჩემი გაშაყირება არავის უცდია. წინასწარი პატიმრობის დროს, სანამ ქურდულ „კამერაში" გადავიდოდი, „ობშჩიში" მომათავსეს. იქ ორმოცი პატიმარი ვიმყოფებოდით და ძირითადად სხვადასხვა ოხუნჯობით ვერთობოდით. ხშირად ეს ბაზარში გაგზავნა იყო. მოძველებული და თითქმის ყველასთვის ნაცნობი ტრიუკი. მისი არსი კი ის არის, რომ კამერაში ახალმოყვანილ ახალბედა პატიმრებს, თანასაკნელები ფულს უგროვებდნენ, უზარმაზარ კალათას აძლევდნენ და ბაზარში უშვებდნენ პროდუქტების მოსატანად. დაბოლებული პატიმარი ვერ იაზრებდა, რომ „სვაბოდაზე" მას არავინ გაუშვებდა და საკნის კარზე იწყებდა ბრახუნს: მორიგეს ბაზარში გაშვებას სთხოვდა. როცა გაბრაზებული მორიგე აბეზარ ახალბედას შემოუწყრებოდა ხოლმე, საკნის ყველა პატიმარი ერთდროულად ხარხარებდა და მხოლოდ ამის მერე ხვდებოდა ახალბედა, რომ გააბითურეს... ჩვენს საკანში მსგავსი საქმის ორგანიზატორი იყო ოთხჯერ ნასამართლევი, რეციდივისტი, მეტსახელად „დაირა." სწორედ ის აგდებდა ხოლმე ბაზრის „პონტს" და შოუც იწყებოდა.



ერთ მშვენიერ დღეს საკანში ოციოდე წლის ბიჭი შემოგვისახლეს, რომელიც ძალიან დაბნეული ჩანდა და თითქმის ხმას არ იღებდა. „დაირამ" თვალი ჩაგვიკრა, რაც იმას ნიშნავდა, ბაზარში გავუშვათო. შემდეგ ახალმოსულთან მივიდა და უთხრა:

— მე დაირა ვარ. შენი სახელი, ძმაო?

— სალამურა, ძმაო, — მიუგო ახალმოსულმა.

— სალამურა? — ჰკითხა დაირამ.

— ჰო. ასეთი უცნაური სახელი მქვია. დედაჩემს სალომე ჰქვია, მამაჩემს — ამური. ეს სახელები შეაერთეს და გამოვიდა სალამური. ყველას უკვირს და ეცინება.

— ვისი რა საქმეა, ძმაო, სალამურა გერქმევა თუ საქსოფონი. მთავარია, კარგი კაცი იყო. რისთვის დაგიჭირეს.

— სახელის გამო.

— ეგ როგორ?

— როგორ და, ღამით სახლში ვბრუნდებოდი მუსიკალური სასწავლებლიდან. სადირიჟოროზე ვსწავლობ და ოპერაში პრაქტიკებზე ვიყავი. მილიციის რეიდში მოვყევი. პასპორტი თან არ მქონდა და სახელი რომ მკითხეს და ვუთხარი, სალამურა მქვია-მეთქი, მილიციელმა ჯერ დამცინა, შემდეგ მითხრა, ნამდვილი სახელი მითხარიო. რომ ვუპასუხე, მართლა სალამურა მქვია-მეთქი, მილიციელმა შემაგინა. ვერ მოვითმინე და მეც შევაგინე. იმათმა კი დამცხეს და მეც ხელი შევუბრუნე. შემდეგ განყოფილებაში წამიყვანეს და ხულიგნობა გამიფორმეს. როდესაც გაიგეს, მართლა სალამურა მერქვა, ოქმი სხვანაირად შეადგინეს. მოკლედ, ჩემმა სახელმა დამღუპა.

ახალმოსულის სევდიანმა ისტორიამ დაირასაც კი გული მოულბო და შევატყვე, ყოყმანობდა, გაეშვა თუ არა სალამურა ბაზარში. ბოლოს, მაინც გაშვება გადაწყვიტა და უთხრა:

— გულს ნუ გაიტეხ. ყველაფერი კარგად იქნება.

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**



**თბილისი ეკოლოგიური საფრთხეების წინაშე დგას – სპეციალისტები ამ საფრთხეების შესახებ კატასტროფულ დასკვნებს დებენ. როგორც ჩვენთან საუბარში, საქართველოს მწვანეთა მოძრაობა – დედამიწის მეგობრების თანათავმჯდომარე, ნინო ჩხობაძე ამბობს, თბილისის ეკოლოგიას მომრავლებული მომაკვდინებელი საფრთხეების გამო, ძალიან მძიმე პერსპექტივა ემუქრება.**

# რატომ „ჩაიძირა" თბილისი ნისლში და რა კატასტროფას უქადის ის ქალაქს

**ნინო ჩხობაძე:** თბილისს ეკოლოგიურ საფრთხეს ბევრი ფაქტორი უქმნის, თუმცა ყველაზე საგანგაშო ამ საფრთხეებს შორის „სმოგია"– ტრანსპორტის გამონაბოლქვის შედეგად ჰაერში მიღებული ემისია. „სმოგში" არსებული მყარი ნაწილაკები ქმნის ბურუსს, რისი ბოლო შემთხვევაც გვქონდა სულ რაღაც ერთი კვირის წინ. ყველას ეგონა, რომ ეს იყო ჩვეულებრივი, კლიმატური პირობებიდან გამომდინარე ნისლი, მაგრამ ეს იყო „სხვა" ნისლი – ბურუსი, რომელიც წარმოადგენს მთავარ ეკოლოგიურ და მაბინძურებელს, რომელმაც თუ ხშირი სახე მიიღო, ჩვენ დიდი საფრთხის წინაშე აღმოვჩნდებით. დღეს ქალაქზე მუდმივად არის „სმოგი", რაც შეუიარაღებელი თვალითაც ჩანს. 90-იან წლებში, ქალაქის ჰაერი იყო აბსოლუტურად სუფთა. 1995 წელს ვაკეში ჯერ კიდევ დარბოდნენ ციყვები, გამოჩნდნენ ღამურები, რომლებიც მხოლოდ სუფთა გარემოში არიან. საბჭოთა პერიოდის ბოლო წლებშიც გვქონდა „სმოგი", თუმცა საბჭოთა კავშირის დროს საერთოდ არ ითვლიდნენ ტრანსპორტიდან გამონაბოლქვს. მიაჩნდათ, რომ ეს არ იყო მნიშვნელოვანი. დღეს მთელ მსოფლიოში „სმოგი" ქალაქის მთავარ დამაბინძურებლად მიიჩნევა. ნებისმიერ თბილისელს შეუძლია, ავიდეს დილით მთაწმინდაზე, გადმოხედოს თბილისს და საკუთარი თვალით ნახავს, როგორ არის გახვეული ქალაქი კვამლში. წლების წინ, როცა ჩვენთან აქტიურად მუშაობდა სამრეწველო წარმოება, სწორედ ეს იყო „სმოგის" ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი. თუმცა, ახლა წარმოება არ არსებობს და „სმოგი," ძირითადად ავტომანქანების გამონაბოლქვის შედეგია.



**ორი წლის წინ თბილისი საცხოვრებლად ყველაზე არასასურველ ქალაქად ჩაითვალა**

**– ეს ხომ ყველა დიდი ქალაქის დამახასიათებელია, როგორ შეიძლება, ავირიდოთ ეს საფრთხე, რატომ ვერ ნიავდება თბილისი?**

– ასეთი საფრთხე ჰქონდა ლონდონს. იქიდან გამომდინარე, რომ ამ ქალაქში ჯერ კიდევ მეთექვსმეტე-მეჩვიდმეტე საუკუნეებიდან, ბინების გათბობის გამო, საკვამურებიდან გამოსული ბოლი ქალაქს ნისლსა და ნახშირში ხვევდა, საჭირო გახდა გადაუდებელი ზომების მიღება. ყველაზე ადრე გარემოს დაცვითი ინსპექცია შეიქმნა ჰაერის დაცვასთან დაკავშირებით ლონდონში. ჰაერის დაცვის ინსპექტორების სამსახური დღემდე მუშაობს ლონდონში. მძიმე მდგომარეობა ჰქონდა სამოცდაათიან წლებში ტოკიოს. ჩვენ იმ ზღვრამდე ჯერ არ მივსულვართ, მაგრამ ასე თუ გაგრძელდა, ალბათ, ბევრი არაფერი დაგვაკლდება. ამ მხრივ ძალიან საინტერესო სურათია ჩვენს მეზობელ ქვეყნებში. მაგალითად, ბაქომ და ერევანმა ძალიან ძველი მანქანების მოძრაობა აკრძალეს. თბილისში კი, მგონია, რომ მანქანების რაოდენობა უფრო მეტია, ვიდრე – მოსახლეობის. ამას ისიც ემატება, რომ ჩვენთან აბსოლუტურად მოუწესრიგებელია სატრანსპორტო მოძრაობა. პიკის საათი დილით რომ იწყება, ლამის საღამომდე გრძელდება. ეს ერთ-ერთი პირველი მომაკვდინებელი ფაქტორია ქალაქისთვის.

ახლა რაც შეეხება იმას, თუ რატომ ვერ ნიავდება თბილისი. წლების წინ თბილისი ნიავდებოდა, მაგრამ იქიდან გამომდინარე, რომ ქალაქში აშენდა ძალიან ბევრი მაღალსართულიანი შენობა, შეიცვალა ჰაერის ცირკულაცია, ეგრეთ წოდებული ვარდი. ფაქტია, რომ ქალაქი აღარ ნიავდება. ჩვენ გვქონდა ბევრი სარეკრეაციო ზონა, რომელთაგან ძალიან მწირი ნაწილი დაგვრჩა. ვერის ხეობა იძლეოდა ქალაქის განიავების საშუალებას. დღეს ჩვენ იქ გვაქვს ავტომაგისტრალი – დაბინძურების კიდევ ერთი წყარო. ამას დაუმატეთ ვაკის პარკი, იპოდრომი, მზიური, რომელთაც უკვე სულ სხვა სახე აქვთ. წინ უფრო ცუდი „პერსპექტივა" გველის, თუ ქალაქის სწორი დაგეგმარება და ზონირება არ მოხდა. უნდა გადაწყდეს, სად იქნება საცხოვრებელი კორპუსები, სად სხვა ტიპის. სად იქნება სავაჭრო ზონა და სად სხვა დანიშნულების ზონები. ახლა ყველაფერი არეულია – შუა ქალაქშია ეგრეთ წოდებული „ელიავას ბაზრობა", რაც ქალაქს დიდ პრობლემას უქმნის. რატომ არ შეიძლება, ეს ბაზრობა გადაიტანონ ქალაქის გარეუბანში, ისევე როგორც „ლილოს ბაზრობა"? იმ მდგომარეობას, რომელშიც ჩვენ დღეს ვიმყოფებით, ხელი იმანაც შეუწყო, რომ პრობლემები შეექმნა ქალაქის გარშემო მწვანე საფარის ბუფერულ ზონას. ტყის სარტყელი ქმნის თავის მიკროკლიმატს და ხელს უწყობს აერაციას. კოჯრის, წყნეთის ტყეები, რომლებიც გადმოეცა ქალაქის ზონას, სარტყელის სახით ძალიან სჭირდებოდა თბილისს. მაგრამ, დღეს ის ტყეები იჭრება, შენდება სახლები. აბა, ტყეებს ისე ხომ არ „მოვაცდენთ"?

**– თბილისის ეკოლოგიისთვის ასევე ცხელი წერტილია მტკვარი. რა მდგომარეობა გვაქვს ამ მიმართულებით?**

– მტკვარი თბილისს მართლაც დიდ საფრთხედ ექცა. ჩვენ მტკვარს ვერ ვიყენებთ ინფრასტრუქტუაში. მისი წყალი დაბინძურებულია. თუმცა, იქიდან გამომდინარე, რომ საბედნიეროდ, ეს არის წყალუხვი მდინარე კარგი განზავების პროცენტით, რეალური საფრთხის წინაშე ჯერ კიდევ არ ვდგავართ. მოუწესრიგებელი სანიაღვრე სისტემა, ქალაქის ათი პატარა მდინარე, რომლებიც მტკვარში ჩაედინება, აბინძურებს წყალს – მტკვრისთვის, ფაქტობრივად, კოლექტორებად გადაიქცა. გლდანულას, დიღმულას და ასევე, სხვა მდინარეებს მტკვარში ჩააქვს ნაგავი. ფაქტობრივად, არ იჭმევა მტკვრის თევზი. ასეთ მდგომარეობაში მდინარე არასდროს ყოფილა. მასში არ ხვდებოდა იმდენი ნაგავი, რაც ახლა ხვდება. 20 წლის განმავლობაში, ბევრი რამ დაგროვდა ერთად. საერთოდ არ იწმინდება ქალაქის სანიაღვრე სისტემა, რომელიც მერიას ეკუთვნის. არ არის შესწავლილი ქალაქის მიწისქვეშა წყლები და არავინ არ იცის, რა მდგომარეობაშია ის. თბილისში გვაქვს ექვსამდე მეწყერი, ვაკის, მთაწმინდის, მუხათგვერდის. ეს მეწყერები ასევე დიდი პრობლემაა თბილისისთვის. სანიაღვრე კოლექტორში კანალიზაციის ჩაშვება არ შეიძლება. ოთხი წლის წინ მზიურში აშენებული სახლებიდან კანალიზაცია ჩაედინებოდა სანიაღვრე სისტემაში, სანამ არ გაკეთდა სისტემა, რომელიც ამ პრობლემას მოაგვარებდა. მე არ ვარ დარწმუნებული, რომ ყველა სახლი, ავტოსამრეცხაო თავის წყალს კოლექტორში ღვრის. ხომ არ მიდის ეს წყალი სანიაღვრე სისტემებში? ამოწმებს ვინმე ამას?

**– ჰაერის ინსპექტორებისგან ჯერ ძალიან შორს ვართ, მაგრამ არსებობს გარემოს დაცვის სამინისტრო.**

– გარემოს დაცვის სამინისტროს კონტროლი თბილისში თითქმის არ გამოდის. თბილისი არის თვითმმართველი ქალაქი. შესაბამისად, დაგვიგროვდა ძალიან ბევრი პრობლემა. გარემოს დაცვის სააგენტოს მონიტორინგის მონაცემებით, ჰაერის ზეგადაჭარბებული დაბინძურების ნიშნულთან ვდგავართ. უცხოელების კვლევით, არსებული საფრთხეებიდან გამომდინარე, ორი წლის წინ თბილისი საცხოვრებლად ყველაზე არასასურველ ქალაქად ჩაითვალა. ალბათ, იციით, რომ თბილისის მოსახლეობაში გაზრდილია ალერგიული და სასუნთქი სისიტემის დაავადებები, სხვადასხვა პათოლოგიები ბავშვებში, რაც ერთ-ერთი ნიშანია იმის, რომ ეკოლოგიური პრობლემების შედეგად წარმოქმნილი საფრთხე უკვე საგანგაშო ზღვარს აღწევს. სასწრაფოდ უნდა მივიღოთ ზომები, რომ თავი ავარიდოთ ამ საფრთხეს. უნდა მოვუფრთხილდეთ იმ სარეკრეაციო ზონებს, რაც ჯერ კიდევ დარჩენილია. უნდა მოხდეს არა სახლების, არამედ სკვერებისა და პარკების განაშენიანება. ძალიან მნიშვნელოვანია ავტომანქანების გამართვა, საწვავის ხარისხი, გზების, სატრანსპორტო მაგისტრალების შექმნა და დაგეგმარება, დაუმთავრებელი მშენებლობების მონიტორინგი. ცოტა ხანში ქალაქი აღმოჩნდება ახალი პრობლემის წინაშე. ამ პრობლემად იქცევა სასმელი წყალი. შემოვლითი რკინიგზის პროექტის გაგრძელება საფრთხედ შეიძლება ექცეს თბილისის ზღვას, რომელიც არ არის ჩვეულებრივი წყლის ავზი. ეს არის ზღვა, რომელიც ამარაგებს თბილისის მოსახლეობის 25 პროცენტს. მასში ერთი წვეთი ნავთობი რომ მოხვდეს, ჩვენ მას ველარ გამოვიყენებთ და ძალიან დიდ რესურსს დავკარგავთ. ამაზე სპეციალისტები ვდაობთ. იმ პროექტის მიხედვით, რაც არის მოქმედი რკინიგზა, მაინც წყალგამყოფის აქეთ ხვდება. ამიტომაც ვითხოვთ, ამ პრობლემების გადაწყვეტაში აქტიურად ჩაერთონ სპეციალისტები, რომელთაც ამ მხრივ მუშაობის გამოცდილება აქვთ, რომ როგორმე, თავიდან ავიცილოთ ის ეკოლოგიური საფრთხეები, რომელთა წინაშეც დღეს თბილისი დგას.

**თამუნა სამადაშვილი**

**ხელოვან იური მეჩითოვის შემოქმედებას ყველა კარგად იცნობს. თუმცა, ის, რომ მისი დიდი ბაბუა დიდი სტალინის მშობლების მეგობარი და მეჯვარე იყო, საზოგადოებისთვის უცნობია. როგორც თავად ამბობს, ეს ამბავი თავადაც გადმოცემით, ბაბუისა და მამისგან იცის. ასევე, როგორც თავად ამბობს, სტალინის შესახებ თითქოს ყველამ ყველაფერი იცის, თუმცა, არსებობს ცხოვრების დეტალები, რომელიც მხოლოდ სააახლობლო წრისთვის იყო ცნობილი და ის ბელადის სულ სხვა ხასიათზე მეტყველებს.**

# როგორ გახდა იური მეჩითოვის ბაბუა სტალინის მშობლების ქორწილში ხელისმომკიდე

**– ბატონო იური, თქვენს ხელოვნებას კარგად ვიცნობ, მაგრამ თუ სტალინის ნათესავიც იყავით, ეს ნამდვილად არ ვიცოდი.**

– სტალინის ნათესავი რამდენად ვარ, ვერ გეტყვით, თუმცა, ჩემი ბაბუა მისი მშობლების ქორწილში რომ ხელისმომკიდე გახლდათ, ეს ფაქტია. ზოგადად, მეჩითოვები, ქართლიდან ვართ. არის ასეთი სოფელი – ზერტი, რომელიც სამაჩაბლოსთან ახლოს მდებარეობს და სადაც მეჩიტიშვილები და მეჩიტაშვილები ცხოვრობენ. მე არ ვარ იქ ნამყოფი და სულ მინდა, ჩავიდე და გავიცნო იქაურები. აი, სწორედ იქ არის ჩემი გვარის ფუძე. სხვათა შორის, მამაჩემი სულ ამბობდა, ჩვენი გვარი – მეჩიტიშვილი დავიბრუნოთო. სამი ძმა ვართ. მე და უმცროსი ძმა მეჩითოვები ვართ, შუათანა ძმა კი მეჩიტიშვილის გვარს ატარებს. ასე რომ, მეჩითოვები არ ვართ შემთხვევითი ხალხი, ძირძველი ქართველები ვართ, ქართლელები *(იცინის).*

**– თქვენ რატომ არ გადაიკეთეთ, ანუ დაიბრუნეთ ძველი გვარი?**

– მე ყველა მეჩითოვად მიცნობს და რატომ უნდა გადავიკეთო? ბოლოს და ბოლოს, ბალანჩინმა არ გააკეთა ეს და არ გადავიდა ბალანჩივაძეზე *(იცინის).* ხალხი მეჩითოვად მიცნობს და ასე რომ, არც კი მიფიქრია ამაზე. რაც შეეხება ჩემს დიდ ბაბუას – გლახო ზახაროვს, იგივე მეჩითოვს, ის ნამდვილად იყო სტალინის მშობლების – ბესარიონისა და ეკატერინეს, იგივე კეკეს ხელისმომკიდე ქორწილში. გლახო მათი კარის მეზობელი ყოფილა. ცხოვრობდნენ, სადაც ახლა სტალინის სახლი დგას გორში. მჭიდრო დასახლება ყოფილა და სწორედ იქ მდგარა სახლები. კარის მეზობელი რომ იყო, ფაქტია, ახლოსაც იქნებოდა და ამიტომაც, დაიყენეს გვერდით ქორწილში. გლახოს შვილები, ანუ პაპაჩემი და მისი ძმები კი, სტალინთან ერთად გაიზარდნენ, ერთად თამაშობდნენ. თავის დროზე, ის სახლები რომ დაანგრიეს და დაიწყო მოსახლეობის სხვადასხვა ადგილას გადასახლება, სტალინი უკვე კრემლში იჯდა. პაპაჩემის ძმები ხუმრობდნენ თურმე: მოდი, მივწეროთ მოსკოვში სტალინს, იქნებ შორს არ გადაგვასახლოს და აქვე, უკეთეს ადგილას დაგვასახლოს, ბოლოს და ბოლოს, ჩვენი ახლობელიაო. ერთი დაფიქრებულა და სიცილით უთქვამს ძმისთვის: მოიცა, კაცო, ისიც არ გაახსენდეს, ბავშვობაში რომ ვცემდით და ვაპანჩურებდით და სულ არ გაგვაციმბიროს, ჯობია, გავჩუმდეთო *(იცინის).* სტალინის შესახებ უამრავი ფაქტი არსებობს, ბევრს წერდნენ და წერენ ახლაც, მაგრამ ისეთი ფაქტები, მე რომ გადმოცემით ვიცი, არსად დაწერილა და არც თქმულა. ჩემი დიდი ბაბუა რომ ხელისმომკიდე იყო და პაპები ბელადის მეგობრები ბავშვობაში, ეს ნამდვილად ვიცი.



**სტალინის შესახებ უამრავი ფაქტი არსებობს, ბევრს წერდნენ და წერენ ახლაც, მაგრამ ისეთი ფაქტები ვიცი, რომელიც არსად დაწერილა და არც თქმულა**

**– კიდევ რას იხსენებდნენ ბაბუები სტალინის შესახებ?**

– მე ძალიან პატარა, რვა წლის ვიყავი, როცა ისინი გარდაიცვალნენ. მე თუ რაიმე ვიცი, მამის გადმოცემით. მამაც ამას ადასტურებდა, რაზეც მე ზემოთ გესაუბრეთ.

**– რაიმე ნივთი ხომ არ გაქვთ შემორჩენილი, რომელიც სტალინის დედ-მამამ ბაბუას უსახსოვრა?**

– სამწუხაროდ, ძველ ნივთებს არ ვიტოვებდით სახლში. თუმცა, შესაძლოა, მათი ნაჩუქარი რაიმე ნივთი, ნამდვილად ინახებოდა ჩვენთან. ამას არც მივაქცევდით ყურადღებას. სხვათა შორის, სტალინი, წელიწადნახევარი მუშაობდა ობსერვატორიაში, რომელიც, თბილისში, კერძოდ, პლეხანოვზე მდებარეობდა. შემდეგ მისი მემორიალური ოთახიც კი იყო იქ, მის პატივსაცემად. აი, იქ ინახებოდა მისი ნივთები. იქ ის ჰაერის, წყლისა და ნიადაგის ტემპერატურას ზომავდა. თურმე, პატიოსანი მუშაკი იყო და მოკრძალებულ ხელფასს

**სამი ძმა ვართ, მე და უმცროსი ძმა მეჩითოვები ვართ, შუათანა ძმა კი მეჩიტიშვილის გვარს ატარებს**

იღებდა. რომ ამბობენ, ის მხოლოდ ბოროტმოქმედი იყოო, არასწორია. მან სერიოზული ცხოვრების გზა გაიარა და თუ არ იცი მისი ცხოვრების დეტალები, მარტო ტირანის იარლიყის მიწებება, უბრალოდ, უხერხულია. არის ხალხი, რომელსაც ახლობლები, ოჯახის წევრები და მეგობრები დაუხვრიტეს 1937 წელს და მათთვის სტალინი, ტირანია. მაგრამ, არის ოჯახები, ვისაც ეს არ შეხებია, კარგად იცის იმ წყობის და რეჟიმის შესახებ, რაც მაშინ იყო და სულ სხვა აზრი აქვს. ასე რომ, თუ კარგად არ ერკვევი ამ ამბებში, ერთი ხელის მოსმით ადამიანზე აზრის გამოტანა, რთულია და სადავო.

**– თქვენი გვარიდან, თუ იყო რომელიმე 1937 წელს დაპატიმრებული ან გადასახლებული. თუ ამაშიც დიდი ბაბუის ახლობლობამ გაჭრა?**

– ჩემი გვარიდან არავინ ყოფილა 1937 წელს არც დაპატიმრებული და არც გადასახლებული და ამაში სტალინის ახლობლობა არაფერ შუაშია. ალბათ, პატიოსანი ხალხი იყო, არაფერში გარეულან და არაფერს აშავებდნენ. სტალინის ოჯახთან ახლობლობას არ უთამაშია ამაში არანაირი როლი. კიდევ ერთ ფაქტს გეტყვით სტალინის შესახებ. კერძოდ, სტალინი ბოლოს საქართველოს 1951 წელს ესტუმრა. ოქტომბერი იყო, წყალტუბოში ისვენებდა, იქიდან ჩასულა გელათში. შემოუვლია გელათი და უთქვამს: მინდა, ჩემი ცხოვრების ბოლო წლები გელათში გავატარო, აქ მინდა, ავიშენო ორსართულიანი სახლიო. სხვათა შორის, ამ სახლის პროექტიც არსებობდა. თუმცა, ვერ მოესწრო, რადგან 1953 წელს გარდაიცვალა და ეს მისი სურვილი, სურვილად დარჩა. სოფიკო ჭიაურელი იხსენებდა: მამა – მიხეილ ჭიაურელი იყო ჩასული კრემლში. აღდგომა დღე დაემთხვა. უსაუბრიათ და ბოლოს, რომ დამშვიდობებია და წამოსულა, კარებში სტალინს შეუჩერებია. მისთვის ჯიბეში რაღაც ჩაუდევს, თან უთქვამს, ახლა ამას ნუ ნახავ, აქედან რომ გახვალ, მერე ნახეო. იცით რა ჩაუდო სტალინმა მიხეილ ჭიაურელს ჯიბეში? წითლად შეღებილი კვერცხი. ასევე, მოსკოვის საზღვარს რომ მოადგა გერმანიის ჯარი, მეორე მსოფლიო ომის დროს, სტალინს უბრძანებია, ხატი თვითმფრინავში ჩაასვენეთ და მოსკოვს ზემოდან შემოატარეთო. ასე რომ, მასში არა მარტო ტირანის, მართლმადიდებლის ბუნებაც ჭარბი იყო.

**– სტალინის ნათლია თქვენი დიდი ბაბუა ხომ არ იყო?**

– ნამდვილად არ ვიცი, ჩემი დიდი ბაბუა იყო თუ არა სტალინის ნათლია, მაგრამ ქრისტიანი რომ იყო და ის, რაც მოგიყევით, ნამდვილი ფაქტებია, ამას ვერავინ უარყოფს.

**– როგორც ვიცი, ერთ-ერთმა უცხოელმა რეჟისორმა გადაიღო ფილმი სტალინის შესახებ, სადაც თქვენც მონაწილეობთ. რა როლი გქონდათ ამ ფილმში?**

– დიახ, ავსტრიელმა რეჟისორმა, 1999 წელს გადაიღო ფილმი, რომელსაც ჰქვია „სტალინი – წითელი ღმერთი". ამ ფილმში ხაზი გაესვა სტალინის დამოკიდებულებას რელიგიისადმი. მხატვრულ-დოკუმენტური ფილმი გახლავთ. მე ამ ფილმში სტალინის მამას ვთამაშობდი. „აზიაცკები" მეცვა და ხმამაღლა ვყვიროდი, ვიგინებოდი. ასე რომ, სამი კვირა ვიყავი პატარა სტალინის მამა *(იცინის).*

**ნონა დათეშიძე**

**„ჯიდიესმა“ თავი დაიმკვიდრა როგორც ტელეკომპანიამ, რომელიც სხვა ქართული არხებისგან სრულიად განსხვავებულ პროდუქტს გვთავაზობს. ხშირ შემთხვევაში, პროდიუსერები მიდიან რისკზე და ხელს ისეთ პროექტს კიდებენ, რაც ძალიან ხარისხიანია და იმას არ აქცევენ ყურადღებას, არის თუ არა ეს პროდუქტი გათვლილი მასაზე. სერიალმა „პანიკის გარეშე“ მოახერხა გარღვევა და დაამტკიცა, რომ თუნდაც ფანტასტიკური სერიალი, რასაც ქართველი მაყურებელი მიუჩვეველია, შეიძლება, გახდეს სუპერპოპულარული და დაიპყროს სოციალური ქსელები. „პანიკის გარეშეს“ მსახიობები – გოგა ბარბაქაძე და მარიამ ნადირაძე სერიალის მეორე სეზონისთვის ემზადებიან.**

# რა ცოდვების გამოსყიდვას ცდილობს გოგა ბარბაქაძე და რატომ გაიმეტა ის „კაგებემ“ მოსაკლავად

**მარიამ ნადირაძე:** სერიალზე მუშაობა გასულ ზაფხულს დავიწყეთ. პირველ სეზონში იყო ხუთი სერია და ახლა მუშაობა დავიწყეთ მეორე სეზონზე. გადაღებები უკვე დაწყებულია. პირველ სეზონს ძალიან დიდი წარმატება ჰქონდა. პირადად მე, ყოველდღე მეკითხებიან, როდის დაიწყება ახალი სეზონიო და იმედი მაქვს, ის კიდევ უფრო მაგარი იქნება.

**– რა განასხვავებს ამ სერიალს სხვა კომედიური სერიალებისგან, რაც აქამდე გვინახავს?**

**გოგა ბარბაქაძე:** ბევრი რამით. უპირველესად, იმით, რომ პირველი ფანტასტიკურ-კომედიური სერიალია, სადაც იუმორიც არის, სევდაც და თან, ძალიან კარგი მსახიობებია. მხიარულია, ცხოვრებისეულიც და ბევრია თბილისური მომენტებიც. ეს არ არის სადმე ნანახი ან გადმოღებული სერიალი, რომელიმე სხვა სერიალიდან – თავიდან ბოლომდე დამზადებულია საქართველოში. ასეთი ხერხისთვის ჯერ არავის მიუმართავს საქართველოში.

**– გოგა, შენ გმირზე მომიყევი. რა მისია აქვს?**

– შეუსრულებელი მისია *(იცინიან)*. ვანსახიერებ გარდაცვლილ ბაბუას, რომელიც ბრუნდება ქვემოდან და არა ზემოდან, ანუ ჯოჯოხეთიდან...

**– ჯოჯოხეთი ნამდვილად იცით, რომ ქვემოთ არის?**

– ალბათ. შუაში რომ არ არის, ფაქტია. ჯოჯოხეთი კომუნიზმთან ასოცირდება. ძალიან ჰგავს კომუნისტურ პერიოდს და ესეც კარგი დეტალია. ხალხი რომ ბნელი იყო, იმ დროს გარდაიცვალე და ებრუნდები, რომ ჩემი ცოდვები მოვინანიო და რაც იქ არ მასვენებდა, ის გამოვასწორო... მომცეს ამის შანსი. მინდა, ჩემი შვილიშვილიც სწორ გზაზე დავაყენო, რომელიც ცოტა არეულად ცხოვრობს, დეპრესიულია, სვამს.

**მარიამი:** ამბობენ, წინაპრების ცოდვები შთამომავლობაზე გადადისო და...

**გოგა:** ამდენი არ ვიცი, მაგრამ სერიალში ეს ხაზიცაა – ბაბუის საქციელები შვილიშვილს არ ასვენებს, ოღონდ ისე, რომ ეს თვითონაც არ იცის. ჯოჯოხეთიდან მომყვება ერთი წარმომადგენელი, სპეციალურად გამოაგზავნეს, რომ ჩემი მიზნების შესრულებას ხელი შეუშალოს. ამის გამო, ამბები ძალიან საინტერესოდ ვითარდება. ცელქი ბაბუ ვარ, მოკლედ.

**– ბავშვობაში სულების არსებობის თუ გჯეროდა, ან თუ გეშინოდა?**

– კი, მჯეროდა. მით უმეტეს, ჩვენს ბავშვობაში ცოტა იყო გასართობი. თუმცა, სულები არ გამომიძახია და თეფში არ დამიტრიალებია. მაგრამ, ვილაცეები ამას აკეთებდნენ და გამიგია, კიდეც ამის შესახებ. ვერ ვხვდებოდი, რატომ უნდა გამომეძახებინა *(იცინის)*.

**– რას ჰკითხავდი ბაბუის სულს?**

– არ ვიცი, წარმოდგენა არ მაქვს. ალბათ, ეგ აზრი რომ არ დამებადა, იმიტომაც არ გამომიძახებია, თორემ, რამე კითხვა რომ გამჩენოდა, პასუხის მიღებასაც შევეცდებოდი. რამ შეიძლება დამაინტერესოს უკვე გარდაცვლილი ადამიანისგან? წარმოდგენა არ მაქვს.

**მარიამი:** მე, მაგალითად, ბაბუაჩემს ვკითხავდი, პირადად ჩემზე და ჩემს თაობაზე, რას ფიქრობს. ის, რაზეც ვფიქრობ და ის, რაც ჩემთვის მნიშვნელოვანია, შეიძლება, მისი თაობისთვის მიუღებელია. დამაინტერესებდა მისი აზრი. ამ დროს ყოველთვის ანტერესებთ, რა ხდება სიკვდილის შემდეგ. მაგრამ, სიმართლე გითხრათ, არ ვიცი, რამდენად დამაინტერესებდა ეს საკითხი. ჩემს წარმოსახვაში ჯოჯოხეთი იმ ადგილს ჰგავს, საიდანაც გოგა მოვიდა *(იცინის)*.



**მარიამი: „ჩემს წარმოსახვაში ჯოჯოხეთი იმ ადგილს ჰგავს, საიდანაც გოგა მოვიდა“**

**– შენ და გოგა ერთ-ერთ სერიალში შეყვარებულებს ასახიერებდით. ახლა ვინ ხარ მისთვის?**

– შვილიშვილის მეგობარი. ვასახიერებ 20-24 წლის გოგოს, რომელიც რადიკალურად განსხვავებულ დროს არის დაბადებული გოგასგან, სულ სხვანაირად აზროვნებს და ბევრი მისი საქციელი გოგასთვის აბსოლუტურად მიუღებელია. რაც დღეს ისედაც ხდება და ალბათ, ჩვენც არ მოგვეწონება ბევრი რამ მომავალ თაობებში. ეს თაობათა დაპირისპირება ყოველთვის ძალიან საინტერესოა. ეს არის ძალიან მხიარული და მეგობრული გოგო, რომელიც ეხმარება თავის მეგობარს პრობლემების გადალახვაში. ბაბუის გამოჩენის შემდეგ კი, ყველაფერი იხლართება.

**– რა ცოდვები აქვს ბაბუას ასეთი მძიმე?**

**გოგა:** საბჭოთა კავშირის დროს ვიყავი „კაგებეშნიკი“ და „კაგებესგან“ მქონდა დავალებული, შემემოწმებინა წერილები: ვინ ვის რას სწერდა, უნდა გამომეტანა შინაარსი და თუ რაიმე საეჭვოდ მომეჩვენებოდა და ეწინააღმდეგებოდა დიად საბჭოთა იდეას – ნამგალსა და უროს, უნდა გადამეგზავნა „კაგებეში.“ მერე მათ იჭერდნენ, ან აციმბირებდნენ – როგორც ხდებოდა მაშინ.

**მარიამი:** ძალიან კარგად არის ასახული ეს საკმაოდ მძიმე თემა იუმორისტულ სერიალში.

**გოგა:** ამას გარდა, ფიგურირებს განძის თემაც. ერთ-ერთ წერილში ბაბუა წააწყდა საინტერესო თემას, სადაც წერია, რომ ამა და ამ ადგილას აღმოაჩინეს დიდძალი განძი – ოქროულობა, ბრილიანტები და ყველაფერი კარგი. ეს წერილი უკვე აღარსად აღარ გადავაგზავნე და ჩემთვის შევინახე. „კაგებე“ ამას მიხვდება, მესვრიან, მომკლავენ და დამაგდებენ ძალლივით.

**– და ახლა გინდა შვილიშვილს ეს განძი აპოვნინო?**

– ჰო, აბა, რა, კაცო. აბა, მე რად მინდა, „იქ“ ხომ ვერ წავიღებ?!

**მარიამი:** საკმაოდ საინტერესო და მრავალფეროვანი სიუჟეტია, რის ხარჯზეც ამ სერიალს საკმაოდ ხარისხიანი მაყურებელიც ჰყავს – ვისი აზრიც მაინტერესებს, ვინც ჩემთვის კორექტული და მნიშვნელოვანია. იდეიდან დაწყებული, გრიმით დამთავრებული – მართლა ძალიან ხარისხიანი სერიალია და ჩვენი მიზანია სწორედ ამ ხარისხს შევაჩვიოთ მაყურებლის ფართო მასები. ხუთმა სერიამ იმხელა გამოხმაურება მოიპოვა, რომ დარწმუნებული ვარ, წინ დიდი ამბები გველის.

**– გოგა, სერიალების მიმართ ცოტა სკეპტიკურად იყავი განწყობილი და აღარ გინდოდა მონაწილეობის მიღება...**

**გოგა:** მთავარი ფაქტორი იყო რეჟისორი – ლევანი. მასთან ერთადაც ჯერ „შუა ქალაქში“ ვიმუშავე, ოპერატორი იყო. მერე გადაიღო ჩემი უსაყვარლესი ზღაპარი „ანო და ვანოს თავგადასავალი“, რაზეც ასევე ერთად ვიმუშავეთ. მჯერა მისი, ვიცი, როგორი მუშა ადამიანია და საერთოდ, თავს არ ზოგავს. როგორ ცხოვრობს ეს ადამიანი, არ ვიცი – არ ჭამს, არ სძინავს.. ორითვე ისე იმუშავებს, რომ შენ დაგღლის და თან, არასდროს წუწუნებს. ენერგაიზერია. რადგან ლევანმა შემომთავაზა ეს ამბავი, თან სცენარი რომ წავიკითხე, მომეწონა, დავთანხმდი. დარწმუნებული ვიყავი, რადგან ეს ხალხი იყო ჩართული, ცუდი არ გამოვიდოდა.

**– შენ რას იტყვი?**

**მარიამი:** ჩემთვის სერიალები ძალიან საინტერესოა. მე იმხელა გამოცდილება არ მაქვს, როგორც გოგას, თუმცა ჩემს პირველ სერიალში, სწორედ გოგა იყო ჩემი პარტნიორი. ვფიქრობ, ოცდამეერთე საუკუნეში სერიალებმა სრულიად ახალი დატვირთვა მიიღო. ბევრი სერიალი, რომელსაც ინტერნეტით ვიწერთ, ველოდებით სეზონებს, ხშირად ფილმებს ჯობია. უკვე ნამდვილ კინოს უტოლდება. ჩემთვის ეს საპნის ოპერა არ არის. ჩვენი სერიალიც ფილმზე მუშაობას უდრის. ლევანთან ამ დოზით შეხება არ მქონია, მაგრამ ჩემთან დაკავშირებითაც იგივე ფაქტორმა იმუშავა. არსებობს რაღაცეები, რასაც ერთი შეხედვითვე ხვდები, რომ კარგია და იქიდან კარგი რაღაც გამოვა. თან, მსახიობებს არ გვაქვს იმის ფუფუნება, რომ ბევრი ფილმი და სერიალი იყოს ხარისხიანი.

**– გოგა, თეატრში, კინოში რა ხდება?**

**გოგა:** ახლა მქონდა პრემიერა თავისუფალ თეატრში. დაიდგა „რიჩარდ მესამე“.

**მარიამი:** გოგა თამაშობს რიჩარდ მესამეს.

**გოგა:** ვცდილობ. ძალიან რთული სამუშაო რეჟიმი გვქონდა, ოცდაოთხი საათი იქ ვიყავით და ახლა ცოტა ხანს ვისვენებთ. ბატონი რობერტ სტურუაა წასული არგენტინაში. საინტერესო თემებზეა ლაპარაკი და ველოდებით, ვნახოთ, რა იქნება. რაც შეეხება კინოს, დიდი ხანია, არანაირი შემოთავაზება არ მქონია. სამწუხაროდ, ისე ხდება, რაც უფრო პოპულარული ხარ, მით უფრო ნაკლებად გაკავებენ კინოში. ასე მარტო საქართველოში ხდება. რა არის ამის მიზეზი, არ ვიცი, ჩემთვის ამოუხსნელია. ახალი სახის ძებნა არ ნიშნავს, რომ თუ რაღაც ერთს გააკეთებ, სხვა რამის გაკეთების საშუალება აღარ მოგეცეს.

**– ოჯახში რა ხდება?**

– ველოდებით მეორე შვილს და ვართ.

**სალომე გველესიანი**

# ვინ ურჩევდა თორნიკე ტყემალაძეს ყოველდღე საქმეებს

*13 თებერვალს ჟიურიმ „მისტერ ვალენტინი“ გამოავლინა – „იმიჯ ცენტრის“ 22 წლის მოდელი, **თორნიკე ტყემალაძე**, რომელიც მომავალი ჟურნალისტია. დაახლოებით ორი წლის განმავლობაში, „ბიზნეს კურიერში“ მუშაობდა. მაგრამ, აქტიურ ჟურნალისტობას დროებით თავი დაანება და მთლიანად სწავლას დაუთმო დრო.*

**თორნიკე ტყემალაძე:** სამი წლის წინ, საქართველოს უნივერსიტეტში ჩავაბარე ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე. პარალელურად, „ბიზნეს კურიერში“ ვმუშაობდი. ვაკანსია იყო გამოცხადებული. თავიდან სტაჟიორად ამიყვანეს, სამი თვის შემდეგ კი, შტატში ჩამსვეს. ორი წელი ვიმუშავე, მაგრამ შემდეგ სწავლა და მუშაობა დროში ერთმანეთს ვერ შევუთავსე. ამიტომ, ოჯახისა და ჩემი გადაწყვეტილებით, აქტიურ ჟურნალისტიკას თავი დავანებე.

**– კიდევ რით ხარ დაკავებული?**

– ადრე, ექვსი წელი ვცეკვავდი. შემდეგ წყალბურთზე შევედი, საქართველოს ნაკრებშიც ვიყავი. მაგრამ, დავანებე თავი და მთლიანად სწავლაზე გადავერთე. შემდეგ „იმიჯ ცენტრმა“ გამოაცხადა კონკურსი – „ნიუ ფეის მოდელ სერჩ“, რომელსაც საქართველოში „მისტერ საქართველოდ“ მოიხსენიებენ. სააგენტოში მეგობარ გოგონას გავყევი, ის დაიწუნეს და მე შემომთავაზეს კონტრაქტი. მაშინვე დავთანხმდი. კონკურსში გამოვედი და მეორე ადგილზე გავედი.

ბევრ ქართულ და უცხოურ ჟურნალში მქონდა გადაღებები. ცოტა ხნის წინ Luxury-სთვის გადამიღეს: შვიდი ფოტო მოხვდა ჟურნალში, ავთანდილის სამოსი მეცვა. კაზინო „აჭარის“ ბილბორდებზეც ვიყავი.



**– ზრუნავ საკუთარ გარეგნობაზე?**

– ვუვლი თავს, ოღონდ განსაკუთრებულს არაფერს ვაკეთებ: დილით თმას ვივარცხნი, პირს ვიბან და გამოვდივარ გარეთ. სოლარიუმში სიარული არ მიყვარს, არც პლასტიკური ოპერაციები. არც ბოტოქსი მაქვს გაკეთებული, როგორც მაბრალებენ და წერენ. ერთადერთი, რინოპლასტიკა, ანუ ცხვირის ოპერაცია მაქვს გაკეთებული. არ მქონდა ძალიან ცუდი ცხვირი, უბრალოდ, არ მომწონდა, დისკომფორტს მიქმნიდა, შინაგანად „მგრუზავდა“.

**– თუ გაქვს საინტერესო შემოთავაზებები?**

– ბაქოში იხსნება „გუჩის“, „არმანის“, სხვადასხვა ცნობილი ბრენდის მაღაზიები და ამასთან დაკავშირებით, იმართება „ფეშენ-ვიქი“. მე მივდივარ მონაწილეობის მისაღებად. ფინანსურად მომგებიანია, თან ძალიან კარგია, როცა „გუჩი“ და „არმანი“ გაცვია. ბოლოს ბრაზილიიდან მქონდა შემოთავაზება, ასევე მილანიდან, მაგრამ 6 თვით უნდა წავსულიყავი და უარი ვთქვი.

**– ახლა რომელ სააგენტოსთან გაქვს კონტრაქტი?**

– ჯერჯერობით „იმიჯ ცენტრის“ მოდელი ვარ, თებერვალში მიმთავრდება კონტრაქტი, სამი წელი გადის. ვნახოთ, შეიძლება, „ბესტ მოდელში“, კახა ხაბეიშვილთან განვაგრძო მუშაობა ან დამოუკიდებელი მოდელი ვიყო.

**– შენს გამარჯვებას დიდი მითქმა-მოთქმა მოჰყვა. ზოგი გაბრალებს, რომ კონკურსი ჩააწყვე, ფული გადაიხდე „მისტერ ვალენტინის“ ტიტულის მოსაგებად.**

– საქართველოში არავის გამარჯვება არ უხარიათ. ირინა შეიკი რომ ჩამოიყვანონ და ის გახდეს „მის საქართველო“, იმაზეც იტყვიან ჩაწყობით იყოო. თურმე ათასები გადავიხადე, რომ მომეგო. შეძლებული ოჯახი კი მაქვს, არ გვიჭირს, მაგრამ ფული თავზე არ გადაგვდის. თან, მამა და დედა იმას არ იკადრებდნენ, რომ ფული გადაეხადათ და ჩემთვის გამარჯვება ჩაეწყოთ, მით უმეტეს, სამოდელო კონკურსზე. ჩივიან ისეთი ადამიანები, რომლებიც არც პროფესიონალები არიან და არც არაფერს წარმოადგენენ ჩემთვის. ამაზე მეცინება, მეტი რეაქცია არ მაქვს.

**– როგორი იყავი ბავშვობაში?**

– ყოველთვის აქტიური ვიყავი, არასდროს ვყოფილვარ წყნარი. სკოლაში ყოველდღე ჩხუბი მქონდა. ბიჭები მეჩხუბებოდნენ: გოგონები შენთან რატომ მეგობრობენ და ჩვენთან რატომ არაო. რატომ იყავი გუშინ კაფეში მათთან ერთად და ჩვენ რატომ არ დაგვირეკეო. მაშინ პატარები ვიყავით და ეს ყველაფერი სერიოზულ ჩხუბშიც გადადიოდა – იყო გარჩევები სკოლის ტუალეტში.

**– როგორი გოგონები მოგწონს?**

– მაღალი, გამხდარი, ცოტა სლავური გარეგნობის – ქერა, ცისფერთვალება, უკეთესია, მაგრამ შავგვრემანსაც არა უშავს. მომწონს წარმატებული, მიზანდასახული გოგონები. უნდა ჰქონდეს იუმორის გრძნობა, რადგან მე ეს გრძნობა გამძაფრებული მაქვს. კარგი ოჯახის შვილიც უნდა იყოს. ამჟამად ერთი მოდელი გოგონათი ვარ დაინტერესებული, რომლის სახელსა და გვარს არ დავასახელებ.

# როგორ უნდა ასიამოვნოს საყვარელმა მამაკაცმა ტატა თეთრუაშვილს და რა მთავრდება მის გამო ზოგჯერ ცუდად

*17 წლის **ტატა თეთრუაშვილი** სამოდელო სააგენტო „ბესტ მოდელის” მოდელია. მისი სამოდელო კარიერა დაახლოებით ორი წლის წინ დაიწყო და დღემდე წარმატებულად გრძელდება.*

**ტატა თეთრუაშვილი:** „ბესტ მოდელი” ერთ-ერთი გამორჩეული სააგენტოა, ამიტომაც გადავწყვიტე იქ სიარული. სააგენტოში ბევრი პროექტი ხორციელდება და, რაც მთავარია, გოგონები ძალიან კარგად პიარდებიან. ბატონი კახი ხაბეიშვილი ყველანაირად ცდილობს, დაგვეხმაროს, გაგვაპიაროს. ადრე ვმონაწილეობდი კონკურსში „მის თბილისი და მისტერ თბილისი” და გავხდი „მის შარმი”. კახის დამსახურებაა ყველაფერი, მასთან გავიზარდე, დავიხვეწე და საზოგადოებაშიც გამოვჩნდი, რაც ძალიან მახარებს.



**– რას საქმიანობ?**

– თავიდან თეატრალურში მინდოდა ჩაბარება – რატომღაც, ავიტეხე, მაგრამ, დედას არ უნდოდა. ახლა უფრო იურიდიული ან ჟურნალისტიკა მინდა. ვემზადები გამოცდებისთვის და საკმაოდ დაკავებული ვარ.

**– როგორი გართობა გიყვარს?**

– ძირითადად, მეგობრებთან ერთად პიკნიკებზე, ესეც სპონტანურად ხდება, კარვებით. თუმცა, ორ დღეზე მეტხანს ვერ გავჩერდები – მერე ერთი და იგივე მოსაბეზრებელია. კლუბებში მხოლოდ ჩვენებების შემდეგ, „ავთერ ფართიზე” დავდივარ.

**– რა არის შენთვის კომფორტი?**

– გოგონები ამპარტავანს მეძახიან, რატომ – არ ვიცი. მიყვარს კომფორტი და ვითხოვ ისეთ რამეს, რისი გაკეთებაც შესაძლებელია. შეუძლებელს არაფერს მოვითხოვ. შესაბამისად, როცა მინიმუმს არ მიკეთებენ, მერე ცუდ ხასიათზეც ვდგები და ამპარტავანიც ვხდები. ძალიან ცუდი გაბრაზება ვიცი და დიდხანს მიმყვება წყენა. მერე მეც მინდება, რომ ანალოგიური გავუკეთო, თუმცა, ამას იშვიათად ვაკეთებ, შინაგანად მღრღნის. მაგრამ, ისე მიყვარს ჩემი თავი, რომ ზედმეტად არაფერს დავუშავებ. საკუთარი თავის მიმართ ზოგჯერ ვარ კრიტიკული, მაგრამ, მაინც მომწონს როგორც ახალგაღვიძებულზე, ასევე, უმაკიაჟოდ, ზოგადად ყველანაირ ფორმაში.

**– საკმაოდ ენერგიული და ხალისიანი ხარ.**

– დიახ, ცუდ ხასიათზე რომ ვარ, მაშინაც ვიცინი. მარტო რომ ვრჩები, ნოსტალგიურ სიმღერებს რომ ვუსმენ, მერე მომაწვება ხოლმე ცუდი ემოციები.

**– გყავს შეყვარებული?**

– მყავს. საერთოდ, სპონტანურად მიყვარდება. ანუ, ჩვენი ურთიერთობაც სპონტანურად განვითარდა. დაგეგმილი რაღაცეები არ მიყვარს. ერთი რამ ვიცი, რომ მამაკაცის ვიზუალს არ ვაქცევ დიდ ყურადღებას. მთავარია, მის გვერდით დგომა არ შემრცხვეს, არ დავკომპლექსდე. რაც მთავარია, ყოველთვის უნდა მასიამოვნოს. მიყვარს ყურადღების ცენტრში ყოფნა, მით უმეტეს, ეს უფრო კარგია საყვარელი ადამიანის მხრიდან, ამიტომ, ყურადღებას სულ ვითხოვ. „სტერვასაც” მეძახიან, ანუ, რატომღაც, ერთი შეხედვით, ხალხს „სტერვა” და ამპარტავანი ვგონივარ, არადა, ნამდვილად არ ვარ ასეთი. ჩემი შეყვარებულის გარდა ყველა მეუბნება ამას. თან, ისეთი ვუყვარვარ როგორიც ვარ: ჯანდაბას, იყავი „სტერვაო”. ძალიან მიყვარს, ბიჭი რომ ეჭვიანობს, ყოველთვის ვცდილობ, ვაეჭვიანო, ეს კი ცუდით მთავრდება ხოლმე, ჩხუბითაც, მაგრამ, როცა აეჭვიანებ, გრძნობ, რომ ძალიან უყვარხარ და ეს კარგი მომენტია.

**– ამისთვის რას აკეთებ?**

– უცებ მომივლის ხოლმე. მეც უაზროდ ეჭვიანი ვარ, შეიძლება, გამვლელზეც ვიეჭვიანო, თუმცა, ამას ხმამაღლა არ ვამბობ, მაგრამ, შეიძლება ტირილით გავსკდე, ოღონდ, არ ვიმჩნევ. რაც შეეხება აკრძალვებს, შეზღუდვებს, ამას ორი მომენტი აქვს: ერთი მხრივ, მსიამოვნებს, რომ მაკონტროლებს და ზრუნავს ჩემზე, მაგრამ, მეორე მხრივ, ამით თავს მაბეზრებს. ანუ, თავიდან, რაღაც მომენტში, სასიამოვნოა კონტროლი, მაგრამ მერე გბეზრდება. თან, არ შემიძლია ასეთ დროს დათმობაზე წასვლა. როდესაც მინდა, რაღაც გავაკეთო, შეიძლება ამას ცუდი რამ მოჰყვეს, მაგრამ, ვიცი, რომ მე ბედნიერი ვიქნები ამით და, ამიტომ, ვაკეთებ. ამის გამო, შეიძლება ძალიან ვიჩხუბო სახლში, მეგობართან, შეყვარებულთან, მაგრამ, მე ეს მინდა და უნდა გავაკეთო, თუნდაც მერე საშინელება მოჰყვეს. იმ მომენტში ხომ ბედნიერი ვიქნები, ამიტომ, ამ მოცემული მომენტით უნდა ვიცხოვრო.

**– როგორია შეყვარებული ტატა?**

– მეუბნებიან, რომ სიყვარული არ შემიძლია. ყველა ერთი დოზით მიყვარს. შეყვარებულზე ვენებს რომ იჭრიან, „უსატკავებენ” და აბოდებენ, ასეთები არ მჭირს. იდიოტობებსაც არ ვაკეთებ, ყურადღებიანიც საერთოდ არ ვარ. ის ყურადღებიანია, ანუ, მე ყველაფერში მინუსი და მინუსი ვარ, ის კი პლუსი და პლუსია.

**მოამზადა ტატა დევდარიანმა**

# რა პრინციპით დადგინდა საზღვარი ქართლსა და სომხეთს შორის მეოთხე საუკუნეში და როგორ დააზავა კონსტანტინე კეისარმა მათი მეფეები

ერების განსახლება და სახელმწიფოებს შორის არსებული საზღვრები გარკვეულ ლოგიკას ექვემდებარება.

ჩვენი წელთაღრიცხვით 260 წელს სპარსელებმა რომაელები დაამარცხეს. ისინი ჩვენს რეგიონში გაბატონდნენ. სომხური სახელმწიფოს სპარსული წარმოშობის დინასტიის წარმომადგენელი – მეფე ტირიდატი რომში გაიქცა. „ქართლის ცხოვრებაში" ტირიდატი ცნობილია, როგორც „ძე კოსაროს სომეხთა მეფისა, სახელით თრდატ... და იყო იგი გოლიათი".

ქართლი სამეფო ტახტს ინარჩუნებდა, თუმცა სპარსეთის ჰეგემონიას რეგიონში აღიარებდა და იძულებული იყო, მისი მოკავშირე ყოფილიყო.



284 წელს რომის იმპერატორი გახდა წმიდა გიორგის მწამებელი დიოკლიტიანე. დიოკლიტიანემ თანაიმპერატორად მაქსიმიანე დაისვა. ორივე ავგუსტუსის ტიტულს ატარებდა. დიოკლიტიანემ მოადგილე კეისრად გალერიუსი გამოაცხადა, მაქსიმიანემ კი – კონსტანციუს ქლორუსი. ეს იყო „ტეტრარქია" – ოთხთა მმართველობა.

რომის იმპერიას ველური გერმანული ტომები შეესივნენ. ბრძოლის ველზე გუთების მეფემ რომაელთა ერთ-ერთ კეისარს ერთი ერთზე შერკინება მოსთხოვა. კეისარმა ხრიკი იხმარა, თავისი ჯაჭვ-საჭურველი სომეხთა მეფის გოლიათ ძეს თრდატს (ტირიდატს) ჩააცვა და თავის მაგივრად გაუშვა გერმანელთა ბელადთან საბრძოლველად. თრდატმა დაამარცხა გუთი და შეიპყრო. გერმანელები გაიქცნენ.

რომაელებმა დაუფასეს თრდატს. კეისარმა ჯარი მისცა და არმენიაში გამოაგზავნა. თრდატმა ისარგებლა სპარსეთში ტახტისთვის ატეხილი ძმათაშორისი ომით და სომხეთის ტახტი დაიბრუნა, თუმცა დროებით. შემდგომ, მას კვლავ მოუწია რომში გაქცევა.

იმ პერიოდში კაბადოკიაში ცხოვრობდა წარჩინებული ზაბულონი, წმიდა გიორგის მეგობარი და ნათესავი. ზაბულონი შევიდა მაქსიმიანეს სამსახურში, რომელიც რომის იმპერიის დასავლეთ ნაწილებს განაგებდა. ზაბულონმა ფრანკების წინააღმდეგ ბრძოლაში თავი გამოიჩინა, როგორც მხედარმა და სარდალმა. მან დაამარცხა გალები და ფრანკები. შემდეგ გამოსთხოვა მათი ბელადების სიცოცხლე მაქსიმიანეს და რომის პაპის კურთხევით, ფრანკთა ტომები ქრისტეს სჯულზე მოაქცია. ამის მერე ზაბულონი დაბრუნდა კაბადოკიაში, იქორწინა იერუსალიმის მომავალი პატრიარქის, იუბენალის დაზე, სოსანაზე. მათ შეეძინათ ასული ნინო.

მაქსიმიანე კეისარს მრავალი თავგადასავალი გადახდა. იგი დიოკლიტიანეზე არანაკლებ ვერაგი და გაიძვერა იყო, ქრისტიანთა მდევნელი და მატყუარა, თუმცა ნაკლებად ნიჭიერი. მაქსიმიანემ ბოლოს თავი მოიკლა, რადგან კონსტანტინე ქლორუსის ძეს და მემკვიდრეს – კონსტანტინე იმპერატორს განძი მოჰპარა და აუჯანყდა. კონსტანტინე მისი სიძე იყო, მან მოხუცი მაქსიმიანე, საკუთარი ძის – მაქსენციუსის მიერ დევნილი, შეიწყნარა. თუმცა მაქსიმიანემ ღალატით უპასუხა.

კონსტანტინე იმპერატორმა 313 წელს გამოსცა მილანის ედიქტი, რითაც დასრულდა ქრისტიანთა დევნა და ქრისტიანობა ოფიციალურ რელიგიად გამოცხადდა. კონსტანტინე თავადაც მოინათლა, ჩაატარა მსოფლიო საეკლესიო კრება, დედასთან, ელენე დედოფალთან ერთად, გააქრისტიანა რომის იმპერიის დიდი ნაწილი და საბერძნეთი. ქრისტიანულმა სამყარომ კონსტანტინე და ელენე წმიდანებად აღიარა, მიუხედავად იმისა, რომ კონსტანტინე გაქრისტიანებამდე დიდად ცოდვილი იყო.

მეთერთმეტე საუკუნეში საფრანგეთში, მარსელში იპოვეს მაქსიმიანეს სარკოფაგი. მისი დაბალზამებული, კარგად შენახული ცხედარი, მარსელის არქიეპისკოპოსის ბრძანებით, როგორც ქრისტესა და კონსტანტინეს მტრისა, ზღვაში გადააგდეს. ლეგენდის მიხედვით, სადაც ქრისტიანთა ვერაგი მტრის გვამი ჩავარდა, ზღვა განუწყვეტლივ მძვინვარებს ქარიშხლისგან.

298 წელს გალერიუსმა დაამარცხა სპარსეთი. ნისიბინის ზავით იბერია, სომხეთი და მესოპოტამია რომაელთა გავლენის ქვეშ აღმოჩნდა. თრდატმა ტახტი დაიბრუნა.

ამის შემდგომ კონსტანტინე იმპერატორმაც დაამარცხა სპარსელები და მათი მოკავშირე მირიან მესამე, იბერიის (ქართლის) მეფე. მირიანმა მას თავისი ძე, ბაქარი მისცა მძევლად. ქართლის მეფის გადასაბირებლად რომაელებმა დიდძალი საჩუქრები გაიღეს.

მირიანი და თრდატი დიდხანს მტრობდნენ ერთმანეთს. ხან მირიანი აოხრებდა სომხეთს, ხან თრდატი ესხმოდა თავს ქართლს. ვერც ერთს ვერ გაემარჯვა. ვერც ვერავინ მოკლა თრდატი, რამეთუ იყო დიდად ძლიერი, გოლიათი. ბოლოს კონსტანტინე კეისრის ჩარევით დაზავდნენ და დამოყვრდნენ მირიანი და თრდატი.

მირიანის ძე რევი დააქორწინეს თრდატის ასულ სალომეზე. საზღვარიც კონსტანტინემ განუჩინა მათ. ის ტერიტორიები, რომელზედაც მდინარეები მიემართებიან სამხრეთით და შეერთვიან არაქსს, არმენიის საკუთრებად გამოცხადდა, ხოლო ის მიწა-წყალი, რომლის მდინარეებიც ჩრდილოეთით მიედინება და მტკვარს შეერთვის ქართლად იქნა აღიარებული. სხვათა შორის, ეს იმ დროისთვის ეთნიკურად სამართლიანი და გეოსტრატეგიულად გამართლებული იყო. ამის მერე ქართლს და სომხეთს ბამბაკის მთები ყოფდა. სამწუხაროდ, დღეს ასე აღარაა.

**როგორც ამბობენ, ღმერთმა არ აპატია თრდატს მის წინააღმდეგ გალაშქრება და გარეგნულად ღორს დაამსგავსა, სანამ არ მოინანია**

ნინოს მშობლები ზაბულონი და სოსანა მონასტერში შედგნენ. ნინოზე მისი ბიძა, იერუსალიმის პატრიარქი ზრუნავდა. ნინო ბავშვობიდან გამოირჩეოდა ღვთისმოშიშობით, გლახაკთა მოწყალებით და სათნოებით.

მას განსაკუთრებით აინტერესებდა ქრისტეს ცხოვრების დეტალები. ერთხელ სარა ნიაფორმა, დვინელმა სომეხმა, რომელსაც წმიდა ნინო უვლიდა, უამბო ქრისტეს ჯვარცმის და აღდგომის შესახებ. წმიდა ნინო ძალიან დაინტერესდა ქრისტეს ჯვრით, კვართითა და არდაგით (სუდარით), რომელშიც იესო ქრისტე ჯვრიდან გარდამოხსნის შემდეგ გაახვიეს.

სომეხმა სარა ნიაფორმა უთხრა მას, რომ ქრისტეს კვართი იყო მცხეთაში, ქრისტეს სუდარა ქრისტეანედქმნილმა პილატეს ცოლმა წაიღო პონტოში ლუკა მახარებელთან. ახლა ის დაკარგულია (ქრისტეს სუდარა ახლა ნაპოვნია, ის ტურინის სუდარის სახელითაა ცნობილი. მასზე სასწაულებრივად ქრისტეს გამოსახულებაა აღბეჭდილი). ჯვარი იერუსალიმშია დამარხული, ოღონდ სად, მხოლოდ ღმერთმა იცისო.

გავიდა ხანი. იერუსალიმში ქალაქ ეფესოდან წარჩინებული დედაკაცი ჩავიდა წმიდა ადგილების მოსალოცად.

ერთხელ სიონის მთის ვენახებთან წმიდა ნინოს ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი გამოეცხადა და უბრძანა, წასულიყო ჩრდილოეთის ქვეყანაში – მცხეთაში სახარების საქადაგებლად. დედაღვთისამ გადასცა წმიდა ნინოს ვაზის რტოსგან გაკეთებული ჯვარი და უთხრა: ეს იქნება შენი მცველი და ამით დაამარცხებ შენს მოწინააღმდეგეებს. წარმატებული იქნება ქადაგება შენი, მე შენთან ვიქნები და არ მიგატოვებო.

წმიდა ნინომ ყოველივე უამბო იერუსალიმის პატრიარქს. პატრიარქმა დალოცა თავისი დისშვილი და ეფესოელ ქალს გააყოლა. ეფესოში წმიდა ნინომ გაიცნო მთავრების შთამომავალი ქალი – რიფსიმე, რომელიც ქრისტეს სჯულს აზიარა. რიფსიმეს სილამაზის ამბავი დიოკლიტიანეს შეუტყვია და მისი ცოლად მოყვანა გადაუწყვეტია. რიფსიმეს თავი ქრისტესთვის ჰქონდა მიძღვნილი და არ შეეძლო, ქრისტიანთა მმუსვრელ დიოკლიტიანეს გაჰყოლოდა. ამიტომ, ის, მისი გამზრდელი გაიანე, წმიდა ნინო და ოცდაათი ახლად გაქრისტიანებული ქალი გაიპარნენ ეფესოდან. რამდენიმე ხნის შემდეგ ისინი თრდატ მეფის სამეფოს – არმენიას მიადგნენ. დიოკლიტიანემ შეიტყო მათი ამბავი და მისწერა თავის ქვეშევრდომს, გოლიათ თრდატს, რომ მოეძებნა რიფსიმე და მიეძლვნა მისთვის.

თრდატმა შეიპყრო წმიდა დედების დიდი ნაწილი. ის მოიხიბლა რიფსიმეს სილამაზით და განიზრახა თავისთვის დაეტოვებინა. რასაკვირველია, წმიდა რიფსიმე არ დათანხმდა. თრდატმა აწამა მისი გამზრდელი გაიანე, მხლებლები და თავად რიფსიმეც. ყველა სიხარულით შეხვდა ქრისტესთვის წამებასა და სიკვდილს.

როგორც ამბობენ, ღმერთმა არ აპატია თრდატს მის წინააღმდეგ გალაშქრება და გარეგნულად გარეულ ღორს დაამსგავსა, სანამ არ მოინანია.

წმიდა ნინო სასწაულებრივად გადაურჩა თრდატის მიერ დატყვევებას. მას ხმა შემოესმა ზეციდან, რომელმაც ჩრდილოეთით, მცხეთისკენ წასვლა უბრძანა.

მრავალი გაჭირვების მერე წმიდა ნინო მოადგა იბერიის დედაქალაქს, მცხეთას. აქ უკვე გავრცელებულიყო ამბავი თრდატის ღორად და ისევ კაცად გადაქცევის შესახებ. წმიდა ნინომ მრავალი მცხეთელი მოაქცია ქრისტეს სჯულზე.

იმპერატორი კონსტანტინე მყარად დაადგა ქრისტიანულ გზას. მალე წმიდა კონსტანტინესა და მისი დედის, წმიდა ელენე დედოფლის მეცადინეობით, იერუსალიმში იპოვეს ქრისტეს ჯვარი.

წმიდა ნინოს მოღვაწეობამაც დიდი შედეგი გამოიღო და ქრისტიანულად მოინათლნენ ქართლის (იბერიის) მეფე და დედოფალი – წმიდა მირიანი და წმიდა ნანა. ქრისტიანობა საქართველოში სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა.

**გიორგი მახოზეშვილი**

**წყლის უნიკალური თვისებების შესახებ უკვე ვესაუბრეთ ჩვენს მკითხველს, თუმცა არ გვისაუბრია იმის შესახებ, თუ როგორ მოქმედებენ ადამიანები ერთმანეთზე მათ ორგანიზმში არსებული წყლის დახმარებით.**

# როდის არის ორი ადამიანი ერთ სიხშირეზე მოწყობილი და როგორ ხდება ცოლ-ქმრის ურთიერთობის დროს ინფორმაციის ურთიერთჩაწერა

**გიორგი ღამბაშიძე**: წყალი რომ სხვა სტიქიებზე აღმატებულია, ამაზე ისიც მიუთითებს, რომ ჩვენ არასდროს ვამბობთ: უფალო შემიცეცხლე, უფალო შემიჰაერე და ასე შემდეგ. ვამბობთ: უფალო შემიწყალე. სადაც უფალია, იქ არის წყალიც. თვითონ უფალსაც სულიერ საზრდოსთან მიმართებაში გამოყენებული აქვს წყალი. სახარებაში წერია ასეთი რამ: „და არს იერუსალმს ცხოვართან საბანელთა ტბაი, რომელსაც ჰქვია ებრაელებრ ბეთეზდა და ხუთ სტოვა იყო“. ამ ტბაში ანგელოზი ჩადიოდა, აამღვრევდა და, ვინც მასში პირველი ჩავიდოდა, განიკურნებოდა. ეს არის იმის დადასტურება, რომ ეს წყალი ღვთიურ ინფორმაციას იღებდა, იქნებოდა ეს სითბო, სიყვარული თუ თანაგრძნობა. ანუ, ეს კიდევ ამტკიცებს იმას, რომ წყალს აქვს ინფორმაციის ტარების უნარი.

**– ხშირად ერთმა ადამიანმა მეორის არც სახელი იცის, არც გვარი, მაგრამ მის მიმართ გარკვეულ სიახლოვეს გრძნობს. ბევრს ერთმანეთი ერთი ნახვით უყვარდება. ამ შემთხვევაში რა ხდება?**

– როდესაც მეგობარს ირჩევთ ან ვილაც გიყვარდებათ, ფაქტობრივად, ქვეცნობიერად წყალში კითხულობთ იმ ინფორმაციას, რომლითაც გაჟღენთილია ეს ადამიანი. არის მართლაც ისეთი მომენტები, როცა ადამიანებს ერთმანეთი ერთი ნახვით უყვარდებათ, ან შეხედავ პიროვნებას, მისი არც სახელი იცი, არც გვარი, მაგრამ მასთან დიდ სიახლოვეს გრძნობ. ხვდები, იმ ადამიანთან მეგობრობა შეგიძლია. ამ შემთხვევაში ადამიანში არსებული 75 პროცენტი წყალი ლაპარაკობს, რომ ის კეთილი, დადებითი პიროვნებაა. ფაქტობრივად, შენ მას აღიქვამ ვიბრაციულ დონეზე. ჩვენ შეგვიძლია ადამიანებზე ჩვენი ვიბრაციებით ზემოქმედების მოხდენა. ზუსტად ამ ვიბრაციების სიძლიერეზეა დამოკიდებული, როცა კარგ განწყობაზეა ადამიანი და ის სხვებსაც გადასცემს ამას. მაგრამ, თუ ის ძლიერი არ არის, პირიქით, მას გადაედება ცუდი განწყობა. ვიბრაციების სიძლიერე კი დამოკიდებულია სიყვარულზე, სიკეთეზე. როცა სიყვარულს, სიკეთეს თესავ გარშემო, ისეთივე განწყობა იქმნება, ვიბრაციებიც ასეთივე გამოიყოფა და ეს ყველაფერი თავისთავად იწერება შენს ფიზიკურ სხეულში, რომელსაც უჯრედული მეხსიერება აქვს და შემდეგ ამით ზემოქმედებს სხვებზე.

**– როგორ უნდა დაეხმაროს ადამიანი საკუთარ თავს კარგი განწყობის შექმნაში?**

– დღეს რატომღაც ძალიან დავკომპლექსდით. გვგონია, რომ საკუთარი თავი არ უნდა შევაქოთ და პირიქით, სხვებმა უნდა გვაქონ. ნებისმიერს რომ ჰკითხო, უცბად ჩამომითვალე შენთვის საყვარელი ხუთი ადამიანის სახელიო, ის მაშივე ახლობლებს ჩამოთვლის, საკუთარ თავს კი არც ახსენებს. რატომღაც გვგონია, რომ არ უნდა გვიყვარდეს საკუთარი თავი. ამიტომაც, ერთ რჩევას მოგცემთ: დილას, როდესაც გაიღვიძებთ, საკუთარ თავს გაუღიმეთ. როდესაც საკუთარი თავი მიყვარს, სიყვარულის იმ ვიბრაციებს ვწერ ჩემში, რომელსაც შემდეგ გარშემო ვაფრქვევ. თუ საკუთარი სიკეთე, თვისებები არ დავაფასე, არ შევიყვარე, როგორ უნდა შევიყვარო ყველა ადამიანი. სარკის წინ საკუთარ თავს რომ გავუღიმებთ, მოვეფერებით, შევაქებთ, ეს ინფორმაცია, განწყობა ორგანიზმში იწერება და მთელი დღე გაგვყვება. სახლიდან წელში გამართულები გავალთ და იმ შეგნებით, რომ ამ სამყაროში ერთადერთი ვართ – ინდივიდი, რომელიც უფალს უყვარს და მივდივართ იმისთვის, რომ ეს სიყვარული სხვებსაც გადავცეთ. ყველამ ეს რომ გააკეთოს, წარმოიდგინეთ, ირგვლივ რამხელა სიყვარული იქნება.

**– შეიძლება, წაიშალოს ყველაფერი, რაც ჩვენი ორგანიზმის მეხსიერებაშია შენახული?**

– თუ წყალი გადავიდა ერთი მდგომარეობიდან მეორეში და ამ დროს რაღაც ფაზები გაიარა, მოხდება ძველი მეხსიერების წაშლა. ეს არ არის მხოლოდ ფიზიკური მოვლენა. რაც უნდა ცუდ მდგომარეობაში ვიყოთ, სიტყვას ძალიან დიდი ძალა აქვს. მაგალითად, თუ ვიტყვი,



**შეიძლება, მან ვერ გაიგოს გვარი, სახელი, ან ადგილი, სადაც ღალატი მოხდა, მაგრამ, რომ უღალატა, ამას აუცილებლად იგრძნობს**

რომ ძალიან მიყვარს საკუთარი თავი, როგორც ღმერთის ქმნილებას, არ შეიძლება ამ ცხოვრებაში რაღაც ცუდი შემემთხვას. მე უფალი აუცილებლად სიყვარულით მატარებს. ასეთი სიტყვებით რამდენჯერმე უნდა მიმართოთ საკუთარ თავს და მერწმუნეთ, ყველაფერი კარგად იქნება. ნელ-ნელა ხასიათიც შეგეცვლებათ და ყველაფერი გამოსწორდება. დღეს და ხვალ ეს ყველაფერი თავის შედეგს გამოიღებს. იცით, რა არის მთავარი? მდგომარეობაში უნდა შეხვიდეთ. ოდესღაც ხომ ყოფილხართ შეყვარებული?! შეიძლება ახლა არავინ გიყვართ, მაგრამ თქვენს ორგანიზმს ეს მდგომარეობა ახსოვს. საკმარისია, ეს თქვენს გონებაში წარმოიდგინოთ და სხეულში იგივე რეაქცია მოხდება. ასე, სხვასაც შეგვიძლია დავეხმაროთ.

**– როგორ?**

– როდესაც ადამიანი ტირის, ცუდად არის, თუ მართლა მისი გულშემატკივარი ხარ, ჭიქა წყალი მიგაქვს და ეუბნები: დალიე და კარგად გახდებიო. ამას გულით აკეთებ და, გინდა თუ არა, ამით წყალს მაგიურ რიტუალს უტარებ. ისიც სვამს და ამბობს: ცოტა გულზე მომეშვაო. ფაქტობრივად, სიტყვა დაბადებული აზრია. აზრს, ფიქრს კი, ყველაზე დიდი ძალა აქვს და როდესაც მას ბადებ, სიტყვით ეუბნები, ის უკვე ვიბრაციაა, სიხშირე.

**– რა ხდება იმ შემთხვევაში, თუ ერთი ადამიანი მეორეს უარყოფით სიტყვებს ეუბნება, მასზე ცუდად საუბრობს, ფიქრობს? ამას მისი ორგანიზმიც ხომ იმახსოვრებს?**

– როდესაც სხვა ადამიანზე ცუდად მოქმედებ, ეს შენშიც იწერება. თუ სხვა ადამიანზე ვამბობ: მოკვდი, მოკვდი, ამით ამ ბოროტებას ჩემში ვაორმაგებ და შემდეგ ის ასმაგდება. არ არსებობს, რომ ასეთი ადამიანი საშინელი სიკვდილით არ მოკვდეს, მისი სული განწირულია ცუდი რაღაცეებისთვის. ბევრმა იცის, რომ ბოროტებას აკეთებს, მაგრამ დარწმუნებულია, ის ამ ბოროტებას აისხლეტს. სამწუხაროდ, არსებობს ისეთი რიტუალებიც, როდესაც შეგიძლია, რაღაც გადადო, მაგრამ სამყაროში დროში გადადება არ არსებობს. უბრალოდ, ეს ნიშნავს, რომ სანამ ფიზიკურად არსებობს ადამიანი, ამას გადადებს, მაგრამ როგორც კი გარდაიცვლება, ათასმაგად მიუბრუნდება. ამიტომაც ამბობს უფალი: ვინც მსჯავრი სხვას დასდო, ის უკვე თვითონ მჯავრდებულიაო. სამყაროში დრო არ არსებობს. ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ, როდესაც ადამიანები ერთმანეთს უახლოვდებიან, ამ დროს ხდება ინფორმაციის ურთიერთჩაწერა. ცოლ-ქმრის შემთხვევაში, ისინი ერთ ვიბრაციებზე ეწყობიან, იციან ერთმანეთის ჩანაწერები. თუ ადამიანებს მართლა უყვართ ერთმანეთი, ისინი დისტანციაზე გრძნობენ ერთმანეთს – ხვდებიან, მეორე ცუდად არის თუ კარგად. პატარა რხევაც იწვევს წყლის სტრუქტურის შეცვლას. ვიბრაციისთვის კი არ არსებობს არც მანძილი და არც დრო, მაგრამ ის პოულობს იმას, ვინც მოწყობილია მის სიხშირეზე, ანუ მეორე ნახევარს.

**– თუ ერთ ადამიანს შეუძლია მეორე ადამიანის ორგანიზმში არსებული ჩანაწერების წაკითხვა, მაშინ გამოდის, რომ მან შეიძლება, თავისუფლად გაიგოს, მაგალითად, მეუღლის ღალატის ან სხვა ცუდი საქციელის შესახებ?**

– თუ ერთი ღალატობს მეორეს, როდესაც ის სახლში ბრუნდება, ჩანაწერი ფიზიკურ დონეზე შეაქვს სახლში და მას მეორე ნახევარი კითხულობს. შეიძლება, მან ვერ გაიგოს გვარი, სახელი ან ადგილი, სადაც ღალატი მოხდა, მაგრამ, რომ უღალატა, ამას აუცილებლად იგრძნობს. ცოლ-ქმარი დედ-მამად მაშინ გადაიქცევა, როცა შვილი გაუჩნდებათ, სუბსტანცია, რომელიც თავისთავად არის ნეიტრალური. ბავშვი ფიზიკურ დონეზე იგივე წყალია, ასწავლი რაღაცას და იმახსოვრებს, ისევ და ისევ წყლით. ცოლ-ქმარს შვილი ძალიან აახლოებს. ამ შემთხვევაში კი, შეიძლება, ქმრის ინფორმაცია მოვლითი გზით, ანუ ბავშვის საშუალებით გადაეცეს დედას ან, პირიქით, დედიდან – მამას. ბავშვი ხდება მათთვის ინფორმაციის გამტარი, ამიტომაც, ბევრ რამეს ანეიტრალებს და ხშირად შვილის გაჩენის შემთხვევაში, ოჯახში ბევრი რამ წესრიგდება. ანგელოზი ტბას რომ აამღვრევს და მასში ჩასული ადამიანი იკურნება, ასე აკეთებს ბავშვიც – ის თავის მშობლებს განკურნავს. ასე ხდება გენშიც, რომლის ბმები წყალბადოვანია. მასში გამყარებულია მამა-პაპისგან ჩადებული ინფორმაცია. თითოეული უჯრედი არის გენი. უჯრედის უდიდესი ნაწილი კი შედგება წყლისგან. ინფორმაცია გარეთ ხომ უნდა გამოვიდეს. ეს კი ისევ წყლის საშუალებთ ხდება. მოკლედ რომ ვთქვათ, გენი არის განწყობა და მეტი არაფერი. როგორც იცით, ჩვილობიდან ერთი წლის ასაკამდე ბავშვის დიდი პროცენტი წყლისგან შედგება. ბავშვის განბანის დროს ქართველებმა ვიცით თქმა: „დათვი მჭლე და შენ მსუქანი“. ეს მოკლე შელოცვასავითაა. დედა რამდენჯერაც აბანავებს, იმდენჯერ მის წყალს, მის არსებას აწვდის ინფორმაციას, რომ ის კარგად და ჯანმრთელად იყოს.

**ნათია უტიაშვილი**


კუჭ-ნაწლავის დისკომფორტი (შეკრულობა, ფაღარათი, შებერილობა) დისბაქტერიოზი

მიიღეთ

ლაქტო-ჯი

www.laqto.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

# რა დააწერეს საქორწილო ბეჭდებზე სალომე ქაჭუამ და გიორგი ვარდოსანიძემ და როგორ გადაირია ნეფე პატარძლის კაბის ნახვისას

*სულ ცოტა ხნის წინ სალომე ქაჭუამ და გიორგი ვარდოსანიძემ სვეტიცხოველში ჯვარი დაიწერეს, რამაც, როგორც პრესის, ასევე, საზოგადოების დიდი ინტერესი გამოიწვია. ქორწილმა სწორედ ისე ჩაიარა, როგორც შეყვარებულ წყვილს ჰქონდა წარმოდგენილი, თუმცა, ამ ყველაფრის შესახებ ვრცლად და ექსკლუზიურად თავად მშვენიერი პატარძალი გვესაუბრება. მე კი სალომესა და გიორგის კიდევ ერთხელ ვულოცავ დაქორწინებას, ბედნიერება და სიყვარული არ მოჰკლებოდეთ მთელი სიცოცხლის განმავლობაში!*



**სალომე ქაჭუა**: ქორწილმა ზუსტად ისე ჩაიარა, როგორც მე და გიორგის გვინდოდა: მოკრძალებული უნდა ყოფილიყო, ყოველგვარი პომპეზურობის გარეშე. ვფიქრობ, ყველანი კმაყოფილები დარჩნენ. რადგან უცბად გადავწყვიტეთ ჯვრისწერა, ამიტომ, ყველაფერი უცებ გავაკეთეთ. მამამ და დედამ სვეტიცხოველში დაიწერეს ჯვარი და ამიტომ ჩვენც სვეტიცხოველი ავირჩიეთ. თუმცა, მე მინდოდა, ქაშუეთში დამეწერა ჯვარი, სადაც მამა სოგრატმა მომნათლა, მაგრამ, მამა სოგრატი ამჟამად შეუძლოდ არის. ნათლობის შემდეგ მამა სოგრატმა სახლიც გვიკურთხა და ჩემზე თქვა: ძალიან კარგი ბავშვი იქნება, სახელიც – სალომე, ძალიან მომწონს, რადგან, დედაჩემს ეს სახელი ერქვაო.







**– ჯვრისწერის წინ განსაკუთრებულად ნერვიულობს ხოლმე ნეფე-პატარძალი.**

– კი, გამიგია ეს, მაგრამ, ისეთ გადარბენებში ვიყავი, რომ, მგონი, ნერვიულობაც ვერ მოვასწარი. გიორგი ნერვიულობდა ძალიან, აფორიაქებული იყო, გიჟივით დარბოდა აქეთ-იქით. თან, იმ დღეს მე სიცხე მქონდა და ისეთი გათიშული ვიყავი, ვერაფერს ვგრძნობდი. დიდხანს მომიწია ლოდინი და მცხეთაში ისე გავიყინე, ერთი სული მქონდა, როდის დავიწერდით ჯვარს. მანამდე სახლში მოვიდნენ ჩემთან, დაგვლოცეს და შემდეგ წავედით ეკლესიაში.

**– შენმა კაბამ ინტერნეტსივრცეში დიდი მოწონება დაიმსახურა, თანაც, ძალიან გიხდება. დაახლოებით ასეთი კაბა ცოტა ხნის წინ ბიონსეს ეცვა.**

– როცა კაბას ვარჩევდი, იმ დროს „გრემის“ დაჯილდოების ცერემონიალი იყო. ბიონსეს კაბა ძალიან მომეწონა, გავგიჟდი და, გადავწყვიტე, დაახლოებით ასეთი სტილის კაბა შემეკერა. დიდი მადლობა „მარიონელას“, რომ ასე კარგად შემიკერეს. ზუსტად ისეთი არ გამიკეთებია, ცოტათი შევცვალე და, ვფიქრობ, ძალიან კარგი გამოვიდა. გიორგიმ დაახლოებით იცოდა, როგორ კაბას ჩავიცვამდი, თუმცა, გავითვალისწინე ტრადიცია და არ ვაჩვენე. „პრიმერკაზეც“ კი არ წამიყვანია, სახლში ამოსვლამდე არ უნახავს. სამაგიეროდ, რომ ნახა, გაგიჟდა და გადაირია, ძალიან მოეწონა. თვითონ საქორწილო კოსტიუმი მაღაზიაში იყიდა, მე დავეხმარე შერჩევაში. რადგან ჩემი კაბა „მოღებულია,“ ასე ეკლესიაში ვერ შევიდოდი, ამიტომ, „მარიონელაში“ შემირჩიეს თეთრი მანტო, რომელიც ასევე ექსკლუზიური მოდელია, მარგალიტებით გაწყობილი, ძალიან ლამაზი. სასაცილო ის იყო, რომ საქორწინო ბეჭდების დამზადება ძლივს მოგვისწრეს. არ მინდოდა, „ბუბლიკის“ ფორმის ყოფილიყო, ამიტომ, ჩვენ დავამზადებინეთ, შიგნიდან ქართულად ჩვენი სახელებიც დავაწერეთ. ჯვრისწერის დღეს გამოიტანა გიორგიმ ხელოსნისგან. ჯვრისწერის შემდეგ „შობა ლაუნჯში“ გადავიხადეთ ქორწილი. დაახლოებით 50 კაცამდე იყო, ვიწრო წრე – ჩემი და გიორგის მეგობრები. ტრადიციული და თანამედროვე სტილის ქორწილი გამოგვივიდა, რადგან, ძირითადად ახალგაზრდები ვიყავით. მეგობრებთან ერთად მე და გიორგიც ძალიან კარგად გავერთეთ. ზაფხულში ვაპირებთ ხელის მოწერას და უფრო დიდი ქორწილის გადახდას, შემდეგ კი თაფლობის თვეს მოვიწყობთ – სადმე წავალთ. მინდოდა, ქორწილში სიურპრიზი გამეკეთებინა – ცეკვა დამედგა, მაგრამ, არ მეცალა და არ გამოვიდა.



ის, რაც მე და გიორგიმ ვიცეკვეთ, არ იყო ცეკვა, ჩვეულებრივი იმპროვიზაციაა.

**– ვალენტინობაზე გიორგის ლეკვი აჩუქე. როგორ გრძნობს თავს თქვენი პატარა „შვილობილი“?**



– ციმბირული ჰასკია, ჯერ ძალიან პატარაა და გიორგის მთელი ღამე არ აძინებს. თეთრია და ცისფერთვალება, ძლივს ვიშოვე. ჯერ მინდოდა, პატარა ძაღლი მეყიდა, „ბოს“ ჯიშის, სამსახურშიც რომ მეტარებინა, მაგრამ, გიორგიმ აიტეხა, „ლაიკა“ მინდაო. ორი კვირით ადრე მე და ჩემმა დაქალმა ძლივს ვიშოვეთ. ყველაფერი გიორგის უჩუმრად ხდებოდა, აზრზე არ იყო და გადაირია. ახლა მეგობარს ჰყავს, რადგან, ჩვენ სახლში არ ვართ. ცოტა რომ გაიზრდება, წამოვიყვანთ, სკოლაში უნდა მივიყვანოთ. დღისით სძინავს, ღამით კი ღვიძავს და წკმუტუნებს. ყველაზე სასაცილო ის იყო, რომ, მეგობარმა, ვისთანაც ახლა არის, დილით რომ გაიღვიძა, ლეკვი არ დახვდა და გადაირია. შემთხვევით სარეცხ მანქანაში შეიხედეს და შიგნით იჯდა – თურმე, ურბენია, დაღლილა და დაუძინია.





გიორგიმ ვალენტინობის დღეს ლამაზი სამკაული მაჩუქა, ძალიან მომეწონა. ერთმანეთს, ძირითადად, ისეთ რაღაცეებს ვჩუქნით, რაც ორივეს გვესიამოვნება.

**ნათია უტიაშვილი**



რესტორანი მთელი ოჯახისთვის!

# ბრენდი სახელად „მაკდონალდსი“

მსოფლიოს უმსხვილესი რესტორნების ქსელის, „მაკდონალდსის“ ისტორია, ერთი შეხედვით, მარტივად დაიწყო. დღეს კი, „მაკდონალდსი“ ყველაზე მსხვილი რესტორნების ქსელია, რომლის 33 ათასი რესტორანი ყოველდღიურად 68 მილიონ მომხმარებელს ემსახურება მსოფლიოს 119 ქვეყანაში, მათ შორის, უკვე 15 წელია, საქართველოშიც. 15 წლის წინ, 1999 წლის 5 თებერვალს, თბილისში „მაკდონალდსის“ პირველი რესტორანი გაიხსნა. დღეისთვის კი, საქართველოს მასშტაბით, უკვე ექვსი რესტორანი ფუნქციონირებს, აქედან – ოთხი თბილისში, ერთი ქუთაისში და ერთი ბათუმში. ალბათ, ბევრისთვის უცნობია შემოწმების რამდენ ეტაპს და ხარისხის კონტროლის რამდენ საფეხურს გადის ყველა ის პროდუქტი, რომელსაც შემდეგ ჩვენ ასე გემრიელად მივირთმევთ. ინტენსიური კონტროლი ხორციელდება როგორც პროდუქტებზე, რომლისგანაც საკვები მზადდება (მაგალითად, სენდვიჩებში 100 პროცენტით უმაღლესი ხარისხის საქონლის მკერდის ხორცი გამოიყენება), ასევე, უკვე მზა პროდუქციაზე. კონტროლდება არა მარტო საკვები პროდუქტები, არამედ მათი მომზადების ყველა ეტაპი და წვრილმანი ნიუანსიც კი, რათა მომხმარებელთან მისული მზა პროდუქტი გემრიელი და იმავდროულად, ჯანსაღი იყოს. ასევე, აუცილებელი პირობაა ის, რომ დამზადების პროცესში საკვები ჯანსაღი და ნატურალური იყოს. „მაკდონალდსის“ თითოეულ მზა პროდუქტს, შესაფუთ მასალაზე თან ახლავს ცხრილი, შემადგენლობის აღწერით. მასზე აღნიშნულია თუ რამდენ კალორიას, ცილებს, ცხიმებს, ნახშირწყლებსა და მარილებს შეიცავს ეს პროდუქტი, რაც კვების რაციონის, კალორიებისა და მთლიანად, შემადგენლობის გაკონტროლების საშუალებას იძლევა. ასე რომ, „მაკდონალდსის“ მენიუს საშუალებით, გახდომა ან დიეტის დაცვაც კი შესაძლებელია – ყველას შეუძლია დააბალანსოს საკუთარი კვება და გააკეთოს ინფორმირებული არჩევანი. საკვებისა და სასმელის არჩევნის მრავალფეროვნება, შეიძლება, იყოს აქტიური და დაბალანსებული ცხოვრების სტილის ნაწილი. ამიტომაც, „მაკდონალდსი“ გამუდმებით ცდილობს, უზრუნველყოს მომხმარებელი უფრო მეტი სასარგებლო არჩევნითა და გაზარდოს წვდომა კვებითი ღირებულებების შესახებ ინფორმაციასთან. „მაკდონალდსი“ ხომ ოლიმპიადის ოფიციალური რესტორანია, რომელიც მრავალი წელია, ოლიმპიელების კვებაზე ზრუნავს.

**„მაკდონალდსი“ საქართველოში უკვე 15 წლისაა და 15 წელია უცილობლად ერთგულია ყველა იმ მოთხოვნის, რომელსაც საერთაშორისო სტანდარტი ავალდებულებს**

ბუნებრივია, ყველა ამ წესის დაცვისა და კონტროლის შედეგად, „მაკდონალდსი“ მომხმარებელს ეკოლოგიურად სუფთა და ჯანსაღ პროდუქტს სთავაზობს. ის ყოველმხრივ შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს. რთული მისიაა, წლების განმავლობაში ბაზარზე ლიდერის პოზიცია გეკავოს. ქართული „მაკდონალდსი“ ამ ამოცანას დღემდე წარმატებით ართმევს თავს. ის ყოველთვის ახერხებს ერთდროულად იყოს პატარების საყვარელი გასართობი ადგილი, თინეიჯერების ყველაზე მოდური შეკრების ობიექტი და სხვადასხვა თაობის ადამიანებისთვის ყველაზე სწრაფი და ხარისხიანი მომსახურების რესტორანი. ამასთან, ყველას აქვს საშუალება, გააკონტროლოს საკუთარი კვების რაციონის კალორიები და მთლიანად, შემადგენლობა.

ადამიანებს მოსწონთ ის, რასაც შეჩვეული არიან და დანამდვილებით იციან, რომ დღეს, ხვალ, ხუთი წლის შემდეგ, „ბიგ მაკის“ გემო ყოველთვის ერთნაირი იქნება ნებისმიერ რესტორანში – ის უცვლელია 1967 წლიდან, მისი შექმნის დღიდან. ამიტომაც, შედიან „მაკდონალდსში“ კარგად ნაცნობი გემოს შესაგრძნობად. თუმცა, ადამიანებს უყვართ სიახლეც – პერიოდულად „მაკდონალდსის“ მენიუში ახალი შეთავაზებები ჩნდება. ამასთან, მოულოდნელობები არ არსებობს – ყველაფერი გემრიელი და ხარისხიანია. ის ფაქტორი კი, რომ გარშემო მუდმივად მოძრაობენ ადამიანები და ზედმიწევნით ასუფთავებენ ყველაფერს, თავისდაუნებურად, იწვევს ნდობას. სისუფთავე, გემრიელი და ეკოლოგიურად სუფთა საკვები – ეს ის ფაქტორებია, რამაც „მაკდონალდსი“ ქართველი მომხმარებლის ერთ-ერთ უსაყვარლეს რესტორნად აქცია. „მაკდონალდსი“ საქართველოში უკვე 15 წლისაა და 15 წელია, უცილობლად ერთგულია ყველა იმ მოთხოვნის, რომელსაც საერთაშორისო სტანდარტი ავალდებულებს.

# რისი ჩუქება აიძულა აფრიკის პრეზიდენტს გია ფარადაშვილმა და როგორ აპირებდა ის შერისთვის ქვირფასეულობის „მოტეხვას“

(მე-15 გვერდიდან)

ქო, ამას მოხსნი და მერე ჩვენც მოგვხსნიან, საერთოდ აგვაორთქლებენ-მეთქი.

– **თქვენთვის, ილუზიონისტებისთვის, ეგ ძნელი არ უნდა იყოს.**

– არა, ცხოვრებაში ამას არ ვიყენებ. ერთხელ თუ გააკეთე, ველარ გაჩერდები, თუმცა, ჩემი თითების პატრონს, რაც გამიკეთებია, ალბათ, ესეც კარგად გამომივიდოდა. მსოფლიოში პირველი ვიყავი თანამედროვე ილუზიის ხელოვნებაში, ვინც 1975 წელს „ბონიემის“ სიმღერის – „სანის“ აკომპანემენტით, მფრინავი ჯოხით და არა სასცენო კოსტიუმით, არამედ, თანამედროვე ტანსაცმელში ჩაცმული გამოვედი და დიდხანს მეკავა რეიტინგი ილუზიონისტებს შორის. ერთადერთი, რაც გამოვიყენე, მაჯიდან საათის მოხსნა იყო. კლუბ „ამირანში“ კონცერტი ტარდებოდა, რომელსაც ბრეჟნევის სიძე ესწრებოდა. ბიჭებმა გადმომილაპარაკეს: ნახე, რა ოქროს საათი უკეთია. შენ თუ ამას მოხსნი, მაგარი იქნებიო. თან, მეორე მხრიდან მაფრთხილებდნენ: არ გაბედო, მერე ჩვენ აგვაორთქლებენ; ანდა, მოხსენი და ისევ ჩუმად გაუკეთეო. მე ვუთხარი: ვისაც მოვხსნი, მერე ველარ გავუკეთებ. შემიძლია, ჯიბიდან ამოვიღო და ვკითხო: – ეს თქვენი საათია-მეთქი? მაინც მოვხსენი და კარგა ხანს ვფიქრობდი, მიმეცა თუ არა. ერთხელ აფრიკის პრეზიდენტს მოვხსენი საათი. ნოდარ ვაშაძე (გრიგოლ ვაშაძის მამა) იყო ჩვენთან ერთად დელეგაციაში. ყველაზე მაგარ გაზეთებში ჩვენი სურათები იყო გამოქვეყნებული სათაურით „ქართველმა ლაწირაკმა ბიჭმა ჩვენს პრეზიდენტს საათი მოხსნა”. ვაშაძე მიყურებს გაოცებული და ჩუმად გადმომილაპარაკა – ახლავე დაუბრუნეო. მერე მითხრა, თუ ამას მოხსენი, მაშინ, გუბერნატორსაც მოხსენიო. ისეთი სიცილი ატყდა დარბაზში... მერე ადგა პრეზიდენტი და გადამეხვია. თუ გინდა, ეს საათი ჩემგან საჩუქრად გქონდესო. უარი ვუთხარი, რადგან, გვერდზე საელჩოს წარმომადგენლები ისხდნენ და თვალებით მანიშნეს, დაუბრუნეო. ახლა ძალიან მოდაშია ფოკუსები იუმორით და, კიდევ, ახალი რაღაც შემოვიღე: თვითონ აღარ ვაკეთებ არაფერს, მაყურებელი ამომყავს სცენაზე და მას ვაკეთებინებ, იმიტომ რომ, ოცდამეერთე საუკუნეა და ვერავის ვერაფრით ველარ გააოცებ.

– **ერთხელ, მგონი, თვითონ გაქრი სცენაზე.**

– დასავლეთში ვიყავი, კონცერტი მქონდა. სცენაზე ლაკი იყო წასმული და ფეხი სრიალებდა; თან, დაქანება იყო და სუფლიორის ორმოს თავი ჰქონდა მომძვრალი. განათება ისე მჭრიდა თვალს, რომ ვერ დავინახე და იმ ორმოში ჩავვარდი. არადა, ახალი დამთავრებული მაქვს სკოლა, 17 წლის ბიჭი ვარ, მიხარია, რომ კონცერტს ვატარებ, ჭკუაზე არ ვარ... დავამთავრე ნომერი, ტაშია და, უცებ, ეს შენი გია აღარ არის. მაყურებელი გაოცდა, სიჩუმე ჩამოვარდა, მერე ფეხზე წამოდგნენ, ტაშს უკრავენ და „ბრავოს“ ყვირიან. რა დროს ბრავოა-მეთქი, ვფიქრობ. გამწარებული სადღაც ვაგდივარ, ხელი მოვიტეხე და სიმწრისგან არ ვიცი, რა ვქნა, ხმასაც ვერ ვიღებ. ნელ-ნელა თავი ამოვყავი და ჩემთვის ჩავილაპარაკე: „ვაიმე, დედა!“ დაინახეს, რომ თავი ლაპარაკობს და, იფიქრეს, ესეც, ალბათ, რაღაც ფინალური სცენააო და უფრო მეტად უკრავენ ტაშს. სცენა ძალიან მაღალზე იყო და ხალხმა კარგად ვერ დაინახა, სინამდვილეში რა მოხდა.

**ეკა პატარაია**

# ბრძნული აზრები

**ლარი პეიჯი**: ამბობენ – ფულით ბედნიერებას ვერ იყიდიო, მაგრამ სადღაც, გულის სიღრმეში ყოველთვის ვფიქრობდი: უზარმაზარ ფულს შეუძლია ბედნიერების მოტანა. რეალურად ეს ასე არ არის – მე ვცდებოდი.

**საადი**: კუჭის ხელისუფლება რომ არა, არც ერთი ფრინველი არ გაიბმებოდა მონადირის მახეში და თვითონვე მონადირეც არ დადგამდა მახეს.

**ლაო ძი**: რაიმე რომ შევკუმშოთ, ჯერ უნდა გავაფართოვოთ; რაიმე რომ დავასუსტოთ, ჯერ უნდა გავაძლიეროთ; რაიმე რომ მოვსპოთ, ჯერ უნდა აღმოვაცენოთ; რაიმე რომ მოვიმკათ, ჯერ უნდა გავცეთ.

**ბოკაჩო**: ამბობენ, კარგია სიკვდილი, როცა იხსნი სხვის სიცოცხლეს.

**ჩესტერფილდი**: მიეჩვიე, დაეშვა იმათ დონემდე, ვის გარემოცვაშიც იმყოფები.

**ლაროშფუკო**: პატიოსანი ხალხი ჩვენი ღირსებისთვის გვცემს პატივს, ბრბო კი – ბედის წყალობისთვის.

**კამიუ**: მე არ მიყვარს სხვისი საიდუმლოებები, მაგრამ მაინტერესებს სხვისი აღიარებები.

**ჯეფერსონი**: ჩემი სამშობლო იქ არის, სადაც თავისუფლებაა.

**სტენდალი**: საუბრის წაყვანა ნიჭია.

**კანტი**: მეეცით ადამიანს ყველაფერი, რასაც ისურვებს და იმ წუთში ის იგრძნობს, რომ ეს ყველაფერი არ არის.

**დალი**: ნუ გეშინიათ სრულყოფილების, მას მაინც ვერ მიაღწევთ. მით უმეტეს, სრულყოფილებაში არაფერი კარგი არ არის.

**გოეთე**: საკუთარი არასრულფასოვნების შეგნება სრულყოფილებას გვაახლოებს.

**ჰორაციუსი**: ძუნწი უჭკუოსთან უფრო ახლოსაა.

**ჰებლიტი**: გენიასა და ხელოვნებას ლუპავენ წესები და ნიმუშები.

**ჩენინგი**: არაფერი ისე არ ეხმარება ჭეშმარიტებას გამარჯვებაში, როგორც მისთვის წინააღმდეგობის გაწევა.

**ტოლსტოი**: ადამიანებთან ცხოვრების დროს ნუ დაივიწყებ, რა შეიცანი მარტოობისას და მარტოობისას იფიქრე იმაზე, თუ რა ისწავლე ადამიანებთან ურთიერთობისას.

**შოპენჰაუერი**: ჯანმრთელობა ისე გადაწონის ხოლმე სხვა ცხოვრებისეულ სიკეთეებს, რომ ჭეშმარიტად ჯანმრთელი მდაბიო უფრო ბედნიერია, ვიდრე ავადმყოფი მეფე.

**რენანი**: ხასიათები უფრო აახლოებს ადამიანებს, ვიდრე ჭკუა.

**სმიტი**: თითოეული ადამიანის ხასიათი, იმის მიხედვით, სიკეთის მოტანა შეუძლია თუ მავნებლობა, გავლენას ახდენს სხვა ადამიანების ბედზე.

**ჟან პოლი**: ისე კარგად არასოდეს იხსნება ადამიანის ხასიათი, როცა ის ცდილობს მეორე ადამიანის თვისებებსა და ხასიათების აღწერას.

**კატონი**: ცოლთან ცხოვრება ძალიან ძნელია, უცოლოდ კი შეუძლებელი.

**კლეობული**: სხვების თანდასწრებით ცოლს ნურც ეფერები და ნურც ეჩხუბები. პირველი შენი სისუსტის ნიშანია, მეორე – ცუდი ხასიათის.

# თუ გამოიცნობთ

1. მეჩვიდმეტე საუკუნის ჰოლანდიელი ბუნებისმეტყველი იან ვან ჰელმონტი წერდა: „62 ფუნტი მუხის ნახშირი 1 ფუნტ ნაცარს იძლევა. შესაბამისად, 61 ფუნტი გარდაიქმნება ტყის სულად“. **რა უწოდა მეცნიერმა ამ „ტყის სულს“, რომელიც მას ძველბერძნულ ქაოსს მოაგონებდა?**

2. 1960 წელს ეს მოხდა ბრაზილიაში, 1983 წელს – კოტ დივუარში, 1991 წელს – ნიგერიაში, 1997 წელს – ყაზახეთში. რუსეთში ეს არაერთხელ მოხდა, უკანასკნელად – 1918 წელს. **რა მოვლენა?**

3. მომავალი პაპი იოანე ოცდამესამე საფრანგეთში ერთ-ერთ დიპლომატიურ შეხვედრაზე პარიზის მთავარ რაბინს კართან შეხვდა. ორივე ღვთისმსახური ცდილობდა, პატივისცემა გამოეჩინა და გზას ერთმანეთს უთმობდნენ. თუმცა, ეს ზრდილობიანი შეთავაზება საკმაო ხანს გაგრძელდა და ბოლოს მომავალმა პაპმა გამონახა ხერხი, დაერწმუნებინა რაბინი, პირველი შესულიყო, ამისთვის კი ბიბლია მოიშველია. ***როგორ?***

4. ბეთჰოვენის „ფიდელიო“, ბიზეს „კარმენი“, როსინის „სევილიელი დალაქი“, მოცარტის „დონ ჟუანი“ – ყველა ეს ოპერა სხვადასხვა კომპოზიტორს ეკუთვნის და სხვადასხვა დროსაა დაწერილი. მაგრამ არის მათ შორის საერთო. **რა?**

5. ფიზიკოსები მიიჩნევენ, რომ ეს აღმოჩენა სუფთა ფიზიკურია. თუმცა, მის აღმომჩენს ის ქიმიური ამოცანის ამოხსნაში დაეხმარა, როცა მეფე გიერონის გვირგვინში ვერცხლის შემცველობა განსაზღვრა. **რა აღმოჩენა?**

6. რუსეთ-იაპონიის ომის დროს გენერალი კუროპატკინი, რომელიც მანჯურიაში რუსეთის ჯარს მეთაურობდა, ჯარისკაცებს ურჩევდა, იშვიათად გაერეცხათ ტანსაცმელი. **რატომ?**

7. ჩინეთის სუვენირულ ბანქოზე გამოსახულია ჩინელი იმპერატორების სახეების ფერადი ნახატები. გამონაკლისია შავი ჯოკერი. **რა არის გამოსახული მასზე?**

8. ის, შელენბერგის ხელშეწყობით, სამშვიდობო მოლაპარაკებების ორგანიზებას შეეცადა. ამ „ოპერაციამ“ მიიღო სახელწოდება – „მოდური შლაპა“. ცოტა ხნის წინ კი, მის პატივსაცემად, 125 საიუბილეო წელთან დაკავშირებით, სიმბოლურად, სწორედ, 5 ევროს ღირებულების მონეტა გამოუშვეს. **დაასახელეთ ის.**

9. ეს „მთვარის“ ქიმიური ელემენტი 1817 წელს აღმოაჩინა იენს ბერცელიუსმა. მალე კი, მედიკოსებმა ეს ელემენტი თვალის ბადურაში აღმოაჩინეს და განსაზღვრეს პირდაპირი დამოკიდებულება მის შემცველობასა და „მახვილ ხედვაში“. ეს ელემენტი შევარდნის თვალში ასჯერ მეტია, ვიდრე ადამიანისაში. **რომელი ელემენტი?**

10. გასული საუკუნის ოთხმოციან წლებში ტელეარხმა BBC-2-მა გადაიღო ფილმი, თუ როგორ ქმნიდნენ საბჭოთა მფრინავები ხელოვნურ წვიმას. **დაასახელეთ ტერიტორია,** რომლის თავზეც რუსული თვითმფრინავები ვერცხლის იოდიდს გააფრქვევდნენ.

***პასუხები იხილეთ 66-ე გვერდზე***

# გამოჩენილი პოლიტიკოსების, მხედართმთავრების ეპიტაფიები

***თომას მორი*** – ინგლისელი ჰუმანისტი, მწერალი და სახელმწიფო მოღვაწე, უტოპისტი (1478-1535)

მორს თავი მოჰკვეთეს. იგი ჯალათს მოუწოდებდა, რომ ყოფილიყო მხნედ: „კისერი მოკლე მაქვს, ამიტომ, კარგად დაუმიზნე, – მერე წვერი გადაიწია და თქვა: – ამასაც ხომ არ მიუძღვის ბრალი სახელმწიფო ღალატში“.

***ჯორდანო ბრუნო*** – დიდი იტალიელი ფილოსოფოსი (1548-1600)

„დამწვათ, არ ნიშნავს, რომ უარვყო“; „მე ვკვდები, როგორც მოწამე, ჩემი ნებით“.

***დიდრო*** – ფრანგი საზოგადო მოღვაწე (1713-1784)

„პირველი ნაბიჯი ფილოსოფიისკენ იყო ეჭვი“; „ურწმუნოების პირველი ნაბიჯი ფილოსოფიისკენ იყო უნდობლობა“.

***ჰობსი*** – ინგლისელი ფილოსოფოსი

„მე ვდგავარ საშინელი უფსკრულის პირას და საშინელი ნახტომი მელის“.

***იაროსლავსკი (გუბელმანი)*** – ათეისტი, ინტერნაციონალური მოძრაობის პრეზიდენტი.

„გთხოვთ, დაწვათ ყველა ჩემი წიგნი! შეხედეთ წმინდანს, იგი მელოდება დიდი ხანია“.

***იმანუელ კანტი*** – გერმანელი ფილოსოფოსი (1724-1804)

გარდაცვალების დღეს მან მიმართა მო-

## შამათი ორ სვლაში



**წინა ნომერში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანის პასუხი:**
**1. ლc3-d4!**
**შეადგინა შერგილ სუხიტაშვილმა**




– ექიმო, ჩემი ცოლი საშინლად ახველებს. რა წამალი არ დავალევინეთ, მაგრამ, მაინც ახველებს...

– ბალახეული არ გისინჯავთ?




– როგორ არა, ვსინჯეთ – იცინის და ახველებს...

***

– თუ შენ თამამი ხარ, ყველაფრის მცოდნე, მიმზიდველი, თავისუფალი, სექსუალური... წადი სახლში – უკვე საკმარისი დაგილევია.

***

ტერორისტთა ჯგუფი ღვინის ქარხანაში შეიჭრა, თუმცა, უკვე სამი დღეა, თავისი მოთხოვნები ვერ ჩამოაყალიბა...

***

ამერიკელი ურეკავს რუსს:

– ვანია, ჩვენთან საშინელი ყინვებია... თქვენ რას აკეთებთ ასეთ დროს?

– დიდები ლუდს ვსვამთ, ბავშვები – ნაყინს...

***

– ძვირფასო, მე მივდივარ...

– მოდი, წასვლის წინ წამოვწვეთ...

***

– რატომ ხარ მოწყენილი, რა გჭირს?

– სახლში ვიღაცამ დამირეკა, ჩემს ცოლს თავი დაანებე, თორემ, ჩამოგკიდებო...

– მერე, შენც დაანებე თავი...

– კი მაგრამ, როგორ? არ მითხრა, ვინ იყო და...

***

– ექვსი ვაშლი გაქვს, ნახევარი შენს ძმას მიეცი, რამდენი ვაშლი დაგრჩება?

– ხუთ-ნახევარი

***

– დედა, დედა, ძიძამ მითხრა, სახლში მოჩვენებები დადიანო...

– ვაიმე, შვილო, სად გვყავს ძიძა?!

***

ბარში ცხენი შევიდა და ბარმენს მიმართა:

– 100 გრამი ტეკილა, ტომატის წვენი და „ფისტაშკები," თუ შეიძლება...

ყველა გაოცებული უყურებს, იქვე მჯდარი მამაკაცი ადგა, მიუახლოვდა და ეუბნება:

– კარგი სამსახური არ გინდათ? 1 000 ლარი თვეში, კვება, კარგი პირობები...

– უკაცრავად, რა ორგანიზაციაა? – დაინტერესდა ცხენი.

– ცირკი...




– მერე, ცირკში პროგრამისტი რაში გჭირდებათ?!

***

– ღმერთო, მომეცი მოთმინება, ჯანმრთელობა და 50 000 დოლარი – ყოველი შემთხვევისთვის.

***

– თქვენ დაქორწინებული ხართ?

– არა, ეს კატამ დამჩხაპნა...

***

გილალატეს – ეს იგივეა, რომ ორივე ხელი მოგაჭრეს: პატიება შეიძლება, მაგრამ, ჩახუტებას უკვე ველარ შეძლებ.

***

მეგრელმა ოქროს თევზი დაიჭირა. აკვირდება ოქროს თევზი, სანამ მეგრელი სურვილებს მოიფიქრებს.

– მეგრელი ხარ? – ეკითხება.

– კი...

– ჯობია, შემწვი!

## ცნობილ ადამიანთა ენამახვილური გამონათქვამები

მეფე ერეკლესთან მოხუცი დედაკაცი მისულა წყალობის სათხოვნელად. მეფემ ქალი დაასაჩუქრა, თან ამბავი გამოჰკითხა: შვილები არა გყავსო? შვიდი შვილი მყავს, შვიდივე ვაჟიო.

– მერედა, შვიდი ვაჟის პატრონს სამოწყალო რა გაგჭირვებია? – გაოცდა მეფე.

– ნეტავი ერთი მყავდეს და შენისთანა, – მიუგო დედაკაცმა. აქედან წამოვიდა ანდაზაც: „ბევრი რად უნდა დედასა, ერთი სჯობს სახელოვანი".

***

სხვიტორში აკაკის ერთი მეზობელი გლეხი ჰყავდა, გვარად იაკობაშვილი. ერთ საღამოს დაიბარა და სთხოვა, ხვალ დილით, ძალიან ადრე, ჭიათურაში უნდა გამეგზავნოო. ბატონი ბრძანდებიო, – უთხრა მეზობელმა.




მეორე დილას დიდხანს უცადა აკაკიმ, მაგრამ იაკობაშვილი აღარ გამოჩნდა. ბოლოს, მოთმინება რომ გამოელია, ბიჭი გაუგზავნა – ამოდი ჩემთანო.

სადილობისას მოვიდა ის კაცი.

– სად იყავი, შე კაცო, აქამდე? – ჰკითხა აკაკიმ.

– ჭიათურაში გახლდით, თქვენ არ გამგზავნეთ?

– კი გაგგზავნე, მაგრამ, რას გაბარებდი, არ უნდა გეკითხა? – გაეცინა აკაკის, – გზაზე არავინ შეგხვედრია?

– როგორ არა, სამი ღორი ბალახს ძოვდა...

– მერე, იმათ მაინც არ გკითხეს, რა საქმეზე მიდიხარო?

იაკობაშვილმა ქეჩო მოიფხანა. ის იყო და ის, აკაკის აღარაფერი დაუვალებია მისთვის.

***

ერთხელ ირაკლი აბაშიძე „ცეკაში" ნაცნობს ეძებდა, დერეფანში მიდიოდა და ერთი კაბინეტის კარზე წარწერას მიაქცია ყურადღება. აბრაზე ეწერა: „ადამიანი" – ერთ-ერთი ინსტრუქტორის, სომეხი ეროვნების პიროვნების ოთახი იყო – ალექსანდრე ადამიანის. ირაკლი აბაშიძემ გაოცებული სახე მიიღო და თქვა: ხედავთ, თურმე, „ცეკაშიც" ნამუშევარან ადამიანებიო!

***

კართლოს კასრაძე ყვებოდა:

– რედაქციაში ნოდარ დუმბაძეს ერთი უხეირო ფელეტონი მივუტანე დასაბეჭდად. გურული მოქცევით მისაყვედურა:

– ძამა, დაგიბეჭდავ, მარა, ქართლოს კასრაძეს ნუ მოაწერ. მტერი თუ გყავს ვინმე ან ვინმეს ჯინი თუ გჭირს, მისი გვარი და სახელი მოაწერე!

კუჭ-ნაწლავის დისკომფორტი (შეკრულობა, ფაღარათი, შებერილობა) დისბაქტერიოზი

მიიღეთ

ლაქტო-ჯი

www.laqto.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

# როგორ გამოკეტა ცალკე ოთახში ხუთი ბიჭის „შემოქმედი" სიძე სიდედრ-სიმამრმა

ორი უმაღლესი დაამთავრებინეს დედისერთა ლალიკოს მშობლებმა – გენომ და ნატალია მაქსიმოვნამ.

სრულ ბედნიერებას მხოლოდშობილის გათხოვებაღა აკლდა და აი, გამოჩნდა კიდეც სასიძო – ელგუჯა ა-ბია (მეგრული წარმოშობის დაუწუნებელი სუბიექტი).

ელგუჯა ა-ბია (ცუდი რომ არ იფიქროთ), მართლაც ჯიშიანი გამოდგა და დაუზარელმა ყმაწვილმა ზედიზედ გააგორებინა ზემოაღნიშნულ ლალიკოს ოთხი ბიჭი: ლაშა, გიორგი, ზეზვა და ზვიადი.

მე (ამ სტრიქონების ავტორს) ცოტა მეტი ჭკუა რომ მქონდეს (ახლა რაც მაქვს), ამ მოთხრობას აქვე დავასრულებდი, მაგრამ თუ არ გავაგრძელე – მოთხრობა დაუსრულებელი დამრჩება.

ელგუჯა ჩასიძებული გახლდათ. მართალია, სიმამრიანთ არ უჭირდათ, მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, დაფიქრდნენ: „ოთხი ბიჭი, ოთხი ცალ-ცალკე ოთახი, მერე გაიზრდებიან, გამრავლდებიან, ისინიც „მოისხამენ" და... ერიჰაა!!!"

ერთ დღეს, სადილობისას, ბედნიერ ცოლ-ქმარს სიცილში გადაუკრეს: „საკმარისია, ბატონო, „პასმეიალის – ხვატიტ!"

ელგუჯა, კისერში ჯაჭვმობმული ანჩხლი ძაღლივით ისევ ცოლისკენ იწევდა და ისევ მოსალოდნელი იყო მეხუთე მუტრუკი, რომელსაც პატიოსანი ოჯახი ნამდვილად ვეღარ გაუძლებდა.

სიმამრი გენო, ნაკითხი კაცი იყო და კაცურად დაელაპარაკა:

– შვილო, ელგუჯა... მართალია, თქვენ დიდი ღვაწლი მიგიძღვით ქართული გენის აღორძინების დიად, უდიადეს საქმეში, მაგრამ ახლა ცოტა სხვებსაც ვაცადოთ, კაცო. სულ ჩვენ ხომ არ შევავსებთ გენოფონდის მწირ ბიუჯეტს?

ელგუჯას რაღაც ცუდად ეწყინა და პირისკენ წაღებული, ჩანგალზე წამოცმული „კალბასის" ნაჭერი უხმაუროდ დაუბრუნა კუთვნილ თეფშს.

– გამოდის, რომ... ესე იგი, მე ჩემს ლალისთან კონსტიტუციით და ეკლესიით მინიჭებულ უფლებებს მართმევ?

სიმამრმა უხერხულობა იგრძნო – კაცია ისიც...




– არა. მთლად ეგრე არაა, მაგრამ...

– რა მაგრამ, რა მაგრამ?! ცოლია და ჩემია, ვაა!

– ნუ, მაშინ...

და სიმამრმა სხვა გზა აირჩია...

– ხვალიდან თქვენ გექნებათ თქვენი ოთახი – პერსონალური. სანამ ბიჭები კარგა გვარიანად არ წამოიზრდებიან, თქვენ და ლალი იძინებთ ცალ-ცალკე... ცალ-ცალკე... მორჩა! ელგუჯა რომ განათლებული ბიჭი იყო, ზემოთაც მოგახსენეთ და ბედს შეურიგდა, მაგრამ იმ საღამოსვე დაწერა თავისი პირველი კუპლეტი-ლექსი: გამსახურდიას მიხედვით: „დამიჭირეს, მკლავი (?!) მომჭრეს – კარგი რატომ აგიგია".

და დაიწყო ტრაგედია-დრამა.

ლალიკოს აღარ აკარებენ (ცალკე აძინებენ ინკუბაციის თავიდან აშორების მიზნით)... პატიოსანმა კაცმა (ელგუჯას ვგულისხმობ) გამოსავალი მონახა. ერთ პირმშვენიერ დღეს ლალიკო საერთო სამზარეულოში დაიმარტოხელა და გულალალად უთხრა:

– ლალიკო! შენ „ქეთო და კოტე" გინახავს – კინოზე გელაპარაკები და...

მათ, სიყვარულის ნიშნად, მორიგი კოცნა დააფიქსირეს. გაჩნდა მეხუთე – ემზარი.

გადაირივნენ ბებია-ბაბუები, ეს კაცი დაგვაქცევს სადაცაა, კაცოო. სიმამრმა უთხრა ცოლს, ნატალიას: მე ამის დედა ვატირე, ძაღლი ხომ არაა „ნამორდნიკი" რომ დავადოო და ინგლისური საკეტი შეიძინა. შეკეტა ლალი თავის ოთახში და მშვიდად დაიძინა იმ ღამეს.

ინგლისური საკეტი, თურმე, ვერ აჩერებს თბილისურ სიყვარულს. ელგუჯამ მობილურით დაურეკა ლალიკოს:

– შუაღამეზე, თქვენებს რომ დაეძინებათ, ჩემს ოთახში გელი, როგორც მგელი!

– „რომ მიხვდნენ?" – მიიღო „ესემესი" ცოლისგან, – „მყარაულობენ ესენი მე"...

– „პაროლი" სამი ჩახველება", – მისწერა ამანაც, – ოღონდ, რომ ჩაიძინებენ, ე, მაშინ!"

– „პონიალა, პრიომ აკონჩენ", – ლალიკომ.

„უჰ, ეგენი მაჯობებენ სწორედ ჭკუით!" – სიდედრ-სიმამრის მისამართით გაიფიქრა გუჯამ და... აღარ დაადგა საშველი იმ დღის დაღამებას.

მაიას ტომის აბორიგენები ამბობენ, დღეს ღამე მოსდევსო და თბილისშიც ასე მოხდა მაშინ. კი არ დაღამდა!

გვიანი ღამეა... ხუთ ბიჭს და ბებია-ბაბუას ჩაეძინათ უკვე. ელგუჯამ თვალები ააკვარკვალა და კარგად რომ დარწმუნდა, საქმე აჟურშიაო, სამჯერ ჩაახველა:

– ჰუ, ჰუ, ჰუ! – შედეგი არაა.

– ჰუ, ფუხ, ხუხ! – მოუმატა და მოუმატა... მიაყურა, მიაყურადა და... არაფერი.

– ხუხ, ხუხ! ფუუხ! – უფრო მოუმატა და კინაღამ დაიხრჩო მასხრობა-მასხრობაში... ხუხ! ფუხ-თქვა! – ამის დ... ფუხ, ფუხ!

სიბნელეში რომელიღაც კარმა რბილად გაიჭრიალა.

– მოდის! – სიამოვნებით გააჟრჟოლა „სიძე, შე ძველოს". გაიტრუნა და საცვლები მოიშილიფა... ქალის, ღამის სიფრიფანა პერანგში განთავსებული სილუეტი დალანდა და კვლავ გააჟრჟოლა სიამოვნებით... „მოდის, მოდის ჩემი ლალიკო... მოდის... რა ლამაზია ღამის ათინათში, ოდნავ ანათებს თანაც!" (კინაღამ ლექსი გამოუვიდა). ვაიმე, ყავა მოაქვს ფინჯნით... გავათენებთ!

ქალი ფეხაკრეფით „მოცურავდა" სანატრელი, მუდამ საყვარელი, თავისი ლალიკო და მომავალში კიდევ... ისა, რა ჰქვია – შვილი-ბიჭის შემოქმედი, ის!

საბანი გადასწია და მოდი-მოდიო, – შეუძახა.

მაშინ გაუტყდა „ქილა ერბო".

თავზე სიდედრი დადგომოდა:

– რასაა, ბიჭო, რომ ახველებ მთელი ღამე?! გაცივდი, შე საწყალო, ალბათ. აჰა, შენ „ფერვექსის" ჩაია... დალიე და დაიძინე. ხვალ ჩიტივით იქნები! ჰა, ჩქარა დალიე! მიდი, ჰო, მიდი!

... ერთი მორიგი მეომარი მოაკლდა იმ ღამეს საქართველოს.

**მურმან მერკვილიშვილი**

კუჭ-ნაწლავის დისკომფორტი (შეკრულობა, ფაღარათი, შებერილობა) დისბაქტერიოზი

მიიღეთ

ლაქტო-ჯი

www.laqto.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად
მიმართეთ ექიმს.


გვ. 8
რა მოტივით
გატეხეს
საქართველოს
პარლამენტის
საიტი ორ
კვირაში ორჯერ,
როგორ ინახავს
სახელმწიფო
საიდუმლო
ინფორმაციას
და რატომ
არ უნდა
ვისარგებლოთ
ჩვენი
პაროლებით
უცხო
კომპიუტერებზე


Print Office
დაბეჭდე ყველა ფერი ყველაფერზე
გთავაზობთ სრულ მაღალხარისხიან
ბეჭდვას ოპერატიულად
ჩვენი სერვისებია:
დიზაინერული მომსახურება
ბრენდირება
ციფრული ბეჭდვა
ოფსეტური ბეჭდვა
ბეჭდვა ნებისმიერ მყარ ზედაპირზე
ადგილზე მიტანით
2014
პროდუქციის რაოდენობა
განუსაზღვრელია
ალ. ყაზბეგის 43
0177, თბილისი
(032)239 23 03
557 14 32 32
/printoffice.ge
www.printoffice.ge


HAIRLINE
INTERNATIONAL
თმის გადანერგვის კლინიკა
HAIR TRANSPLANTATION CENTRE
გადანერგილია
ჰეარლაინში
230 00 30
ქავთარაძის ქუჩა 16
www.hairline.ge

## როგორ უნდა ასიამოვნოს საყვარელმა მამაკაცმა ტატა თეთრუაშვილს და რა მთავრდება მის გამო ზოგჯერ ცუდად

გვ. 71



გვ. 71

## ვინ ურჩევდა თორნიკე ტყემალაძეს ყოველდღე საქმეებს

ISSN 1987-569X

9 771987 569002

საქართველ... ედია ბაჟა... იბილის... ასმული ბადახში

# თბი... ლი... ... ები ®

www.tbiliselebi.ge

ყოველკვირეული ჟურნალი • №8 (687) • 2 მარტი • ფასი 1,50 ლარი